

המקור

3

1990



„ციცკარი“ საქართველოს მწერალთა კავშირის, ქართული მწერლობის, მისი ახალი თაობის უურნალო განლაგო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, ფაქტობრივად, უკვე გამოეყო საკავშირო მწერალთა კავშირს; ახლა ქართული მწერლობა საკუთარ სამოქმედო პროგრამას ადგენს. ამ პროგრამის დედააზრი კი წინასწარ არის ცნობილი, რადგან ერთხელ და სამუდამოდ ითქვა: „მარად და ყველგან, საქართველოვ, შე ვარ შენთანა...“ რადგან ერთხელ და სამუდამოდ ვიწამეთ: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა!“

საქართველოს მწერალთა კავშირს, ისევე როგორც მომავალში მთელ საქართველოს, საქმიანი ურთიერთობანი ექნება ყველასთან — მეზობლებთან თუ არამეზობლებთან, მთელ ქვეყანასთან... ეს ურთიერთობა იქნება უფლებრივად თანასწორი და სახელმწიფოებრივი! — როგორც ქართველ კაცს სჩვევია, კეთილი და პატიოსანი, ღვთის მადლით ნაკურთხი...

ქართული მწერლობა და, მაშასადამე, უურნალო „ციცკარი“, იყო, არის და იქნება დედოზარის შემოქმედვი ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის, ქართული სიტყვის მომვლელ-მოყურადე და ციურ ნაშში განმზანველი, ქართველი კაცის ცრემლის მომწმენდი, მუდამ შემწე და შემავლლიანებელი მისი სულიერი სიმტკიცისათვის, რწმენისათვის... ყოველივე კეთილისათვის, რაც კი ძალუძს და ხელეწიფება.

წლებანდელი წელი სულმნათი აკაკის წელია. დიდმა მგოსანმა ასე დაუბარა ახალ თაობას: „სიცილით ჩამომძახეთ, აგისრულდა ახლა კი, რასაც რომ მოელოდი, მეგობარო აკაკი!“

ღმერთმა გვისმინოს!..



სესია

საქართველოს
მწიგნობრობის
კავშირის
ორგანო

3

მ ა რ გ ი
1990
თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. 392. გამომცემის 82-ე წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

კოეზია და კროზა

3. მალვინა თოშია — ლექსები
5. გულთ კოხიაშვილი — მშენებლები. მოთხრობები
10. ნანა გურამიძე — ლექსები
11. თეიმურაზ ლანაშვილი — მტკვრის მდინარის...
მოთხრობა
19. ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები
20. ბატუ დანელია — ლექსები
24. ცილა არდაშელია — რატომ მოკლა მონადირე
შვილი?! მოთხრობა
39. ნოდარ ადიშვილი — ლექსები
41. ნიკო სამადაშვილი — შეხვედრები და სინაულა.
68. ნოდარ ბაქრაძე — ლექსები
71. ჯულიანა მილდინი — ლექსები
73. მერი ციხელაშვილი — ლექსები
74. ჯანაშვილი — მშენებლის კვალი. რომანი. გაგრძელება

შთავარი რედაქტორი
იტრამ ქვერბედიძე

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაიშვილი
თედო ბაქრაძე
(შთავარი რედაქტორის
შოაღგილე)

გივი ვახუშტაძე
დათო მალაქაძე
რევაზ მიწათმოქმედის
გივი სულაიაშვილი
მირიან ფრინველი
ჯარჯი ფრინველი
ჯანაშვილი
ნუგზარ შატაძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორბაქი
მანანა ხარაიძე
მირიან ხარაიძე
ტარიელ შატაძე
მანანა ჯონაძე

ეროვნული თვალსაზრისი

94. დავით მთავარი — მოგონებები და დაკვირვებები
111. ჯანაშვილი — ქართული კაცის სინამდვილე. დასაწყისი

წერილები

132. მერაბ მანჯგალაძე — დემოკრატიული პროცესები
ზოგიერთი სოციალური და სამედიცინო ას-
პექტით

დაბრუნებული სახელები

139. აღმაშენებელი სულხანიშვილი — მოგონებები ში-
ფიცულთა რაზმზე. გაგრძელება

ისტორიის თეორიული ფურცლები

150. აბდურაჰმან აბდურაჰმანოვი — სტალინის სიკვდი-
ლის საიდუმლო. (გაგრძელება)

მალვინა თოიძე

●
ძველისძველ ციხეს
აყვავებული ლედვის ხე უჭირავს
აწვდილი ხელით.
ნეტავ თუ მართლა ახლო არს
ზაფხული?

●
ა იმ ბებერი მუხის ქვეშ
ჩამოვსხდეთ, დედავ,
მო, პაწაწა იავ, გვერდით დამიჭექე.
კრიკინობელავ, მუხლებზე დაიდე,
გეთაყვა, შენი სკიპტრა,
რომ არ ეგონოთ,
ნაღვლიანია ჩვენი დილის სურათი...

●
ყვავილობს, ფეთქავს
ალუბლის პაწაწა ნერგი,
ნელა მიცურავს მის სხეულზე
მწარე ეკალი,
აჭდობს კბილებს, ავიდეს ზევით.
საბრალო ნერგმა
ჯერ არ იცის,
როგორ ჩაიხუტებს გულში
მის აყვავებულ ტოტებს
მწარე ეკალი,
როგორ მოაშთობს.
ასეთია მისი ცხოვრების წესი...

●
ეზოში დაჩეხილი შეშა
უცდის წამს,
გაბრწყინდეს;
იქცეს

სინათლედ,
სითბოდ და
მიწად.

●
ნინოს
ისეთი ლამაზი ფარდა იქსოვება
ა იმ ისრა ბალახისაგან, ნინი,
ლბილი, ლბილი, განფენილი
ორნამენტებით,
მშვენიერი, როგორც დედამიწის
პერანგი,
ოლონდ, მაშინ უნდა მოქსოვო,
როცა მწარედ გიყვარს.
და გადმოფინო ვარსკვლავებიანი
ცის მხარეს.
მნათობები მოაწყდებიან შენს
სარკმელს,
მაგრამ შიგ ველარ შემოიხედავენ
და შემორჩებიან ფარდის ლბილ
ხაოებს...
და შენც,
თუ ჩაგეძინა იმ ღამით,
რადაც ტყვილიანი და
მარადმშვენიერი დაგესიზმრება...

●
იმდენი ვისაუბრეთ ნისლიან დღეებზე,
ეზოში კლდეები შემოცურდნენ
თქორმოხვეულნი,
კრელი ნაღვლიანი ბატკნებით.

●
ფიქრების ფსკერზე წევს ერთი
გაუმხელელი ფიქრი,
უჩინო, რადგან სხვა ფიქრები

ზემოდან კეცკეცად აწვანან,
ჩუმი — ჭერ ვერ გაამელავნებს

თავის-თავს.

მალე იგი საშინელ ნატვრად გადაიქცევა
და მაღალი კაცები
ხალიჩასავით გადმოამზევებენ
ქალაქის მთავარ ქუჩებში,
როგორც დედა სატიკვარს.

მომკვდარა ჩენი წკრიილა ღელე,
დედავ,

დგას, აღარ მიედინება.
მოწყენილია დედა-ბუნება.
მოუკვდა შვილი — პატარა ღელე.
მწუხარება გადადის ეზოს.
შექუჩებულან თეთრი ქალაღდის
გემები,
რამდენი ბავშვური ოცნება
მიჰქონდათ...

ახლა ჩვენს ეზოში
თეთრი გემების სასაფლაოა, დედავ!

საბრალო ბებერი ჭაობი
ძალას მოიკემს ხანდახან
და მწუხარების დასაფანტავად
თეთრ-თეთრ ყვავილებს აღმოაცენებს.

როგორ ამივსე სული,
ყვავილო.

ამ მორღვეულ
ციხე-გოდოლში
შენ ერთი ცხოვრობ
მარტოკა თურმე.
ლამაზი მეციხოვნე,
გულადი მეციხოვნე,
ერთგული მეციხოვნე.
მზე ადგას ჭავახეთს ბუმბერაზი...

ჩემი გული მიწაა,
მიწასავით სუნთქავს,
მან უამრავი ყვავილი უნდა აღმოაცენოს
და გადმოჰფინოს, როგორც ხალიჩა,
ქრელი, ლამაზი, თავბრუდამხვევი...
და რაკი იგი მიწაა,
სვეტიც უნდა აღმოაცენოს ცხოველი...

როცა იქ,
ჭავახური კლდის ფერდობიდან
ჩამოდიოდი,
მე შენი ლამაზი კაბა
არ დამინახავს, მზეო.
ცრემლებით მქონდა საკვს
გულისპირი...

მშენებლები

მოთხრობები

ეზოში გამოსულმა ნიკიფორემ მუცელი მოიფხანა, მზეს ახედა, გაიზმო-რა და უცებ ასევე გაშეშდა თვალბე-დაჭყეტილი, პირდაბჩენილი და ხელებ-გაშლილი. მის საკუთარ კარ-მიდამოში ორი უცნობი მამაკაცი იდგა, — ერთი ეზოს ერთ კუნტულში, მეორე ეზოს მე-ორე კუნტულში. მამაკაცთაგან ერთი, შავგვრემანი, სამფეხზე შემდგარ საზომ ხელსაწყოში იყურებოდა გადაციცებით, ხოლო მეორე, ქერა, წვერმოშვებული, მარჯვენა ხელის ცერით ანიშნებდა მას რაღაცას.

ნიკიფორე, ორც იქნა, მოეგო გონს და ელდანაცემი ქურციკივით რამდენიმე ნახტომით გაჩნდა შავგვრე-მანთან.

— რას შვრები, კაცო, შენ... ჩემს ეზოში, რას ზომავ და რა ამბავში ხარ, თუ კაცი ხარ?! — გაკვირვებული, სასგამშრალი ნიკიფორე საზომ ხელსა-წყოს ეცა, ორივე ხელით ჩაბლუჯა და ვარდის თაიგულივით მიიხუტა მკერ-დზე.

— თუ შეიძლება, ხელს ნუ გვიშ-ლით, — ფურცელზე რაღაც დაიანგა-რიშა და ნიკიფორესთვის არც შეუხე-დავს, ისე ჩაილაპარაკა შავგვრემან-მა. — ესეც ასე!.. როგორ ფიქრობ, გა-მოვა? — გასძახა მან წვერმოშვებულს.

— ულაპარაკოდ.

— რამდენი?

— ექვსზე ნაკლები არა. თუ გინდა, დავუმატოთ კიდევ. ჩვენი ნება არაა?

— ეყოფა! — მომეცით ერთი, — დაამთქნარა შავგვრემანმა, გაოგნებულ ნიკიფორეს ხელსაწყო წაპკლიჯა, გაას-წორა და თვალმოჭუტული მიაშტერდა მოპირდაპირე წერტილს.

— გადავირევი ახლა, — სახეჯარბ-ლებულმა ნიკიფორემ წინიდან შემოუ-არა ხელსაწყოს და თვითონაც თვალ-მოჭუტულმა და გადაციცებულმა, ან-გარიშმიუტეველად ჩახედა შიგ.

— ხელს ნუ გვიშლი, — თავი არ აუწევი, ისე ჩაილაპარაკა შავგვრე-მან და ხელით გასწია წინ ჩამოფარებუ-ლი ნიკიფორე.

ნიკიფორემ უმწეოდ მოავლო თვალი იქაურობას, მერე ღონე მოიკრიბა და ტუჩები ლამის ზედ ყურზე დაადო მუ-შაობაში გართულ შავგვრემანს.

— მითხარით, თუ კაცი ხართ, რას შვრებით, რას მერჩით, რა გინდათ ამ ჩემი ეზო-კარისგან?! —

— პირადად მე არაფერი, — გულზე ხელი დაიდო შავგვრემანმა და ნიკიფო-რეს მხარგადაღმა, ეზოს კუთხეში გაჩე-რებულ ქერასაც გახედა, — პირადად არც ვასიკოს არაფერი, — სახელმწი-ფოს დავალებას ვასრულებთ, ბატონო, უნდა ჩამოგაჭრათ ეზოს ნაწილი სიგა-ნეშიც და სიგრძეშიც; ბიჭო, სიგრძე სამყოფია, მაგრამ სიგანე? ხომ არ და-ვამატოთ?

— როგორც შენ იტყვი, — გამოსძა-ხა ვასიკომ და იქვე ძელსკამზე ჩამოჯ-და — მომელა ამ სიციხემ, ამის...

— როგორ, კაცო, რატომ? რა უფ-ლებით? — ისევ ხელსაწყოს ეცა აფო-რიაკებული, გულზე ცეცხლმოკიდებუ-ლი ნიკიფორე. — მე რაღა მერე, მე რაღა?

— მე რაღა მერე?! მე რაღა?! — გამოაჯავრა უცებ შავგვრემანმა და ხელსაწყო ისევ გამოგლიჯა ხელიდან ნიკიფორეს. — მე რას შემომტირი, თუ კაცი ხარ? გითხარი, მთავრობის დავა-

ლებას ვასრულებთ. გზა უნდა გავიყვანოთ ამ ადგილას, ფართო... კომუნისში რომ თავისუფლად შემოეტოს, ისეთი... — წაიჭილია მან და სტვენა-სტვენით განაგრძო ფურცელზე რალაცის ჩანისშენა.

— მისმინე, — კარგა ხნის შემდეგ ასწია ჩაფიქრებული, აფორაჩებული თავი ნიკიფორემ და ნერწყვი გადაუღვა. — არ ეშველება ახლა ამას არაფერი? ჰა?!

შევგვრემანმა ყურადღებით შეათვალიერა ნიკიფორეს აფორაჩებული სახე, მოუხერხებლად ჩაპაჭუნებული თვალი და ყოყმანით აიჩიხა მხარი.

— თანაც ისე, რომ არც თქვენი საქმე გაფუჭდეს, გზაც რომ გავიდეს... — ცერა თითი მხარგადაღმა, მარჯვნივ გაიშვირა ნიკიფორემ. — რაო, დავიჯერო, მთავრობამ მაინცდამაინც ნიკიფორეს ეზოს დაასო თვალი? ამ სოფელში ბევრია ისეთი ეზო, სადაც...

შევგვრემანმა ამჯერადაც დაკვირვებით შეათვალიერა ნიკიფორეს ხელახლა ჩაპაჭუნებული თვალი და კვლავ ყოყმანით აიჩიხა მხარი.

— სამასი, — უჩურობდა ნიკიფორემ.

შევგვრემანმა უბოდიშოდ გასწია გვერდზე ნიკიფორე და კვლავ ხელსაწყოს ჩააშტერდა.

— ოთხასი, — შეავგვრემანის ყურამდე დაიხარა ნიკიფორე.

— ვასიკო, გეყოფა დასვენება, მიხედე საქმეს! — გასძახა შეავგვრემანმა ქერას.

— ხუთასი, — ამოიკენესა ნიკიფორემ.

— ორი კაცი ვართ და უნდა იფიქრო იმაზე, რომ ზუსტად გავანაწილოთ... დრო!

— ექვსასი!

— ეზო? სად ვეძებო ახლა ამ სიცხეში მე ისეთი ეზოები, გზის გასაყვანად რომ გამოდგება?

— ჩემი სახლის გადაღმა, — თანდილას იკითხავ, ფეიქრიშვილს. ვიწრო ქუჩაა ისედაც, ვერავენ იგუმანებს. გა-

ყოლებათ ცხოვრობენ ონოფრიშვილები, გერიტიშვილები, წაბლიაშვილები დაპყვებით თავიდან და პირდაპირ გაიტანთ კომუნისში გზას, — სიხარული-საგან თავი ვეღარ მოუყარა ტუჩებს უცებ გაანგლებულმა ნიკიფორემ. — ფულს კი ახლავე, ამ წუთას. ღვინოსაც ხომ არ ინებებთ, — სამალარიზოდ?

რამოდენიმე წუთის შემდეგ ნიკიფორემ ცარიელი ღოჭით და საგსე გულით გააცილა სტუმრები. გულმა ვეღარ მოუთმინა, ღოჭი იქვე მიაგდო მწვანე მოლზე, ჭიშკარი გულმოდგინედ გამოიკეტა და ცოლთან გაიქცა ყანაში. ყანაში ნიკიფორე დიდხანს ყვებოდა თავისი საზრიანობის და ვაჟკაცობის ამბავს, მეუღლეს შეაქო იმისათვის, რომ სწორედ მისი წინადადებით ინახებოდა ოჯახში ათასიოდე მანეთი ნაღდ ფულად, — ნაუცბათევი „შავი დღისთვის“ და დამშვიდებული და ვახარებული წამოვიდა სახლისკენ. ინტერესით კვდებოდა, რა ხასიათზე დახვდებოდნენ ფეიქრიშვილები და ონოფრიშვილები, გერიტიშვილები თუ წაბლიაშვილები, რომელთა ეზოებზეც გზას უნდა გაეცლო.

ფეიქრიშვილების ეზოში ფეიქრიშვილების დედა იდგა და სარეცხს ფენდა, ნიკიფორე გულითადად მიესალმა ფეიქრიშვილების დედას, ღობიდან თავგადაყოფილმა ჯერ ამინდზე ისაუბრა, მერე მოსავალზე და ბოლოს სიტყვა გადაიტანა საგზაო ინჟინრებზე, რომლებიც „მგონი დღეს უნდა ჩამოსულიყვნენ სოფელში“.

— ორი საათის უკან იყვნენ ჩვენთან, — კუშტად უპასუხა ფეიქრიშვილების დედამ ნიკიფორეს და სველი, გაუწურავი „ჩინისი“ ტყლაშენით გადაფინა თოკზე. — არ მოეწონათ ეს ადგილები გზისთვის, არ ვიცი, თქვენკენ წამოვიდნენ. არ ვიცი, გოგიაშვილები-სკენ, — ონოფრიანთიც დაუწუნებიათ და გერიტიანთიც თურმე, თედუამა თქვა.

ნიკიფორემ ქალს წყალი სთხოვა, დალია. ტუჩები მოიწმინდა, მადლობა

გადაიხადა წყლისთვის და გოგიაშვილების ეზოსკენ გაუტია.

გოგიაშვილების ეზოში არაფერი ჩანდა, ნიკიფორემ დაძახება გადაიფიქრა, თვალმოკუტებული ჩაფიქრდა და გეზი დათიაშვილების ეზოსკენ აიღო. ეზოს მიუახლოვდა თუ არა, მაშინვე დაინახა ძელსკამზე თვინიერად ჩამომსხდარი შავგვრემანი და ქერა. შავგვრემანი რალაცას ანგარიშობდა, ქერა ინტერესით ჩაპყურებდა ნაანგარიშვეს, ხოლო დათიაშვილი თედო რალაც გახვეულს მობრუნდებოდა შინიდან.

ნიკიფორე ხეს ამოეფარა, კარგად მოისმინა თედოს მადლიერების გამომხატველი სიტყვები, თვალი რევანიშვილების უბნისკენ გაშვერილ მის თითსაც მიადევნა და იმასაც, როგორ ჩატენეს ქერამ და შავგვრემანმა უკვე გავსებულ ჩანთაში გაზეთში გახვეული რალაც და როგორ აიღეს მერე გეზი რევანიშვილების უბნისკენ.

ნიკიფორემ თავი გადააქნია, ხელები მოიფშვნიტა და ხითხითით გამობრუნდა უკან.

მეორე დღეს სოფელი რაიონული ცენტრიდან ჩამოსული მოტოციკლის ხმამ აახმაურა. ჩაფიქრებული, კოპებზეყრილი ინსპექტორი სოფლის საბჭოს შენობაში შევიდა და რამდენიმე წუთის

შემდეგ სასწრაფოდ თავშეყრილ ხელს მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვებით წარუდგა წინ.

— ამხანაგებო, დღეს ან ხვალ სოფელში შეიძლება ჩამოვიდნენ საგზაო ინჟინრები და მე გთხოვთ, მოიქცეთ ისე, როგორც ეს შეპფერით ნამდვილ კოლმეურნეებს, კომუნის ნამდვილ მშენებლებს: მოიქეციეთ ყურადღებით და საზრიანად! ესენი საგზაო ინჟინრები კი არა, თაღლითები არიან, მეგობრებო! აგერ უკვე რამდენი ხანია დაწინააღმდეგებენ სოფლიდან სოფელში, თქვენ წარმოიდგინეთ, არ ერიდებიან ქალაქებსაც კი, დაათრევენ რალაც ხელსაწყოს და ფულს სძალავენ საწყალ, უბირ ხალხს. შიშით ნუ შეგვშინდებთ, ერთადერთი იმათი იარაღი საგზაო ხელსაწყოა, მეტი არაფერი. იმედი გვაქვს, თქვენი ვაჟაცუხრი და გამტანი, ალაღ-მართალი ბუნება ბოლოს მოუღებს მათ პარპაშს. ჩვენ ერთად უნდა აღვკვეთოთ ამ გარეყრების თარეში ჩვენს ქვეყანაში. გარეყრული ნიშნები: ერთი შავგვრემანია, მეორე — ქერა, ორივე მალალი... კი მაგრამ, რა დაგემართათ, გითხარით, რომ ერთადერთი იმათი იარაღი საგზაო ხელსაწყოა, მეტი არაფერი. მეგობრებო... მეგობრებო... კი მაგრამ, რა ვთქვი ახლა მე იმისთანა, ყველა ასე ერთიანად რომ გაშვდით, მუმიებივით?

ყრუანჩელა

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერონტი ქერეჭაშვილი ნებივრად მისვენებია მანქანის საბურჯეს, კალთაში შვილივით ჩასმულ მუცელზე ზარმაცად ათამაშებს თითებს და, თვლემამორეული, ცალი ყურით უსმენს მძლოლ მიხოს, რომელიც ისე იჭაჭება თავისივე მონაყოლზე, რომ მანქანა ისედაც დანგრეულ გზაზე სულ ხტუნვა-ხტუნვით მიჰყავს.

— ნელა, შე შობელძაღლო, — კისრის შემოტრიალება უჭირს და ცალი

თვლით გეზად გაპყურებს გერონტი მიხოს. — მერე?

— მერე და, ვეკიოხები, ე ქილები რო გადაგიკიდია ხურჯინითა და მიდიხარ, დიდი-დიდი, რა უნდა აიღო მაგ წვალემაში-მეთქი. რაო და, თითოს მანეთად გაეყიდო.

— აი, მაგან უნდა დაიკვეხოს კაპიტალის დაგროვება... — ამთქნარებს და მუცელს ეფერება თავმჯდომარე.

— მე კიდე, რალაც ეშმაკი შემიქდა ჭკვაში და ვეუბნები: — თითოში ორ

მანეთს მოგცემ, თან ქალაქში წასვლაც აღარ დაგჭირდება, თუ მაგ მაწონს სულ შენ შეუბამ-მეთქი.

— მერე?

— ოცი ქილა ჰქონდა, ცოტა კი არა, — ისევ ხტის მანქანა.

— მერე, კაცო, დაგთანხმდა?

— შორს დაიჭირა ჯერა. ამასობაში ლეოც ჩააცივდა და მანეთი იმან წაუმატა თავის ანგარიშზე, — თან სამოც მანეთს აიღებ, თან მაწონიც შენვე დაგრჩებაო.

— უყურე, ერთი, შენა!

— მამაშ... ცოტა კიდევ იჭოკმანა, დაჯდა მერე და დაიწყო...

— ნელა, შე შობელძალლო, კინაღამ ხრამში გადავვარდით ეხლა, — მკაცრად ატრიალებს კისერს თავმჯდომარე. — მერე?

— ვაი, აღარ შემოძლია მეტი... აღარ მახსოვს, მეთორმეტეზე თუ მეცამეტეზე ერთი კი დაიძახა „ჰიყ-ო“ და ე ჩვენი შავი ლეო სანახავი გახდა... სუ გადათეთრდა მეწისქვილესავითა. კიდევ კაი, მე არ ვიდექი იმის ახლოსა... ვაი, დედა, მუცელი... ფული მივეცი თუ კი არა, კინაღამ მოგვალით უბედური... ხა-ხა-ხა... ხა-ხა-ხა...

— ვაი, — მანქანის მოტორივით თუხთუხებს თავმჯდომარე და ცრემლს იწმენდს. — კარგა ხანია ამდენი არ მიცინიან. ჰო, მართლა, რა ქნა ლეომა, წაიღო ისა?

— წაიღო და ღღეს დაგახვედრებს ფულსაც. ჯიგარი ბიჭია, მაგისი შიში ნუ გექნება. ხა-ხა-ხა... — ხელახლა არახრახნა მიხო. — კიდევ კაი, მდინარე იყო ახლოსა, ტანსაცმლიანად გადაეშვა ეს ჩვენი ლეოი შიგა და ორი საათი ვეღარც ამოვიყვანე იქიდანა... ოჰო, ესა ნახე, ზედ შუა გზაზე რო მიარახრახნებს ამ თავის მერსედესსა.

— მაიცა, კაცო, ვინ არი ეგა, ჰა?

— რა ვი, რა, უკანიდან მჭედელაანთ დათუასა ჰგავს, — მანქანის საყვირს გამეტებით აპიბინებს მიხო. — ხიი-ო, გადადექი, შე კაი კაცო!

— კაი კაცო კი არა... — თვალებს

სინათლეზე გამოსულ ბუსავით აბრიალებს თავმჯდომარე და მუშტს ეხმარება ნის კარს ურახუნებს: — რა მიაქვ ამ შობელძალდ დათუასა ამ თავის ურმითა, ჰა? მიხო, რა მიაქვს, ხედავ ამ უნამუსო დათუასა ამ თავის უნამუსო ურმითა, ჰა?

— შეშა, კაცო, — გაკვირვებით ატრიალებს თავს მიხო თავმჯდომარისკენ და მერე ისევ უნამუსო ურემს გაჰყურებს დაეჭვებით. — შეშა, როგო რა მიაქვს, შეშა ველარ იცანი?

— მერე, რა უფლებითა, ჰა? გააჩერე, ერთი შენა, გააჩერე, მე მოვეუცი მაგასა.

მიხო მანქანას აჩერებს, თავმჯდომარე კარს აღებს, ხვწმით ჩადის და რამდენადაც ამის საშუალებას საკუთარი ღიპი აძლევს, ძუნძულით გარბის წინ.

— რა არი, კაცო, ესა, ჰა? — ყურებში აფრინდება შეშინებულ ვირს თავმჯდომარე და ისეთი დაუნდობელი გააფთრებით ჯმუჯნის, ლამის არის, საერთოდ წააცალოს საწყალს ორივე ყური. — რა არი, დათუა, ესა, ჰა? ვინ მოგცა შენ იმისი უფლება, ესე ანიაგო საერთო-სახალხო სოციალისტური ქონება, ჰა? ვინ მოგცა შენ იმისი ნება, რო ე სახელმწიფო კუთვნილება მოგიპრია კიდევცა, ურემზედაც ჩამოგიღაგებია ლამაზადა და თანაც ღღისითა და მზისითა ა ეგრე უნამუსოდა და უსიციხვილოდ სახლშიც მიარბენინებ, ჰა?!

— რა ვი, ეგეთი ბედი მქონია და... — მცირე ხნის ფიქრის შემდეგ მხარს მორჩილი იერით იჩეჩავს დათუა და გულდინჯად ასწორებს გადმოსავარდნად გამზადებულ შეშის ღერს: — ეგეთი ბედი მქონია და, — გულწაკლულად დასძენს და რატომღაც სევდიანად იღიმება.

— რა ბედი გქონია, შე მართლა დათუო, შენა, ჰა? — მთლად კარგავს წონასწორობას თავმჯდომარე და ბაგეზე კბილდაჭერილი, დათუასთვის მოსაქნევად გამზადებულ მარჯვენას ისევ საწყალ ვირს უტყულაშუნებს ყურებში. — რა ბედზე და იღბალზე მეფილოსოფო-

სები, როცა აი, ესე ნაღდად და კარგად გამოვიჭირე ქურდობაში, ჰა? რაღა გაქვს სათქმელი, ჰა, თქვი, თუ კაცი ხარ.

— მაგას არ გეუბნები, მეცა? — ალაღ-მართალი კაცის თვალებით შეპყურებს დათუა თავმჯდომარეს და ოხრავს. — რასაც შენ იპარავ, ჯიბეში ეტევა, ჩემი კი ამსიგრძეზე ჩანს ეგრე, აი, სახალხოდა! მა ბედი არ უნდა მაგასაცა? — თავს სიმწრით აქნევს დათუა და ვირს, რატომღაც, ჯოხის მაგიერ წიხლს ურტყამს. — აცე, ვიროო!..

ვირი ნაღვლიანი თვალებით აპყუ-

რებს ჯერ თავმჯდომარეს, მერე დათუას, წყნარად აპარტყუნებს ნატყუნებს რებს და ჭრილით ეწევა ადგილიდან შეშით დატვირთულ ურემს.

— უყურე, კაცო, შენა ამ შობელ-ძალსა! — სუფთად გაპარსულ საულვაშეზე ხელს ისევამს თავმჯდომარე და ნირწამხდარი და ჩაფიქრებული გაპყურებს ზედ შუა გზაზე მიმავალ დათუას, — გვერდზე მაინც გადააყენე, შე ოხერო, შენა... — მისძახის ხმამალა და ისევ თავს აქნევს. — უყურე შენა ერთი ამასა, უყურე, სულმთლად ყრუანჩელა რომ მეგონა...

●

ნუთუ ეს იყო ყველაფერი,
რისთვისაც მწამდით,
გამოიხურეთ გულის კარი,
წახვედით... წადით,
მაგრამ წასულიც თქვენ ჩემს გვერდით
დარჩებით, რადგან
არსებობს ქვეყნად ჭერაც ხსოვნა,
ლალატის გარდა
და მოსარწყავი ჩუმი ცრემლით
მინდვრები სევდის.
არსებობს რადგან ჭვარი ჭვარზე
გაკრული ღმერთით,
არსებობს რადგან რალაც ენით
უთქმელი ღღემდე...
რა გითხრათ ახლა, იქნებ მხოლოდ
სიკვდილის შემდეგ?
ჭერ კი წვიმს როგორ...

●

მომაპყარ მზერა ერთი წამით,
მხოლოდ წამია
მომცველი ყოვლის, დანარჩენი
ყველაფერს წაშლის,
ამ სიმთვრალესაც, უცნაურს და
მაინც მთვარიანს,
გულუბრყვილობა შერჩენია
რომელსაც ბავშვის.
მომაპყარ მზერა, აღტაცებას
სული მპირდება
ამ მთვრალი სისხლით, მე სიმთვრალით
ვცოცხლობ და მიყვარს.
და მაინც ვიცი, რომ ვერაფერს
ამბობს სიტყვები
და რომ მთავარი რჩება სწორედ
სიტყვების მიღმა.
მომაპყარ მზერა, იქნებ შევძლოთ,
იქნებ გავიგოთ,
ის, რაც ირწყევა სადღაც სულში,
ბორჯავს და დარდობს,
სხეულის კედლებს ტუსალივით
აწერს თარიღებს,

ჩვენს სულთან ერთად ცხოვრობს
ჩვენში

და არის მარტო...
მომაპყარ მზერა.

●

ტივილო ჩემო, დაბადებას
ამქვეყნად ჰგავხარ
და არა სიკვდილს, რომლის შემდეგ
სიმშვიდე გვფარავს.
რა არის შენში, რა უშრეტი
მოგანდეს ძალა
რა უხილავი დემონივით
გამეფდა ჩემზე.
შენა ხარ, ვინაც მაწერინებ
სევდიან ლექსებს,
რომ ამ გულს შენგან დატყვევებულს
ვუშველო რამით.
აღარ მფარველობს აღარც ჩემი
მფარველი ღამე
და აღარც როკვა, მარტოობის
წყვედიანით მოსილს
(მუდამ ელვარებს ქანდაკება
ქალღმერთის ტორსის,
როს აზრი რალაც მარადიულს
აგნებს და ხვდება.)
დაე, აღსრულდეს ძლიერების
მაღალი ნება!
მე კი, ლტოლვილი, ვინც ტივილის
სამეფოს ვსახლობ,
ყველა ტივილებს შემოვიკრებ
ამ გულთან ახლოს
და მათთან ერთად ჯოჯოხეთის
ჩავდგები წრეში.
ჩავდგები, რათა ტივილების
სიმღერით შეშლილს
არ ჩამეძინოს ამ ქაოსის
იღუმალ ფსკერზე.
მე ომს ვუტახადებ გულგრილობის
ყოველგვარ წესებს
და ვმღერი, ვმღერი, მარადიულ
სიმღერას ჩემსას,
თუ გაიგონებთ...

პტაპელო პინისტვის..

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ამ მოთხრობის გმირები სიკვდილამდე ცოცხლობენ... მიუხედავად იმისა, რომ მიწიერი სადარდებელი მეტი აქვთ, ხშირად მაინც ცას შესცქერიან...

ერთმანეთს მანამ ვერ ამჩნევენ, სანამ...

გამოიღვიძა და შეიფხიზლა ერთმა მათგანმა, გაიზმორა, კედლის საათს ახედდა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა.

ისევ წვიმს, — ჩაილაპარაკა, დაამთქნარა და ჩაცმა დაიწყო.

კაპიტო დღეს საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა, ფარული კენჭისყრის დროს სასწორის გადახრა შეეძლო.

ორად გაყოფილი „ბანაკის“ წევრები კაპიტოს მიმხრობას ცდილობდნენ, კაპიტოსთვის ჭერჭერობით დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ძველს დატოვებდნენ თუ ახალ ხელმძღვანელს აირჩევდნენ, ამით არც აკლდებოდა, არც ემატებოდა რამე.

კაპიტომ ჩაი დალია, სარკის წინ გაიჩვიმა, კარი საგულდაგულოდ გაიკეტა და ქუჩაში გააღაჯა. გზაზე მოსეს შეხვდა.

მოსეს საზაფხულო ფეტრის ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, თეთრი ჩესუჩის კოსტიუმი ეცვა. კაპიტო ღიმილით მიესალმა, ამბავი ჰკითხა, საიდუმლოს დავცინცლავ, ვის მხარეზეა, შევიტყობო, გაიფიქრა.

მოსე ყველაზე და ყველაფერზე განაწყენებული კაცი იყო, წერდა საჩივრებს, ითხოვდა ყურადღებას, ვინ ჩაგრავედა, არ ასახელებდა, დაბოღმილი და

განწყენებული საკუთარ ნალველში იხრჩობოდა.

მოსე მაშინ მიიღეს წერა-ბეჭდვის ორგანიზაციის წევრად, როცა ამ საქმეს საფუძველი ეყრებოდა, ზოგს ერთი-ორიც კი წაუთაქეს, — რატომ არაფერს წერო.

ზაფხულის ქუჩუნა წვიმა ფეტრის ქუდში იცრიებოდა და წვეთ-წვეთად კისრისკენ მიცოცავდა, ეს ამბავი მოსეს დიდად არ აღიზიანებდა, თავისთვის იმას ანგარიშობდა, კაპიტო ვის მხარეზეა, რას აპირებსო.

— დიდი ამბებია მოსალოდნელი, — თქვა კაპიტომ, სიგარეტი ამოიღო, — მოსესაც მიაწოდა.

— არ ვეწევი! — გაწყრა მოსე.

— ამის ვარეშე წერა არ შემიძლია, — წაიჩურჩულა კაპიტომ, სიგარეტი თითებით მოსრისა, ცეცხლი მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა.

„შენც წერ ახლა დიდ რამეს“ — გაიფიქრა მოსემ და დაცვარული კისერი ცხვირსახოცით ამოიმშრალა.

— დიდი ამბები გველის დღეს, — ისევ სცადა კაპიტომ მოსეს საუბარში ჩათრევა.

— იაბონელებს მცურავი ტრაქტორი გამოუგონიათ, — მშვიდად თქვა მოსემ, გულის ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო, მელანი ხომ არ გასდისო, — მოსინჯა და ისევ თავის ადგილზე დააბრუნა.

— წყალსაც ხნავენ, ნეტავი? — გულუბრყვილოდ გაიკვირვა კაპიტომ, ისევ წამოაგო ცნობისმოყვარეობის ჭია ანკესზე, მოსესკენ მოისროლა: — ძველს ვირჩევთ, არა? — ჰკითხა.

— ძლიერ ტაიფუნს სანახევროდ დაუნგრევია სამხრეთ ამერიკის ქალაქები, ცოცხლად დაუმარხავს ხალხი, — მოიმწუხრა მოსემ.

— ცოცხლად დამარხვა ვერაა კი საქმე, — ისევ დაარტყა ნაფაზი კაპიტომ და ახლა უფრო შორს მოისროლა ცნობისმოყვარეობის კითხვანაცლებული ანკესი.

მოსემ შორიახლო ურბინა ამ ანკესს, გარედან შემოაჭამა კია და გაილურსა. „დიდი პირმოკუმული ღორჯოა, ასე იოლად ვერაფერს დასციცლავ“, — გაიფიქრა კაპიტომ.

— რამდენჯერ გავაგდე ნიჩაბი ხელიდან, მაგრამ შემომიჩინდნენ და მაინც ამალეზინეს, — უნებურად ალაპარაკდა მოსე, ისევ ამოიღო ჭიბიდან ავტოკალამი, ისევ მოსინჯა, მელანი ხომ არ წვეთავსო.

— ნიჩაბი რა შუაშია? — ყასილად გაკვირვა კაპიტომ.

— სამარის გასათხრელად. კაცს რომ უორგულეზ, ადგილს და კარგ ცხოვრებას დააკარგვინებ, რა ჰქვია, აბა, ამას? — თქვა მოსემ, გაიცინა თუ გაიქყანა, ძნელი დასადგენი იყო.

— თუ მწერალია, დაჯდეს და წეროს, — თქვა კაპიტომ.

— ვისზე ამბობ!

— მწერალზე.

— ვინაა მერე მწერალი?

— ვინცაა, ის.

— ის ზის და წერს.

— ჰოდა, წეროს.

— ვინც არაა და მაინც წერს?

— იმანაც წეროს.

— ესე იგი, ორივეს მომხრე ხარ?

— თვითონ ვის ემხრობი?

— შენ თვითონ??

— ხალხი მთვარის შუქზე წერდა, — სცადა გაურკვეველი სიტუაციიდან გამოძრომა კაპიტომ.

— მაშინ სინათლე არ იყო.

— წერდნენ და ანათებდნენ.

— ახლა მთვარეც გვაქვს და სინათლეც, მაინც ბნელა, — დოინჯი გაიკეთა მოსემ.

— სად ბნელა?

— ნაწერებში.

— მაგი რა ხანია ითქვა...

მოსე სახეზე წამოწითლდა, გაიხსენა, წინა თვეში გაზეთში რა დღე აყარეს კრიტიკოსებმა.

მიხვდა კაპიტო, შეცდომა რომ დაუშვა, იმწამსვე თავის ტოლებს ლანძღვაზე გადავიდა, გააბიაბრუა და მტვრად აქცია მთელი მათი ნაცოდვილარი.

„ამათ თვითონ სძულთ ერთმანეთი და მე შემეყვარებენ?“ — გაიფიქრა მოსემ, ამდენ ხანს თუ ორჭოფობდა, ახლა საბოლოოდ მყარად დადგა მისი თაობის მხარეზე.

კაპიტომ გულთმისანივით იგრძნო, — რა გარდატეხაც მოხდა მოსეს აზროვნებაში, ნაცადი ფანდი იხმარა, ცოტა ხნით დადუმდა, მერე ისევ წამოიწყო: — მიწისმიმყრელი რომ არ რჩება უკან, თუ იცის ეს ზოგიერთმა.

— ვინ დაუტოვებიათ ზევით, — შემოტევა მარჯვედ აიციინა მოსემ, ჩაახველა.

— ახალგაზრდებო, გამოდით, თქვენი დროაო, რომ გაჰყვიროდ, ცოლს შვრებოდა აკაკი? — თვალეზი მოწკურა კაპიტომ.

— აკაკი ერთი იყო, ჩვენ ბევრნი ვართ, — მშვილად თქვა მოსემ.

— ამაშია საქმე, ბევრი რომ ხართ და არა ერთი, — შებორძიკდა კაპიტო, ვილაცამ მხარი გაჰკრა, კინალამ წააქცია.

გზაჯვარედინზე ონოფრე კირკიტაძეს წამოეწივნენ, ძლივს მიაჩოჩებდა დასივებულ ფეხებს, ჩამორეცხილ მხრებზე კატასავით აჯდა კუზი, ჯოხს დაყრდნობოდა, გზადაგზა ისვენებდა.

ონოფრე ორ თავის იუბილეს მოესწრო, რაც დაეწერა, დაებეჭდა კიდევ. მართალია, ხელიდან არ სტაცებდნენ, მაგრამ, ასაკის გამო, პატივს სცემდნენ, გრამატიკულ შეცდომებს უსწორებდნენ, სათქმელს ულამაზებდნენ და... ონოფრე მოსეს მიესალმა, კაპიტოს ალმაცერად გახედა, ვერ შეიცინო.

— ჩვენი კაპიტოა, — წარუდგინა მოსემ.

ონოფრემ ვერ გაიხსენა, ვინ იყო კაპიტო ან რატომ იყო მათი.

— შარშან გამოვიდა მაგის წიგნი, არ გახსოვს? — კიდევ ერთხელ სცადა ონოფრეს შეფხიზლება მოსემ.

— ვირჩევთ, აბა? — იკითხა ონოფრემ.

— ვირჩევთ თუ ვტოვებთ? — გაიკვირვა მოსემ, ონოფრეს ხელკავი გამოსდო, კაპიტოს თვალი ჩაუკრა.

— ცოტა შევისვენოთ, — ითხოვა ონოფრემ, დათოვლილ, თეთრ თმაზე აკანკალებული ხელი გადაისვა, ჯოხს დაეყრდნო.

— თვითონ დაგირეკა? — დინტერესდა კაპიტო.

— ვინ?

— გრამიტონმა.

— არჩევნების წინ გამიხსენებს ხომლე, — ამოიხვნეშა ონოფრემ.

— ყველას მაშინ უნდიახარ, როცა სჭირდები, — მოსემ ჯიბიდან ისევ ამოიღო ცხვირსახოცი, კისერი მოიმშრალა.

— სიკვდილია ერთადერთი, რომ არ სჭირდები და მაინც მიყავხარ, — ონოფრეს სათვალე ჩამოუტურდა, ქვაფენილზე დაეცა და დაიმსხვრა.

— რაღა ვქნა ახლა, სხვის მაგივრად სხვა რომ წავშალო, ივარგებს? — შეწუხდა ონოფრე.

— ვის შლის, ნეტავი? — გაიკვირვა მოსემ.

წერა-ბეჭდვის ორგანიზაციის ეზოში რა ხანია შეკრებილიყვნენ, საგანგებოდ ნავთით მოპრიალეზულ მოსაცდელში სულის მოხუთვის ისევ გარეთ ყოფნა სჯობდა, მით უმეტეს, რომ გამოიძარა, ცამ ღრუბელი მოიშორა.

დამწყებ ავტორებს წრე შეეკრათ, თავიანთი ფალავანი, პირველი წიგნის ავტორი, ჯიბილო ბეწვაძე შუაში მოექციათ, კომპოსტოს სარგებლიანობაზე კამათობდნენ.

მოშორებით შუახანს მიტანებული, ეგრეთ წოდებული საშუალო თაობის

„ნიღები“ იდგნენ, ძველსა და ახალს ობას შორის თავმომწონედ კეკლუცობდნენ და მომავალ, ლეო დღეებზე ოცნებობდნენ.

ეზოში აგურის ქარხნის დირექტორმა, ბონდო წიწილაძემ შემოაბიჯა, ღიმილით მისცა ყველას სალაში, არც ერთ ჯგუფთან არ შეჩერებულა, მოფრიალებულ კარში შეაღაჯა.

წიწილაძეს ფეხებზე ეკიდა ყველა დაჯგუფება, თავისი საქმე ჰქონდა, მიწას ჰკრიდა, კალაპოტში აქცევდა, ახმობდა, აგურს ჰყიდა, ხალხს იმადლიერებდა.

— ემაჯ მუტრუკი წიწილაძე არაა? — იკითხა ონოფრემ და კაკლებდათეთრებული თვალები მოისრისა.

— კი, ბონდოა, — დაუდასტურა მოსემ.

— მაგის წიგნის რედაქტორობისათვის მკედრები ამომიყარეს საფლავიდან, ბუხრის ყელის ამოსაშენებლად აგური ეთხოვე და არ მაღირსა, — წყენა ვერ დაფარა ონოფრემ.

— შეაგურეთა კავშირის წევრად იმან მიადებინა, ვისთანაც გარბის, თქვენ ვილას სჭირდებით, — გამოაჯავრა მოსემ.

— ცუდ დროს გამიტყდა სათვალე, — ისევ შეწუხდა მოსე.

— მაგიც იმ დროსაა წევრად მიღებული, ჩვენ რომ ვიცით? — გაიკრიჭა კაპიტო.

— რომელ დროს გულისხმობ? — შუბლი შეიკმუნა ონოფრემ.

— კედელთან რომ აყენებდნენ ხალხს, გინდა თუ არა, დაწერე რამეო.

— პირიქით, არ დაწეროთ, თორემ ხელს მოგჭრიოთ, რომ აფრთხილებდნენ, მაშინ მივიღეთ.

— რისკიანი ბიჭი ყოფილა.

— რისკიანია, აბა რა, თუ რამე ბორცვი და შემადლებული ადგილი ნახა ქალაქში, მოაცამტვერა და აგურად აქცია, შენ იზამდი მაგას? — საუბარში ჩაერთო მოსე. გულის ჯიბეში ჩადებულ ავტოკალამს მელანი გაეპარებინა, ორი წვეთი იასავით მიხატვოდა პიჯაკზე.

— წიწილაძე აძლევს ხმას ჩვენ იმას? — მორიდებით იკითხა იქვე მო-

ყურადღებულმა ვალიკო იბრაგიმოვმა და მოსაუბრეებისკენ მიჩოჩდა.

იბრაგიმოვი სამ ენაზე წერდა ერთ-დროულად. ყველა ყურნალ-გაზეთს უგზავნიდა თავის ნაცოდვილარს, ათასში ერთხელ უმნიშვნელო და მეორეხარისხოვან ყურნალებში „გამობრწყინდებოდა“ მისი ანდაზები და ნაკვესები.

ტყვედნამყოფი, ნატანჯ-ნაჯახირები კაცი იყო, ყველასი და ყველაფრის ეშინოდა, პირდაპირ ლაპარაკს ანდაზებით და მოიარბებით საუბარი ერჩივნა, გაზის კანტორაში მუშაობდა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოდესმე ბალონი აფეთქებოდას. კოლიას აქამდეც კი ამჩნევდნენ მოსაუბრენი, მაგრამ მისთვის არ ეცალათ, დაშინებულ და დაბეჩავებულ იბრაგიმოვს, ვინც ფეხს დაუბაკუნებდა, იმას მიემხრობოდა.

რეცხვისაგან ფერწასული შარვლის ჯიბიდან დაკემსილი ცხვირსახოცი ამოიღო კოლიამ, ცხვირზე მიიფარა, დააცემინა, იმდენი ისრისა ცხვირი, კინაღამ ცხვირსახოცს გააყოლა.

წიწილაძე სწრაფადვე დაბრუნდა უფროსის კაბინეტიდან, უკან მომავალმაც თავის დაკვრით და პირმღიმარემ ჩაუარა იქ მდგომთ, მანქანაში მარჯვედ ჩახტა და მოუსვა.

— მაგი ჩვენი წვერი არის? — იკითხა იბრაგიმოვმა, რაღაც ფურცელი ამოიღო, ჩახედა და ისევ ჯიბეში შეინახა.

ეზოს წინ სატვირთო მანქანა გაჩერდა. კაბინიდან მაღალი კაცი გადმოვიდა, საათზე დაიხედა, მოგვიანებით მომაკითხო, მძღოლს დაუბარა. ცემენტით დამტვერილი ფეხები ასფალტზე დაიფერტხა, კიტელზე შემოჭერილი ქამარი შეისწორა და კოლეგებს ხელის ჩამორთმევით მიესალმა.

— სახლს ვაშენებ, — თქვა, როცა ყველა მოიკითხა, შარვალზე შემხმარი კირი თითებით გაფშენა და ჩაიფერთხა.

— მასალა არ გაგიჰირდება შენ, — მუცელზე ხელი მოუთათუნა მოსემ. მაღალმა ჩაიღიმოლა, რაც იმის ნიშანდადასტურება იყო, ვმოულობო.

— ისევ სახერხში ხარ? — დაიწყო რესდა იბრაგიმოვი.

— აბა, სად წავიდე? — ხელები გაშალა კაცმა.

— კრიტიკული წერილების წერას, ხე ხერხო და ნახერხს უყურო, ის სჯობია, — თქვა კაპიტომ.

— რამდენი ვუკბინე ვინმეს, იმდენი კბილი მომატებეს, ეჩალიჩობ ჩემთვის, — კიტელის ჯიბიდან „ყაზბეგი“ დააძრო მაღალმა.

— ძველ უფროსს აძლევ ხმას თუ სხვა დევიჯინოთ თავზე? — ჩალამებული მზერა მიაბლიტა ინდიკოს ონოფრემ.

— მაგან კარ-ფანჯრის ჩარჩოებზე შემაწუხა ერთხელ, სხვა რომ მოვიდეს, შეიძლება სახლის აშენება მომთხოვოს, — შუბლი მოისრისა მაღალმა.

— ახალგაზრდები ვის უჭერენ მხარს? — იკითხა მოსემ.

იბრაგიმოვმა ისევ ამოიღო გულის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქალაღი, გაშალა, დახედა და ისევ შეინახა საგულდაგულოდ.

— რა სიაა, ბიჭო, მაგი... — თვალი შეასწრო მაღალმა.

— არაფერი, ისე ჩემთვის... — დაიბნა იბრაგიმოვი.

ბაბუცა სიმსივე ასაკის შეუფერებელი სიკეკლუცით შემობაკუნდა ეზოში. დახვეული, შედებილი თმა ზვინივით დაედგა, ერთი მტკაველით ამალეებულისყო.

ბაბუცა ცერცვის დამამზადებელ კანტორაში მუშაობდა უფროს მწონავად, გარდა იმისა, რომ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა, ორ უმცროს მწონავს უფროსობდა, ნებისმიერ დროს შეეძლო ხელქვეითების მიერ აწონილი ცერცვის ხელმეორედ გადაწონა, ამას გადაკონტროლებას უწოდებდა, თავს იწონებდა.

ბაბუცას პიესები დროდადრო იდგებოდა ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა საქარხნო თვითშემოქმედებით კლუბებში, ამ დღეს შვილიშვილები ბებიას

სახალხო, თავმომწონედ მიართმევდნენ მამასისხლად ნაყიდ ყვავილებს.

— ჩამობრძანდა ზევიდან ვინმე? — იკითხა ბაბუცამ.

— ბიპინია წვერაგას ელიან, ეტლით წამოსულა თბილისიდან, ფალარათი დამართათ ცხენებს და შეაგვიანდებო, ხარაგაულიდან დარეკეს, — დანაუგეშა კაპიტომ.

— გაგვეგზავნა ჩვენი „პობედა“.

— ეტლით უნდოდა იმ კაცს ჩამობრძანება, თორემ მანქანა და მატარებელი ამოსული აქვს ყელში.

— მაგაზე არ მიფიქრია, — დაირცხვინა ბაბუცამ და პომადით მოტლოზნილი ტუჩები ენის წვერით მოისველა...

წერა-ბეჭდვის ორგანიზაციის თავმჯდომარე გრამიტონ ყუბანეიშვილი აივანზე გამოვიდა, მრევლს მიესალმა, უცებ გაიხსენა, ვისზე რა ამავი ჰქონდა გაწეული, უცბათვე შებრუნდა ოთახში, მოხსენებას კიდევ ერთხელ გადავხედავო.

მოხსენების დაწერაზე თავი არ შეუწუხებია გრამიტონს. შესავალ ნაწილში თვე და რიცხვი ჩაასწორა, პრობლემათი თითქმის ახლაც იგივე იყო, რაც ათი წლის წინათ, ხელმძღვანელობიდან ძველი აღარავინ იყო შემორჩენილი, რომ სიძველე ეგრძნო და ამის გამო გრამიტონი დაეტუქსა, არჩევნები ყოველ მეშვიდე წელს იმართებოდა, ამ ხნის განმავლობაში გრამიტონის უფროსებს ან აწინაურებდნენ და მისთვის აღარ ეცალათ, ან, პირიქით, აქვეითებდნენ; გრამიტონი იჯდა უცვლელად ერთ სკამზე, თვლემდა და მშვენიერ სიზმრებს ნახულობდა.

— ცუტუნა! — დაუძახა გრამიტონმა საქმეთა მმართველს, გრაფინით წყალი ამოატანინა და გულისყურით მომისმინეო, იქვე, სკამზე დასვა.

— რაშია, ბატონო, საქმე? — გაიკვირვა ცუტუნამ.

— ცალი ფრთა ვერ ავიქნეი წუხელი ვერაფრით.

— სიზმარს მიყვებით?

— აბა, ქალო, ფრთებიანი კაცი ხად გინახავს, შენი! — გაწყრა გრამიტონი.

— ეკლესიაში, — თავი მოიწონა ცუტუნამ.

— მორწმუნე ხარ? — გაიკვირვა გრამიტონმა, დაეკვდა, ამდენ ხანს ეს ამბავი რატომ არ ვიცოდით.

— ხანდახან ვაწუხებ ღმერთს, როცა მიკირს.

— ღმერთებთან თუ ახლოსა ხარ, კი უნდა ახსნა, რას ნიშნავდა წუხანდელი ჩემი სიზმარი.

— მოტეხილი გქონდათ ცალი ფრთა თუ... — დაიბნა ცუტუნა.

— მოტეხილი არა, მაგრამ ვერ ავიქნეი შესანავარდებლად, ვილაც უსახურები მასხდნენ ზედ და მამძიმებდნენ.

ცუტუნა ჩაფიქრდა.

— ვერაა კარგი ამბავი, ხომ! — შეწუხდა გრამიტონი.

ლოყაზე ხელი შემოიღო ცუტუნამ, მოიღრუბლა.

— სულ არ დამეძინა, არ სჯობდა? — სავარძლიდან წამოდგა გრამიტონი, ოთახში გაიარ-გამოიარა...

— გილატებენ, ვითომ, ბიჭები? ხომ ამბობდი, მე გაგზარდეთ.

— მაგაშია საქმე, ისწავლეს ჩემგან რაღაც-რაღაცები და...

— წინა დღეებში ყველას ყველაფერს არ შეპირდი?

— შეპირებით, იცოცხლე-თქვა, მაგრამ რომ მოიფიქრონ, რაღა მაგას ვედრიტინოთ ყოველთვის, ჩვენ ჩავიგდოთ ძალაუფლება და სხვები მოვიმადლიეროთო, მაშინ?..

ცუტუნამ მეორე ხელიც შემოიღო მეორე ლოყაზე და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო.

კაბინეტის კარი მორიდებულად შემოალო კაპიტომ, იქაურობა კარგად მოათვალიერა, კედელთან აიტუზა.

— რა მოყნოსე, კაპიტო, რას მიპირებენ? — მზერა შეანათა გრამიტონმა.

— ჩემი დანახვისთანავე ჩუმდებიან ან საუბრის თემას ცვლიან, — რასაც ამბობენ, ისე მიკიბულ-მოკიბულად,



ვერ გაიგებ, — კროლა თვალები დააე-
ლაშა კაპიტომ.

— არ ივარგებდი მზვერავად, — ხე-
ლი ჩაიქნია გრამიტონმა. კაპიტოს ყუ-
რის ბიბილოები დაუწითლდა, შეიშმუ-
შნა.

— მე ვგუობდი უსაქმოსა და თვით-
მარტვეიას, თორემ მაგენი პანლურსაც არ
დაგაჯერებენ... ბორჯომი ამოიტანე?

— კი, ბატონო, — წელში მოიხარა
კაპიტომ.

— რატომ იგვიანებს ბატონი პიპი-
ნია? — იკითხა ცუცუნამ.

— მაგას მიეცა ჩემი ცოდვა, თუ ეტ-
ლით არ წამოსულიყო და არ დავეტან-
ჯეთ, — ჩაიბურღლუნა გრამიტონმა.

წერა-ბეჭდვის ორგანიზაციის ეზოს
წინ ეტლი შეჩერდა. მეეტლემ მარდად
ისკუბა და ჩამოსვლაში მიეშველა ჩოხა-
ახალუხში ჩაკარგულ პიპინია წვერავას.

პიპინიას დაპორფლილი სახე წლებს
შეეჭამა, სიყვითლე შეპარგოდა, ნიკა-
პამდე დაშვებული ჭაღარა და მიმჭენარი
ყურები მოწმობდნენ, რომ დიდი დრო
ალარ დარჩენოდა მიქელ-გაბრიელის
გამოცხადებამდე.

პიპინიამ მზრუნველად მოიკითხა ყვე-
ლა, დამალა მგზავრობამო, — დაი-
ჩივლა, გრამიტონი სადააო, — იკითხა.

— გელოდებათ, ბატონო, — ხელკა-
ვი გამოსდო სტუმარს ბაბუცამ და გრა-
მიტონის კაბინეტისაკენ წაიყოლია...

პიპინია და გრამიტონი დიდხანს იყე-
ნენ ჩაკეტილები ოთახში.

გრამიტონმა წუხანდელი სიზმარი
უამბო პიპინიას, გული კარგს არაფერს
მეუბნებო, — არ დაუმაღავს.

— წყალს ვერ დამალევენებ? — ახა-
ლუხის ღილები შეიხსნა პიპინიამ.

— წყალი კი არა, პურ-მარილი მაქვს
სახლში, მეფის საკადრისი, — თავი მო-
იწონა გრამიტონმა.

— ახლა რომ შენთან წამოვიდე, კო-
ლექტიურ წერილს დამიწერენ შენი
ამომრჩეველები, — ჩაიქირქილა პიპი-
ნიამ.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, ცალ-ცა-
ლკე შეიძლება ყველამ დაწეროს ანონი-

მური წერილი, მაგრამ ერთმანეთს არ
ენდობიან.

— სხვა დროა ახლა, გრამიტონ, სხვა
დრო!

— რამდენი წელი ვათბობ ამ სავა-
რძელს მე! — გაიყინა გრამიტონი.

— მე მეკითხები მაგას? — იუკადრი-
სა პიპინიამ.

— თუმცა, თქვენზე უკეთ ვინ იცის
ჩემი ამბავი, — გამოასწორა შეცდომა
გრამიტონმა.

— მაინც, რისი თქმა გინდოდა? —
დაინტერესდა პიპინია.

— სხვა დროაო, რომ ბრძანებ, ვიცი
ეს მე, მაგრამ სხვანიარად ვხედავ მეც
მაგ საქმეს. დრო კი არაა მთავარი, ხა-
ლხი მოვიდა ახალი სათავეში და ალ-
ლოს აღება უნდა ყველაფერს.

— ჰოდა, იცი, მერე, ახალი ცოცხი
სად მიგახვეტავს, რომელ კუთხეში?

— მაგ ცოცხმა რომ ყველა მხრიდან
მტკერი ხვეტოს, რამდენი ნაგავი დაგ-
როვდება, წარმოდგენილი გაქვს? ცოტა
ხნის შემდეგ ძველებურად ჩაყურდება
და მიჩუმათდება ყველაფერი.

— არა მგონია, — თქვა პიპინიამ და
ფანჯარაში გაიხედა.

— პატარა ქარი ფოთლებს აფარფა-
ტებს და აურ-დაურევს ერთმანეთში,
თორემ ხეს კი ვერაფერს დააკლებს.

— ხომ იცი, ქარი ხშირად გრიგალად
იქცევა, ძირფესვიანად თხრის დაუძ-
ლურებულ ხეებს.

— ჩადგება, ბატონო, სულ ხომ არ
ითარეშებს.

პიპინიამ გულის ჯიბიდან სათვალე
ამოიღო, მოხსენება ითხოვა, სავარძელ-
ში ჩაჯდა, ოთახში სიჩუმემ დაისადგუ-
რა.

— ეს მოხსენება გამწვანების ტრეს-
ტის მუშაკებთან რომ წაიკითხო ან მა-
ლაროს მუშებთან, შეიცვლება რამე? —
იკითხა ცოტა ხნის შემდეგ წარბის
აწევით.

— ჩვენი საქმე ისეთია, ბატონო პი-
პინია, ყველაფერზე შეგვიძლია მსჯე-
ლობა და ლაპარაკი.

— რა თქვენი საქმეა, თუ ძმა ხარ,

რატომ ყიდიან მიცვალებულის ნაქონ ქურკს საკომისიოში, რატომ აქვს აბანო-საბარკმახეროს შენობას ყვეთელი ფერი ან გრამფირფიტების მალაზია რად გადააქეთეს კალოშების მალაზიად, რა შექმენით და რით მიიპყარით ხალხის ყურადღება, ეს გვიანტერესებს ჩვენ, საზოგადოებას.

გრამიტონს ნერვიულობით ტუჩები აუცახცახდა, ვერაფერი თქვა, გაიბუხსა...

ოთახის კარი მეეტლემ შემოაღო.

— რა გინდა, ბარდლა! — მზრუნველი კაცის ტონით შეეხმინა პიპინია.

— ცხენებს წავაბალახებ სადმე.

— ცოტა ხნით ჩვენც მივხედოთ ჩვენს თავს, — ჩაიხრიალა გრამიტონმა და პიპინიას საბრალო მზერა მიაპყრო.

ხელმძღვანელობამ მოისურვა ბატონი პიპინიას ნახვა, ერთი საათი დაგვაგვიანდებო, — იცრუა გრამიტონმა, როცა დაექვებულ კოლეგებს მხრებგაშლილმა, დარდიმანულად ჩაუარა და, პიპინიასთან ერთად, ეტლში ჩასკუბდა.



ფერწასული კაპიტო მორჩილად იდგა ლურჯად შეღებილ კართან, მომლოდინე თვალებით შესჩერებოდა სათვალთვალო ჭუჭურუტანას, გუმანით გრძნობდა (გრძნობდა კი არა, კარს იქით ფეხის ხმაც მოესმა), რომ ვიღაც შიგნიდან უთვალთვალებდა.

კარგა ხნის შემდეგ (როცა კაპიტომ იმედი გადაწურა), ხმაურით გაიტაკაცუნა საკეტმა და ოქროსფერი ხალათში გამოხვეულმა ქალმა ღიმილით შეიპატიჟა შინ.

— ბატონი გრამიტონი მინდოდა მენახა, — ცხვირსახოცით ოფლს იმშრალეზდა კაპიტო, ქსუტუნებდა.

კაპიტოს დანახვა არ ექაშინია გრამიტონს, მაინც არ შეიმჩნია მღელვარება, სამუშაო ოთახში შეიყვანა, კარი მიხურა, რა ამბავი, ჩურჩულით ჰკითხა.

კაპიტომ თავი ჩალუნა.

— მიწყობენ ხომ, აჯანყებას, ოჰ, მათი!.. — ბოლმა ვერ დაიტია გრამიტონმა, ტუჩები ხელით მოწმინდა.

— ბაბუცაც თვალს გვიხვევდა თურმე.

— რა უნდა მაგ შეღებილ გომბეშოს...

— უნდა გადავხალისდეთო.

— შეაყარე კედელს ცერცვი... თუმცა, კედელს კი არა, ბაბუცას... — ზურგზე ხელები დაიწყო გრამიტონმა. ოთახში გაიარ-გამოიარა.

— კოლია რომ კოლიაა, ისიც ჭოკმანობს და მერყეობს.

— მონატრა წარსულის გამომზეურება? — დაიღმიჭა გრამიტონი.

— ბაიყუშვით კი დგას, მაგრამ...

— რომ კვდებოდა, მიაკითხა ვინმემ, ჭიქით წყალი მიაწოდა?

— ასე თუ წავიდა საქმე, ბეწვზე ჰკიღია თქვენი ბედი, — შეშფოთება ვერ დამალა კაპიტომ.

— ბეწვი გამიძლებს ამხელა კაცს? — უარესად დაიბოლმა გრამიტონი.

ოთახში პიპინიამ შემოიხედა, უსიტყვოდ ც მიხვდა, რაშიც იყო საქმე. კაპიტო კედელს აკვროდა მხრებით, ბეჭებში მოხრილიყო, დაჩაივებულებო.

ტელეფონის ზარმა შეაკრთო გრამიტონი, ელდანაკრავივით შეხტა, შიშით აილო ყურმილი და ჩახრინწული ხმით შეეპასუხა ვილაცას. კარგა ხანს იგერიებდა მოსაუბრეს „ჰო“ და „არაი“, მერე ყურმილი ხელის კანკალით დაღო და სავარძელში ჩაესვენა.

— შეგიწირავს ეს არჩევნები შენ და ჩვენც გადაგვიყოლებ — ოთახში ქაქანით შემოვარდა გრამიტონის მეუღლე, აშკარად ეტყობოდა, მოესმინა გრამიტონის საუბარი.

— ვის უნდა ჩემი დაწიხვლა და გადაყენება, ვინ თაობს ამ საქმეს, ის მაინც ვიცოდე, — ბროლის ჰულს შეაშტერდა გრამიტონი.

კაპიტომ ორი კაცი დაასახელა.

თეიმურაზ ლანჩავა
მბრძველი მიწისთვის

— ორივეს უნდა პირველობა თუ მაგნიც ერთმანეთს ატყუილებენ? — პიჭაკი შეისწორა პიპინიამ, სათვალე გაიკეთა.

— რა ვიცი, შენ ვაიგებ? — უიმედოდ ჩაიქნია ხელი კაპიტომ.

პიპინია სკამიდან წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, კედელზე მიმაგრებულ გრამიტონის მამის სურათთან შეჩერდა, ხაკისფერ კიტელში გამოკრულ კაცის ბრტყელ სახეს დიდხანს უყურა, მერე მკვირცხლად შემოტრიალდა და ხმამაღლა იკითხა: — ბატონი პლატონი თავისი სიკვდილით მოკვდა?

ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეაჩერდა, კაპიტო — სურათს. პიპინიამ შეკითხვა ისევ გაიმეორა.

— მოკლეს! — თქვა ნირწამხდარმა გრამიტონმა და სურათს სევდანარევი მზერა შეავლო.

— მტრებმა? — დაინტერესდა პიპინია.

— აბა, მოყვარე იზამდა მაგას?

— სად იბრძოდა.

— არსად, მეზობელმა ბრიგა ტყვია

შუბლში, — ამოიკვნესა გრამიტონის მეუღლემ.

— ესაა საქმე, მტკაველი მიწისთვის... მიწა ჰვამს ახლა ორივეს, — ამოიღმუილა გრამიტონმა.

— ზოგჯერ დათმობაა ყველაზე დიდი ნიჭი, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა პიპინიამ და საათს დახედა.

●
არჩევნები არ შედგა.

გრამიტონს კენჭისყრამდე გაუსკდა გული.

ყიამეთის საქალაქო გაზეთი დამწუხრებული აცნობებდა მოსახლეობას გრამიტონის უცაბედ სიკვდილს, ნეკროლოგში ვრცლად იყო მოხსენიებული მისი ღვაწლი და ამაგი.

დაკრძალვის დღეს „მკვლელები“ საპატიო ყარაულში იდგნენ. ცალი თვალით მიცვალებულს უთვალთვალდნენ, მეორეთი ერთმანეთს!

ორიოდე დღეში არჩევნები უნდა განახლებულიყო.

ჩამხედვე გულში და სთქვი მართალი

106

ადამიანებს სალამი ჩემი,
ადამიანი რა კარგი არის.
ადამიანად ვიდრემდე ვრჩებით,
უსუსურია ყველა გრიგალი.

არ დამაცალე, ძმაო, სათქმელი
არ დამაცალე სიტყვა ბოლომდი.
ჩამხედვე გულში და სთქვი მართალი
და გზიდან გადგა სული ბოროტი.

შენ კი, რა იღბლად შემომხვედი გზაზე,
ფიქრებგანფენილს რილო-ჭრილოდგ.
დამაჯილოდვე ჩუმი ღიმილით,
მერე და იცი? როგორ მჭიროდა...

ადამიანებს მადლობა ჩემი!
ადამიანი რა კარგი არის...
ადამიანად ვიდრემდის ვრჩებით,
ამაოდ წვალობს ყველა გრიგალი.

გაზაფხული

მთელი სიცოცხლე დამჭირდა
ან ერთი ელვის ნაკვესი;
რომ მეთქვა, ზურაბი ვარ და
შენ კიდევ „ულამაზესი“.

მოსვლა რამ დამიგვიანა!..
რა მინახია, რა ვბოვე.
ხმას ვერსით ვერ გაგონებდი,
მოვდიოდი და ვერ მოველ.

მოვედი, როგორაც იქნა,
ლაწვზე სიფითრე გადმივლის.
ღღის გემო გამიწუთხდებო
წუთისოფლისა მარილით.

შენ არ შეშინდე ოლონდაც,
წავალ, შორეთში ვიმალო.
წავიყვან მარტო შენს ლანდსა,
რომ თვალი ამოვილამო.

ანარქისტ მარლამ ჩერქეზიშვილის ლეგენდა...

ჩერქეზიშვილი ლონდონში ცხოვრობდა, სი-
კვდილის წინ ქართული გაახსენდა, სხვა ენები
დაავიწყდა...

ყოჩად, ქართულო, გიყოჩაღია!
გადიქციე ლამაზ ლეგენდად.
რის გამო სხივი გადგას ჭალითა
გზად სიყვარული შემოგაქედლა.

არ ესმის ცოლ-შვილს შენი ქართული,
გაოცებულან, გაოგნებულან.

ქახური ლერწით გადაჯაჭვული, —
მშობლიური ხმა ყოვლით ქებულა.

თვალებს გედება ცეცხლი ჩვეული,
ცა გაასისხლა ელვების წერამ.
ენების ზღვაში შეცურებული
გამოგიტაცა ქართულმა ენამ.

ხსოვნა

ეს დედამიწა
ხშირად იცვლის ადამიანებს,
ისე როგორც ჩვენ
ტანისამოსს
და მივგრიალებთ,
შემომივიდა გულზე უცებ,
გნახე, როდესაც.
შენი, ის შენი სილამაზე
რა ჟინს მოეცვა.
არ ვიცი ელდა დავმაღე თუ
ვეღარ დავმაღე;

იჭვრიტებოდა შენს ბინაში
ღია სამარე,
ვერც განშორება მიშველიდა,
ვერც გაჩერება,
მარტო თვალბში
ნალვლად გენტო ძველი მშვენება...
ცვდილობდი მაინც
მიუწვდომელ
უმძაფრეს კოცნას,
ან უფრო სწორად
ჩაფხვეოდი საკუთარ ხსოვნას.

ციკლიდან: — „ნიბლიეპი“

შენ

თქვი: „სამღურავი უფალთან რა მაქვს!“ —
 ის ხომ არავის უკარგავს ამავს!..
 შენ — მარტოოდენ სიცოცხლე გშხამავს,
 სიცოცხლე თავის ჭკუაზე გარბის,
 ჟამიც თავისთვის აქლერებს ბარბითს...
 ხანდახან წარბი დაგიწყებებს თამაშს, —
 რალაცას ნიშნავს თამაში წარბის!..

სიკვდილი ერთხელ დაადებს ხახას
 და — ქვეყანაზე აღარ ხარ, აღარ,
 ხოლო სიცოცხლე ყოველდღე გადაღვს,
 სიცოცხლე თავის ჭკუაზე მირბის... —
 შენ არ დაიდგამ დროებით გვირგვინს...
 შენ ყველა ძარღვით მიბმიხარ ქალაღს,
 ქალაღდი გზაა სისხლიან ფიქრის...

ლექსი

აკრძალულ ხილის გემოს
 ჰგავს ლექსის წერა, ჩემო!
 რაც უნდა ის ქნან ზემოთ!..
 მე რომ არ ვწერდე ლექსებს, —
 ქინქლა შემისვამს ფრთებზე...
 მე საკუთარი მზე მაქვს,
 მელნისფერია ეგ მზე...

მე ვენაცვალე იმ ხეს —
 ჩემი გულ-გვამის მიმღებს!..
 სულსაც ხომ უნდა სიმხნე,
 მაგრამ ვინ გეტყვის მართალს?! —
 ზეციურ ქვეყნის კართან
 მადლად რა უნდა მიმყვეს
 მელნის სურნელის გარდა!

გაზაფხული

ქვეყანა ისე ხარობს და ჰყვავის —
 უნდა გიყვარდეს სხვადა და თავიც!
 დგანან ხეები ყვავილთა ზვავით...
 აბრიღს იმდენი ყვავილი ახლავს —
 უსახლო, ყვავიღს გაიხდის სახლად.
 საყვარელია ახლა თვით ყვავიც,
 ისე კარგია ქვეყანა ახლა.

სასაფლაოზე ლოდებსაც ღვიძავთ, —
 თითქოსდა მკვდრებმა დატოვეს მიწა,
 და ისიც, ვისაც გული აქვს ქვისა —
 დაღის და თავის სანუკვარს ეძებს...
 ხარობს და ჰყვავის ქვეყანა მზეზე.
 რა ცოდვა არის ის კაცი, ვისაც
 არ უხარია ყოველი ესე!

მომელანდებია წარსულის სახე
და მაშინათვე ფანჯარას ვაღებ,
რათა ოთახი არ მექცეს მახედ...
ფანჯარა გზაა... როდესაც მიჭირს,
როდესაც გულში ვიგუბებ ყიჟინს,
როდესაც მიხმობს სამოთხის ბალი,
როდესაც თავი მგონია გიჟი...

მეც მომიგონებს როდესმე ვინმე
და შემადარებს გადამფრენ ფრინველს.
მაგრამ წასული ვიქნები შინ მე... —
იქ არ მექნება სურვილი წასვლის, —
ტანჯული სული ცას რაში გაცვლის?!
მე ერთხელ შევცდი: ბავშვურმა ყინმა
მანახა მიწა — შავეთის ასლი...

მავშალია

მაისი. ღამე. ვარდების ჩქამი.
მაფშალიების ლოცვების ჟამი! —
მღერს მავშალია (მე ვამბობ: ამინ!) —
ტანჯულ ქვეყანას ჰანგებით ლოცავს,
რომ შთააგონოს სიკეთე ბრბოსა...
და როგორ უნდა იძინო ღამით,
ობოლი ჩიტი ლოცულობს როცა! —

ის იტანს ობლის ცხოვრებას უნდოლს
(უმძიმესია ობლობის ხუნდი),
მისთვის უცხოა დასი და გუნდი...
მე ახლა ვყვები ძველისძველ ამბავს:
სამყაროს ბრბოთა სიმღერა ჟანგავს...
სამყაროს ჰანგმა უშველოს უნდა,
ობლად მლოცველი პოეტის ჰანგმა!

ციკლიდან: — „გაბუთული მუზა“

სიტყვა

ვხედავ, ცეკვავს სხივი ნამზე,
მაგრამ ჩემს გულს დარდი ძიძგნის, —
მე ისეთი სიტყვის თქმა მსურს,
რომ სამყაროს მისცეს ბიძგი,
ის სიტყვა კი ამოთქმისას
იყინება მუდამ გზაზე...
ნუთუ ქვეყნად ამისთვის ვარ —
გამაწამოს სიტყვამ ასე!

სიტყვის უთქმელობა დღემდე
გულზე ცრემლის ღვარად დამდის,
უმძიმესი ჟამი ჩემთვის
იყო ენის ამოდგამდის:

მე კი სიტყვა მაინც მიყვარს
ცაზე უფრო, მზეზე უფრო,
რომ არ სიტყვა სულდგმულ თიხას
რითი უნდა ვესაუბრო!..
მგონი ვიცი სიტყვის ფასი —
სიტყვის ნაცვალს ვნახავ ვერსად,
გალმა ქვეყანაში წასულს
ხელით როგორ ვეაღერსო!

როგორ მსურდა მეთქვა „ღედა“,
რალაც მეთქვა ცაზე, მზეზე! —
ჩემთვის ყველა დროზე მეტად
ის დრო იყო უმძიმესი.
ამოვიდგი ენა ბავშვმა
და შევცვალე სიტყვით კენესა...
მაგრამ რის თქმაც მსურდა მაშინ
იგი თქმული არ მაქვს დღესაც.

ხოლო სიტყვა ყველგან მიდის
სინათლეზე უფრო სწრაფად,
არ ჭირდება გზა და ხიდი,
ვერც ვერავინ უგებს ხაფანგს.

დღესაც დავალ დარდით სახვე,
მისი ვერთქმა დღესაც მძიძგნის,
მე ისეთი სიტყვის თქმა მსურს,
რომ სამყაროს მისცეს ბიძგი,
ის სიტყვა კი ამოთქმისას
იყინება მუდამ გზაზე...
ნუთუ ქვეყნად ამისთვის ვარ —
გამაწამოს სიტყვამ ასე!

მეც

დედოფ! — რას არ წარმოიდგენს ხანდახან კაცი! —
ვიღვიძებ, და ჯერ დილა ფანჯრის გუბეში ცურავს,
მერე ყურს მოვკრავ დედაჩემის ფუსფუსს და ფაცურს,
მერე რატომღაც ფიქრში ვხედავ ამნაირ სურათს:

ვარ ჩემი ოდის აივანზედა ცრემლებს ვაფრქვევ,
ფართოდ ღიაა კიშკარიცა და ოდის კარიც,
დაფარულია რაღაც ხაში ქსოვილით სარკე,
შუა ოთახში დედაჩემი წევს ტახტზე მკვდარი.

ტახტს მოსხდომია რამდენიმე ნაცნობი ქალი,
გარეთ კაცები ღობის გასწვრივ აგებენ სეფს...
მე ვტირი იქ და ცრემლი აქაც მისველებს ბალიშს,
თუმცა ვიცი, რომ ყველაფერი იქ — ფიქრში ხდება.

აქ — საძინებელ ოთახიდან დედაჩემს ვხედავ. —
ზის ლოჯიაში და უკუბრუნებებს მტვერსაწმენდ ჯაგრისს.
რა კარგი არი, რომ რას ვფიქრობ, არ იცის დედამ,
თორემ დღეს ჩემი სიბრაღულით რამდენ ცრემლს დაღვრის!

მე მიპირს, მაგრამ...

მე მიპირს, მაგრამ ყოფნაზე ვფიქრობ.	წვიმს შენს საფლავში და შენ
შენ კი გაყრია ცივი ბელტები!	გასველებს.
მე როცა ვტირი, შენ მაშინ იქნებ	
ჩემი ცრემლების წვიმით სველდები!	მე როცა ვტირი, იქნება წვიმს იქ —
	იმ ქვეყანაში და უღვთოდ გაწვიმს! —
ჩემი წვა იქნებ შენს კუბოს კვარტლავს	თვალში რომ ცრემლი დამიწყებს
და შენს სახესაც კვარტლავს ასევე!	ციმციმს,
მე როცა ვტირი, იქნება მართლა	ამაზეც უნდა ვიფიქრო აწი!

დიდი წყურვილი

მე აღარა ვარ საჭირო შენთვის,
შენ კი მპირდები, ისე მპირდები,
როგორც გემს ღუზა, როგორც ჭურვს
დენთი,
ტივს — ორთაყვირი და ხეს —
კვირტები.

წარმოიდგინე: უღუზოდ — გემი!
წარმოიდგინე: უდენთოდ — ჭურვი
და ასე შემდეგ!.. — ცხოვრება ჩემი
როდის მოიკლავს ამხელა წყურვილს?!

ისეთივეა ეზო,
როგორც იყო ოცდაათი წლის უკან,
აქ არაფერი არ შეცვლილა:
იგივე — სახლი,
იგივე — ლოზე,
იგივე — ჭა და ჭიშკარი,

ხეებიც ისეთივეა,
როგორც მახსოვს ოცდაათი წლის უკან,
მხოლოდ ერთისთვის
სწორედ ის ტოტი ჩამოუჭრიათ,
რომელზეც დედამ საქანელა
ჩამომიკიდა...

ქალაქის მინდორი

ტარიელ ჭანტურია

...და ხნავს კალამი ცრემლებით სარწყავ
ქალაქის მინდორს და ლექსის
მარცვალს
ფარავს და ფარავს მეღნისფერ ხნულით
და მერე უხეშ ბელტებსაც ფარცხავს.

აქვეა ეშმაკ — მტარვალი ლექსის, —
სადაც წავედი, ყოველგან ეგ ზის,
მაგრამ მე მაინც არ დავხევე, არა,
ჩემს ანგელოზთან დადებულ ვექსილს!

ძმური

გიგი სულაკაური

მე შენთვის არ ვარ ვინმე ტიმოთე,
რატომ და — ბათუ რომ ვარ იმიტომ!
მე შენთვის სულსაც კი გავიმეტებ,
შენ შეგიძლია ცაც გაიმეტო.

შენ შეგიძლია მაჩუქო დილა,
ლურჯი თოვლი და სხივის ჭრიჭინა,
შენ შეგიძლია მაჩუქო ტყვილი —
რომ მე ძალიან კარგი ბიჭი ვარ, —

მე შემიძლია — ეს დაგიჯერო,
რადგან შენ გული სიკეთით გიცემს,
მე შემიძლია, მოაჯირივით
გაგყვე ჰაერის ლენისფერ ხიდზე.

ასე პირში თქმით ბევრთან დავიწვი
და ახლა შენაც არ გერიდები.
რად დავიჭიროთ, როცა თავისით
მოფრინდებიან ოქროს ჩიტები!

ხანდახან შევლის გულს ატკიება,
დაე, გულს ზოგჯერ ცეცხლიც მოედოს!
ის, რაც სავარძლებს ეპატიებათ,
არ ეპატიოთ უნდა პოეტებს.

ქეშმარიტება არის მარტივი,
მით უფრო, თუა უძველეს ხანის:
რასაც მე მოძმეს არ ვაპატიებ,
არ მაპატიოს ათმაგად მან ის!

რატომ პოვს პონაღირაჲ შველი?!

„ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედაჩემს ველარა ვხედავ. ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!“
„შვლის ნუკრის ნამახობი“.

მოთხრობა

...ზღვა რომ ნახა პირველად, შვიდი წლის თუ იქნებოდა. ბარში, თავის ცოლის ძმებთან ჩაიყვანა იგი მამამ.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მარტო დაიგულა თავი, დაჰკრა ფეხი და... ზღვისკენ მიმავალ თემშარას დაადგა. აქამდე ზღვა ნახატებში ჰქონდა მხოლოდ ნანახი. ახლა მისკენ ეწეოდა გაუცნობიერებელი, ქვეშეცნეული ლტოლვა. გამალებული მიაბიჯებდა გზაზე, დაუზარებლად კეცავდა მანძილს, ერთი სული ჰქონდა, სანამ მიაღწევდა იმ სანუკვარ ადგილს.

მერე ოფლში გახვითქული, აქოშინებული იდგა და... თვალი ვერ მოეწყვიტა ამ საოცრებისთვის, სიზმრებსა და ზმანებებში რომ ელანდებოდა ხოლმე ხშირად. აი, თურმე როგორია ზღვა!..

განძრევას ვერ ბედავდა იმის შიშით, ვითუ ეს ჩვენება სიზმარივით გაქრეს და აღარ განმეორდესო.

ზღვაური ალერსიანად ელამუნებოდა სახეზე, თმაში ეხლართებოდა, კულულებს უწეწავდა, ეციგლიგებოდა, ეჩურჩულებოდა თითქოს რალაცას ტკბილად, საამო ხმით.

ირგვლივ კი — ძე-ხორციელი არ ჰაჰანებდა. მხოლოდ იქ, სადაც ცის კიდე უერთდებოდა ზღვისას, რალაც საგანი ტივტივებდა თეთრად. გემი თუ იყო!

რამდენ ხანს იდგა ასე დარეტიანებული, სულთქმაშეკრული, არ ახსოვს. მერე ხტუნვა და სირბილი მოუნდა რატომღაც.

დარბოდა ნაპირზე აქეთ-იქით უცნაური კიჟინით და ძალუმად ახმაურებული მისი პატარა სხეულის ყოველი

ძარღვი, სისხლის თითოეული უჯრედი აქამდე არსმენილს, თვით მისთვისაც უცხო და გაუგებარ ბგერებს გამოსცემდა თითქოს.

მერე იჯდა ქვიშაზე ფეხმორთხმით და კენჭებს ზღვაში ისროდა. კარგა ხანს ირთობდა ასე თავს. შემდეგ აუჩქარებლად, დინჯად გაიძრო ფეხსაცმელი, შარვალი მუხლებამდე აიკაპიწა და თეთრმაქმანიან პაწია ტალღების კვალს მიჰყვა ნაპირის გასწვრივ.

...ხუჭუჭა ტალღები ისე ნაზად ელაციციებიან კანჭებზე, თითქოს არ უნდათ დააფრთხონო ჯერაც ზღვას შეუჩვეველი პატარა ბიჭუნა. მერე, თანდათან, რაც დრო გადის, სულ არ ეჩვენება ტალღები საშიშრად. პირიქით, ისე შინაურულად, ისე ახლობლად გრძნობს უკვე თავს მათთან, ისე საყვარლები არიან, ისე მოსაფერებელნი, რომ... უცებ წამოუარა სურვილმა, თავადაც შემოსკუპდეს ზვირთებზე და ა, იმ ფრინველივით, იჭყუშპალაოს და ინებივროს ტალღებში.

ახლა ტანსაცმელიც გაიხადა და ტრუსის ამარა დარჩენილმა, წყალში უფრო ღრმად შედგა ფეხი. როგორც კი მუხლებამდე უწია ტალღამ, წამიერად შეკრთა. შეჩერდა. მერე სძლია შიშის გრძნობას, ანაზდად რომ დაეუფლა. რალაც დაუოკებელი ძალა ხელს უბიძგებდა და... აი, ერთბაშად ჩაყვინთა კიდეც წყალში თვალდახუჭულმა.

თავი რომ ამოჰყო, ერთი ღონივრად, შვებით ამოისუნთქა და შემდეგ კმაყოფილი იერით მიმოიხედა გარშემო.

ოჰ, რა ნეტარება მოჰგვარა წამით: ამ რბილ, თბილ ტალღებთან ჩახუტე-

ბამ. თითქოს წამიერად მთელი სხეულით შეერწყა და შეენივთა მათ, თითქოს ამ თავქოჩორა ზვირთების ერთ პაწაწა, ქინცა, მაგრამ განუყოფელ ნაწილაკად იქცა.

მართალია, ბუნდოვანი, ქვეცნობიერი იყო ეს განცდა, მაგრამ სამუდამოდ დაახსომდა იგი.

მერე... ჰიაფერმა მნათობმა ნელ-ნელა იწყო ჩაძირვა ლურჯ დასალიერში.

მზე დასაძინებლად მიბრძანდებოა, გაიფიქრა და მოულოდნელად, სულიმწარედ მოუნდა, გაკიდებოდა ამ უზარმაზარ დისკოს და უკანვე დაებრუნებინა.

„მორთია ჩხანია, თოლფე ობარჩხანია...“ მაგრამ ძოწისფრად მოლაპლაპე მნათობს აღარ ესმოდა ცისკენ ხელებგაწვდილი პატარა ბიჭის ვედრება და გოგმანით მირონიწებდა დასავანებლად.

ეახ! ნეტავ შეეძლოს ჩამოხსნას ორივე ხელით ეს ვეება ბურთი და ამ ცისფრად აბიზინებულ უერცეს მდელიოზე გააგორ-გამოაგოროს!.. ოჰ, რას გაიხარებდა, როგორ იჯერებდა გულს სირბილითა და ბტუნება-თამაშით!

უცაბედად დამდგარმა ბინდმა ანაზდეულად მოაგონა, სახლიდან გამოპარული რომ იყო. უცაბედადვე შეეპარა შიში, ამ უსასრულო სიმრუმის წინაშე მარტოკა რომ აღმოჩნდა.

გულამოვარდნილი გარბოდა შარავზაზე და ბინდიც თითქოს ფეხდაფეხ მოსდევდა. შიშს ახლა დანაშაულის გრძობაც შერთვოდა და გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. გარბოდა დამდულრულივით, თავქუდმოგლეჯილი, და შიშატანილს ერთადერთი ნუგეშიდა შერჩენოდა: გუმანით იცოდა, ეს გზა სხვაგან არსად უხვევდა და იგი, როცა იქნებოდა, პირდაპირ მიიყვანდა ბიძების სახლამდე, ზედ გზის პირს რომ იდგა.

მხოლოდ მაშინ შეჩერდა, ელექტრონის შუქით გაბრღვიალებულ ეზო-ყურეში თავმოყრილი ხალხი რომ დაინახა. თმაგაშლილი, სახედაკაწრული ბიციოლები ხმამაღლა, მოთქმით ტიროდნენ. მისი ფიქრი მყისვე დედას მიწვდა

რატომღაც, თითქოს მახვილი გაუტარო სო გულში, სუნთქვა შეუგუბდა, ლები ერთბაშად მოეკვეთა და განწირული ბღავალი ამოუშვა: დედააა!

— არიქა, ხალხნო, აგერ ყოფილა ბღანა, ცოცხალია! საღ-სალამათი! — იხუჯლეს ყოველი: მხრიდან და რამდენიმე ხელმა უმალვე ზევით აიტაცა თითქმის გონწასული ბავშვი.

მერე იყო ღამე მალამოსა და მაწონის ცხება ზურგზე, მთელ ტანზე; უფროსების ფაციფუცი, დავილუბეთ, ვაითუ მზემ დაჰკრა პატარას და დაისიცხაო.

აუტანლად სტკიოდა მარტო ბექები და ზურგი კი არა — მთელი ტანი, თითქოს სტეხდა და უხურდა სხეული, მისი ყოველი ნაწილი. ეს ტანჯვა-წვალეება იყო იმ სიამოვნების საზღაური, ზღვის სიახლოვემ რომ მოჰგვარა.

დიდების გასაოცრად, ვაჟაკურად ითმენდა ტკივილებს და ერთხელაც რაა, ერთხელ არ დაუკვნესია.

მერე, დიდი ხნის მერეც იმღამინდელი სიმწარე კი არა, მხოლოდ ზღვის ხილვით გამოწვეული უზომო ბედნიერების შეგრძნებულა შემორჩა მეხსიერებას.



...გამოცდა თუ არა შუქას, ფეხს აუჩქარა. მარჯვედ ახტებოდა ნაწვიმარი წყლით სავსე გუბურებსა და მიყრილ-მოყრილ ქვის ხორგებს.

ეუჰ! რა ბათქა-ბუთქი იყო წუხელის კინოში და... რა გიჟურად დააქროლებდნენ ცხენებს! მერედა, რა ცხენები იყვნენ! საღა იბოვი ჩვენში ახლა ასეთ ბედაურებს, სანთლითაც რომ ეძებო! ძველად კი, იცოცხლე, ცხენები ჰყოლიათ იმგვარი, უკეთესს ვერ ინატრებდი თურმე!

ვეება ლოდზე შეისვენა წამით. ფიქრით ტელევიზორში ნანახ კინო-სურათს დასტრიალებდა ისევ.

რამდენი სისხლი დაიღვარა, და რამდენი კაცი დაიღუპა!..

გამოდის რომ, უამიარალოდ, ამ ხოცვა-ჟლეტის გარეშე სიკეთე და სამართლიანობა უძღურია? კი მაგრამ... ძალადობას ხომ მაინც ძალადობა ჰქვია, თუნდაც სიმართლის სახელით იყოს იგი ჩადენილი?

მერედა, რა მონდომებით, რა გულმოდგინედ უგებდნენ ადამიანები ერთმანეთს სასიკვდილო მახეს — თითქოს გარეულ ნადირს იტყუებენო რაგვში! ყვითლად გადაბარდღვიალებულ იელიან ფერდობს შეუყვა.

აღმართი აათავა თუ არა, შედგა. დონჩი შემოიყარა და ირგვლივ მიმოავლო მზერა. მონაციფერო-მოშავო ღრუბლები უშველებელი ხომალდებივით ნელ-ნელა მიცურავდნენ კავკასიონისაკენ და მწვერვალთა ზეთავებს ეგრაგნებოდნენ. ნაწვიმარზე ჰაერი გამჟვირვალე და სურნელოვანი იყო. მცენარეთა ხასხასა სიმწვანე და ცის სილურჯე, ერთმანეთში განზავებული, მზერას ატკბოდა და გულს საამოდ ესალბუნებოდა.

სულ ახლოს ანდაზად შაშვის ჭახჭახი გაისმა. უყვარს შაშვის გალობა. წლეულს, დიდთოვლობას თითქმის მთელი სოფელი თოფმომარჯვებული, შაშვებს და ჩხართვებს დასდევდა. ეგონა, ისე გაავლეს მუსრი, ერთიც აღარ გადარჩა ცოცხალი.

შაშვმა რატომღაც მალევე შეწყვიტა სტენა-გალობა. წამიც და ჭახ-ჭახით გადაუფრინა იელისა და შქერის ბუჩქებს.

— ხელები მაღლა!

შქერის ბუჩქებიდან თოფიანი ბიჭუნა ამოხტა და წინ დაუდგა.

გაეცინა თავისსავე უნებურ შეკრთობაზე.

— ალ გაინძლე, თოლემ გესვლი! — მრისხანედ დაუყვირა პატარამ და ყოველშემთხვევისთვის, თავად ცოტათი უკან დაიწია, თან სახელოს სწრაფად გაუსვ-გამოუსვა გაბუშტული ცხვირი. პუტკუნა, დაბარწული ლოყები უფრო გამოებერა.

გულხელი დაიკრიფა და თავი დახა-რია. აი, გემერჩილებო, ანიშნა უსტყუვოდ.

— ხელები მაღლა! — არ დაუჭერა „თავდამსხმელმა“ და კვლავ მიუშვირა თოფი. თავი დაუქნია, ყაბულსა ვარო, ხელები შემართა ღიმორეულმა და ყურადღებით მიაჩერდა ბიჭუნას კოპებშეკრულ, დაძაბულ სახეს. შუბლი და საულვაშე ოფლს დეცვარა.

— დლახ, დლახ, დლახ! — „სროლა“ ატეხა ერთბაშად პატარამ.

— რას შვრები, კაცო? ხელებაწეულს მესვრი?

— დლახ, დლახ, დლახ! სულ ერთია. მტელი ხალ და უნდა მოგკლა. დლახ, დლახ, დლახ! გაგოლდი მიწაზე, ჩქალა, ჩქალა მოკვდი, შენ გეუბნებიან!

— მაჩვენე მაგ თოფი! — შუბლი შეიკმუნხა, ბიჭუნასკენ წაიწია.

— ეს თოფი ალ აღის — ავტომატი! — იწყინა ბიჭუნამ და კვლავ დაიხია უკან უნდობელი იერით.

— ავტომატი იყოს. მაჩვენე! პატარამ უხალისოდ მოიხსნა „იარალი“ და, არ წამართვასო, დაუფარავი შიშით და ექვით გაუწოდა.

მცირე ხანს უხმოდ სინჯავდა სათამაშოს, ერთობ ოსტატურად რომ მიემსგავსებინათ ნამდვილისთვის. ტყვიებიც არ დაეიწყებოდათ!

— ვინ მოგცა? — მამამ მიყიდა! — თავმომწონედ განაცხადა ბიჭუნამ, როცა უკან დაბრუნებული იარალი ცხვირის ქშუტუნით კვლავ კისერზე ჩამოიკიდა.

— მერე... უიარალოს არ უნდა ესროლო, არ გითხრა მამაშენმა?

ბიჭუნამ თვალები აახამხამა. ვერაფერი გაიგო.

ჩაეცინა. მერე აფრიანი ქული ცხვირამდე ჩამოუფხატა, მარტო ნუ დატანტალობ ამ ფერდობებზეო, დაარიგა დიდურად და გზა განაგრძო.

„...— ძალიან გთხოვ, ბენო, აწი არ მოუტანო არასდროს თოფი ბაღანას. სხვა სათამაშოები უყიდე, შენ კაცო. ისედაც იმდენ ხოცვა-ჟლეტას და სი-

სხლის ღვრას უყურებენ ბავშვები ტელევიზორში... შენი ჭირიმე, ძალიან, ძალიან გთხოვ!

— შენ ამ ბიჭს სულ გამიფიქუბ, ლილი. ქალაჩუნა გაიზრდება, დედალმაში! გოგო ხომ არაა, ქალო, ბიჭია, ბოლსდაბოლოს. იმ საღამოსი არ იყოს, ვერაფრით რომ ვერ დავაწყნარეთ, რატომ მოკლა მონადირემ შველი და რატომ მოკლაო, კინალამ გული გაუსკდა ტირილით. ბიჭი — ბიჭი უნდა იყოს. მამაკაცად, ვაჟკაცად გაიზარდოს უნდა!“

დედა!

დაიხარა. ველის ცისფერი ყვავილი მოწყვიტა. ხელში შეატრიალა წამით ნაღველნარევი, ჩუმი ღიმილით. როგორ უყვარდა ყვავილები და როგორ უხაროდა ხოლმე, ახლად დაკრეფილი იაიებს რომ მიართმევდა გაზაფხულზე.

ამ პაწია, ნაზ ყვავილს, არ იცის, რა ჰქვია, მაგრამ გულში დედისთვალა შეარქვა.

დედის თვალებმა შემოანათეს ანაზღად მის სულში:

„...ქაფქაფა რძით სავსე ჭიქა დაუდგა წინ და კარაქზე თაფლწასმული ბურის ნაჭერი ახლოს მიუწია.

— დაჯექი, შვილო. ზეზეურად ნუ გიყვარს ხოლმე ჰამა. ადრეა ჯერ. მოასწრებ. კარგად დანაყრდი, დედა შემოგველოს!.. — იუჟია წამით: — წუხელის ისეთი სიზმარი ვნახე... ეგება... — ისევ გაჩუმდა.

დედის ფერმკრთალი სახე ჩვეულებრივზე უფრო გაცრეცილი და მოწყენილი ეჩვენა. თუმცა კი უღიმოდა თავისებური, თბილი ღიმილით, მის იაიისფერ თვალებში იღუმალი სევდა ჩაგუბებულყო.

გული შეეკუმშა, უნებლიეთ შეეშინდა რაღაცის, ენით უთქმელის, საშინელის, რომლის გაფიქრებაც კი ზარავდა.

— კიდევ რამდენ ხანს უნდა დარჩეო შინ?.. რას ამბობენ ექიმები, დედა? — გაუბედავი ხმით შეეკითხა და შიშამდგარი თვალები შეანათა.

— ვნახოთ, შვილო... ჯერჯერობით

სამსახურში ვერ გავალ ალბათ, თუ მცა... ახლა უკეთა ვარ. — ერთბაშად თავზე მოეფერა, აკოცა: — აბა, ახლა გაიქეცი. მართლა, არ დაგაგვიანდეს. ვაჟკეთილები ხომ ყველა მომზადებული გაქვს, შვილო?.. აბა, შენ იცი.“

შურანგის ლილილოში ჩაიბნია ველის ყვავილი. დედის ხელშენავლები პერანგის სითბო შეიგრძნო თითქოს მთელ სხეულში. დედის მიერ ნაყიდ ამ პერანგს იშვიათად იცვამდა, მაგრამ დღეს...

„— არაფერი უთხრა ბლანას, ძალიან გთხოვ... ოდნავ მაინც თუ გაქვს ჩემი ხათრის... ბოლოსდაბოლოს რა მოხდება, ხომ არ გაუხდია, კაცო, ჩააცვა!..“

— შენ კიდევ ხუმრობის ხასიათზე ხარ, ქალო?.. აფერუმ შენ!.. ახალი კურტიკა... ადვილად იშოვი თუ რა, თავის ფასში... ვიღაცას... ვინ არის...

ფრანგების ნაწყვეტები ესმის დედამისის საძილე ოთახიდან თავის საწოლში გასუსულს.

— კაი ახლა, ნუ გადაირევი, ბენო, თუნღმერთი გწამს. შეეცოდა ბავშვი. ამ სიცივეში დახეული ჯემპრით დადის თურმე...

— მერედა, მე უნდა ვარჩინო მაგ ვირიშვილი ჩაჩხალიას ცოლ-შვილი? თვითონ რუსეთში დაწინწალებს ოჯახშიტოვებულს!

— კაი, ახლა, ნუ ატებ ვაი-უშველებელს, ბენო, ხვალე გათენდება და მერე...

— ხვალ რო გათენდება, ორივე ყურს ავახლენ მაგ მამაძალს, რომ ჰკუთნა ისწავლოს შემდეგში. მარა... მეტი არაა ჩემი მტერი... მაგან ჰკუთნა არ ისწავლოს.

— კაი, ბენო...

— ფული კი არ მენანება, ქალო, გაიგე!.. ასეთი ბლაცვი და შტერი რომ იზრდება, ეს მიკლავს გულს.

— ნურას უკაცრავად, ჩემი შვილი ბლაცვი და შტერი არ გახლავთ!

— ა, ელაპარაკე ახლა ამას!.. თუმცა რა გასაკვირია?.. რაც დედაა — ისაა შვილიც!.. შენ არ გაუტანე, ქალბატონო, ახალი კაბა ვიღაც მათხოვარს? მარა

წყლის ნაყვია სუყველაფერი!.. გვარში გაქვთ ეგეთი სიტუტუციები... მთავარია გიყვარდეს მოყვასი შენი! ჰმხ!

თავი რომ ასწია, ტყემლის დახუნძლულ ტოტს ჰკიდა უცბად მზერა. აიშრინა. სასწრაფოდ შეაქცია ზურგი ხეს.

როგორ უყვარდა ადრე ეს მამაცი მცენარე, თავის დღეში რომ არ ეპუება სუსხსა და ყინვას და დროშასავით გამოაფენს ხოლმე უშიშრად თოვლივით თეთრ, ფიფქინა ყვავილებს მოახლოებული გაზაფხულის მახარობლად.

ახლა მისი დანახვაც არ შეუძლია, შესძაგდა ჭირის დღესავით.

მეზობლის ქალს ტყემლის ძირას უპოვია. ხის ტანს მისვენებულს, თავი გვერდზე გადაეხარა და თითქოს ეძინა. მოშორებით დაკრეფილი ტყემლით სავსე კალანჩხა დაცერებულყოფი. ეტყობა, უცებ გათავდა. მამამისსაც ასე ანაზღეულად დაუღვავია სული, თავის დაბადების დღეს. დედაც თავის დაბადების დღეს გარდაიცვალა, მამისს თექვსმეტში. ორი წელი გახდა ზუსტად წინა ხუთშაბათს. თვითონაც ხომ მამისს თვეშია დაბადებული, ე. ი. დღევანდელ დღეს, ოცდაერთში...

„...გაკვეთილების შემდეგ ფეხბურთის თამაში წამოიწყეს ბავშვებმა. საღამომდე დასდევდნენ ბურთს.

ყველაზე ბოლოს მას ჩაესმა წივილკივილის ხმა. ადგილზე გახევდა ელდანაცემი: „წუხელის ისეთი სიზმარი ვნახე, შვილო, ეგება.“ — ელვის უსწრაფესად გაურბინა თავში და ერთბაშად ტან-იოგში დაიშალა.

— შენი სახლიდან უნდა იყოს, მერაბ!..

ვილაცის გაუბედავი ხმა. შეშინებული თვალები.

წამსვე ჩაეფერვლა მზერა და წამსვე. თითქოს ერთი ხელის მოსმით, გაქრა ირგვლივ ყოველივე: ბავშვებიც, მინდორიც, ბურთიც, მთელი არე-მარე! „წუხელის ისეთი სიზმარი ვნახე, შვილო!“.

გამოერკვა, ჩემი სახლიდან იქნებაო.

ჩაილულულა თავისთვის, ხმაწართმეულმა და... დაიძრა.

არა. კი არ მიდიოდა, თითქოს ძალით მიითრევდა ტანს, ფეხები კი — უკან რჩებოდა.

„ეგება!..“

„წუხელის ისეთი სიზმარი ვნახე, შვილო!“.

თანდათან აუჩქარა ნაბიჯს. მერე... გაიქცა.

...დათვის ბელივით ეკვროდა ბადრია და ხანგამოშვებით საწყალობლად სლუკუნებდა.

ხარბად იყნოსავდა ძმის ტანის და თმის სურნელს. ყურში კი გამუდმებით ხმიანობდნენ მამის უსაშველოდ ნაღვლიანი სიტყვები: „აი, დავრჩით მართო!“.

ცრემლები წასკდა ერთბაშად, მოულოდნელად. აქამდე არ უტირნია. ერთი კვირის განმავლობაში, სანამ დედა ესვენა სახლში, წვეთი ცრემლი არ ჩამოუვდია.

უძრავად გამოტილი დედა რომ იხილა თავდაპირველად, თითქოს თვითონაც გაიყინა, გაქვავდა. უაზრო თვალებით დასჩერებოდა ცხედარს და ვერანაირად ვერ დაეკავშირებინა ერთმანეთისათვის ეს გაშეშებული სხეული და მუდამ მოძრავი, მოფუსფუსე დედა.

ირგვლივ კი ქალები წიოდნენ, კიოდნენ, მოთქვამდნენ, კაცები ხმამაღლა ზღუტუნდებდნენ. მამაც ტიროდა — უხმოდ, უცრემლოდ. ვილაც-ვილაცეები გულში იკრავდნენ ბიჭს, ეფერებოდნენ, იცოდებდნენ, უსამძიმრებდნენ. თავად კი ხმა გაეკმინდა. გაყურებულყოფი. გაკერპებული გული ახლოს არ იკარებდა მწუხარებას. იდგა ასე ცრემლგამშრალი, დასხებილი სახით, ცივი და მიუკარებელი იერით და ამრეზით იყურებოდა გარშემო.

გათხრილ საფლავთან ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ვილაც უცხოს კუბო უნდა ჩაესვენებინათ სამარეში.

ახლა კი... ახლა, როცა უმცროსი ძმა და ის მარტონი აღმოჩნენ ბნელსა

და ცივ ოთახში, როცა პატარა ძმა სლუკუნ-სლუკუნით ეხუტებოდა აცხ-ცახებული, შიშატანილი, — ანაზღეუ-ლად მდუღარე ცრემლის ნაკადი გადმო-სკდა თვალითაგან. თითქოს ახლა, ამ წუ-თას შეგრძნო მთელი სისრულითა და სიციხადით, რომ დედა აღარ იყო, რომ მისდღეში ვერ იხილავდა მას, ვერ გა-იგონებდა მის ტკბილ ხმას, ვეღარ იგ-რძნობდა მისი ხელების სითბოს, რომ ამერიდან ვეღარაფერს ვეღარ ჰკითხა-ვდა, ვეღარაფერს გააგებინებდა!

მთელი არსებით შეძრული, დიდხანს, ძალიან დიდხანს ტიროდა და უანგარი-შოდ აფათურებდა თითებს ძმის აბრე-შუმით რბილ, ხორბლისფერ თმაში. გული კი — თითქოს ნელ-ნელა, წვეთ-წვეთობით იცლებოდა სიმწრისა და ბოღმისაგან, უდუნდებოდა დაქიმულ-დაძაგრული კუნთებიც და სანაცვლოდ გულგრილი, განურჩეველი სიმშვიდე ისადგურებდა მის სულში“.

...აივაკა. გზას განგებ იგრძელებს. იქნებ შორიდან მაინც მოჰკრას თვა-ლი..

ჯინსის შარვლის ჯიბეებში ხელებჩა-წყობილმა ჩუმი სტვენა-სტვენით და ვითომცდა არხეინი იერით გაიარა შე-კაში, გული კი — ლამის ამოვარდნაზე აქვს. საზე წამოგზნება.

„ცირა, შეილო, რას შვრები ამდენ ხანს? სტუმრები საცაა მოვლენ!“

„ახლავე, დედიკო, ახლავე!“

ტანში ქრუანტელმა დაუარა ამ ხმის გაგონებაზე. სუნთქვაშეკრულმა აღმა-ცერი მხერა გააყოლა ჩითის კოპლე-ბიან კაბაში ჩაცმულ გოგონას, აივნის კბე რომ ელვის უსწრაფესად ჩაირბი-ნა და სახლის უკანა ლაფაროში გაუჩი-ნარდა.

ჩუმმა, წყნარმა ღიმილმა შეურხია ბაგე-პირი. აკი ნახა მაინც!

...თუმც ნაკრუხალი მზე შეუბრალებ-ლად აცხუნებს, მაინც გამალებით მიი-წვეს ბორცვის კინწიბუროში წამომარ-თული ძველი ციხე-კოშკის ნანგრევ-სკენ. საიდანაც როგორც ხელის გულ-

ზე, ისე მოჩანს კოლხეთის დაბლობის ვრცელი ნაწილი, ხოლო შორს, თვალი-საწიერზე ილანდება ზღვის ვიწრო-ლი.

ჩამოჯდება ხოლმე მორღვეულ გალა-ვანზე და თვალმოუწყვეტლივ გასცქე-რის ამ ცისფერ ბლონდს, ასე ძალუმად რომ იზიდავს თავისკენ მთელ მის ა-სებას.

აქ, ამ ალაგას, თავს ლილად და ბედ-ნიერად გრძნობს. უცნაური შებოქი-ლობის გრძნობა, იქ, ქვემოთ რომ ეუფლე-ბა ხშირად, თვალისწამში უჭრება. თი-თქოს კირთებისგან თავდახსნილი, შეე-ბით სუნთქავს და ფრთაშესხმული, ოც-ნებით უსაზღვრო სივრცეებში იწყებს ნავარდს.

შარშან, სწორედ გაზაფხულზე ამ ნა-ციხარის ეზო-გალავანში გადაეყარა უც-ხოელ ტურისტებს. სამი მამაკაცი და ორი ქალი იყვნენ, გერმანიიდან. ბედი-აში ყოფილიყვნენ და აქეთაც მოესურ-ვებინათ გამოვლა.

მაშინაც თავის ამოჩემებულ ადგილ-ზე იჯდა და წინ გადაშლილ სივრცეს გადაჰყურებდა ოცნებაჩამდგარი თვა-ლებით.

ხმაურმა გამოიყვანა გარინდებიდან. აქ არ ამოდიოდნენ ხოლმე ტურისტები: ტურისტული მარშრუტების სიაში არ შედიოდა ეს დანგრეულ-გაპარტახებუ-ლი და ყველასგან მივიწყებულ-მიტო-ვებული ციხე-კოშკის ნაშთი. სხვა რამ საგულისხმო და ყურადსაღები არც არაფერი იყო გარშემო. აბა, ვინ რა იცოდა, რომ მერაბისთვის აქ მთელი სამყაროს უსასრულობა იშლებოდა, რომ მისი ფრთააწყვეტილი ფანტაზია საოცარ, ფანტასტიკურ სურათებს ხატა-ვდა წარმოსახვაში, რომ ამ თითქოსდა უმნიშვნელო ციხე-სიმაგრის ნანგრევის ირგვლივ წარსულის ათასნაირი, ფე-რად-ფერადი და ზღაპრული სურათე-ბი ცოცხლდებოდნენ, ფერ-ხორცს ის-ხამდნენ... აქ მისი ოცნებების იდუმალი და საოცარი საუფლო იყო, აქ დაქრო-და უშიშრად და თამამად ქვეყნიერების

უკიდევანო სივრცეებში; არავინ უწყობდა, ძე-ზორციელმა, ამ საიდუმლო გვირაბით — უზარმაზარი ლოდებით რო? ჩახერგილიყო — ზღვამდე შეიძლება და გაღწევა. დიხხ. ეს ვეება ლოდები ციხე-სიმაგრედან ანდა გალავნიდან ჩამონაშალი ნატეხები როდი იყვნენ. არავინ იცოდა, საიდან გაჩნდნენ ისინი აქ, ვინ ამოზიდა, რა ძალამ, რა ხელემა! ანდა რისთვის დასჭირდათ მათი მიყრა-მოყრა ასე უთავბოლოდ? ან როდის მოხდა ეს?

უფროსებისგან გაუგონია, ვილაც უცნობებმა გაიტაცესო ამ ორმოციოდე წლის წინ აქაური განძეულობა. მიწაში რომ იყო ჩამარხული. ზღვაზე ფელუქები ელოდებოდათ თურმე ჩუმად. ჰოდა, ჩასხდნენ ამ ფელუქებში განძითურთ და, ჰაიდა, მოუსვესო. არავის წარმოგენა არ ჰქონდა, ვინ იყვნენ ისინი, ანდა რანაირად მიაგნეს გადამალულ საგანძურს! მოჩვენებასავით გამოჩნდნენო უეცრად და უეცრადვე გაქრნენო უკვალოდ. თითქოს გვირაბიც მაშინ ჩაუხერგავთ უცნობებს; მაგრამ ძველები ამბობენ. ეს ვეებერთელა ლოდები მანამდეც ასე ეყარაო. ასეა თუ ისეა, საგანძური დაიკარგა, დაიკარგა სამუდამოდ.

ამ სავარაუდო გვირაბის გაწმენდა კი, ეტყობა, არავის უცდია, თორემ ეგება რაიმე მნიშვნელოვანს და საგულისხმოს წაწყდომოდნენ კიდევ. თუმცა ამ უშველებელ ლოდებს ბუმბერაზიც კი ძვრას ვერ უზამს. ისე, გვირაბის არსებობაც ლეგენდას უფრო წაავავს. ძნელად წარმოსადგენია აბა, იმ დროში ამ სივრცე გვირაბი გაეყვანათ — აქედან ზღვამდე! ეხუმრები შენ?

...ტურისტებმა ერთხანს იყაყანეს, ფოტო-აპარატები აჩხაკუნეს, ამწვანებულ, ხასხასა ბალახით დაფარულ ეზოში გაიარ-გამოიარეს. ერთმა ტურისტმა მერაბს ხელი დაუქნია, ჩამოდიო. უხალისოდ აიზეზეურა. სტუმრები რომ არა...

უცხო ადამიანებში რომ მოექცა, უნებლიეთ დაიმორცხვა. ოხ, ეს უადგილო, მოულოდნელი სიწითლე როგორ

საბოს და ანადგურებს ხოლმე! ვერ ვერაფერი მოუხერხებია საკუთარ ვისთვის. არადა, ოცნებებსა და წარსასახვაში როგორი თამამი, გაბედული და კანდიერიც კია ხოლმე! ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად! მის ყოველ ნატერასა და სურვილს ხომ წინ ველარაფერი უდგება!

ახლა კი... ახლა გოგოსავით აელანდა ლოყები. ვაი, სირცხვილო! და უცხოელების წინაშე უხერხულობისა და მორიდების გრძნობა რომ დაეფარა, შუბლი კეშტად შეიკრა. შეეცადა ცივი, მიუტარებელი, უდიერი იერიც კი მიეღო.

შორტებიანი, შავსათვალისანი უცხოელები კი ლალად მხრებგაშლილი მიმოდოდნენ ეზოში და ხმამალლა ლაბარაკობდნენ; ხანდახან გულიანად ხარხარებდნენ რალაცხე და საერთოდაც, ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ სახეებზე, თითქოს არაფერს დაგიდევდნენ, ამ ციხე-სიმაგრის ნანგრევებით დაინტერესებაც თითქოს სასხვათაშორისო გახლდათ მათთვის.

ძირს ჩამოსულ ბიჭს თარჯიმნის მეშვეობით ჰკითხეს, ხომ არ იცი, როდინდელია ეს ციხე-კოშკიო. ანტიკური ხანისაო, დაუფიქრებლად მიუგო სახემოლუშულმა მერაბმა, და ტურისტებს თვალი აარიდა.

განა დანამდვილებით იცის, რომელი საუკუნისაა, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. ლეო ბიძის რომ ჰკითხო, ანტიკური ხანისაო, გიპასუხებს; უფრო სწორად, ანტიკური დროის ნანგრევებზეა აგებული მერმინდელიო. შუასაუკუნეებში კი ამ ციხე-კოშკს სათვალთვლო პუნქტის დანიშნულება ჰქონდაო. საშიშროების ყამს ციხიდან ციხეზე გადადიოდა სიგნალი, ანუ კოცონით ამცნობდნენო ერთმანეთს მტრის მოახლოებას. მერე, მოგვიანებით, კი, როცა ევროპის ქვეყნებმა სულ აღმა აღმა იწყეს სვლა, ხოლო ჩვენი ისტორიის ჩარხი, პირიქით, უკულმა დატრიალდა და თავდაღმა დავეშვიტო, ეს ციხე-კოშკი ჩვენი გოგო-ბიჭების თურქეთში გასასყიდი სადგომი გამხდარა: აქ



დამწყვედელნი ჯერ ანაკლიაში ჩაჰყავდათ, ნარკია დედების ნაკივარ ადგილს ნიშნავს... ჰოდა, — დედების წივილი-კივილი მიაცილებდათო ყმაწვილებს ანაკლიამდე, მერე გემებში ჰყარდნენ და... „ბევრნაირი ღალატი არსებობს ამ ქვეყნად, ჩემო ბიძია. ყველა, რასაკვირველია, საზიზღარია, მაგრამ ქვეყნის და მოძმის ღალატი უმძიმესია ღალატთა შორისო“, — თქვა ბოლოს ლეო ბიძიამ. და დასძინა: „სავალალოდ და სამწუხაროდ ჩვენდა, დღესაც, როგორც მაშინ, სულიერად თუ ფიზიკურად სპობენ და ანადგურებენ თავიანთ თანამოძმეებს, დღესაც მოედინება ძარღვიდან ძარღვში მღვრიე, მურღალი სისხლი კაცის მკვლელთა, ქვეყნის, ერის გამყიდველთა“.

...— გუტ, გუტ! — იძახოდნენ ტურისტები წარამარა, ხოლო ერთმა მათგანმა სთხოვა მერაბს, თუ შეიძლება ამ ნანგრევის ფონზე სურათს გადაგიღებოთ. სანამ რაიმეს თქმას მოისაზრებდა, ტურისტმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა და... ხუთ წუთში უკვე გამზადებული ფერადი სურათი ხელში ეჭირა დაბნეულ ბიჭს.

— ვიკინგ, ვიკინგ... — უცინოდნენ ტურისტები, ხოლო იმან, ვინც სურათი გადაუღო, ცერა თითი უჩვენა ფართო ღიმილით. ცოტა გერმანული იცოდა თეონა მასწავლებლის წყალობით და მიხვდა, ვიკინგს რომ აღარებდნენ. შეიმართა უნებურად:

— იპ ბინ ნიხტ ვიკინგ! — დაახეთქა უცებ — იპ ბინ გეორგიენ!

— ო, გუტ, გუტ! დუ ბისტ გეორგიენ ვიკინგ! — ახორხოცდნენ კვლავ ტურისტები. იმ წოწოლა გერმანელმა, სურათი რომ გადაუღო, მხარზე ხელი დაჰკრა უბოდიშოდ, მოეფერა ყურებიანად გაწითლებულს. თვალები ჩაუმუქდა. მოიჭუფრა უარესად და სწრაფად გაეცალა უცხოელებს, ისევ გალავანზე ავიდა.

იცოდა, განა არ იცოდა, ვინ იყვნენ ვიკინგები. საღდაც ესიამოვნა კიდეც, გარეგნულად ამ მამაც, უშიშარ და ლა-

მაზ მეზღვაურებს რომ შეადარეს, მფარამ... ამ უცხოელებმა ხომ არ უწყობდნენ, თუ როგორ მოჰქონდა თავი ბიჭს, დედამისის წინაპრები ტრაპიზონის ახლოს მდებარე სოფლიდან რომ იყვნენ წამოსული, ხოლო ლაზები სახელგანთქმული ზღვაოსნები იყვნენ, ეუპ, ჯერ კიდევ მაშინ, ვიკინგების ხსენებაც რომ არ იყო ქვეყნად! დიახ.

...მუხლებზე მკლავები შემოირკალა და წინ გადაშლილ სივრცეს მიუშტერა მზერა. საოცარია მიინც: რატომ იზიდავს ასეთი წარმოუდგენელი ძალით ეს უსასრულობა — ზღვარდაუდები, წრეშემოუწყრელი? რა მომნუსხველი ხიბლია მასში?

„ლაზეთი თითქოს მის დღეში გარყულივით იყო, ლეო ბიძია! რატომ?“

„როგორ გეკადრება? ვინ იყვნენ ბექა და ბეშქენ ოპიზარები? სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ბაგრატიონები?“

„მოლაღატე ბალვაშიც აკი ლაზი ყოფილა?“

„მარუშის ძე?“

„არა, მე მას უკან ვამბობ, რაც თურქებმა დაიპყრეს ლაზეთი“.

„ეპ, დათვი რომ მოგერევაო... რას იზამ ბიძია!. წაიკითხე ხომ, სახოკიას წიგნი?“

„წავიკითხე, ლეო ბიძია და ზოგი ადგილი დავიზებირე კიდეც, საცა ლაზებზე წერს. გინდათ გითხრაო?“

„აბა, ჰე!“

„...ხოფაში ჩასვლამდე ეს სოფელი დავათვალიერე... ერთის წამით სამეგრელოში მეგონა ჩემი თავი, — ისეთი გასაშტერებელი მსგავსება იყო ამ ორი მხარის სოფლებს შორის. ახლა მცხოვრებნი იკითხეთ!..

ვწყველიდი ჩვენს უბედო ბედს, რომელიც იმთავითვე სდევნიდა მოსისხლე მტრებით გარშემოვლებულ საქართველოს განაპირა ადგილებს, ამ ადგილებს მტრების სათარეშოდ ზდიდა, გულიდან გვგლეჯდა, მათში მცხოვრებლებს ენას, სარწმუნოებას, აზროვნებას უცვლიდა და გუშინდელ ქართველს დღეს საზო-

გაღოდ ქართველისათვის უცხოა და მტრად გადაკიდებულ ადამიანად ხდიდა... ოცნებამ გამიტაცა: იქნებ მოვესწრო იმ დღეს, როცა უკუღმა დატრიალებული ჩარხი ბედისა წაღმა დატრიალდეს, ეს გულიდან მოწყვეტილი, სამთხვისებური და თან უსაზომოდ ტანჯული და გაწამებული მხარე ისევ დაუბრუნდეს საქართველოს, ისევ ჩაეკრას თავის დედას გულში, ისევ ხელიხელჩაკიდებულნი ერთმანეთს მხარში ამომდგარნი, შევებრძოლოთ ცხოვრების უკუღმართობას, რომ ოდნავადაც არი, დავიამოთ სიცოცხლე ჩვენი-მეთქი!“

„ამას უყურე! მართლა არ დაუხეობი რებია? ყოჩაღ, ბიჭო!“

„ნეტაი თქვენ იყოთ ჩვენი ისტორიის მასწავლებელი, ლეო ბიძია. სადღაც დასაკარგავში დადიხართ და თან საღამოს სკოლაში ასწავლით!“

„ეგ შენს დირექტორს ჰკითხე! მაგან იცის, რატომ და რისთვის მოხდა ასე!“

„მართლა, რად არ უნდიხართ გულნაზი დირექტორს, ლეო ბიძია?.. ბოლოსდაბოლოს ისიც ხომ ბოკუჩავაა?“

„ამისთანა რამეებს ჯერ შენ ვერ გაიგებ, ჩემო მერაბ, თუმცა გონიერი ბიჭი კი ბრძანდები, მაგრამ მაინც პატარა ხარ ასაკით.“

„გონიერების რა მოგახსენოთ, ლეო ბიძია, მარა... ვგონებ, რალაცას ვხვდები მაინც: გულნაზი დირექტორს არ უნდა სკოლაში ჰყავდეს თავისაზე უფრო მცოდნე. ალბათ შურს და იმიტომ!“

„ასეთი კატეგორიული ნუ იქნები, მერაბ, და საერთოდ, მოდი ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ!“

„როგორც გნებავთ, ლეო ბიძია. მაგრამ ერთ რამეს კი მაინც ვიტყვი: ირგვლივ იმდენი ტყუილი და სიცრუეა... ჰგონიათ, ბავშვები არიან და მაინც ვერ მიხვდებიანო... ვერაფერს. აი, თქვენ... არასოდეს მოგიტყუებიათ, ლეო ბიძია და... თქვენთან ყველაფრის თქმა შეიძლება გულანდილად.“

„რაო? მამაშენთან კი ვიჭირს საუბარი?“

„მამაჩემს თითქმის ვერ ვნახულობ, ლეო ბიძია, სიმართლე რომ გიხსენებდეს, სისხამ დილით მიდის სამუშაოზე და შუალამეზე ბრუნდება შინ; ლაპარაკის კი არა, ზოგჯერ ჰამის თავიც არა აქვს. ძილშიც კი ჩაისა და სიმინდის გეგმებზე აბოდებს... ხო, მართლა, ლეო ბიძია, ერთი რამ უნდა გკითხოთ: ძნელია საზღვაოსნო სასწავლებელში მოხვედრა?“

„რაო, სიმძნელების შეგეშინდა ბიჭო? მე კიდევ — უშიშარი, შეუპოვარი კაცი მგონიხარ შენ!“

პაუზა.

„მამ, მეზღვაური გინდა გახდე?“

„დიახ. მინდა, ლეო ბიძია!.. მრავალ ქვეყანას მოვივლი, მეზღვაური რომ ვიქნები. დედაჩემის წინაპართა ადგილსამყოფელსაც ვნახავ...“

„ეგ მეზღვაურობის გარეშეც შეგიძლია. აიღებ ტურისტულ საგზურს და... ტრაპიზონში ამოჰყოფ თავს. ძველად წყევლა იყო ასეთი, ხომ იცი! ტრაპიზონში წასულხარო, ე. ი. მოუსავლეთშიო.“

„ე-ახ!“

აბა! ისე, ჩემი აზრით, შენ ისტორიულზე უნდა ჩააბარო, მერაბ!“

„მე კი მეზღვაურობა მინდა, ლეო ბიძია!“ — „და ვინ იცის, იქნებ ის განძიც ვიპოვო, აქედან რომ გაიტაცეს და უკანვე დავაბრუნებინო!“ ეს კი გუნებაში გაიფიქრა, თავისდაუნებურადვე დაქადნებითა და თითქოს მუქართიც.

...კარგა ხანს უტრიალა გვირაბის ჩახერგვით შესასვლელს. აქაურობა რომ გაიწმინდოს!..

ეტყვის ბიჭებს. ეგება, მართლაც გვირაბი იყოს აქ და ეგება მართლაც ზღვის ნაპირამდე გადის იგი! ვინ იცის!..

ლეგენდები და თქმულებები არ სტყუიან. ისინი უეჭველად შეიცავენ სიმართლის მარცვლებს (მართოდენ მარცვლებს?), ისინი ანარეკლია სინამდვილისა. ასე ამბობს ლეო ბიძია და თავადაც ასე სწამს და სჯერა!

...ტრაპეზუნტიდან დაძრული ფლო-



ტილია ფაზისის ნავსადგურში შემოვი-
და. დრომონებმა ლუზა ჩაუშვეს წყალ-
ში. ამირბარი მეფეთა-მეფესთან შესახ-
ვედრად მოემზადა. ოპ, როგორი გულ-
ისკანკალით ელოდებოდა ამ წამს ახალ-
გაზრდა მენავეთწინამძღვარი. თავად
დავით აღმაშენებელს, უძლეველ მხე-
დართმთავარს უნდა მოახსენოს, რა
მდგომარეობაშია ხომალდები, როგორ
არიან გაწვრთნილი ზღვაოსნები იმი-
სათვის, თუკი ომი თავიდან ვერ აცი-
ლეს. ახალგაზრდა მენავეთწინამძღვარს
საგანგაშო თითქოს არაფერი აქვს. შეუ-
ძლია პირნათლად წარუდგეს დიდ მე-
ფეს და მანც... ვინ იცის, რას მოუტანს
ეს პაემანი! და თუმცა საქვეყნოდ ცნო-
ბილია დიდი მეფის სამართლიანობის
და გულმონწყალეების ამბავი, მაგრამ საქ-
ვეყნო საქმეში რომ მცირეოდენ დაუდე-
ვრობასაც არავის ჰპატიობს, ესეც ყვე-
ლასათვის ნათელია. თუმცა, ერთი რამ
კი იმთავითვე ცხადზე უცხადესია ამირ-
ბარისთვის: თითოეული მეზღვაური,
ისევე როგორც ყოველი მკვიდრი სხვა-
დასხვა კუთხისა — მზადაა თავი გასწი-
როს ერთიანი საქართველოსათვის, სა-
ყვარელი მეფისათვის...

ასეა ეს ნიკოფსით დარუბანდამდის.
ასე ფიქრობს ერთიანი, მძლავრი და
მტკიცე ქვეყნის თითოეული მცხოვრე-
ბი, რამეთუ...“

„ბოკუჩავა, განაგრძე!“
„ბოკუჩავა, ბოკუჩავა...“ — თითქოს
შორეთიდან, უსაზღვრო შორეთიდან
შემოესმა.

ზღაზღვით აითრია წელი და ჭერაც
ოცნებაჩამდგარი თვალები მიმოატარა
ირგვლივ: „რა ხმა იყო ვინ წიკინებ-
და?“ — უსიამოდ გაჰკრა გულზე რა-
ღაცამ.

„პუგაჩოვის ჩამოყვანა მოსკოვ-
ში...“ — სასწრაფოდ უკარნახა გვერდ-
ზე მჯდარმა გოგონამ. უაზრო, არაფ-
რის მთქმელი თვალებით მიხედა ბი-
ჭმა.

„პუგაჩოვის... დაჭერილი პუგაჩოვის
ჩამოყვანა მოსკოვში... — ახლა უკნი-
დან უჩურობულა რომელიღაცამ.

„პუგაჩოვი... — შუბლი მოისრისა,
ვინ პუგაჩოვია?!“

„დაეგდე! ორიანს გიწერ!“ — და მა-
სწავლებელმა გამარჯვებულის იერით,
ორ უჯრაში რომ არ დაეტეოდა, იმხელა
ორიანი ჩაწერა ჟურნალში მისი გვარის
გასწვრივ.

„რა უნდა ამ ქალს ჩემგან?.. რას გა-
დამეკიდა? — შემოჰკენესა გულმა: —
მართლა და მართლა, რა შავი ყორანი-
ვით მომდევს ბავშვობიდანვე და თავზე
დამჩხავის?“

ეცლია ცოტა ხანს... ხომ იცის, რომ...
მაგრამ არა. ჭიბრში მიდგას... ჭინაზე
მიკეთებს. გამოჰკერაზე... მე კიდევ მა-
რთლაც ლენჩივით ვუთმენ!“

„ახლა რამდენიც გინდა იმდენი იკი-
თხე „საკვირველი სიძლიერე“, — ნიშ-
ნისმოგებით უთხრა მასწავლებელმა და
მის მოწყურულ, ჰროდა თვალებში ავი
ნაპერწყვლები აენთო.

„სხვათაშორის, საკვირველი სიძლიე-
რე კი არა — „ძლევაი საკვირველი“
ჰქვია იმ წიგნს, მასწ!“

„ხმა ჩაიწყვიტე, უზრდელო! ტუტუ-
ცო! — იკივლა ანაზღად ლოყებაჰარხ-
ლებულმა ქალმა და ჟურნალი მაგიდაზე
დაახეთქა: — ხედავთ? აქეთ მასწავლის
კიდევ ეს თავხედი? მარა... ვიცი, ვიცი,
ვისგან ხარ შენ ასე გატოტოჩებული.
ყველაფერი ვიცი, ბატონო, ყველაფე-
რი. ორიანს რომ გამოგაყოლებ მეოთ-
ხედში, ირიკავე მერე! ახლა კი, გაბრ-
ძანდი გარეთ“

ყველაზე უფრო ეს სიტყვები ემწვა-
ვა: „ვიცი, ვიცი, ვისგან ხარ შენ ასე
გატოტოჩებულიო“. ლეო ბიძიას გული-
სხმობდა ვარდიშა მასწავლებელი. რა
შუაში იყო ლეო ბიძია ან... რა დაუშა-
ვა მას ლეო ბიძიამ?.. რას ერჩის?.. დი-
რექტორი და ლეო ბიძია რომ უბრად
არიან ერთმანეთში?.. რა სიმდაბლეა!“

კლასიდან რომ გადიოდა, ველარ მო-
ითმინა და კარი მაგრად გაიჭახუნა წო-
ნასწორობიდან გამოსულმა.

„არ უნდა მექნაო“, — მაშინვე ინანა

ცილა ადღაშელია
რატომ მოკლა მონადირეა შვილი?

თავისი საქციელი და ნირწამხდარმა, გრძელი ნაბიჯებით გაალაჯა დერეფანში.

გარეთ აღრიანი გაზაფხულის მზიანი, თბილი ღარი იდგა. ჩიტები გაუთავებლად ჟღერდნენ სკოლის ეზოში, მაგრამ ფიქრებდამიმბეჭდული ბიჭი ვერ ამჩნევდა ბუნების სულდგმულთა სიხალისეს. ჯიბეებში ხელგაწყობილი, გუნებამოყამული, თავჩაქინდრული მიბიჯებდა ჯერაც შეუფოთლავ ჰადრების ხეივანში და უანგარიშოდ, ფეხის წვერით ხან ერთს კენჭს მოისროდა წინ, ხან მეორეს.

ვერა და ვერ მოეცილებინა თავიდან მასწავლებლის ბრახისაგან დამახინჯებული სახე. და ამოდ ცდილობდა გაეკვია, რატომ, რის გამო ემტერებოდა იგი, ან თავად რად განიცდიდა ასე მწარედ მასწავლებლის სიძულვილს მის მიმართ? ბოლოს და ბოლოს, რა ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, ვარდიშა მასწავლებელი მტრად მოეკიდებოდა თუ მოყვრად? მაღალ ნიშანს რომ არ უწერდა, ამას თითქოს შეგუებული იყო უკვე და ისე მტკივნეულად აღიქვამდა, როგორც თუნდაც შარშან. მაშ, სად იყო ამ ესოდენი წუხილის მიზეზ-სათავე?

თავის თავს იმაში იჭერდა, რომ ყოველნაირი მტრობა და სიძულვილი თითქოს ანგრევდა მთელ მის არსებას, თრგუნავდა მასში სიკეთის დვრიტას, უწამლავდა მგრძობიარე გულს და გონებას უხშობდა.

წყენის მონელება კი ადვილად არ შეეძლო, ადვილად ვერ იფიწყებდა ბოროტ საქციელს და ახლაც იმასდა ნატრობდა, რომ დამდგარიყო ცნობილი, სახელოვანი ადამიანი და ამით „სამაგიერო“ გადაეხადა, ანუ „შური ეძია“ ვარდიშა და ვარდიშასაირებისათვის. დაენახებინა მათთვის, რომ ცდებოდნენ მის შეფასებაში, რომ მართლნი არ იყვნენ, როცა ასე უსაფუძვლოდ, ასე უსამართლოდ ჰყავდათ ათვალისწინებული და ვისაც სიკეთის და სამართლიანობის რწმენას უსპობდნენ მეთოდურად, დაქინებით“.

სტვენა-სტვენით დაეშვა თავდაპირველად თვე. უსათუოდ მოელაპარაკება ბიჭებს გვირაბის თაობაზე...

მინდორზე ბიჭებს ფეხბურთის თამაში გაეჩაღებინათ. წამით შეეყოყმანდა. მერე თამაშში ჩაბმა გადაწყვიტა

ფრთხილად გაიძრო პერანგი, ღილიკილოზე კიდევ შერჩენოდა უკვე მიმქანარი ცისფერთვალა ყვავილი, თავის გულში დედისთვალას რომ ეძახდა. უნებურად თბილმა, წყნარმა ღიმილმა შეუტოკა ბაგე-პირი. ანგარიშმიუტეველად ცერა თითით მოეფერა ყვავილს, მერე პერანგი დაეცა და ფრთხილადვე დადო ლოდზე. ერთი პირობა იფიქრა, ჯინსსაც გავიხდიო. მაგრამ დაეზარა და ტოტებოდა აიკრიფა მხოლოდ. მოშორებით ბიჭბუჭები დანასობიას თამაშობდნენ, ხოლო მავანნი და მავანნი ფეხბურთის მაყურებლის როლს დასაქვრებოდნენ.

მისმა გამოჩენამ საერთო ყრიამული გამოიწვია მოთამაშებში: ღელის გაღმელები და გამოღმელები ეტოქებოდნენ ერთმანეთს. ჩვენთან, ჩვენთანო, ორივე გუნდლები თავისკენ ეპატიჟებოდნენ. მერაბმა თავის უბნის, ღელის გამოღმელების მხარე აირჩია, თუმცა მოპირდაპირეთა რიგებში სკოლის რამდენიმე ამხანაგი ერია. უფრო იმიტომ დადგა გამოღმელთა მხარეზე, გაღმელებში ინდიკოს რომ მოჰკრა თვალი. ინდიკო ანუ ინდი, როგორც ეძახდნენ ხოლმე ნაცნობები, მშენებელთა დაბის საღამოს სკოლაში სწავლობდა. სულ რამდენჯერმე შეეჩეხნენ ერთმანეთს პირისპირ და ყოველთვის უსიამო გაცდა დარჩა ამ შემხვედრიდან. საქმე ის იყო, რომ მერაბი აინუნში არ აგდებდა მის ე. წ. „ძველ ბიჭობას“ და ამას სრულებითაც განგებ, ან ჯიბრით არ შვრებოდა. უბრალოდ, შინაგანად გულგრილი იყო მის მიმართ; ეს განწყობილება კი ეტყობა, სახეზეც ემჩნეოდა, რადგან ინდიკო მის დანახვაზე მუდამ იზღარბებოდა ხოლმე.

ერთხელაც:

— „შენ, სიმონ, დაიცა, ერთი წუთით!“

„მე მერაბი მქვია!“

„ჰო, ვიცით, რა! — მერე ხმადაბლა, დაელმებული თვალებით: — გინდა, მოგაწვივინო, ბრატ?“

„რო მინდოდეს, შენი დახმარება არ დამპირდება!“

„შენ... იცი, ვის ელაპარაკები?“

„თქვი, ვინა ხარ, გისმენ!“

წამით შედრკა მერაბის მზერის წინაშე, თუმცა გარეგნულად არაფერი დაიმჩნია. ის კი არადა, მოსაჩვენებლად, უფრო გაიკიმა კიდევ.

„შენ... დრუნჩა ხომ იცი? ჩემი ძმა-კაცია!“

„ვინ დრუნჩაა?... ან რაში მეკითხება, ვინაა შენი ძმაკაცი?“

„ე ე, ე, ცოტა ფრთხილად, „ბრატ!“ დრუნჩას ქვეყანა იცნობს!“

„თუ რამე გინდათ... აგერ ვარ!“

„რა უნდა მინდოდეს შენგან?“

„მე — მით უმეტეს! აბა, კარგად, „ბრატ!“

მეორედ: კინო-სურათიდან გამოსულს უცბად შენობის კუთხის მოფარებული ადგილიდან ძახილი შემოესმა: „მერაბ! მოიცა... მეც შენსკენ მოვდივარ!“

შეჩერდა. დაელოდა თანასკოლელო გოგონას, სახელაღწილი, თვალცრემლიანი რომ მოეშურებოდა მისკენ.

იგი გზადაგზა ხმადაბლა ეუბნებოდა: „ოჰ, შენ რომ არა, არ მიშვებდა ის გონჯი მაიმუნი, ისა!“

„ვინა, ინდიკო?“

„ხო. ინდიკო.“

„რაო, რა მინდაო?“

„არაფერი. ეგრე იცის წვალემა გოგოების. მოიმწყვდევეს სადმე კუთხეში ვინმეს და... ებლარძუნება. არადა, ვერც ვერავინ უბედავს შიშით რაიმეს თქმას!“

„შიშით?“

„ხო, შიშით. ყველას ეშინია მისი.“

„ინდიკოსი?“

„ხო, ინდიკოსი. ხომ ქინძის ბარჯვია თითქოს, მარა, რომ იცოდევ, რამხელა

მუზმუხელა და ბოროტი სულია...
ოჰ! რაფერ დაეჭყანა სახე, შენა...
დაგიძახე! ვერ იტანს, მასზე კარგი და
ძლიერი თუა ვინმე! დასაერთოდ... იცი,
რამდენი ვინმე ჰყავს ჩათრეული ამ
სალახანას?... ავი და ბოროტი სულია...“

ახლა, როცა დაინახა, ინდი თამაშობსო, ერთი პირობა იფიქრა, გავეცლები აქაურობასო, ისე არ ესიაშვანა მისი აქ ყოფნა, მაგრამ მეორე ხმამ შემოუტია, რაო, შენც ხომ არ გეშინია მისიო, და დარჩა. მალე ინდიც გადაავიწდა და საერთოდ, სუყველაფერი ამ ქვეყანაზე. ფეხბურთი მისი სტიქია იყო, ზღვაოსნობის არ იყოს, და ისეთი აზარტითა და თავგამოდებით იცოდა თამაში, თითქოს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩართული და მისი პირადი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

კარგა ხნის მერე შეამჩნია, ინდის რომ თამაში მიეტოვებინა თურმე. შეამჩნია და... მაშინვე გადაავიწყდა კიდევ მისი არსებობა. არ მოგონებია მანამ...

შხაუთნა წვიმამ ერთბაშად დაუშვა. მერე თანდათან უმატა. თამაშისგან გახურებული და აღზნებული ბიჭები უხალისოდ დაიშლნენ. ყველამ თავთავის ტანსაცმელს მიაშურა. მერაბმაც მოძებნა „თავისი“ ქვა, მაგრამ... პერანგი არსად იყო. მეზვიით დაარტყა თავში აზრმა: „ნუთუ... დავკარგე?“

არ სჯეროდა, აქეთ-იქით დარბოდა გამწარებული: „ნუთუ?“ და მერე ისევ გამძვავლავი კითხვა: „ვინ აიღო?“

მერაბმა დედის ნაჩუქარი პერანგი დაკარგაო, ახლა ყველანი დაფაცურდნენ, სულ გადაატრიალეს იქაურობა, არ დატოვეს გაუჩხრიკავი ახლო-მახლო არაფერი, მაგრამ... ამოდ. პერანგი უკვალოდ გამქრალიყო. ამასობაში წვიმამ უმატა და ბიჭები იძულებული გახდნენ, ცაცხვის ვეება ვარჯებს შეფარებოდნენ. ანაზღად მერაბთან პატარა ბიჭმა მიიბინა და ყურში უჩურჩულა, მე დავინახე, ინდიმ რომ ჩაიცვა შენი „საროჩკაო“.

ამის თქმა და მერაბის ადგილიდან მოწყვეტა ერთი იყო. ვარაუდით იცო-

და, რა გზით შეიძლებოდა ინდი შინ წასულიყო.

გამალბებული გარბოდა და თავში ათასგვარი აზრი ელვის უსწრაფესად ენაცვლებოდა ერთიმეორეს.

„...თბილი იყო დედის მკლავები. ისინი ყოველთვის საამოდ ანანავებდნენ და ბატარასაც ნეტარებით ეხუჭებოდა ხოლმე თვალები. მაგრამ ახლა უჩვეულოდ ბორგავდა, წრილებდა, ვერა და ვერ ისვენებდა. რაზე არ იძინებ, ჩემო სიცოცხლე, რატომ შფოთავ, ჩაეკითხა დედა და ამ ტბილმა ხმამ მოუფონა გულზე. შვება იგრძნო: „იცი დედიკო, დღეს... ბავშვებმა კატის კნუტი დაწვეს...“ — ამოთქვა ბოლოს ის, რაც ასე აწუხებდა და რისი თქმაც ვერანაირად ვერ მოეხერხებინა აქამომდე. „როგორ თუ... დაწვეს?...“

და ბიჭმა ლულულდით, ენის ბორძიკით უამბო დედას, როგორ დაიჭირეს ცინდალი, როგორ აწვალებდნენ, მერე გამოაბეს კულზე ბათთი და ცეცხლი წაუკიდეს.

„ვინ... ვინ ქნა, შვილო, ეს საზიზღრობა? ვინ იყენენ ის ბავშვები?“ — დედას ხმა უკანკალებდა და ამან უფრო დაზაფრა ბიჭი, ერთბაშად აზლუქუნდა: „არ ვიცი, დედიკო, ვინ იყენენ, ჩვენი ბალის ბავშვები არ იყენენ, ერთს ინდის ეძახოდნენ, მეორეს კი — ბუქასო“, სლუკუნ-სლუკუნით ამოთქვა ძლივს. დედა უფრო მაგრად იკრავდა ბიჭს გულში და ცდილობდა დაეწყნარებინა იგი: „ბავშვები იცინოდნენ, დედიკო... კვდებოდნენ სიცილით“.

ქარივით მიქროდა. თუ ვერ დავეწიე, სახლში მივალ და გამოვიყვანო, გაიფიქრა.

წვიმას უკვე გადაელო, მაგრამ საავდროდ გამზადებული ღრუბლები შავად იგრაგნებოდნენ ცაზე. ბინდებოდა.

გზის ბოლოში ბიჭების ჭგუფს შეასწრო თვალი ერთ მათგანში ინდიკო შეიცნო.

„ისაა!“ — გაჰკრა გულზე და ერთბაშად დაწყნარდა, დამშვიდდა; გულიც

თითქოს საგულეში ჩაუდგა, თუმცა სიბრაზე ახლა უფრო ღრმად, შინაგულს სულის ფსკერამდე ჩავიდა და ჩაილექა.

მერაბის დანახვაზე მყისვე ფერი ეცვალა ინდის. მისმა თანმხლებლებმა გაოცებით შეათვალიერეს მაისურის ამარა, თავით ფეხებამდე გალუმპული ბიჭი, ძლივს რომ სუნთქავდა ნარბენი და სახეზე მიტკლისფერი დასდებოდა. ტალღოვანი, მწიფე ხორბლისფერი თმის კულულები შუბლზე მისწებებოდა.

ერთ ადგილზე გახევებულ ინდისთან ისე ახლოს მივიდა, რომ შუბლით ლამის შეეხო მის შუბლს:

— გაიხადე... ახლავე! — ჩუმად, კბილებში გამოსცრა და თვალი თვალში გაუყარა.

— რა... რა უნდა გავიხადო? შენ ხომ არ აურიე? — სცადა თავს დაუფლებოდა და ხმისთვის რიხიანი კილო მიეცა, მაგრამ სიტყვა რამდენჯერმე გაუწყდა.

მოულოდნელად საყელოში წვდა, საკინძე გადაუღელა: — აი — ეს — შიგნით რომ გაცვია!

— დაიცა... აქ... აქ არა, რა! — აბლუკუნდა ინდი უცბად ჩაწყვეტილ-ჩავარდნილი ხმით: — სხვაგან... სადმე...

ისეთი შიში და მუდარა ედგა აცაბაცად მორბენალ, ყუყუსავით შავ თვლებში, მერაბი უნებლიეთ მოლბა. ხელი შეუშვა.

— კარგი, წავიდეთ! — დაეთანხმა ანაზღად.

სახტადღარჩენილი ბიჭების თვალწინ, აზრზე რომ ვერ მოსულიყვნენ, რა ხდებოდა, რაზე იყო ლაპარაკი, გზიდან გადაუხვიეს.

ბინდი თანდათან მატულობდა. ნაწვიმარი ჰაერი გრილი და ნესტიანი იყო. მერაბს შესცივდა, კანი აებურძგლა და ააკანკალა.

— გაიხადე ახლა! — შეაჩერა ბიჭი, საკმაოდ რომ დაშორდნენ იმ ალაგს, და ინდის წედანდელი დამფრთხალი სახისა და გაპარული ხმის გახსენებაზე, კვლავ სიბრაღული იგრძნო მის მიმართ.



„მთლად წყალწოდებული არ ყოფილა, თუკი სირცხვილის ნატამალი მიინც შერჩენიაო“, გაივლო გულში და ახლა ისიც მოაგონდა, არეული ოჯახიდან რომ იყო ინდი, დედ-მამა გაყრილები იყვნენ, დედამის კი კალთამადლიანს ეძახოდნენ სოფელში, თვითონ ორჯერ იყო სკოლიდან გარიცხული და მერე ისევ აღდგენილი.

— დედაჩემის ნაჩუქარია, თორემ... — ისე თქვა, იმგვარ კილოზე, თითქოს თავს იმართლებსო რაღაცისთვის, უფრო სწორედ კი, ქვეშეცნეულად ინდის გამოყვანა უნდოდა ამ საჩოთირო, უხერხული მდგომარეობიდან.

— დედაშენს და შენ...

ეს ისეთი მოულოდნელი დარტყმა იყო, წამიერად გაქვავდა, დამბლადაცემულივით დამუხჯდა. უწინდელი შიშ-ნაჭამის ნაცვლად, ახლა მას შემოსცქეროდნენ უტიფარი, გამომწვევი და ბოროტად მობზინვარე თვალები.

და ანაზღუელად ცხელი, მღვრიე ტალღა დაიძრა საიდანაც, შიგნიდან, დაიძრა და... ერთიანად წაღეკა ცნობიერება, თვალთ დაუხებლდა.

„მოეხარჩობ!“ — პირველი, რამაც თავში გაუელვა, ეს აზრი იყო. და მყისვე, წამის მესამედში თვალწინ გაუბრბინა დიდი ხნის წინათ, ბავშვობაში ნანახმა და დროთა განმავლობაში გადავიწყებულმა სურათმა.

მტვრიან შარაზე გდია თავგაქექილი ქვეწარმავალი. ზიზღიანი და ამასთანავე უცნაური, თვით მისთვისაც გაუგებარი ცნობისწადილით დასჩერებია ამ დაჩქარებულ, შავ გორგალს, ჭერაც რომ ასხმარტალებს კუდს.

ახლა, ამ წუთას კი მის წარმოსახვაში მიწაზე იგრიხებოდა არა გველი, არამედ მისგან ცხვირპირდალეწილი ინდი, რატომღაც იმ უხსენებლის იერი რომ მიეღო.

ადგილიდან დაიძრა მძიმედ.

„შეჩერდი!“ — უტბად დაქაჩა უკან რაღაც უხილავმა ძალამ.

„შეჩერდი-მეთქი!.. გონს მოდი!“ — ისევ იელვასავით თავში.

შედეგა გაოგნებული, აზრშერყეული თითქოს შავ, ღრმა უფსკრულში ჩასვლას ვარდნად გამზადებული, ზედ მის მგზიდვლასთან შეაჩერა იმ უცნაურმა, უჩინარმა ძალამ, წელან რომ მოუწოდა რამდენჯერმე!

და უკვე იცოდა: აღარ მიასიკვდილებდა ცემით უხსენებელს, ამ მახინჯ, დავგალულ ბიჭად რომ გარდასხეულებულიყო, მაგრამ წამით შეზარა თავისმავე განზრახულმა.

„მას... შეგეძლო განა?“

ნელი, დინჯი ნაბიჯებით უახლოვდებოდა ჭერაც ზამბარასავით დაქიმული, შემართული, მაგრამ უკვე რამდენადმე მოთოკილი სიბრაზით.

— გაიმეორე!.. გაიმეორე, წელან რაც თქვი!

„თუ ბოდიში მომიხადა... თუკი მომიხადა ბოდიში...“

ინდის ენგარა სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა, თვალებში კი ისევ ის გამოწვევა ეღვა:

— შენ და დედაშენს...

თვალისწამში ხეთქა და მყისვე ძირს გაშხლართა. მერე აცალა წამოდგომა და... ანაზღუელად ინდის ხელში დანამ გაიელვა. სანამ რაიმეს გააზრებას მოასწრებდა, მერაბმა გაქცეული ბიჭის ზურგს ჰკიდა თვალი და დანას, განზე რომ მოისროლა.

„ჩამარტყა?!“

უნებლიეთ მუცელზე იტაცა ორივე ხელი.

„სისხლი?!“

„შეუძლებელია!“

ტკივილნარევი განცვიფრებით დასჩერებოდა თავის ხელისგულებს. მერე ირგვლივ მიმოატარა დანისლული მზერა.

წკვარამი სიბნელე შემორტყმოდა გარშემო და ასე მოეჩვენა, ნელ-ნელა, მაგრამ გარდაუვალად იძირებოდა ამ თითქოსდა მაზუთიან, წებოვან სიშავეში. უსაშველო სიმძიმე დასწოლოდა ქუთუთოებზე და თვალებს უწყურავდა.

ფეხმოკვეცილივით შეტორტმანდა და ის იყო უნდა ჩაეჩოქა, უეცრივ შორი-ახლოს, უკუნეთში რაღაც პაწია შუქი აციმციმდა. იგი ხან ქრებოდა, ხანაც ისევ ინთებოდა და თანდათან უახლოვდებოდა.

„მე ალბათ სიზმარში ვარ! — გაივლო გუნებაში წამიერად — და როგორც ერთხელ, ახლაც გრძელ და ბნელ გვირაბში ვიმყოფებიო“...

სინათლე მატულობდა და მისკენ მოიწევდა.

დედა!

„ნუ გეშინია, შვილო!.. მე შენთან ვარ. არ დაგტოვებ. შენ არ მოკვდები, დედა გენაცვალოს, არა შვილო!.. გამაგრდი, შემოგვევლე! გაუძევე!“

დედა თბილად, ალერსიანად უღიმოდა და ჩამომდგარ სიშავეში თეთრად, გასაოცრად თეთრად ელავდა ეს თვალისმომჭრელი ღიმილი.

„მე არ მეშინია, დედა!.. სულ არ მეშინია!“ — უნდოდა ეპასუხა დედისათვის ხმამაღლა, მხნედ, მაგრამ ენა ვერ მოებრუნებინა პირში. გამშრალ ყელში ბურთივით გაჩხეროდა რაღაც.

დედა კი ისევ ისე უღიმოდა. საბასუხოდ თავადაც სცადა გაეღიმა, მაგრამ... ძალა აღარ ეყო და მხოლოდ ოდნავ, ძლივს შესამჩნევად შეუტოკდა ბაგე.

„შენ და მამამ არ მითხარით მაშინ

დედა, რატომ მოჰკლა მონადირემ შვილი!“

„პატარა იყავ, შვილო, ძალიან პატარა, და... ვერ გაიგებდი!“

„ახლა კი... ახლა უკვე ვიცი, დედა!“

მოულოდნელად იქ, სადღაც გულის უშორეს კუნჭულში დარეკა იმედის ზარმა და თუმც ვეებერთელა სიმძიმი აწვეებოდა თავზე, ზურგზე, მთელ სხეულზე და ძირს, მიწისკენ ექაჩებოდა, ნები-სყოფის საშინელი, არაადამიანური და-ძაბვით სძლია ამ ძალუმ ძალას და... ბიჭი წინ წადგა. მერე მეორე, მესამე...

„გეგე ექიმი!“

მუცელზე ხელბმბიჭერილი ბარბაციით მიიწევდა იქეთკენ, სადაც საშველი ეგულებოდა.

მიდიოდა ნელა, ტორტმანით, მაგრამ დაჟინებული. ჩიუტი მიზანსწრაფვით და გარს მომდგარ კუნაპეტ ღამეში მეგზურად გასძლოლოდა ციციანათელებით აკიანთებული თვალეები და ღიმილი დედისა. ირგვლივ მოჯარულ სიბნელეს რომ ელვასავით ჰკვეთდა და ჰტანტავდა და ხსნის გზაზე გაჰყავდა შავი ბედისაგან სასიკვდილოდ გამეტებული პირმშო.

„ტრაპეზუნტიდან დაძრული დრომონები ის-ის იყო უნდა შემოსულიყვნენ ფაზის-ქალაქში...“

უშალ...

მესიზმრებოდა ნოეს კიდობნის
 შავი მტრედი და თეთრი კამეჩი,
 მაგრამ რომ უნდა მეთქვა მშვიდობით
 და შევრეოდი ზღვას ბნელ ღამეში

უშალ გაისმა კარებზე ზარი
 და საგულედან ამღერდა გული...

გამონათებას იწყებდა დარი
 და მწვანდებოდა
 ჭეჭილით ხნული.

იქნებ კიდევ...

მასსოვს, წინაპართა ხათრით
 ვჩურჩულებდი: — ღმერთო,
 ნუ იქმ ისე, შენს სახელზე
 სანთლები არ გვენთოს...

ნუ იქმ ისე,
 როგორც მტრებს სურთ, —
 ანუ ურჯულოთა,
 ერთხელ კიდევ
 დავითი და
 თამარი და
 შოთა...

იქნებ კიდევ იმ ლოცვებით
 გაიფოთლო, ბწყარო,
 ის კოშკი და ის სინათლე
 თვალს არ მიეფაროს.

რა მქანა მბტი...

ალარ შემეძლო
 და ბედს ვწყევლიდი,
 ალარ შემეძლო
 და ვეცემოდი...
 იწერებოდა ბოლო წერილი,
 იწურებოდა ბოლო ცრემლები.
 ვით ნასაყდრალზე სინათლის წვეთი,
 ვჭრებოდი კვლავაც წვითა და დაგვით.

ვჭრებოდი შენთვის, —
 რა მქანა მებტი,
 ვჭრებოდი —
 ხელში ჩატეხილ ჩანგით.

რომელ მხარეს...

სხვამ იმღეროს,
 მე ჩემს სევდას მივეცემა ისევ...
 საღ წავიდა ის ყვაველი,
 ის ნიაფი, ის მზე...

ან ბუხრის პირს
 თეთრი დედის
 მოლოდინით თვლემა...

რომელ მხარეს მოგიძიოთ,
 დამკარგავმა თქვენმა.

ვეფერები...

ვეფერები ჩემს ტკბილ კახეთს
 და მადლობას ვუთვლი უფალს...
 ჩიტისაც ხარ, მაგრამ, ნახე,
 ჩემიცა ხარ კუმპალ-კუმპალ.

ვეფერები ფარტენ-ფარტენ
 მთაში ნისლს და
 ბარში — ბალახს,

ღიმილს —
 სანთელივით ნათელს,
 ტკივილს —
 სანთელივით მაღალს.

ღვენთი

როგორც ასრულებდა ნატერის,
 ანდა მონატრება როგორც,
 ბზის ტოტით და ცისფერ კაბით
 ქაშვეთისკენ უხვევს გოგო...

შედის,
 საყდარს ნათელს მატებს...
 რა ქნას,
 უყვარს,
 მოსწონს,
 ვერ თმობს...

მის წილ ცრემლს და
 მის წყვილ სანთელს,
 ღმერთო, გადმოხედე,
 ღმერთო.

ისევ ვჩურჩულავ

რა დამავიწყებს მოხედვას
 თქვენსკენ, —
 ყვავილებს — თეთრი მონასტრის
 კართან...

დავიხრები და ვუკოცნი ფესვებს, —
 მე წინაპარიც ამ ბედის მყავდა...

და რომ წყარუნობს სიტყვაში სიტყვა
 და რომ სურნელობს იაში ია...

ისევ ვჩურჩულავ:
 — ხომ ყველა მიყვარს,
 ჩემს პოეტს მაინც აკაკი ჰქვია.

ხარეკელა

რახანია, ის წისკვილი, ის ჭრაქი და
 შუქა,

ჩაქრა, მაგრამ ხარეკელა
 კვლავ ზღაპრისას უკრავს:

— სად წახვედი,
 სად გექებო, ასე შორ-შორ როდემდი.
 — ბიჭო სხვაზე მათხოვებენ,
 ველარ დაგელოდები...

მითხარ,
 მითხარ, ხარეკელა,
 რამე წუთისოფელის,

საით ჩემი გზა და შუქა,
 საით ჩემი სწორფერი.

და შენც ნუ იტყვი...

არ ელეოდა გულს სალიდინო,
 არ ელეოდა ცისკარს ფერები...
 დღეს არც მე მიზის ცერზე მიმინო,
 აღარც შენ გიდვას კვალში მწევრები...

მაინც ამბობენ: აპრილიაო,
 ცას ესკვნებაო იეზის კვამლი,

და შენც ნუ იტყვი, —
 დაღლილიაო,
 ჩაეღლილიაო ის კობტა ქალი.

შენ ეს თქვი, თორემ...

ლხინიც ახლავსო ამ დღეებს,
 აბა, მოსალხენს რას ყველა ქარი...

აი, ის ლურჯი ყვავილიც ჩაქრა,
 ჩაქრობაზეა ის ფიჭვის კვარიც.

შენ ეს თქვი, თორემ ამ დაღლილ
 მინდვრებს

ისევ შემოსავს აპრილი ჩითით...

რა უჭირთ ჩიტებს,
 რა უჭირთ ჩიტებს,
 რა უჭირთ ჩიტებს,

მიფრინავს ჩიტი.

მთეზი

ამ მთებს რომ კიდევ სხვა მთები აკრავს,
 თამამად მიტომ გასახუბო: — აქ ვარ,
 თორემ იმდენი მყავს კვლავაც მტერი,
 რა საფარია ეგ მინდორ-ველი

და დღესაც ვიღებ სტვირსა და
 კომბალს
 და მთებისაკენ მივუძღვი მსურველთ.

ო, ვენაცვალე
 ამ მთების წყობას,
 ამ ცელის ხმას და
 ამ თივის სურნელს.

მხოლოდ ეს იყო...

მოკლესო!
 არვინ არ უწყოდა, რატომ და
 რისთვის,
 იდგა მაისი და შრიალი ისმოდა ისლის.

მხოლოდ ეს იყო, —
 ცირამ თეთრი შეღება კაბა,
 მხოლოდ ეს იყო, —
 წააწერა ვილაცამ საფლავს:

— ვიცი,
 არავინ არ გამოხსენებს, —
 სამაგიეროდ,
 არც მექნება წვივზე ბაწარი...

ვისაც არავინ არ უყვარდა,
 აქ განიხსენებს,
 მაგრამ ყველანი რომ უყვარდა,
 ისიც აქ არი.



შეხვედრები და სინანული

ჩემი ცხოვრების სიხარულსა და გულ-
 შემატვივარს ერეკლე ტატიშვილის
 სიოვნას.

წინათქმა

ნიკო სამადაშვილის (1905-1963) პოეტური მოწიფელობისა და დადგინების ხანა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფისა და ლიტერატურული ცხოვრების უაღრესად რთულ პერიოდს დაემთხვა: თავისუფალი აზროვნება მკაცრ არტახებში მოექცა. ახალგაზრდა კაცისათვის, მითუმეტეს, მკვეთრი და ორიგინალური მსოფლშეგრძნების მქონე შემოქმედისათვის, ასეთ დროს სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა ძნელი იქნებოდა. ნიკო სამადაშვილს, როგორც ჩანს, არ უღვია ეს. იგი არ გაპყვია პროფესიული ლიტერატურული ცხოვრების გზას და ჩრდილში დარჩენა ამჯობინა. იგი ვერ დათმობდა ვერც შემოქმედის თავისუფალ ნებას და ვერც იმ პოეტურ სამყაროს, რომელიც მასში კრისტალდებოდა.

თავის პირველ ლექსებს ჯერ კიდევ საეცემით ყმაწვილი ნიკო სამადაშვილი ვახტანგ კოტეტიშვილსა და ერეკლე ტატიშვილს უკითხავდა.

ერეკლე ტატიშვილი, რომელიც ნიკოს გორის ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლიდა და იქ დაიახლოვა, მისი სულიერი მოძღვარი და ინსპირატორი გახდა. იგი ნიკოს თავისი სიცოცხლის ბოლომდე რაღაც უცნაური ძალით უყვარდა. ვერაფერი გაიხსენებს ნიკო სამადაშვილთან ვერცერთ შეხვედრას, რომ მას გულისშემძვრელი სიყვარულით და თაყვანისცემით არ მოგეგონებინოს ერეკლე ტატიშვილი.

დაბეჭდილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ იშვიათ პიროვნებასთან ურთიერთობამ განსაზღვრა ნიკო სამადაშვილის პოეტური ბედიც და ცხოვრების თავისებური გეზიც.

მისი პოეზია მხოლოდ შემოქმედის გარდაცვალების მერე მოველინა ქართულ მწერლობას და, გარკვეულ ვითარებათა გამო, მეტისმეტად ძნელად, მაგრამ ჯიუტად იმკვიდრებდა თავის ღირსეულ ადგილს XX საუკუნის დიდ ქართველ პოეტთა შორის.

შარშან ჩეენი რედაქციით გამოიცა მისი ლექსების მომცრო კრებული „წუთისოფლიდან უკვდავებად“ (გამომცემლობა „ნაკადული“), სადაც თითქმის სრულად არის თავმოყრილი ნიკო სამადაშვილის ლექსები.

ამ კრებულთან დაკავშირებით ჩვენ მოგვიხდა მცირე განმარტების გამოქვეყნება („ლიტერატურული საქართველო“, 1989, 22 საქტემბერი) იმის თაობაზე, თუ რატომ არ მოვიწინდეთ ლექსებთან ერთად გამოგვეცა ნიკო სამადაშვილის პროზაული თხზულება, „შეხვედრები და სინანული“, რომელიც სრული სახით აქამდე არ გამოქვეყნებულა.

არადა, მათი ერთად დასტამბვა იმიტომაც იყო და არის შეუფერებელი, რომ ამ ორიგინალური სტრუქტურის თხზულებაში ნიკო სამადაშვილის პოეტური მემკვიდრეობის თითქმის ნახევარია შესული: პროზაულ თხრობაში ლექსები მთლიანად არის ჩართული.

„შეხვედრები და სინანული“ დაწერილია ხატვანი და ექსპრესიული სტილით, მძაფრი შინაგანი რიტმიითა და გამორჩეული ლექსიკური სიმდიდრით. რაც შეეხება მის შინაარსს, მხოლოდ გარეშე კაცს შეიძლება მოეჩვენოს მემუარული ყაიდის თხზულებად. ხოლო სინამდვილეში შემოქმედის ბიოგრაფიის ემპირიულ მხარეს კი არ აღადგენს, მხოლოდ მისი სულიერი ყოფის სურათებს აცოცხლებს. ეს იმგვარი პროზაა, რაც თავისთავადი ღირებულების გარდა ნიკო სამადაშვილის პოეზიის არსშიც უფრო ღრმად გვახედებს.

ერთი სიტყვით, მხატვრული აზროვნების ნაყოფია და არა ავტობიოგრაფიული ნაწარმოები.

მაშინ მკითხველს იმასაც დაგვირდით, რომ რაც შეიძლება მაღე გავაცნობდით „შეხვედრებსა და სინანულს“ სრული სახით.

მართალია, მისი ნაწილი დაბეჭდილია 1982 წ. „ლიტერატურის მატანიას“ 7-8 გაერთიანებულ ტომში, მაგრამ რადგანაც ეს კრებული შეზღუდული ტირაჟის გამო — ნაკლებად ხელმისაწვდომია, ეს ნაწილიც აქ ხელახლა განმეორდება, მითუმეტეს, რომ აღქმის მოლიანობაც არ დაირღვეს.

და, აი, ჟურნალ „ციცკის“ მხარდაჭერამ დანაპირების შესრულების საშუალება მოგვცა.

თამაზ ჩხენკელი
 როსტომ ჩხეიძე



ის ჯანლებმა გამოსცეს...
 ნისლევის ფერად შეღებვს ადამიანი.
 იქნებოდა 1916 წლის დამდეგი. იმ
 ხანად ჩემი მეგობარი მწერდა:

„ვინ იცის, რამდენაირ მოდგმის ადა-
 მიანს უწერია თავისი ცხოვრება: ზოგს
 ალალი განცდები ძნებათ შეუქრავს და
 წრფელი სტრიქონების ვარაყიანი ზვი-
 ნები აღმართნია; ზოგიერთს მთელი თა-
 ვისი სიცოცხლე შთამაგონებელი ფიქ-
 რების ელვარებით, საღმთოსავით აუტა-
 ნია პოეზიის მწვერვალებზე; ზოგიერთ-
 თაგანის ცეცხლმოკიდებულ გულიდან
 დაგუბებულ წარსულს ნიაღვარივით
 გადმოუხეთქია, გაურღვევია მოთმინე-
 ბის ჯებირი და ზურგ შექცეულ კაცობ-
 რიობას ყვირილით გაჰკიდებია. ვილაც
 მატაოცს კი ნაძალადევი ამბები თი-
 თებიდან გამოუწერია და ისე აუბნევია
 საკუთარი მისამართის გზა-კვალი, რომ
 კაცს გახირულ ბარდებში თავბრუ დას-
 ხმია.

რამდენი ოქროპირი შეუჩვენებიათ.
 შეურისხავთ; რამდენი კეთილი ადამი-
 ანი ტანჯულია ცილისწამებით და მძულ-
 ვარებით? რამდენი ბუტუსურა რეგვე-
 ნი გამოტყლარკულა განდიდების ტახ-
 ტრევანზე!.. არა გჯერა? აბა გახედეთ:
 გადარეკილ საუკუნეების შარა-გზებ-
 ზე ჩარიგებულ მათიანეთა ფურცლე-
 ბის კავკავს!..

მამა-პაპათა ობმოკიდებულ თარო-
 ებზე, ეხლაც ხომ ჩაყვითლებულ
 ხელთნაწერების ზედახორაა, შემოქმე-
 დების აღმურით დაფერფლილ განსვე-
 ნებულთა მივიწყებაში უჭირისუფლო
 სასაფლაოებს რო შეჯიბრებიან.

რა ვუყოთ, თუ აუარებელ გულშე-
 მატკივრებს აშმორებულ წიგნთსაცავე-
 ბის ძველი პატივი მზის გულზე გაუქე-
 ქიათ, შეხებიან ფეხებგაფშეკილ აჩრდი-
 ლებს, ან ხელი წაუტანებიათ იმ გადამ-
 ტანარებულ ლანდებისათვის, ჟამთა სი-
 ავესთან ბლლადუნით რომ დაღლილან
 და აბლაბუდას მტკერში ამოგუნგლუ-
 ლები, გაქვარტლულ კუთხეებში ნამ-

ტირალევ ქანდაკებებით ატუზულან.

წუთისოფელი სფინქსების მღუმარე-
 ბას წაავას. ო, რაოდენი ეპოქების ღრი-
 ანცელი მისწყდა ამ დასაქცევ სფინქსე-
 ბის ზღურბლთან. და ათიათასი წლე-
 ბის თავქვეებზე დაგვიტოვა: გაციებუ-
 ლი ბრჭყვიალა კარვები, მშვილდ-ისრე-
 ბით დაკორტნილი კედლები. მომაკე-
 დავთა დრტივინვა, ურდოთა შებებზე
 წამოგებულ ბაღლების გნისი, უბელო
 ცხენების ჭიხვინი და სისხლის მორეე-
 ში დაცემული ტრიალი მინდვრები. ეჰ,
 უთვალავო დროების სრბოლავ, რა აუ-
 რაცხელ მატლებს და ჭიადლებს ანად-
 გურებ, მაგრამ, ნეტავი თუ იცი შენი
 ბასრი ნისკარტით რა უწყალოთ კორ-
 ტნი სამყაროს მერქანს!

ვინ იცის, რამდენ მადლიერ ადამი-
 ანს მორვეია ლოცვების ჯანლი და თა-
 ვის გაციკროვნებულ სენაკში მუხლებ-
 ზე დაცემულა. მორიდებია ტაშის გრი-
 ალს, აკვატებული ხალხის თვალთვალს,
 წეტარების ზადდაკრულ აღერსს და
 საკუთარი ძვლების ჰალეებზე შექვავე-
 ბია: თავისი თრთოლვა და სინანული.
 შემადრწუნებელ სიცარიელეს კი მზვა-
 რასავით უბღავლია ქვეყნიერების სა-
 ნახიროზე.

აბა, შეხედე დაღვრემილი ისტორიის
 ამოვარდნილ როკიდან, როგორ ელავს
 პილატეს გესლიანი ღიმილი და რა უშ-
 ნოთ ჩაუჯაჯია ვერაგ გოლგოთას ქრის-
 ტეს დაფხრეწილი პერანგი.

ხედავ, რა დაემართა ჩვენს მდინარე-
 ბას! თითქოს რალაც აყლაყულდა, ჯაგარ
 აქოჩრილი წყვილიდი გადაეფარა. მაგ-
 რამ გულს ნუ გაიტეხ! დიადი შთამომავ-
 ლობის ფეხის ხმა და გუგუნი ისმის! ის
 მზეების ფარას მაგონებს, სხივების
 წარღვნა უკუნეთს ხმაურით მოარ-
 ლევეს!“

ეს იყო მეგობრის უკანასკნელი
 წერილთაგანი, რომლის ცხოვრებას თუ
 არა, შეხვედრებს, ან გაგონილს, მაინც
 მოგიყვებით. იქნება ზიზღთან ერთად
 სიხარულიც მოგგვაროთ იმ ადამიანმა,

რომელიც თავის უმაღლურ სიცოცხლეს თერხვევით დაღმუოდა, ვით დაუშრეტელ სივალაღეს.

ჩემს მეგობარს ბავშვობიდან ვიცნობდი. მუდამ გალაღებულს, მოუსვენარს, დაუდგრომელს, თითქოს წერას აეტაცნა. იმის თვალეზში კეთილშობილი გულის ჭავლი ლივლივებდა. თავგადაპკვდარი იყო ცელქობაზე, ოლონდ ეზოს ჭიშკარს მიფარებოდა, აღარ დაგიდეგდა მოსვენებას, ძილს, სანამ როკაბი გამზრდელი კინწისკვრით არ დაითრევდა მიწისკენ ხოლმე.

სოფელი, სადაც ის იზრდებოდა, არც ისე წარბტაცი იყო ფერადი წალკოტებით, ათქვირებული ხოდაბუნებით, მით უმეტეს ქართველი კაცის თვალში, რადგან ჩვენში კენჭი რომ გაისროლო ვარდის ფურცელს გაკენწლავს, ან ვერხვის ფოთოლს შეარხევს, სამაგიეროდ, იმ სოფლის მიდამოებმა იცოდნენ სახნავ და ახო გაჭრილ მთებ შორის ფერადი და გრძელი საღამოები. ბარში და ფერდობებზე გადაჭიმული თვალუწვდენი ზერები, ნამყენი ხეხილით დაბურული ბაღები, შიგ დაქსელილი ნაკადულები რომ ჩუხჩუხით მიყაყანებდნენ; აქლემის კუზივით აწეული ბოგირები, ასწლოვან კაკლის ხეების ტოტებქვეშ შეჭრილი ვიწრო საურამე გზები; ასკილის, აწლოს და მაყვლის ბუჩქებით სვია გადმოყრილი ორლობები; ქედგანიერი უღელტეხილებით დასერილი სივრცეები, ნატიფ სიმშვიდეს ჰგვრიდა ადამიანს. სოფლის შუაგულში ქართული აგურით ნაგები ძველი საყდარი, თავისი ხმაჩახლეჩილი სამრეკლოთი, გაბუტული მონაზონივით ატუზულიყო. ირგვლივ ქებატალახა ერდომორეცილი სახლები, ცარცის ბანებით და ალაგ-ალაგ ხავსმოდებული ყავრით გადახურულნი მთევლებივით წაყრილიყვნენ.

მჩქეფარე მდინარის გასწვრივ გახუწყვეტლივ მოისმოდა ხნიერი ქანდრების ბოზი შრიალი.

წლები დასავლეთისაკენ მიფრინავ-

დნენ და ყვილით ინთქებოდნენ ლურჯათ მოკირწყულულ ცის კამარებში

ჩემი სიყარმის მახლობელი ხშირად მღეროდა ხოლმე:

მამაჩემს დავრჩი ბიჭი ობოლი,
მზრდიდა ვერხვების რწვევა და ტაში.
როგორ მიყვარდა ჩემი სამშობლო
და წეროების ძახილი ცაში.

რაც დრო გადიოდა და დღეები პაერში გაფანტულ კვამლივით ილეოდნენ, რაღაც ცოდვის კითხვა ეუფლებოდა ჩემს მეგობარს: აგრე რიგათ ველარ ნახავდი აღტკინებულს, ტანს იყრიდა და ტანთან ერთად უჩვეულო მჭმუნვარებასაც; ჩანჩქერივით რაც ვაკეზე მოიწევდა, იმდენად უფრო ტბორდებოდა, მორევივით ერთ ადგილზე ბრუნავდა. იქნება უთავბოლო ცხოვრების ბრალი იყო? ან იქნებ, რაღაც ბედუკუღმართობა გადაეღობა და კნუტებდაყრილ კატასავით თვალეზში ეცა? აბა რა ვიცის... ძნელია მიწას ადამიანათ გადაქცეულს ყველაფერი მიუხვდე. ის კი ცხადლივ მოსჩანდა, რომ ჩემს მეგობარს სიცოცხლე ღვინოსავით ერეოდა და პოეზიისაგან თვალნაცემი, შერისხულივით დაწრილებდა შეშლილობის და ზმანების გაუვალ ჭირხლში.

ის, თავის მწუხარებას ყველგან მალავდა. ზრახვებს იოლად როდი მიმხელდა. ნაძალადევ ღიმილში ხშირად ვამჩნევდი გულისსაწიწკნ მაცდურებას. განაკერძოვებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი, თითქოს თავის ნაფხურებსაც ემალებოდა.

ის, ზოგიერთებივით დაღვრემილი თვალებით როდი მატაოცობდა. ის, თავის ცრემლებს მთვარის სინათლეზე მარგლიდა. ის თითქოს თმებგაბარჯლულმა მეკობრეებმა ნავტიკებით გაიტაცეს ამაოების გავერანებულ ნაპირებისაკენ. თითქოს იმის სხეული თებერგლის ქარბუქს გამოეფულრა და გაყინულ გულმკერდზე დარდის ლოლუები წვეთავდნენ.

ის თითქოს ღამეების გადაღმა გაფთრებულ გრივალებს ეხვეწებოდა,

რომ კუბოს აწევას მინც მიშველებოდნენ.

და, აი საცაა... ფრიალო კლდის ქაფზე უნდა გადამტვრეულიყო, მაგრამ ხელი სტაცეს და გადაარჩინეს.

ყოველ სიცოცხლეს თავისი საკუთარი საბუღარი გააჩნია, თუმცა ყველა მოქმედებას აშკარად როდი სდაგავს.

მომიტვევთ, ეს ნაკუწებიც საკმარისია. ხანდახან მესერის დარანიდან, თუ ჭუჭრუტანებიდან ცუდათ როდი მოსჩანს კარმიდამო. ადამიანის ცხოვრების დაწვრილებით მოყოლა რის მაქნისია.

ეხლა კი შეხვედრები.

განდობა

გახსოვს, როგორ გავიწუწუეთ, მთვარე ზღვაში რო ჩადიოდა...

მკათათვის ხვატი იწურებოდა, როცა შავი ზღვის სანაპიროსაკენ გავემგზავრე. ზღვასთან მარტო ჩემი დაღლილი ჯანმრთელობა როდი მიმქონდა. ზღვისკენ მიიწევდა ქალაქის ხმაურით დაფუტკვნილი ნერვები, დანაცრებული თრთოლვა და აღფრთოვანებული ვედრება მის ავყია ტალღებთან.

მატარებელში ყბედი მგზავრების ქაქანით გული მისივდებოდა: ტყუილუბრალოდ წიწმატობდნენ, ცეცხლმოკიდებულ ბურბუშელასავით ინთებოდნენ. განსაკუთრებით ვიღაც ნოლა ყმაწვილი კაცი, ისე წამოჭარხლებულიყო ხელოვნებაზე პაექრობით, რომ კისერიც კიბოსავით გაწითლებოდა.

— ხელოვნება სარკეა, სარკე! — დავობდა და ანჩხლობდა ბედურგები.

— საზეიმო ვითარებაში მოგახსენებთ, რომ თქვენ მეტისმეტად ელაში ბრძანდებით, არისტოტელეს შეხედულებას ლიტერატურაზე არ იცნობთ, არა! — მამლაცინწასავით წააკიდებოდა შორგვივით ჩაფსკვნილი ჩერჩეტი მეორე ქერა მგზავრს, კაცი რომელიც ათინელ ბრძენს კი არა, ბარბარე ჭორჭაძის ლექსებს ჭლოყინით კითხულობდა: ვერ გაიგებდი რა თავქვას ახლი-

და: ჰროლა თვალებს უგვანოთ აბოია-ლებდა, პირის კუთხეებთან ქაფი...

და, ყელის ძარღვები ეკიმებოდა, ისე ყვიროდა, იტყოდი, თონეში თავდაყირა ჰკიდებენო; ხელებს წამდაუწუმ ბარკყავდა, ბევრჯერ მოვარიდე ცხვირი-რი იმის კოტიტა თითებს. ხან ხმაგაკმენდილ მგზავრებს ისეთი იერიით გადმოგვხედავდა, თითქოს ჩვენი სახის გამომეტყველებაზე კითხულობდა თავისი უმწყო გონების სიღარბაისლეს.

გულთამხიბლავო რუსთაველო! და მგზნებარე დანტეე! ო, როდენი მშვენიერება მოჰფინეთ ქვეყნიერებას, იმდენი ავიც მოუტანეთ ზოგიერთა ჰონდრის ადამიანებს, რამდენს დადანებენ თქვენზე, რამდენს კინკლაობენ, რა გულგასაწყალეზლად იყეფებიან, ნეტავი რაზე?.. ნეტავი რისთვის?..

მატარებელს რიყრაყი ქედანივით აედევნა და ზღვაც გამოჩნდა. ზღვის მოქანავე მინდვრების დასასრულთან გემი ამოყურყუმელავდა, როგორც სამანი ქვეყნიერებისა და სივრცეებ შორის ჩაგდებული.

ვისვენებდი სანაპიროს ახლო გაშენებულ აგარაკზე. ბანანის მანეულით დაწულულ სავარძელში შუაღამის გადასვლამდის ვიჭეკი ხოლმე. საკუთარ ფიქრებსაც გზას ვუქცევდი, რომ მარტო ზღვასთან ვყოფილიყავი, რატომღაც დიდხანს, რატომღაც სულის ამოხდომამდე.

სალამო ხანი იდგა. შორს... შორს ცის კაბადონები ჭყუმბალობდნენ.

ზღვის მივარდნილ კიდეებთან მზეს მრგვალი სანათური გამოეჭრა, თითქოს სანათურში მეორე წუთისოფლის ცეცხლი ლაპლაპებდა.

ცად აჭრილ უხვი სხივების ხარაჩოებს ზეცის გუმბათები შეეთქორათ და პალმის ფოთლებს შიგ თვალეზში უქვრიტინებდნენ.

ამოლტილი შვინდისფერი ტატნობები ქირმანის ხალიჩებივით ბრწყინავდნენ დასავლეთისაკენ.

აღზნებული ზღვა ბორგავდა, ეტყო-

ბოდა პაპანაჭება სიცხეს დაეკრა, რადგან ხანგამოშვებით მთვრალი ვეშაპივით ილანძღებოდა.

მისეირნობდი. გაანჩხლებული ტალღები ჯაჭვდამბული ნაგაზებივით მიტევენენ. ტანწერწეტი კიპარისები მუნჯი მოგვებივით მომჩერებოდნენ.

ვარსკვლავების ფარა ბინდის ნეკერს ახრამუნებდა. ფოთლოვან ხეებში გრილი ნიავი მძინარე ბელურებს გვერდებზე მისწოლოდა, ვით გვრიტების სიზმარი.

მოაგარაკეთა ნებიერი ქრიამული ხვანთქლასავით მოსდებოდა მთელ არემარეს.

უცბად, ვილაც წამომეწია და ნაცნობი ხმით შემეხმავრა. ჩემი მეგობარი ჩამოსულიყო! ის, ვინც მთვარეულივით ამედევნა, ვინც ჩემში იწვევდა სიბრალულს, ვისაც გადამტკნარებულ სახეზე და შავათ ჩასრესილ ქუთუთოებში შერწყმოდა პოეზიის გზათვალალობა.

ორივეს კრიჭა შეგვეკრა. ჩვენ სიჩუმეს ზღვის ხმაური ჭანგივით ედებოდა.

რა კარგია მეგობართან ყოფნა და ხეტიალი, როცა გულის შუქი თვალებიდან იჰყიტება, როცა მკერდიდან სინათლე ჟვანამს, როცა ამოფრენილი სიხარული მტრედივით მარცხენა მკლავზე გიზის და შენთან ერთად ლულუნებს.

მეგობარმა დუმილი დაარღვია:

— ნავსი გავტეხე! იცი, რომ შენს სახანავად ჩამოვედი?

— ხომ გჯერა, როგორ გამეხარდა!

— როგორ არა, ერთგულ მეგობართან ყოფნას რომელი აგარაკი შეედრება! — ჟიჟივებდა ჩემი გულჩახვეული მეგობარი.

— ცამდე მართალი ხარ! — კვერს ვუკრავდი.

— ნეტავი, თუ კიდევ გახსოვს ჩემი ლექსები? — მორიდებით შემეკითხა.

— როგორ არა, განსაკუთრებით ზოგიერთი!...

— არ ვიცი, რა დამემართა ეს ოხერი, მარადისობაზე ფიქრი შემძულდა.

— განა მარადისობა არსებობდა? უკმეხათ წამომცდა.

— ის დიდხანს მეფობდა... პოეზია მარადისობამ დაასნეულა.

— თითო ჭირი რას გამოელევა ადამიანს, — ალაღბელათ წამოვიძახე.

— აბა დამიგდე ყური. — ჩემმა მეგობარმა განაგრძო.

ნაძვები კუბოს მისავენებდნენ, წინ ყვავილები მიჰქონდათ ქარებს, მიწიდან მთებამდე უსტვენდნენ, პირქვე რომ ეგდო მსოფლიოს გარეთ.

ის, სივრცეს გაჰყვა ხელ აპყრობილი, თვალებს სინათლევ არ მიაკარა, წადილი, გზნება — ტალღების ჩრდილი, გულქვა ავღრების წინ გადაყარა.

თითქოს სიკვდილიც რჩებოდა ოხრად, მარადისობაც დასწყევლა, დაჰგმო, ღამე ტირილით გამოიხურა და გათენებას ვეღარ მიავნო.

ვერ შეუბრუნეს გზებმა ბუნება, თუმცა ბავშვივით უჭერდნენ ხელებს, ნაფხურს ეთქვა: არ დაბრუნდება!.. ქარი ამაოდ ეძებდა მკვლევებს.

გვარი რა არის, არც კი ახსენა, არც მიაქვდა ლურსმანი კარებს... ნაძვები ცხედარს მისავენებდნენ და გვირგვინები მიჰქონდათ ქარებს.

ორივენი ვდუმდით. ღამედარეულ ბაღებიდან მოისმოდა საამური ქართული სიმღერა, როგორც ბავშვურ სიყვარულში ჩაწნული უმანკოება და ჟრუანტელი.

ზღვა გუგუნებდა. ზღვის გაუთავებელ მოთქმას ქარშეყრილ ფრინველებივით ასდევნებოდა ათასეული წლების წიოკობა.

ზღვა დელავდა, თითქოს ზღვაში ხარხარებდნენ ქარიშხლები.

ნეტავი, ვინ იყო, ვინა? ვინც თავისი მოგროვილი სიცოცხლე გულქვა სამყაროს წინ გადაყარა?.. ვისაც სიკვდილიც ოხრად დარჩა და ღამე ტირილით გამოიხურა?! იქნებ ზღვის ნათურა ზვირთებმა იცოდნენ, სიღნარევი ჭვიშაზე, ფერად ნიჟარებზე, გაკრიალე-



ბულ რიყეზე გაუჩორკნავ ბორბლები-
ვით რო ხრიგინებდნენ?...

იქნება სახე შერყეულ ცხედარს ზღვის
ტალღები რიგრიგობით მისვენებდნენ
და ელამი გვირგვინები მიჰქონდათ
ღრუბლნარა ქარებს?!.. ვინ იცის!.. ვი-
ნა?..

ზამთრის სიზმონია

დაფეთებული რიყრეები ისე მინამქრე,
რომ ღამე შიშით ვარსკვლავებშიც ვერ
შედიოდეს.

ჩემი მეგობარი ერთ მივარდნილ სო-
ფელში თავის ნათესავს შეეხიზნა. იშ-
ვიათად მწერდა ბარათებს. ზოგიერთ
წერილებში ასეთ გულისწყრომასაც შეხ-
ვდებოდი:

„იანვრის სუსხი ძვლებში მატანს.
გამოკეტილი ვზივარ ფარალალა
ოთახში, მამიდაჩემმა სამადლოდ რომ
მომიგდო.

ბუხრის გუზგუზს დარდებს ვაყო-
ლებ. ზამთრის ვარანგი ასასივით დამწ-
რიალებს ყველგან. ვერაფე სიჩუმე ობი-
ვით მეკიდება. მშიერი მგლები სოფ-
ლის გზებზე თავისუფლად დათარეშო-
ბენ, ხან ზედაველაზე შემზარავათ ყმუ-
იან; ღამით აშვებული ძაღლები უბან-
უბან ყეფას რო გააბამენ, სასაფლაო-
დან მკვდრები გადმოდგებიან ხოლმე,
მიცვალებულებს თვალს მოჰკრავენ
თუ არა ნავაზები, ისეთ წკავწკავს ატეხ-
ენ, გეგონება ჭკუა შერყეული სარან-
გები მიწას ფხოჭნიანო.

ამ ყინვაში გაშიშვლებული ხეებიც
სულდგმულებივით ბაბანებენ. ღამით
კაცის ქაჰანება შეიძლება იგრძნო: ტყი-
დან მომავალ შეშით დატვირთულ მარ-
ხილების კრაჰა-ჰრუჰზე, მგზავრის ფე-
ხის ხმა გაფიჩხებულ თოვლის ხრაშა-
ხრუშზე, ანდა ბოსლების კართან ან-
თებულ კრაჰების მოძრაობაზე.

დასწყევლოს ღმერთმა აქაური ღამე-
ები, მოვლენ, სოდომებივით ჩამოსხდე-
ბიან და ალონამდე ისეთას იბღვირე-
ბიან, რომ აღარ იცი რა წყალს მიე-

ცე. ხედავ! ოდესღაც განდენილობის
დამთრგუნველს, რა დამემართა...

რა თქმა უნდა, ამ სტრიქონების
მფლობელი თავის შეჩვენებულ ორე-
ულთან ფარიკაობდა, ზამთრის ვაგლახი
სიჩუმე უფრო ამხედრებდა, ვიდრე
აშოშმინებდა.

ერთი პირობა წერილების გამოგზავ-
ნაც შეწყვიტა. ვიცოდი იმის უცნაური
ხასიათი: კარგა ხანი ხმას არ გაგცემდა,
მაგრამ, განა შეიძლება მეგობარს დაე-
მდურო, როცა ის ლოცვებს აღავლენს?
ან, რა ბედენაა გულის თანატოლს მუ-
დამ კრიჰაში უკირკიტო და ხატაურა
კატასავით მის ბაგებთან იყვე ჩაუტე-
ქული. პოეტი თავის ნებაზე უნდა მიუ-
შვა, ჰო, რა ვერაგობაა: შემოქმედი
ცხენივით შეკაზმო და ზედ შეახტე,
არა?

კვირადალს თოვლი ბარდნიდა, თით-
ქოს ვეება ღრუბლებს თეთრი ფარფლი
სცვიოდათ. ბინაზე დავბრუნდი. სა-
წერ მაგიდაზე პოეტის უსტარი დამხე-
და. მოკრძალებული სტრიქონები შემო-
მჩიოდნენ:

„ჩემო კეთილო! ნუ შემრისხავ, რამ-
დენი ხანია ველარ შეგეხმაურე, ყველა-
ფერი უნდა მომიტევეო. რომ შემირიგ-
დე, გიგზავნი პატარა ნაწარმოებს. ბუხ-
რის ალზე ვძერწავდი და, რატომღაც
მინდა, შენც განიცადო შენი მეგობრის
მღელვარება და სიხარული:

ცივა, ნალველი მედბა გულზედ,
თოვლია ვარეთ, აღარც გზებია,
ენტე ბუხარო და ივუზგუზე,
მე მიინც სითბო არ მღირსებია.

კვამლო არ შეწყდე, გასწიე ზევით,
გაჰვარტლე ზეცა, ღმერთმაც ვერ გძლიოს,
უსახლგროგობა ისე შესულდრე,
რომ დედამიწას გზა აერიოს.

წარმავლობა მიზიდავს უღრანს,
იქ არც შუქია, არც ლაქვარდები,
არარაობა დაიწყებს ღრენას.
და იკვირებენ ეს საფლავებიც.

ჩამბრჩვალი სივრცე ყრუთ იმიშინებს,
ხმას გაიკმინდავს ზღვა და გრივალი.

ვინ იცის, რამდენ მზეს შეაშინებს...
ჩემო პლანეტაც შენი ღრიალი!

ზეცა ათასგან დაიღრღიება,
კვამლს მოედება დროთა ისარი.
სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც
ჩაფიქრებული, როგორც მისანი.

ღამეა, ბუხრის ცეცხლი გუზგუზებს,
გარეთ ტირიან თოვლის მინდვრები.
ვზივარ სიოცხლე გაბეზრებული,
სისხლი მიშრება, ვატყობ ვფიორღები.

ასე მწერდა ჩემი მგოსანი. ასეთი ან-
ჩხლი და ასპიტი ხდებოდა, როცა ამ-
ღვრეული თვალებით მიეჭრებოდა
ქვეყნიერებას. როცა ბურუს ჩამოწო-
ლილ გზებზე კვალდაკარგული ფრინ-
ველივით წიოკობდა.

ბუხრის კვამლსაც კი ვევედრებოდა,
რაღაც მზაკვრულს, რაღაც არაადამიან-
ნურს — ეს კარგის მომასწავებელი
როდი იყო. ეს შეგბნელი პოეზია ძან-
ძახი ამინდების წინამორბედი გახლდათ.
იმის შემოქმედების ჭიშკართან სახეა-
ლწილ ღმერთების ბუზღუნის ისმოდა.

ბუხარი კი, პოეტის ტიალ ვედრებას,
მისი ოცნების თოვლქუყავს, რას დაგი-
დევდა, ვაცრეცილ ღრუბლების ქვეშ,
ბანიდან ამოჩრილ პირმოტეხილ ქვევ-
რის ტუჩიდან ამოხეთქილ სქელ კვამლს
ყალიონივით აბოლებდა და სოფლის
შელმართებს უაზროთ გასცქეროდა.

თეთრცხილას მუგუზღების ტკაცა-
ტკუციტ გამოვარდნილი ბუხრის შუქი
პოეტის ზურგის ლანდს ოთახის კედ-
ლებზე და ქერზე სათუთათ არწევდა.

ჩვენი პლანეტა ათასნაირ ენაზე მო-
ლაპარაკე ხალხით დახუნძლული, გა-
თელილ უსაზღვროებაში თავის გზას
განავრძობდა; ხან მოვარეს მიინთებდა
ხოლმე ვარსკვლავების უდაბურებაში,
რომ წარმავლობის უღრანს დანდობი-
ლა არ წასწყვეტოდა.

ძველი სარდაფი

გაიჯახუნებ შუაღამეს ფეხის ბარბა-
ციტ.

ცის კამარებს ზამთრის საბურველი
ჩამოეხსნათ. მერცხლები გაზაფხულის

ლალისფერ კუწუბებს ქარგავდნენ. ცის
ტატნობებს სერავდნენ, სივრცეებში
ბეჭურზე ლაქვარდები გადმომდგარი
ვინ.

მგოსანი ქალაქად მესტუმრა. რატომ-
ღაც სოფელზე ამრეზიოიყო. სასმელს
ეტანებოდა, მალიმალ ჩამიჩურჩულებდა:
სულმა წამძლია, წამოდი სადმე, ნუნუა
ვხუხოთ. ხშირად ბანზე ავუგდებდი
სიტყვას, მაგრამ შენც არ მომიკვდე,
დიდი მიდგა და მეტად თავნება კაცი
იყო, ურმის ხელნაზე მიბმულ ნალოსა-
ვით ამითრევდა; კერპი იყო, როგორც
ურთხელას ლატანი; სულთამხუთავივით
ჩაგაცივდებოდა, თავის ნათქვამს არ
გადავიდოდა, თუ გინდა წინ ფიანდა-
ზად გაშლოდი, სხვა გზით ვეღარ და-
იყოლებდი, მაინც თავისას გააქენებ-
და.

ერთ ღამეს ქალაქის განაპირა უბანში,
ქერდაბალ ღვინის სარდაფს მივავენით.
იკრიბოკრო კიბეზე ცალხელა ხარბე-
თი, თითქოს წამწყმელთა სავანეში თავ-
დაყირა ჩავეშვით.

ღატაკ და ფერდებმიკრულ მგზავრე-
ბისათვის პირდაპირ მისწრება იყო.
ფეიქრობდი: ცოტაოდნის დაგნაყრდე-
ბით, ერთ-ორ ჭიქას გადავკრავთ და ამ
ით დამთავრდება ჩემი მეგობრის ჭირ-
ვეულობა.

სარდაფი გვერდებშეკვლილი თუ-
ნუქის ჭრაქებით გაენათებინათ. თუთუ-
ნის ბოლი მაყალზე აშიშინებულ სუკე-
ბის ოშხივარს შერეოდა და უზრდელი
მოქეიფენი ენას პირში ძლივს რომ იტ-
რიალებდნენ, ქვარტლში გათანგულ
ჯირკვებივით მოსჩანდნენ. ხრინწიანი
სიმღერები: „მე ავარად დავდივარ, ღა-
მე შინ არ შევდივარ... გახსენ ბაგე, გა-
მაგონე ხმა ნარნარისა“... გამობრუქულ
და ლაზღანდარა არიფიონთა ხარხარი,
გინება, უშვერი წაოხუნჯება, ერთი მა-
გიდიდან მეორეზე მეხვიით ეცემოდა.

სარდაფის კედლებზე ფუქსავატი მხა-
ტვრების ყალმით შეთითხნილი დედილ-
შობილა ქალების და ყანწიანი კინტოე-
ბის სურათები აგლესილიყო. აჭიკყნი-
ლი ფერები სიცხის ბულს ისე სქლათ

დაეოთქლა და დაელაქავებინა, რომ იტყოდ: ნესტისგან გაქუნთილი დი-
აცები სტირიან და ჰგოდებენ თავიანთ
დაკნინებასო.

მე და პოეტი კუნჭულში მიღგმულ
მაგიდას მიუხსნელით. ხშირად, ადამი-
ანმა ხალხის ზრიალში უფრო დიდი
ოცნება იცის, ვიდრე სადმე განმარტო-
ებით. ამბობენ: ქარიშხლების დროს
უდაბნოც ფიქრობსო!

— რაღა ამ გასაოხრებელ ბუნაგში
შემოგვებტეთ! — გულისწყრომით
ვუთხარი მეგობარს, როცა ის შემკრ-
თალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— თუ შენ გგონია, რომ ჩვენ ნაკ-
ლებად გარყვნილები გახლავართ. —
მიპასუხა საეჭვო კილოთი.

ჩვენ სუფრასთან შეანგლებულმა შე-
გირდმა მოიბრინა, ამოშვებულ წინ-
წყლებიანი პერანგით, საყელო გადაღე-
ლილმა, წინ წელქვევით თეთრ საფარ
შემორტყმულმა, ჩვენ როდი დაგვაცა-
ლა ხმის ამოღება, ჯორის ტლინკები-
ვით მიაყარა:

— ახალი, ცხელ-ცხელი: მწვადი, ჩა-
ნახი, ფითი, კუჭმაჭი, შაშხი; ქათამი
მოხრაკული, ტაბაკა; ღვინო კახური,
ატენური, სვირული; შუშა კიტრი, დან-
დური, პიტნა, წიწმბატი, ტარხუნა!...

პოეტს გაეცინა, ოთხი ხელადა ქინ-
ძმარაული მოითხოვა და ორი ულუფა
შაშხი. მერე მე მომიბრუნდა:

— რა, არა გჯერა, რომ გარყვნილები
ვართ?

— შენ თუ ყველაფერს კული არ გა-
მოაბი, არ შეგიძლიან! — ხუმრობაში გა-
ვუტარე ჩემი საყვედური.

— შეხე, რა ალიაქოთი გაუდით სა-
ლახანებს! — თვალით მანიშნა.

— ეს ის ნავაგია, რომლის აწრია-
ლებას ქარიც კი თაკილობს.

ჯანდაბას! როგორც გენებოს ისე იფ-
იქრე, მაგრამ, ზოგჯერ რატომღაც მი-
ზიდავს ასეთ ბრბოსთან ყურყუტი.

— ეგ ავადმყოფობაა, ჩემო კეთი-
ლო! — შევესიტყვე მეგობარს.

— პოეზია განა ავადმყოფობა არ
არის?

— არა! ის ლვთაებრივი მშვენიერე-
ბაა. — ვუპასუხე.

— მე კი ამ მშვენიერების ხილვამ
დამასწულა.

— ეგ სისულელე რომ არ გეთქვა,
იცოდე, გაბერწდებოდი — ქედმალო-
ბით გადავკარი.

— შენ იმდენს იზამ, რომ ხელში შე-
მიკლავე! დღეს მინდა, რომ ამ სარდაფ-
ში გამომიდამდეს, თუ გინდა მთელი
სიცოცხლე.

არ ვიცო, რა ღმერთი უწყობო-
და მეგობარს, რაღაც ვერ ვეწყობოდი.

— რაც შენ თავდავიწყებამდე გიყ-
ვარს — განაგრძობდა პოეტი — ის
რომ ერთხელ აგისრულდეს, იმ ორმოც-
დაათი წლის ყოფას სჯობიან სხვისი
შემოტყვეით რო წარიმართება.

— შენს დაგეშას მე არ ვაპირობ, მაგ-
რამ...

— მაგრამ, ნეტავი იცოდე — შემ-
რისხა ჩემმა თანამოსაუბრემ — ხანდის-
ხან რა უხეიროთ შეკრულ გუდურას
დაემსგავსები ხოლმე.

ხმა ჩავიწყვიტე, რადგან კარგათ ვი-
ცოდი იმის უმძრახობის ჩოჩორზე
შეჯდომა. ანდა რა ძალა მადგა, რომ
მეგობარი დამმდურებოდა, თუ გინდა
ერთ წამოსროლილ სისულელეზე.

სადღევრძელოებს მოუხშირეთ, ხან
ალთას ვსვამდით, ხან ბალთას. რიგი-
ანათ შევეფერით. რა მწარეა, როცა სიმ-
თვრალესთან ერთად მთვრალი დარდე-
ბიც ავეტორლიალებიან, გულზე გეჭი-
ლებიან, საფეთქლებს გიხურებენ, ნეკ-
ნებს გიმტვრევენ, თვალში შუქს გი-
წრიტავენ, შუბლის ძვალზე გასკდებიან,
სხეულს გიმღვრევენ, ხომ გინახავთ
ახალგაზრდა კაცის მოღუშული სახე,
დასუსხული მწველი განცდებით. აი,
ასეთი იყო ჩემი მგოსანიც იმ ქამად.
მე კი, გახევებული შევეყურებდი იმის
ჩათუთქულ მღელვარებას.

უცბად ღვიძლი ძმასავით დადამეხვია
და დაიწყა:



ის ხომ ლექსს ვარდა არაფერს ჰქმნიდა,
თვალნაცემივით შფოთავდა ხშირად,
განა ვისაც რო ეს სენი სჭირდა,
იმან შეგზარათ და შეგამინათ?!

ის დაიღუპა ბედ მოკრძალებით,
ბნელოდა, საღუმდნენ დიდი ჰანდრები,
და კიფობდნენ შორს ვარსკვლავები —
მარადისობის ქუქრუტანები!

ცოტა ხანს ღუმდა, მერე ხელი ჩა-
იქნია და...

ის, ყოველ ღამე დაეძებდა ტიალ
სარდაფებს,
თითქმის ცისმარე დღე შფოთავდა და
ითვრებოდა.
შთამომავლობა მის ცხოვრებას რას
დაიჭერებს,
კაცი, რომელიც სულ ღვინოში
იფუფქებოდა.
რომ მას შეეძლო პოეტური უმანკობა,
მიწას ურბენდა, დედამიწის უარყოფელი,
არ დაგიღვდა, თუ უკმეხათ ედგა
დროება,
ან თუ სივრცეებს გაყმუოდა წუთისოფელი.
ვილაც, ლილინით ჩემ საფლავზედ ბალახს
გათიბავს,
იტყვის: რა კრულვით დაიღუპნენ მამა და
შვილი!
თან კლდის ნატეხზე მიაწერამს ოღანე
ირიბად:

რალაც არ მოეწონა ეს ლექსი, შეჩერ-
და და განავრძო:

მიმღერე კარგო და დამიწამე
ცხოვრება მუდამ უშინაარსო,
იმღერე, სანამ მყუდროა ღამე,
სანამ გრივალეებს სძინავთ ძვირფასო!

წავიდეთ სადმე, შორს დავესახლოთ,
იქნებ ეს ღამე იქ არ მოშავდეს,
დილით მინდვრების გაფრენა ვნახოთ,
სად ზღვის ტალღები სწინწკლავს
ლაყვარდებს.

ჩემ ბინის კარებს ქარიც არ აღებს,
სჩანს საქართველო კიდევ მემდურის...
იმღერე, დროა, პალმა შრიალებს,
და ცხენის ყელზე ღვიძავს ბედუნის.

უქანასკნელი სიტყვა ისე ხმაბალდა
წამოიყვირა, რომ სუყველა ჩვენ მო-

გვაჩერდა და გესლიანი ხარხარი ატე-
ხეს.

— რა დაგემართათ თქვე დალოცვი-
ლიშვილებო! ხომ არ ვატყავებენ, რა
გაღრიალებთ?! — ასე შეგვჯორა თავ-
ზე წამომდგარმა თვალეზდარეცილმა
დახლიდარმა და ოფლის ხვითქში აზე-
ლილი მელოტი თავი ქრელი ბაღდა-
დით მოიწმინდა.

— არაფერია, ლექსს კითხულობდა,
შენი ჭირიმე! — სიტყვა მოუჭერი მას-
პინძელს.

— ლექსი რომელია, აქ ტენატრი კი
არ არის! — იწყინა მიკიტანმა.

— ეხლავე წავალთ, თუ ძმა ხარ, არ
დაგვემდურო! — დაუყვავე სარდაფის
პატრონს და საჩხუბრად წამოწეული
მეგობარი დავაწყნარე.

— ბიჭებო, ეგრე არ ვარგა, თორემ
თქვენ იცით! — ესლა ამოხენეშა გაი-
ძვერა მასპინძელმა და, კაკლის ხის
ძირივით ტანი, ფურკამეჩის ოღენა ლი-
პი, ზედ ვერცხლის მძიმე ქამარი რო
ერტყა, ზანტათ დახლისაკენ შეატრი-
ალა. სიბრაზისაგან კბილები გააკრაკუ-
ნა და თავისთვის წაიბურტყუნა:

„თუ ღვინოს სვამთ, ღვინო ჩახეთ-
ქეთ, თუ არა და რას პეიტრობთ, ახი
კია, რომ კაცმა ერთი ლაზთიანათ მო-
გაყოლოთ...“

დანახარჯს გაუსწორდი — ჯიბეები
ამოვიბერტყე. ჩემი მეგობარი რის ვაი-
ვაგლახით წამოვაცენე, ის ბარბაცებდა,
მე კი უგვანოთ ვტორტმანებდი. მართ-
ლაც იმ ღამეს ვინც ილოცა, მხოლოდ
ჩვენთვის, რომ ძმადნაფიცები სადმე
ხრამში არ გადავიჩნებთ.

ქალაქი ძილში კრუსუნებდა. სად-
ლაც ეტლში შებმული იორლა ცხენე-
ბის თქარათქური და ირიბათ დაბრე-
ცილ ქვაფენილებზე აჩქარებულ მგზავ-
რების კანტი-კუნტი ფეხის ბაკაბუკი
ისმოდა.

ბნელ ქუჩებში აქა-იქლა ბუტუტადნენ
შუქდალეული ლიფლიფები.

ნიათ საზადაშვილი
შხავედრიანი და სინანული

ს. ნაკაგ



მეგობარი გულს ჩამღეროდა:

ხელდა ჩამოგვისხეს ხიდისთაური.
 თან ფიცულობდნენ, უნაკლოა, სუფთა
 მზე ცის დისკოზე მიიწვევდა გაშლილ
 მიწა რჩებოდა, როგორც ჭვარცმის შავი
 გულში ეძინათ წმინდა ნინოს შეფრენილ
 მკლავებით.
 მკვდრები ცივ სივრცეს მიჰყვებოდნენ და,
 ქვეყნიერების კოშკებისკენ იშვერდნენ
 ზღაშეთ გვქონდა მიწის წვენი
 არაგვი სჩქედდა — ლაქვარდების სათავეს
 სად არ გინდოდა, გაისმოდა ჩვენი ყაყანი,
 მაგრამ ჩვენ გულებს, აბა ვინმე თუ
 ზღაშეთ გვქონდა მიწის წვენი

— პილატეს შეკითხვა ხომ ეხლაც გა-
 ისმის, მართლაც რა არის სამყარო?
 რა არის ქეშმარიტება?... ამ ორი შეკით-
 ხვის კერპთან მუდამ ხელაპყრობილი
 იყავანებს ქვეყნიერება. ყველა საუკუ-
 ნის წინ თავისი ხატი მიუძღვება და ამ
 ხატის უკან ლაღადებენ დიდიდან პატა-
 რამდე: მე ვარ ქეშმარიტება!.. ვინ იცის
 იქნებ ეგ ოინებიც მოსწყინდეს ადამი-
 ანს და ისტორიის კორიანტელმა თავი-
 სი არანადებით გახვეტოს: თორები, მე-
 ჩეთები, ეკლესიები... რა დაემართება
 გამოყრუებულ კაცობრიობას?! მხო-
 ლოდ ჭრიჭინების სტვენა იმძვინვარებს.

— არა მგონია, ხელოვნება მაინც
 იცისკროვნებს, როგორც ძლევა მოსილი
 მეუფე, — გავამხნევე მეგობარი.
 — ვაი, თუ აღადიანებმა მოიწყი-
 ნონ. — ჩაფიქრდა პოეტი.

სწორედ ხილულმა ქვეყნის მოწყენამ
 შობა შეხერხდა დას და კრიშნას ზღაპრე-
 ბი.

— დამიჯერე, ღმერთთან თამაში დიდი-
 ხანია აღარ ენატრებათ ადამიანებს, ისე
 როგორც ბავშვებს ნაყიდი თოჯინა
 მობეზრდებათ ხოლმე.

— თუმცა, — რაღაც უნდა მეპასუხა,
 მაგრამ ენა დამება და ესლა აღმოჩნ-
 და: — ეჰ, რა ვიცო!.. — ამის თქმა იყო
 და მდინარის ხივილი შემოგვესმა.

— გაიხედე, ბეთანია გამოჩნდა! —
 მახარა მეგობარმა.

— რა დიდებულა! — წამოვიძახე
 აღფრთოვანებულმა, რადგან პირველათ
 მოვკარი თვალი ქართული დიდების
 ძეგლს.

— ეს ის ტაძარია, — მანცვიფრებდა
 მგოსანი — თავის არსებობის სამხარზე
 უკვდავებათ რომ აღიკვეთა. შენ უნდა
 ნახო: როცა დილაადრიან მტრედების
 ფრთებით, ხევიდან ამოქნილ ნისლებსა
 ძახავს, როცა ციცირისფერი ალიონები,
 სრიალებენ მის გუმბათებზე.

ასე აღტაცებული ჩემი მეგობარი
 არასოდეს არ მინახია. ტაძარს რამდენი-
 მე ბერი მწყემსავდა. ერთი ბერთაგანი
 მამა ექვთიმე ღვთისნიერი მართლმა-

— მგოსანი შინ მივაცილე, ძილინე-
 ბისა ვუსურვე.

სადაც, დაშორებული წუთისოფე-
 ლი დაუსაბამობის მისადგომებს გულ-
 საკლავად გაცმულა.

ვარსკვლავების ჭუჭრუტანებში ღვთის-
 მშობლის ბეჭდების ბაცნარევი შუქი
 ციმციმებდა. კლდის ნატეხზე უიღბლო
 წარწერა კიაფობდა:

„აქ განისვენებს ადამიანი, რომლის
 გული ჭრ კლდე ფეტქავს!..“

ბეთანია

სადაც მნათე ზარსა რეკავს,
 წუთისოფლის კარგა გაღმობ.

— ხომ იცი, ჩვენ უკანასკნელი ქრის-
 ტიანები დავიბადეთ, ჩვენს შემდეგ ახა-
 ლი რაღაც განმეორდება, უკეთესი და
 დიდებულ! — ასე მესაუბრებოდა ჩე-
 მი მგოსანი, როცა მასის წკრილა ბი-
 ლიკებით ბეთანიის ნეტარ ტაძარს ვუ-
 ახლოვდებოდით.

— ქრისტეს მოვლენა იქნებ ბორო-
 ტებაც იყო, რას იტყვი: — შემეკითხა.

— რა თქმა უნდა, წარმართ პილატეს
 თუ დავეუჭრებთ...

დიდებული სჩანდა, ის დაბრმავებული იყო თავისი რწმენით, ის აღავლენდა ლოცვებს ბინდისას, რაღაც მშველი სასოებით.

მამა ტიმოთესი კი რა მოგახსენოთ, მგონი მარხვასაც არ ინახავდა, დიდ აღებლამეს აბუჩად იგდებდა. იმის გრძელი როდინის ქვასავით სახე, ზაფრანის ფერი ნაგერალა წვერი, ჩხართვის მსგავსი მაცდური თვალები, ზღარბის ეკლებივით აბურძგენილი თმა, გველაძეუა გამოხედვა, კარგს არაფერს მოასწავებდა, მართლაც, რომ ანაფორა გადაცმულ ეშმაკის დასმული იყო.

დანარჩენი ბერები შუამთის მონასტრის დღესასწაულზე დატიშულიყვნენ.

ბეთანიის ტაძარი ავადმყოფი მწირივით სთვლემდა, თითქოს სივრცეებში გაჭრილ სამრეკლოების ქარავანს უკან ჩამორჩენოდა და გზააბნეული შეთქმულივით საუკუნეთა ტევრში გაჩხირულიყო.

ბერებმა პოეტის დედის ხსოვნას პარაკლისი გადაუხადეს. ტიმოთეს ბუწუწუბაქერცლილი ოლარი ყელზე ჩამოეგდო, წვივებამდე ძლივს რო სწვდებოდა. ფსალმუნის დაფაშრებულ და შავათ გაქონილ ფურცლებს ჩქარ-ჩქარა შლიდა, სხაპა-სხუბით კითხულობდა, ამოისუნთქებდა მხოლოდ მაშინ, როცა მამა ექვთიმე, „უფალო შეგვიწყალებს“ ებანებოდა. ტიმოთე გაფიცებულ თითებით პირჯვარს ისე ისახავდა, თითქოს შუბლზე და გულის ფიცარზე ქავილი ავარდნიყო.

ხატები, ტაძრის სარკმელში შემოჭრილ მზის ირიბ სხივს მისციებოდნენ, დაუსრულებელ პატიმრობით გამოთავანებულიყვნენ და ამაოების მწველ მღვმარებას ხავსივით შერწყმოდნენ.

შიშმორეული წმინდანები ტრაპეზიდან გვითვალთვალებდნენ.

ტაძრის მაღალ კედელზე გიორგი მესამის, თამარ მეფის და ორი ტომის ნაშიერის გიორგი ლაშას სურათები კიაფობდნენ, კიაფობდნენ ეამთა სიავის ყურებით დაღლილები. ბუდეშურის

ოდენა ცრემლები მარგალიტის დარათ შექვავებოდათ მეფურ სამოსზე.

პარაკლისი დამთავრდა. გაჩირალდნებულ კანდელზე საკმეველის სურნელვანი კვამლი ირწვოდა. ანთებული კელაბტარი ღვთისმშობელს შუქს უფრქვევდა, მოღავეებული ლოცვები ეღვარებდნენ.

ტიმოთეს გასამრჯელო ვუბოძეთ, ეცოტავა და ტაძრიდან თოფნაკრავივით გავარდა. მამა ექვთიმეც უკან ტუსტუსით გაპყვა.

ტაძრის ეზოში გაფოთილი ხეების ქვეშ მლოცველებს თავი მოეყარათ, გაშლილ ნადიმს შემოსხდომოდნენ.

ჩვენც მიგვიპატიეცს.

— საიდან ბრძანდებიო? — შეგვეკითხა ჰალარა გლეხ-კაცი.

— ქალაქიდან! — ვუპასუხეთ.

— ჩვენი ტაძრის სანახავად ამოხვედით, თუ შეთქმული გქონდათ? — შეგვეკითხა თანგირა თამადა და, თან ღვივით გალიციციკებული ფიალები მოგვაწოდა.

— სალოცავათ! — უპასუხა მეგობარმა.

— აი, თქვენი წიბო კი გახმეს, რა ვიცი, ნაჰსტავლი ხალხი სუ იმას ჩაგვიჩიინებთ: ღმერთი არ არისო! და, თქვენ კი...

— განა ქრისტე უმეცარი იყო?! — შეეკითხა პოეტი შეზარხოშებულ მასპინძელს.

— არა! შენი ჭირიმე! — მოიბოდიშა თანგირამ — საწყენათ ნუ კი ჩამოგვართმევთ. რა ვუყოთ მერე, ჩვენს გლეხკაცობაში ცოტაა ურჯულო და რწმენა დამშრალი?

ლეჩაქყურგადაგდებული მანდილოსნები შუბლის ქინძისთავის დარათ იღიმებოდნენ, ხან დაუდეგარ და ასკინკილა მოთამაშე ბავშვებს აწყნარებდნენ: ფუფალა გაგიჯავრდებათო!

— მოდი ეხლა ქართული სიმღერა შემოვძახოთ! — მედიდურათ ბრძანა თამადამ და თავკვერით გაწუწული ფარცხივით უღვაშები მარჯვენა ცერით მოიწმინდა.

ბერებიც ეწვივნენ უხვათ გაშლილ სანოვაგეს. გაჩაღდა ქეიფი, ლხინი. შემოძახილი.

მეგობარი ყურში ჩამჩურჩულებდა:

„მხოლოდ ქართულ სუფრაზე შეიძლება სიამით ჩაბჭირება, ქართულ ნადიმზე მოსალოდნელია ისე უცაბედად მოიკლა თავი, რომ მთვრალმა სიცოცხლემ თვალი ვეღარცკი მოგკრას; ისე მოგაყარონ მიწა, რომ სისხლით გაღეშილი ყორანი ვერცკი წამოგეწიოს; აქ შეიძლება სასუფეველი მეწყერივით მოზგავდეს და შენი განვლილი ცხოვრება ქვეშ დაიტანოს; შეგზაროს, გაგთათხოს, გატიროს; ქართულ ზეიმზე შეიძლება შენი სხეულის აყროლებულ ბუნაგიდან ამოფრინდე და კამარების შრიალი ისუნთქო; მიატოვო შენი ოცნების ნიაღვრებისაგან გამოქმული თავის ქალა და ცოტახანს მაინც ცისკარით იციმციმო“ — ასე ჩამძახოდა ჩემი ღვიძლი მეგობარი.

გლეხკაცობა კი, გავიხარიან დროს ატარებდა.

მოსალამოვდა. ნეშომბალა მიწის სურნელება იდგა. რცხილას, სოჭის, ნეკერჩხალის, მურყანის და წიფლის ხეებით ატეხილ მთებში ფრინველების ყრიაშული გაისმოდა, თითქოს ტყეს ჟღარუნები შეესხა, და საღაცა წასასვლელიად ემზადებოდა.

ციყვივით მოუსვენარი ნიავი ღრუბლის ბლუჯას ფიჩხის კონასავით დაათრევდა კამკამა ცაზე.

ბერებმა, ორსართულიან სახლის აივანზე ჩრჩილისაგან დაცხავებული თეჯა გაგვიშალეს, ზედ გაწყალებული ფარდაგი დააგეს, გაქუცული ნაბადი და ქურჭის დარი რაღაც მოგვიგდეს, ჩვენც დღიურ წანწალით დათეთქვილები დასაძინებლად მიეწვექით.

მთვრალი ბერები შიგნით ოთახში თბილ ლოგინში ჩაფუთვნილიყვნენ. ტიმოთე რაღაცას ოხუნჯობდა, მამა ექვთიმე კისკისით სულს ძლივს იბრუნებდა.

სამრეკლოზე მტრედების ფათური ისმოდა. ზენარი ზარები სდუმდნენ წირ-

ვებით დაქვრივებულნი, ასეულ წლებში მუდარით და რეკვით დაოსტებულნი.

მგოსანმა ჩაიძინა. აივანზე მთვარე ფხაკრეფით შემოჩერჩეტდა, ორიოდე თუნგი სინათლე შემოიტანა და, სიზმრებში გადაკარგულ პოეტს მოჰკრა თუ არა თვალი, უკან გატირალდა, ტაძრის გამოხურულ კარებთან ჩაიციანა, ჩაიციენეს სარკმელიდან გამოჰყეტილმა წმინდანებმაც.

მომავონდა მეგობრის ნაწყვეტი:

ვარკვლავის შუქში კრთის საკმეველი, მთვარე სამყაროს სანათურსა ჰგავს, და დედამიწა ამ სარკმელიდან ბარით გადმოყრილ ქვიშას და ნავავს.

ბერების ტუტუნნი კიდეც ისმოდა. ფიქრებით გავებზრდი, მხარი ვიცვალე და ჩავიძინე.

როცა გამოვიღვიძე, სისხამი დილა ლაყვარდებს ფარცხავდა, ჩემი მეგობარი უზმო, ნათბილარევი წამოჭრილიყო, გაზაფხულის კაკანათივით გაშლილ ხართუთას ძირს მიყრდნობოდა და სახეგანათებული გასცქეროდა გამჰვირვალე სივრცეებს. იქნებ წარმავლობის ლიტანიაზე აღზნებულ მოციქულების ვედრებას სჰვრეტდა? ან, იქნებ ალიონების გასწვრივ ღამეების ნაკრძალთა ჟივილს ისმენდა? იქნებ ნამტირალევი ანგელოზების ნაფეხურებზე კითხულობდა თავის პირქუში ცხოვრების ქარავმას? ვინ იცის, ვინა? რომელ განგებას ძალუქს ამოიცნოს ადამიანი!..

ექვთიმე პირდაუბანელი მომესალმა, უბის ჯიბიდან ამოღებული ნაწერი მომაწოდა:

— ეს ლექსი, თქვენმა მეგობარმა შარშანწინ მინახსოვრა.

— რატომ არ ვიცნობ ამ სტრიქონებს!? — დავიწყე კითხვა. ბერი გულხელდაკრეფილი მისმენდა.

გავხედეთ ალგეს, ბოკრო ფერდობებს ქეცათ შეჰყროდათ ვაჭრილი ახო, მთები ხრჩოლავდნენ ნაირ ფერებით და ხან ცხვრის ფარა კვარცხლბეკის ახლო.



ლორწო ფლატეებს სწოვდნენ კლდეები,
ფილტვებს ფურჩქნიდა სუნთქვის ყუათი.
მიწა გაირღვა, თითქოს ქვესკნელმა
ამოისროლა ტაძრის გუმბათი.

აქ წარმართებიც მუხლებს იყრიდნენ,
როგორც ამბობენ დიდ გიორგობას,
თურმე, ამ ჭვარცმას რო უყურებდნენ,
გვეკრამდნენ: ხედავთ კაცობრიობას!

დავეშვით ქვევით და ბეთანიამ
ზურგი გვაქცია, ტყეს შეეფარა!
ცოდო არ გვექონდა, იცოდეს ღმერთმა,
ლობის სიწმინდეც რომ შეგვებღალა.

სამრეკლო იდგა მუდამ პირქუშად,
თუ დარეკავდი გაყრიდა ნაგავს.
სვეტიცხოველი ზურგით ზიდავდა,
თუნდაც ჩამოსხმულ ქოჩოქთა არაგვს.

ხევში მდინარე შემოგვეფეთა —
შეწირულ ბავშვთა ცრემლები იყო.
ჩვენ მივდიოდით აღმართზე ერთად,
რატომღაც ჩუმად, რაღაც უღებლოდ...

აკლდამის კოკში დახოცილთ ძვლები
ეყარა, როგორც მოკრალი ფიჩხი.
გალმა ბუღბუღდა: ძველი საბძელი,
და ალაგ-ალაგ ღვია და კვრინჩხი.

აქ დანდობილა გლეხი სახრეზედ,
აქ შესწრებია ორშაბათ დილას,
ეხლაც კი ვამჩნევ ლაშას სახრეზედ
ჭვალა-ედინის შემოკრულ სილას.

გზა სჩანდა ოდნავ, ხან ბეკობს ზევით
ჭკრებოდა განცდა — გუნების მომგვრელი,
უკან ემუოდა ხატის მიზეზით
სახად შეყრილი ვარაზის მგელი

აქ გაუხსნია გული დედოფალს,
თმებში ჩაუწნავს ბავთის შაირი,
აქ თავის თათით ითხრიდა საფლავს,
მწყემს დაღუპული სოფლის ნახირი.

ძნელია მუდამ გულდამძარება,
კაცის შელოცვა ტლანქი მთქნარებით.
უსინანულოდ ვტოვებდით ტაძარს
უქანასკნელი ქრისტიანები.

ეამს ტაძრის კანი ისე დაუხრავს,
რომ გარეთ ეონავს ჭალის ნათელი.
ძლივს ვამშვიდებდით შემკრთალ
მაცხოვარს,
რჭულ დაწყვეტილი ორი ქართველი.

ამ სტრიქონებში იმალებოდა ჩემი
პოეტის განწირული ქვეყანა, ამ ლექს-
ში ზედამესავით ჩაასხა თავისი ბობო-
ქარი ცხოვრების დასაწყისი. ოდესმე
ამ ზედამეს თვალებჩასისხლიანებულ
ქარიშხლები მოხდიან, ქურუმებივით
შემოუხსნდებიან გარშემო, გახედავენ
ჭვარცმულ კაცობრიობას, ხელების ქნე-
ვით დაუძახებენ შემკრთალ მაცხოვარს
და კვილით წამოფრინდებიან ისევ.

აქ შეგეწირე ნეტავი დედავ,
თავი დამედო და დაგეკალი,
ალბათ ოდესმე წესს ამიგებდა
შავი ღრუბლების ცივი წინწყალი.

ტაძრის ფუტურო ჩუქურთმებში კი
დიდხანს იჭრიკინებს ვილაც უძველო
ხუროთმოძღვარი.

რომ ეთქვათ ქარებს, მაღლა დედაშენს!
თან ღმერთს შესჭრადი საყდრების გლახა,
რომ ჩემი სისხლი, როგორც ზედაშე,
ქვევრში ჩაგვსხა, დაგეტალახა.

უკან ვბრუნდებოდით.
ჭერ ერთიმეორეზე შეკოწიწებულ
ქედებს არ მოვფარებოდით, რომ ბე-
რებმა ზარი ჩამორეკეს. ზარის გადაჩე-
ხილ ხმას ხეების და ღრეების გამოძა-
ხილი დაესია. გაფანტული ზარის ჰან-
გები დამფრთხალი შურთხებივით ინ-
თქებოდნენ ფრიალო კლდეებსა, ღრე-
ებსა და წოწოლა კვარცხლბეკებს შო-
რის.

კედელზე სანთლის შუქი იჭრება,
სჩანს წმინდანებმა როდი მიგვიღეს,
რა გვეშველება წყევლ ნაბიჭვრებს,
თუ გზაც ავდრებმა ვადაგვიტიხრეს.

დაუსუსხია ბზის ბუჩქი კინკარს,
ქანდაკება სდგას აღთქმული მგზავრის.
ტაძრის ფუტურო ქერქში კრიკინებს,
ვილაც უძველო ხუროთმოძღვარი.

მათხოვარი ზის, როგორც ობობა —
მყარ ჭოჯობეთის მოხდილი პევა,
არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,
ის თითქოს ჩიტებს აუყენკიათ.

გზას ვიმოკლებდით. მთვარის ნაფე-
ხურებზე როკავდა ვერხვების ჩრდილი.
აღმოსავლეთის მთაგრეხილების მწყვერ-



ვალზე აჩაჩხული ღამე ბურტყუნუბდა. საიდანღაც მოისმოდა ურმულის ლოდინი. ბოყბოყა ხევში სახადშეყრილი მდინარე მოქშუოდა, მის თხელ ტალღებს შემოდგომის ფოთლებივით ლაფარფატებდნენ უკანასკნელ ქრისტიანთა სინანული და დამშვიდობება. — გმზლობელ მუხის კენწეროზე ონავარი ჭოტი ავგაროზი დედაკაცივით კიოცდა... „ჩაგიწყდეს ხმა“ — გაღმიდან გამოსძახოდნენ ჭრიკინები.

ბარში ვეშვებოდით. აღარ მოსჩანდა ბგჟანის ლაყვარდები, აღარც შეწირულ ბავშვთა ცრემლების მდინარე, აღარც დაყურსული ტაძარი, ის თითქმის, გზათ მომავალ ბელურებს აეკენკათ.

შადრეჰანთაჲ

მთვარის ირიბ შუქზე
დააცურებს ის შადრეჰანი.

საზაფხულო თეატრის ბალისაკენ მივიჩქაროდი. მყვირალა აფიშები იუწყებოდნენ: დიდი კონცერტი, სახელგანთქმული მომღერალი, ვიოლინოს დამკვრელი, იჩქარეთ, ნახოთ!.. მეც ცნობისმოყვარეობის ფერხულში გარეული და სამეკლისოთ გამოწყობილი ბალის მესერს ვუახლოვდებოდი, მით უფრო, რომ ჩემი მეგობარი მელოდებოდა, ვილაც ნაცნობთან ერთად.

— იცნობდეთ გრიგოლ დავითისძეს! — მომმართა მეგობარმა.

— დიდად სასიამოვნოა! — მივესალმეთათსაქერ დატკებნილი თავაზიანობით და ხანდაზმულ უცნობს ხელი ჩამოვართვი.

— იმას მოგახსენებდით, — განაგრძო გრიგოლმა, თითქოს ჩემი მისვლა მაინც და მაინც დიდად არ ექაშნიკა, — სიყრმის ხანზე მეც ვწერდი სატრფიალო ლექსებს, რომ დავითვალო ცხრაასამდე მოგროვდება, მარტო ერთ ბანოვანს ორასი სტრიქონი ვუძღვენი...

— დანარჩენი? — განგებ შეეკითხა მეგობარი.

— დანარჩენი?.. ბუნებას, ცხონებუ-

ლი მამაჩემის ხსოვნას, ზოგი ალბანას, ზოგიც ჩალხანას, საერთოთ, უხდამით გახსენოთ, რომ ცხოვრების აღწერა მიყვარდა.

— თქვენი ლექსის ერთი ნაკვეთი მაინც მოიგონეთ — სთხოვა მგოსანმა.

— ძალიან გავვახარებთ. — მეც ჩაკუჩხირე.

— ეს ლექსი მიყვარდა, თუმცა კარგად აღარ მახსოვს:

ეგ შენი სახე გაზაფხულია,
ო, შენი სახე.
სახე შენი,
თითქოს ცის კილით
გაფარჩხულია.
მე შენ განახვებ, თუ არ დამლახვრავ,
ჩემი გული,
როგორ
შეშინებს.
შენ გომღერო-
ლო სპარ-
სულ
შექსტებს!..

მოხუცი შეჩერდა და ყურებდაცქვეტილებს უცბათ მოგვახალა:

— ბოდიში ყმაწვილებო, ვედარ ვიგონებ! — მალლა აწეული მარჯვენა ხელი, ისეთი ამბით ჩაიქნია, თითქოს დიდი განძი დაჰკარგოდეს.

— მშვენიერია, რაც წაიკითხეთ! — წამომცდა, თუ წარმოვთქვი, ეშმაკმა უწყის. მეგობარს გადაეხედე, ქოწოლილ სიცილს ძლივს რო იჭერდა ქვედა ტუჩის კენეტი.

— ო, რა ქლესა ხარ! — ჩუმათ ჩამჩურჩულა მგოსანმა.

— ლექსების წერა მალე მომყირქდა. — ბურტყუნებდა გრიგოლი — მეცნიერებას მივაშურე და დღეს, ღვთის წყალობით, გეოლოგი ვახლავართ. აბა ერთი მითხარით, რომელი ლექსი შეედრება მიწის წიაღში აღმოჩენილ ქვანახშირის ზოდებს, სპილენძის მადანს, კაბურღილის ჩაძვრომას ნავთის ზღვაში?..

— საგულისხმოა, ვაჟა-ფშაველა რამდენი ოქროს მისხალი ეღირება? — ჩავუნისკარტე გეოლოგს.

— თქვენ, როგორც გეტყობათ — შემომბღვირა აპილპილებულმა მოხუცმა — მასხარობის გუნებაზე ბრძანდებით!

— მომიტევეთ, ჩემო ბატონო! — მოუბოდიშე.

— ჩვენში დარჩეს — არ ცხრებოდა გეოლოგი და მიმართავდა პოეტს, მე ხომ ძალღათაც არ მაგდებდა — პოეტები მეცნიერების ლამპარს ქინქლუბივით აწყდებიან. იცოდეთ! მოვა დრო და სიტყვა-კაზმული მწერლობა ფიზიკის, ასტრონომიის და თუ გნებავთ გეოლოგიის უბრალო ქრონიკა-და იქნება.

— მართალი ბრძანდებით! — შეეძახე.

— ცამდე მართალი! — განზრახ მიეკურკურა მეგობარიც, — ასე სჯობიან, თორემ ათასხუთასი წლის სიცოცხლე გამოგილამდება გრიგოლის მსგავს მაჯლაქუნებთან კამათში. რეგვენს ზოგჯერ ყური უნდა წაუყრუო. ზოგიერთ დოკლაბიას ძალაუნებურად უნდა მოუალერსო, თავი უქნით, ხელი როდი უნდა აუკრა, ეს საძრახისი როდია, არც თავის დამცირებაა. უმეცარი ადამიანის გულს ვერასოდეს მოინადირებ. ათას დამთხვეულს რას გაუმკლავდები, ანდა როგორ მოიმადლიერებ. განა რამდენი ხანი უნდა იცოცხლო, რომ ყველას სამაგიერო გადაუხადო ამ ქვეყანაზე?

ვინ იცის, კიდევ როდემდის გაგრძელდებოდა ჩვენი ულაზათო ბაასი, რომ თეატრის მეორე ზარი არ აწკრიალებულიყო. ხალხით გაქედნილ დარბაზში ჩვენ სავარძლებს მივაშურეთ. სულ ახლოს, წინა რიგში ახალგაზრდა მანქია ქალები ისხდნენ, ხმამალა ლაპარაკზე ეტყობოდათ ავარაკიდან ეზღახან დაბრუნებულიყვნენ, მზისგან ნაძალადევით აეტრუსათ სახეები, ისე დაენახშირებიანთ კისერი, საზე და ხელეები, რომ ზომიერ სარტყელის მოზინადრებებზე მაგრიტანელების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ავარაკზე, ზოგიერთი წესიერათ როდი ისვენებს, სხეულს სტანჯავს და მატაოკობს.

ფარდა აიწია. სცენაზე ორთვიან ხბოსავით გამოიკუნტრუშა მოთადრებულ გემ, ორიოდე მოსწრებული სიტყვით კლანჭი გაჰკრა მაღალი საზოგადოების ფენას, მსახიობებსაც გადასწვდა... როცა ხალხმა გადაიხარხარა, ეს იყო იმის ბედნიერება. გვაუწყა ზანგი ქალის ვინაობა, მართლაც გულს ჩასწვდა შვეკანიანის ხმის სინარჩარე, იმის სევდიანი სიმღერა სამართლიანათ ემდურებოდა თერთკანიანების საუკუნეობრივ უსვინდისობას.

სამწუხაროთ, ჩემი ალტაცება წალქკა ზანგის საქციელმა: უნდა გენახათ, სიმღერა რომ დაასრულა, რამდენჯერ მიიშალა სცენის იქით. ის ხალხს ტაშის შენელებას როდი ემუდარებოდა, პირიქით გახანგრძლივებდა; გულზე ხეხლებმიბეჭენილი, თეთრ კბილებ გადმოყრილი, თავს რიდებით გვიკრავდა; თან ნელ-ნელა უკან-უკან იხევდა და უტებთ შიგნითა ფარდას ისე მიეფარებოდა, რომ გრძელი ქვედატანის ქობას — ფარშავანგის ბოლოსავით რო დასთრევდა იატაკზე, თვალს ძლივს მოვკრავდით ხოლმე. თადარიგის დამქერი დიდ გარჯაში იყო, კულისებში შევარდნილ მომღერალს ხელგაშვერილი ეხვეწებოდა: გამობრძანდით, პატივი დაგვდეთ. დარბაზი დაანგრისო. თითქოს ზანგის დედაკაცი დიდ უარზე გახლდათ. მაგრამ შეატყობდა თუ არა მომღერალი, რომ ტაშის პარტყუნი და ავზინანი თაყვანისმცემლების ფეხების ბრახა-ბრუხი იატაკზე მიწურულშია, მყის სცენაზე შავი ქათამივით შემოფრინდებოდა და ხალხიც ზეავდებოდა. რა კარგი იქნებოდა, რომ თეატრში ამდენი თვალთმაქცობა არ ყოფილიყო. თუმცა ხელოვნებას თვალთმაქცობასთან, რაღაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული, არა?

მოვისმინეთ ვიოლინოს დამკვრელი. პაგანინის ნაწარმოებს ასრულებდა, მგონი იმ მგზნებარებით, იმ ზეგარდმო ნიქით, იმ სასოებით და ისეთივე გულის

ფანჯალით, როგორც უდიდესი შემოქმედ.

ბაგანიჩი ხომ გავარვარებულ მუგუზალოვით დაიფერფლა თავის ჯადოსნურ საკრავთან, ის სიცოცხლეშივე გადაიწვა. სიკვდილი მხოლოდ თავაზიანობის ჭამო დაესწრო მის დასაფლავებას, იმის ცხედარს განმარტოებული ნამქერი მიუძღოდა.

ამბობენ: მუსიკამ შობა ქვეყნიერება! ვინ იცის? აი კიდევ რას იძახიან: როცა სამყაროს აშენებდნენ ხუროთმოძღვრებში თურმე დაიქანცნენ. ხელები დაუღუნდათ, ამ დროს ცის ოთხივე კუთხით მუსიკის ჩანჩქერები ავუგუნდნენ, ყველას ძაღლონე გაუორკეცდა, საწუთრის შოჩუქურთმება დაამთავრეს და ჭერი ჰანგების დუღაბით გადახურესო. იმასაც დასძენენ, რომ ვარსკვლავები მოქანდაკეთა ცრემლებითაო.

მუსიკამ შეიტყუა ადამიანი დედამიწაზე. მუსიკას შესწევს უნარი ადამიანის დამყაყებულ სულიდან გამოხადოს სიხარულის უშრეტი სურნელება.

ჩვენი დედამიწა სინათლით დატოტვილ უდაბურებაში, რა კარგი საკონცერტო ადგილია, მაგრამ, ეს ოხერი, რამდენმა მოდგმამ ისე უფერულად ჩაიარა, ისე უშნოთ იტორილა, რომ ერთი სალამურიც არ დაუკრავს, სტვირიც კი არ ჩაუბერია.

კონცერტი დამთავრდა. ხალხი აიშალა.

კმაყოფილი გრიგოლ დავითისძე, რომელიც მიყრუებულ ბინაზე მივაცილეთ. გვთხოვა: კვირახალზე მასთან შეგვევლო.

— საიდან გადაეყრები ხოლმე ამ ფუყე ჩიფჩიფებს! — ვუსაყვედურე მეგობარს.

— ამას წინათ, — მომიყვა მგოსანი — ნაცნობ ოჯახში გავიცანი, მას აქეთია გადამეკიდა: გინდა თუ არა, სიცოცხლისაკენ უნდა დავაბრუნოვო!

— ნუთუ არ გენიშნება? — ჩემი ნართაული მეგობარს არ ესიამოვნა. შევატყე, რალაც მოიწადინა.

— ჯერ ადრეა, სულ ახლოს მგვენიერი ბალია, წავიდეთ და ცოტა დავისვენოთ.

ამის გაგონებაზე ცივი წყალი გადამესხა. ადრე კი არა, საცაა ალიონის შეიკრიკები გამოჩნდებოდნენ.

— ჩემი ჯავრი ხომ არა გჭირს? — მოდი ხვალისათვის გადავდოთ! — ვთხოვე გულშემოყრილმა.

— აი, ხომ ხედავ? არასოდეს კაცს მხარს არ დაუქურ, წყალი ხომ არ ამოგვივა, წამომყე, რა მოხდება?

რალას გავაწყობდი. წავჩანჩალიდ მუხლებმოკვეთილი.

ბალს მივალწიეთ. შადრევანი დუღუნებდა, ფერად წინწყლებით ცახცახებდა, ხმაგაკმენდილ ჩრდილებთან კენკაობდა.

შქერით და ლოტოსებით შემოყრილ აუზში ორი მთვლემარე გედი განაბულიყო, ნისკარტები ფრთების უბეში ამოედოთ და ბედნიერ სიზმრებს მიაცილებდნენ.

— ჩემი „გზათვალალობა“ უნდა წავიკითხო! — მითხრა მგოსანმა.

— მხოლოდ ხმადაბლივ, თორემ ვინმემ რო ყური მოგვკრას მტკნარი გიყეები ვეგონებით! — გავაფრთხილე დიდის ამბით.

— რისა გეშინიან? თუ შეშლილებათ მოგვნათლეს, მე შენ გითხრა, ხვალ მზე აფეთქდება! — დამიტატანა.

— შენი არ ვიცი და ახლა მე მკითხე...

— კარგი, მისმინე!...

სადამო ხანი ზარებსა რეკდა, ჟრუანტელს ჰგვირდა ცას ხმის სიამე. ის კი საკუთარ ცრემლებს კრიფავდა, რომ არ ენახათ ადამიანებს.

მინდვრებს, გორაკებს, ნისლი სცემდა ფრთებს, რომ პირქუშ მგზავრებს გზა არეოდათ, ის უძახოდა დალილ ფრინველებს, და ბანს სამყაროს კლდე იძლიოდა.

გაჩერდი, კარგი, დროა გატვირინდე, გზების სიმუნჯე შინც იკმარე!

ის ბნელ გრივალებს კიდევ უსტვენდა:
„უთხარით მიწას თუ მიმიკარებს?..“

ეს შარა, ეს დღე საღ შემოკლდება,
რა დაღევს მგზავრის მღორე ოცნებას...
ჩემი სიმღერა და უკვდავება,
ალბათ ეამს შემდეგ ეცოდნებათ.

თუ მოგერიოს ოდესმე ცრემლი,
წყველისფრად სავსე უსაზღვროება,
გადამირჩინე, თუ გინდ ის მრევლი,
ვინც ალაღვენდა ჩემს მყუდროებას.

ვიცი იტყვიან: რომ ბნელ ღამეებს,
ის რივრავებმაც ვერ გამოპვლივს,
ბედნიერებას სთხოვდა ნაპრალებს,
და სულელივით სთვლიდა ნაბიჯებს.

ის ერთხელ ნათელს გამოჰყვა ზიზლით,
სოფელს წააწყდა, ავღარი იყო,
წინ დაეხედა თურმე ნუ იტყვიოთ,
ეს დედამიწა გამომდგარყო!

და შერეოდა ისევ ღამეებს...
დღე და გამჩენი წყველით აეკლო.
აქ კი ყმუოდნენ თეთრი ძაღლები,
და მოწყენილი იდგა სამრეკლო.

ლექსის წაკითხვას თავისი მრწამსი,
ამინდები და გარემოცვა სჭირდება. თუ
ჩიხირთიმით გატყვრები, ტახტზე კერა-
ტივით წამოგორდები, ფეხებს კარადა-
ზე შეაწყობ, თან ყირამალა დაიჭერ შე-
მოქმედის წიგნს, იცოდე, ამ დროს
სტრიქონები ფეხმოტეხილ წიწილები-
ვით აიბუზებიან და წვივლ-კივილით
გულს ამოგიჟავენ.

განა ტყის მცვრიანი ნისლები იმ სია-
მოვნებას მოგანიჭებენ, რასაც მთის
მწვერვალებზე გვრიან, რომ ხვალ
მტვრიან ქუჩებში შემოიჭრენ?

ამიტომ პოეტი არ უნდა კითხულობ-
დეს საკუთარ ნაწარმოებს იქ, სადაც
დაუსტვენენ, არა!

პოეტის ცხოვრება, მოსარეცხე დე-
დაკაცის ანდა ტილიბუქურას ამქრების
თავგადასავალი როდი გახლავთ. იქნებ
აქ მოსატანიც არ იყვეს, მაგრამ, რახან
სიტყვა ჩამოვარდა გეტყვით, აი, ერთ-
ხელ ჩემმა მეგობარმა რა მითხრა:

„რომელიმე მწერლის გვერდით რომ
ვიცხოვრო, ვერცკი წარმომიდგენია; იცი

რა მძიმეა, როცა პოეტს პოეტი გი-
თვალთვალებს; ისინი ერთმანეთს ემყარებიან
ათათ უნდა ხვდებოდნენ და არა წარა-
მარა; ისინი ერთმანეთს წამდაუწყუმ
თვალში როდი უნდ- ეჩხირებოდნენ;
პოეტი, მწერლებში ნიადაგ ჯარასავით
არ უნდა ტრიალებდეს, როცა შემოქ-
მედი იკეტება თავის სენაკში, ის დარწ-
მუნებული უნდა იყვეს, რომ ყურად-
ღებას არავინ არ აქცევს; მაშინ ასკდე-
ბიან შენს ფანჯრებს მხატვრული სიტ-
ყვის ბელურები, როცა მარტოდ დაგი-
გულებენ; შენს გახსნილ მკერდთან ამ
დროს ზუზუნებენ ამოხეთქილი მწველი
ფიქრები, თვითეული სიტყვა ანთებულ
სანთლის შუქს წააგავს, სიტყვების
ულოთი უნდა შეჰკრა სტრიქონების
ძნა, რომ პოეზიის ზვინი ამართო. პო-
ეზიის მტევნები შენი მხურვალეობით
უნდა დამწიფდნენ შენივე გულის და-
დარში. შენი სისხლი და სასოება უნდა
შეაზავო.

ზოგიერთმა ქართულმა სიტყვამ იცის:
წინ მწყერივით წამოგიფრინდება, აი
თუ ბიჭი ხარ, მოასწარი ჩაიწერო გაფ-
რენილ ჩიტის სიმღერა. და თუ დაიჭერ,
ეცადე შეგეჩვიოს, რომ იჭიკიკოს.
ყველა პოეტური პწყარი შენი კვირტე-
ბია, შენი თრთოლვის ნაკადულებით
რო იფურჩქნებიან.

ბედნიერია ის მეგოსანი, ვის გამთბარ
გულშიც ხობბის ყელივით ქართულ
სიტყვას საბუღარი ჰქონდა, სადაც პოე-
ტური შეტყველების ბარტყები გამოჩეკი-
ლან და შენი ნაოცნებარი, შენივე სხე-
ულის სანათურების ციმციმზე აუკრე-
ფიათ; ვისი გაყინული სუნთქვა აღტა-
ცების გაზაფხულს აუმღერვია და ფიქ-
რების ლღმას დათვლილი ზმანება შე-
უთქორია; ვისაც გულის ეტში, თავისი
ზრახვები როდი გაღოჯებია, ზოგიერთი
ლიტერატურული მკვლევარების ბღვე-
რით.

ხანდისხან სივრცეების გასწვრივ ჩი-
მორეკილ ზარის ნიაღვრებს მერცხა-
ლივით უნდა ჩაუქროლო.

შემოქმედი გონებადაკარგვამდე უნ-

და ყვარობდეს ლექსის სიმღერას; ყოველი ლექსი გულის კურთხეულ სისხლში ბარძიმივით უნდა იყვეს ამოვლებული, რა ნეტარებაა, როცა გულის გორგალზე ბრწყინავენ ამოხვეული ქარვის სტრიქონები და გვირისტ შემოვლებული რითმები. შემოქმედების ცეცხლმა უნდა მიგიტაცოს, რომ იქ დაიწვე და დაიფრფლო. შენს ვენახში ქართული ლექსიკონის რთველი რომ მორჩე, შენივე განცდების საწნახელში დაწურე. შენივე შთაგონების ქვევრში ჩაასხი და არ ამორწყო სანამ კარგად არ დამატრდება და შენი ფიქრებიდან ფიქრებში ერთი ორჯერ მაინც არ გადაიღებ.

პოეტი შემოქმედების ეამს შეიძლება პირდაუბანელიც, თმებგაჩჩილიც, სელის სკამთან მიგდებულიც წვრდეს, იცინოდეს, სდუმდეს, დარდობდეს. შუალამისას საცვლების ამარა წამოიჭრას, პოეზიის ქურა აღანთოს და კალამს ეცეს.

ხშირად გული მიკვდება, მისივდება, როცა ვუცქერი შოთა რუსთაველის გავრცელებულ სურათს: ქულაჯაში გამობრანქული კაცი ზის, თავზე სადღესასწაულო ფაფახი ახურია, სახე გაშეშებულია, ტუჩები ფერ-უმარულ წაყრილ დედოფალივით მოუბრუნწია, ხელში ჩხირივით მიუჩეჩებიათ ბატის ფრთა, წინ გადაშლილი წიგნი უძევს, თითქოს, თუნუქის ფირფიტები ეყაროს!.. ნუთუ ქართველი გენია, ასე გამოწყობილი და ტანგაფშეკილი სწერდა:

„ვა სოფლო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნვებ, რა ზნე გვირსა?!“

არა! ის სურათი სასიქადლო რუსთაველის სახეს არ ეკუთვნის, ის ვილაც უბადრუკ მღებავის ნაცოდვილარია, ანდა მოცილილ დიასახლისის უმწეობაა ჟინჯღლებიანი დაირის ტყავზე. ეს იმის საწინდარია, რომ ბეთხოვენი რომელიმე საკრავთან კომბალივით მიაყუდო, რა ნაყოფს მივიღებთ ასეთ ფერწერიდან? მხოლოდ მუსიკალური მაღაზიის ნოქარს და არა ღვთაებრივი ჰანგების მფლობელს.

ქალაღზე დაცემული დიდი შემოქმედის სისხლის წვეთი გვერჩინებს უნიჭო ადამიანების აქრელებულ თაბახებს.

შხამიანი სოკო ბროწეულის ყვავილს ვერ გამოისხამს და ციყვი იაღონივით ვერასოდეს ვერ იგალობებს, თუ გინდა ადამიანებმა მთელი მთიები ფეხქვეშ ამოიღონ!.. და მარბხ კი არა ასპიროზიც გადინადირონ. არც ისა მწამს, როცა მხატვარი მინდვრის მცენარეზე, ყვავილებზე ნადირობს და შიგ კი ერთი ნამყენი ვარდიც არ ურევია.

მგონია, ბევრი მწარე სიმართლე იყო ჩემი მეგობრის ანარჩევ, სულით შთაბერილ ნაამბობში.

შადრევანს, თითქოს ჩვენთვის დაედლო ყური, მახლობელ ქალის ქანდაკებას მკლავებში ჩქმეტავდა, რომ არ ჩასძინებოდა და თავისს აწყვეტილ წვრილი წყლის ღეროებს ღამის მნათობის სინათლეზე ყელავდა.

ნაკადულთან ციციანთელები ისე კი აფობდნენ, თითქოს ხეებს ცრემლები სცვიოდათ, თითქოს მთვარის პატარა ამოფეთქილი შუქი მოწანწკარებდა.

ბალს ვშორდებოდით ღამისთევით დათეთქვილები. თავდახრილი ჩრდილები ბიბინა ბალახზე ამოსულ ცვარნამს იკუკნებოდნენ.

შორიდან ჰოტროველა ვერხვების დაგუბებული ხარხარი შემოგვესმა, ალბათ ჩვენზე ჭორაობდნენ, თუმცა რა გვკონდა გასაქირდავი. სადღაც კლდემოფარებულ წუთისოფელში, ვილაც მგზავრი სოფელს წასწყვეტოდა. ძალები ყმოდნენ. მოწყვეტილი სამრეკლო დაუბატიყებელ სტუმარს მიშტერებოდა.

გზათ თვალი მოვკარი, რომ ასწლოვან კაკლის ხის დატოტვილ ფოთლებში ბუ შეფრინდა, თითქოს ნახევარი ღამე თავის ხორთუმით შიგ შეითრია.

გათენებამაც მოატანა ჩიტების ქლურტულით, კარგად ინათლა. მთის მწვერვალებს მზემ ხელი სტაცა. დილის ნიავი მახლობელ ხეობის ზევით აბურძგენილ ნისლებს ართამდა, თუ ტყის

მძარცველისაგან დაკოდილი ხეები კვნე-
სოდნენ და იმათი მდულარების მქრალი
ოხშივარი იყო?..

დაბურული ადგილები

როგორ მიწყნარდა ეუუენი ბედის...
კარგა ხნის ჩასული მთვარის შუქი
ერთიანად დამშრალიყო მალალ და
ღრმად გაყვანილ ღრუბლების არხში.

ქარის ჭიდილისაგან მოქანცული და
არაქათგამოლეული ხეები ერთიმეორეს
მიჰყუდებოდნენ.

ჩამიჩუმს არღვევდა ხნიერი ცაცხვის
ხის შრიალი, მგონი ლოცულობდა.

ცაცხვის ძირში ორი მეგობარი ჩამოჯ-
და.

— რას უწოდებდი ბედნიერებას! —
შემეკითხა პირველი.

— ის, რაც უბედურებით დამთავრდა.

— თუ კიდევ გახსოვს შენი სიყრმის
დღიური?

— იქ თვალებია, ბალი, შეხვედრა და
ვნებიაანი სითბო შენი ხელების. ჩვენ
ხომ გაფრენილ ბელურებს ვგავდით და
ტროროლებივით დახუნძლოლ ნისლებს,
ხომ გახსოვს, როცა:

მელოდებოდი ფოთლებთან ერთად,
ოხელ სივრცეებში ხედავდი ბილიკს,
თან ყურს უგდებდი ქარის სიმღერას
და წუთისოფელს სულ ხმა გაკენდილს.

ის, აღარ მოვა, რადგან სისხამზე,
ჩვენ ვნახეთ ღამეს რო გავტირა,
შენ ასე გიოხრეს ამხანაგებმა
და კულულებზე ყვაოდა კვირა...

ქაბუქს ხმა წაუვიდა. სიჩუმემ ორი-
ვე გაიტაცა წარსულისაკენ, იქ, სა-
დაც ბურუსივით მოგონებები მარმა-
რილოს სვეტებივით შექვევებიან ბე-
დის სიწყნარეს, იქ, სადაც, ოდესღაც
სწერდა პოეტი: ო, ეს სიცოცხლე, ნე-
ტავ როდის გამოჩნელდება...

ცაცხვის ხე შიშისაგან ისე კანკალებ-
და, თითქოს უღრანი მთების ზეგვის ხმა
იმის ქერქში ღამეს ათევდა. გარინდე-
ბული მეგობრები დაღმართს ჩასდევ-
დნენ.

ამოვარდნილი გრივალი ღრუბლებს
საღდაც მიერეკებოდა. ვარსკვლავები
ციმციმა ჩითილი გამოჩნდა, ბორბი
ქარი არც ამ უსაზღვროების ნარგავებს
უსვენებდა, ხან ამოუწევდა გახამებულ
შუქს; ხან ჩაუწევდა და ისე ჩააბნე-
ლებდა ხოლმე მთელ არე-მარეს, რომ
ორი სულდგმულის ლანდი კი არა, ხე-
ების ქაქანებაც აღარსად სჩანდა.

ნადვის ხე საიდანღაც გასძახოდა ალ-
ვის ხეებს: რას ჩამძარებულხართ?! აი-
ხედეთ ზევით, გუშინ მზეს რამდენი ქვი-
რითი დაუყრია — შეხედეთ რა უამ-
რავი ვარსკვლავებიია!..

თავაწეულ ალვის ხეებს რაღაც უნ-
დოდათ ეთქვათ, მაგრამ თავმოშეშვლე-
ბული ქარიშხალი შორიდან უტევდა:
ხმა ჩაიკმინდეთო!

მანანას გიშვარი

დანდობილას ჰკრეს ხელი და შერე
რა უღმერთოდ.

მანანა ცქრიალა, მიმზიდველი გოგო-
ნა იყო. მშვენიერი სახის ნაკვეთებით,
თითქოს ორბელიანთა ამორძალების სი-
ნარნარეს ამოეფრქვია. იმას ტოლები
ეძახოდნენ ლამაზ ხათუნას, განა გან-
გებ, განა ყასიდად, ის გუფთებში გამ-
ლილ ნუშის ყვავილების კუნწულას
ჰგავდა.

მანანამ იცოდა გაფითრება თეთრ
ზამბახებზე უფრო მეტად, იმას ხშირ
რად ვარდებიც ეტიტინებოდნენ.

მანანა მტრედის სიზმარს ჰგავდა, ის
ჩემ მეგობარს ეტრფოდა, პოეტი კი ყარ-
ყარა ხათუნას. ასე გრძელდებოდა არ-
ნახული ბედნიერება, სიცოცხლის ფერ-
დაზე ერთხელ რომ ამოდის, ერთხელ
რო იფურჩქნება და მის სურნელმას
ფუტკარივით რო დაბზუიან გამიჯნუ-
რებული ადამიანები.

თიბათვის ნამიანი, ახლად გათიბული
ბალახის სუნით საღამო ჩამომდგარი-
ყო. ჩემი მეგობარი მახლობელ დოსტა-
ქარს ესტუმრა, რადგან დიდი ხნის უნა-

ხავები იყვნენ საუბრის თილისმა არ ელეოდათ.

ვილაყამ დარბაზის ზარი დააწკარუ-
ნა. ექიმმა მეგობართან ბოდიში მოიხა-
და და ალისფერ ხავერდის ყდაში ჩას-
მული სურათების სქელი რვეული მი-
აწოდა.

— სანამ ავადმყოფს გავისტუმრებ,
სურათების ნახვით გაერთე.

— გმადლობთ! — უპასუხა მგოსან-
მა და მარტოდ დარჩენილმა რვეული
გაშალა. ხელში მოხვდა რემბრანდტის
„ქრისტეს ჯვარიდან გარდმოსხნის“ ფო-
ტოასლი. ამ სურათით რემბრანდტმა თა-
ვისი ცხოვრება დახატა, ისიც ხომ ჯვარს
აცვეს ამსტერდამელმა ვიგინდარებმა.

მაგრამ შთამომავლობა, გარდა ორი-
ოდე ადამიანისა, ოდესმე დაფიქრე-
ბულა დიდი ხელოვნების გამწარებულ
არსებობაზე? არასოდეს! თუმცა, რა
საჭიროა, ხალხს ისედაც უამრავი თავ-
სამტვრევი და სატყვივარი გააჩნია.

პოეტი სურათებს შლიდა. უცბად
თვალი მოჰკრა ნაცნობი ხელით დაწე-
რილ ბარათს, ელდამ შთანთქა მოსაზ-
რების ნიშანწყალი.

პოეტი გარინდული უტკეროდა ნაც-
ნობ სტრიკონებს. ყრუდ ჩააკენესეს
სიყმაწვილის მჩქეფარე მდინარესთან
მუხლმოყრილმა დღეებმა.

აშრიალდა ფანჯარასთან მომდგარი
ალვის ხეც და ფოთლნარა ტრტების
ქნევით ძახილი დაუწყო ამღვრეულ სი-
ოცხლის ფონზე მიმავალ ლანდებს.

ნღობისა და ნუგეშის ციალმა უკა-
ნასკენელი მშვიდობა უთხრა დაღვრემილ
პოეტს.

„სანამ ეს გული სცემს სულ შენ-
თან ვიქნები ჩემო კარგო მეგობარო!
მე ხომ მუდამ შენს გზას ვავცქერო-
დი...“

მანანა ამ ხვამიადს ხომ ოდესღაც
მგოსანს სწერდა... ახლა კი... ნუთუ,
ეს ოხერი, ყველაფერი უინის მოკვლაა
ამ ქვეყანაზე? დაგელოცოს ღმერთო
სამართალი!

ვერაგობამ გადაიხარხარა. მგოსანს

ტანი აუჩქროლდა და მიმოზებინა კათ-
ხას მიაშტერდა. ჩემი მეგობრის ^{საქონელი} ^{საქონელი}
გული იწოდა მანანას ნაჩუქარ გიშერ-
თან ერთად.

ხათუნასთან გატარებული სადამოე-
ბი, სადაც ბუჩქების ჩრდილივით გა-
ნახულიყვნენ.

საყვარელ ადგილებს გამოთხოვების
ჯანლი ეტანებოდა. ჩუქურთმები სცვი-
ოდით ხსოვნებს.

პოეტი მეგობარს ემშვიდობებოდა.

სახტად დარჩენილი მასპინძელი მოკ-
რძალებით აცილებდა ჩათუთქულ სტუ-
მარს.

კოპწია მანანა კი, უსურვაზით, ნარ-
გიზებით და ყელ-ყელა იასამნებით
აღეწილ აივანზე შარლ ბოდლერის
„ბოროტ ყვავილებს“ ფურცლავდა.
რატომღაც ხანდახან ნაბავდა თვალებს.

ბილწი სიცოცხლე მეძავე ქალივით
კისკისებდა მწვანე სუროს ჩრდი-
ლებით დატვიფრულ მარმარილოს გამ-
კვირვალე მოაჯირზე.

მეორე დღეს, მანანას სასთუმალთან,
ჩინური ფაიფურის ლარნაკზე მკვდარი
ჩიტვივით ეგდო პოეტის დარდი:

შენ გიგროვებდი მთვარის ბულულებს,
ლამე ორთვილამდა გამოწვილ ხელებს,
ნეტავ, რათ ვრგავდი შენს კულულებში
რუზე შექმემკრთალ ციციანთელებს?!

რათ გიყვებოდი მოქარგულ ზღაპარს,
სადაც სიმღერა ყრუანტელს ერთვის...
შენ ლეთისმშობელმა ხელით გატარა,
მე კი სიზმრები მომქონდა შენთვის.

თეთრკაბა იებს რად წასკდათ ცრემლი,
იქნებ მოსწყინდათ ჩვენი ფერება?
გარედ ქარი დგას ფეხის ცერებზე,
უკან რად იხვეს ბედნიერება?..

რატომღაც მინდა, კიდევ ვემთხვიო,
ოდესღაც ჩემსკენ გამოწვილ ხელებს,
საფლავად მკერდი ამოუთხარო,
შენს თმებში მოკლულ ციციანთელებს.

ასე განუკითხავად ფეთქავდნენ პოე-
ტის ფერწასული დღეები. ლექსის ბო-
ლოს ორიოდე წარწერა კიფობდა: „რა
ვუყოთ მერე, ქირიმე შენი! რა დამა-

ვიწყებს ფარვანას ფრთებზე გადაწე-
რილ შენს მწველ სიმღერას...“

იქვე ხელუხლებელი ლექსი ქვითინებ-
და, როგორც გაქვავებული ტრფიალი.

წუხელის შენი სიზმრები ვნახე.
ლივლივა ტბა და ნავი, მგოსნები,
გადაბურული პალმებით ღამე
და ოდნავ სველი კიპარისები.

რო დაგეძებდი ფოთლები მიხვდნენ,
მითხრეს, ვარდებმა კოცნით დალაღეს,
ძლივს ჩამეძინა, მტრედებიც დასხდნენ
და ნისკარტები ფრთებში დამოღეს.

გულხელდაკრეფილ ძეგლებს ეღიძათ.
წარწერებს შლიდა შადრევნის ცვარი,
ხეებს სიბნელე ძლივსა ევირათ,
ჰქუხდა ჩანჩქერი — ბაღების ზარი.

ინათლა უცბად, ამწვანდა არე,
აგრილდა, ზის ქვეშ გაჩნდნენ ჩრდილები,
მე ვნახე შენი სიზმრების ღამე
და რო გვივლია ის ადგილები.

მანანას სახლის აივანზე სიჩუმე სუ-
ფევდა. ნიავეზე დაბუდული ხეები ხან-
გამოშვებით კაენებდნენ.

„ბოროტი ყვავილების“ კრიახიც
მიმწყდარიყო და ლოფოთას დაბრე-
ცილ ღეროებს შეხიზნებოდა.

შავი კატა ფეხაკრეფით ჩადიოდა
ეკლარის ქვესავით დაფენილ კიბის სა-
ფეხურებს. კატის დანახვაზე ბაღის
კრიალა ბილიკები შიშით ძაგდაგებდ-
ნენ, სიმწარით წელში იგრიხებოდნენ,
რადგან მთელი არსებით სძულდათ
იმის მწვანე და ბოროტი თვალები.

ქარაბუზა

ბალდახინები, რათ ცეკვავდნენ თეთრ
მანდილებით,
როცა ღვთისმშობელს ზარის რეკვით
მოასვენებდნენ?..

ერთ საღამოს მე და ჩემმა მეგობარ-
მა ქალაქგარეთ გავისიერეთ.

— ნეტავი სულ რაღაც მისტიურ ეს-
კორიალებს არ აწყდებოდე! — წავე-
ლაპარაკე მგოსანს.

— ვერ გამიგია, რა გწადიან? იუკად-

რისა პოეტმა — რაღაც მიკიბულ...
კიბულ ანდაზებს ჩმახავ, შენ თუ...
ნია დიდ სიბრძნეს აფრქვევ!..

— მე, ის მინდა, რომ სულ ჩანდაბი-
სკენ არ იცქირებოდე, და თავპირი არ
ჩამოგტიროდეს. — გაუგულისიდი მე-
გობარს და თავი ისე დავიჭირე, თით-
ქოს სოკრატეს ნამოწაფარი ვყოფილი-
ყავი.

— შე უბედურო, შენა! — შემომი-
ტია მგოსანმა — პოეზია სიმინდის ქო-
ჩოჩი როდია. ის გულამოსკენილი სიმ-
ღერა არის, ის ხელოვნების ცისკრის
ციმციმზე და მარადისობის ატეხილ
ზარების ჰანგებზე როკავს. პოეტი ქა-
რევით ამოვარდება, რომ სამყაროს
ნისლმოდებული კალთები შეაშრი-
ლოს; თუ გინდა დაუსაბამობის კიდე-
ბამდე გაუბი ყორე, ის თავის სწრაფვას
როდი შეიცვლის; ის ქნარის სიმებს
აგიწკრიალბებს, თუ გაქვავია.

— განა დიდიხანია, რაც მარადისო-
ბას ხელაღებით უარყოფდი? — შევახ-
სენე.

— რასაც მწერალი ზმანების დროს
წამოისკრის, ნუთუ დაკანონებული ჭეშ-
მარიტებაა?

— არც მიქარვა უნდა იყვეს, — ვუ-
პასუხე.

— რას ჩორკნი, რას კაფავ, ვერ გა-
მიგია?! — არ მითმობდა. ასეთ კაცზე
იტყვიან: მგლის თავზე სახარებას კით-
ხულობდნენო.

— დღეს რო წამიკითხე სინათლის
კაფვაა, აბა რა არის:

იმას მკვდრებისგან რაღაც უნდოდა,
სტანჯავდა მიწა წელში მოხრილი,
ის უყურებდა სივრცეს უნდობლად
და დადიოდა გულშემოყრილი.

მეგობარმა პასუხი არ გამცა. უკან
მიიხედა, მიდამოები დაზვერა და რო
დარწმუნდა, ქალაქს კარგ მანძილზე
გავცილებოდით, განაგრძო:

ნაკებს მიჰყავდათ ქარში უთუთო,
დაოსებული მარტოკა გდებით,
საღღაც ქვასავით იღვა საწუთრო
და გრივლივით სუნთქავდნენ გზები.

ის ტყვიასავით წაიღო ქარმა...
დილით ცა სჩანდა გადანგრეული,
ნისლეთი იყო იმის ქარაგმა
და დედამიწა კი მთავარეული.

—განა ეს მიწიდან მოწყვეტა არის?—
მეკითხებოდა პოეტი — განა შემოქმე-
დი ყოფის უხეირო მეზარე უნდა იყ-
ვეს? თვით უკიდურესი სასოწარკვეთი-
ლებაც არ არსებობს ცხოვრების გარე-
შე, თუ დამიჯერებ, გასაოხრებელი გან-
დევილობაც კაცთმდინარების ერთ-ერთ-
თი ტოტი იყო. შენ კი ნიადაგ ენა წა-
მოგიგდია, რაღაც სისულელეებს მიკი-
ეინებ და შენი აზროვნებით ფუტურო
მარგილებზე ჯაფარასავით ხტუნაობ.

სიჩუმე ვარჩიე. მართლაც, ძნელია
მეგობარს უტატანო, როცა ის მოწყვე-
ტილი ვარდივით თავის ჰანგების ლივ-
ლივში გდია; ანთებული სანთელივით
იღვენთება და გესმის ცხელი წვეთების
წკაპაწყუბი საკუთარი გულის ემბაზში.

ჩემთვის დღესაც ქარაგმად დარჩა:
რად გასცქეროდა სივრცეს უნდობ-
ლად? რად დადიოდა გულშემოყრი-
ლი? ქარიშხლებივით რად სუნთქავდ-
ნენ ტიალი გზები?..

ჩემს ბინაზე დავბრუნდით. პოეტი
ფერგამოცვლილ თრითინას ჰგავდა:
სახლის პატრონს კილავდა, ხვალისთვის
საბანაოდ წასვლის გეგმას ადგენდა,
ათას შემთხვევებზე ოინბაზობდა... გუ-
ლიანად ვიციროდით.

ზოგჯერ, შთაგონებიდან გამოფხიზ-
ლებული პოეტი აუტანელია, ჩვეულე-
ბრივ მომაკვდავზე მეტს ამპარტავ-
ნობს, ხანდისხან ისე აჰარბებს, რომ
ღირსეული საზოგადოება აღშფოთებუ-
ლი გაუტრბის.

კარგი ბიჭი უნდა იყვე, რომ პოეტმა
თავისი ცხოვრებით თავი არ მოგაბე-
ზროს. უნეტარესნო და უზენაესნო
მკვლევარნო! რამდენს სტრუობთ თქვე-
ნი სქელი ტომების ძონძებით, როგორ
იოლად ცდილობთ შემოქმედების მუ-
წყუების დაფარვას; ხან კი როგორ სა-
ძაგლად იღრინებით იქ, სადაც მარტო
პოეზიის ჩრდილები ირხევიან; ხან რო-
გორ რიოშივით იღრიკებით ხელოვანის

ფეხასხლეტილ ცხოვრებაზე. ვინ მოსწო-
ვლის, რამდენი ტუტრუცანობა...
როშიათ შესანიშნავ ადამიანებზე...

თუმცა, რა ვუყოთ, მდინარეების
ლეგენდა დახლართულია. კაცობრიო-
ბის ისტორიის ხარვეზიან ლელეს ხომ
ტყუილების წუმპეც ჩაუდის.

მე და პოეტმა კარტის თამაში გავა-
ბით. გარედ წვიმა სტრიდა. ლაპარაკს
და ჭიჭყინს ერთმანეთს აღარ ვაცდი-
დით.

ღია ფანჯრიდან აყვავებული აკაციე-
ბი, ყვავის ქალს გაოცებულნი უტქე-
როდნენ. შავი ტუზი დაყრილ კარტებ-
შორის გაფთორებულ კუდიანივით მო-
კუნტულიყო, თითქოს რაღაცას კრუ-
ტუნებდა. წაბლისფერ მაგიდაზე ბინდ-
ში ამოვლებული ფოთოლთა ჩრდილე-
ბი ქანაობდნენ.

მ ს კ ი ზ ი

შენ ეყოლები ქრისტეს ფარეშად
და მე კი ბუღას მოჯამაგირედ.

ჩემს მეგობარს უცნაური სენი სჭი-
რდა: სულ წანწალში სძვრებოდა სუ-
ლი. თავის ბინაზე იშვიათად დაიქე-
რდი. კარზე ისეთ დროს მოგუქრებოდა,
როცა შუალამე გადასული იყო და გუ-
ლის ძილში ნებივრობდი; აბა ერთი ნუ
გახედავდი, ისე მძლავრად დაგიკაკუ-
ნებდა ჭიშკარს, რომ რაც უნდა დამო-
შმინებული ადამიანი ყოფილიყავი, მა-
ინც დაგაფეთებდა; სანამ კარებს ურ-
დულს არ ახსნიდი, ფეხს არ მოიცვლი-
და.

მეზობლები ბევრჯერ წამეკიდნენ:

„ვის დაჰკარგვია, ი ვილაც ოხერია,
მოსვენებას რო არ გვაძლევს! ნუთუ,
ერთი რივიანი პანლური ვერ უთავაზე,
რომ შუალამისას ბრაცუნს გადააჩვიო!“

„ერთი ჩემი ნაცნობი იყვეს, — კაპა-
ლობა მეორე ავი მდგმურთაგანი —
და ეგრე უდროვით მომადგეს, ისეთი
ჭიტლადი ამოუჭირო, რომ დაბადება
იწყევლოს!“

მეზობლები როდი სტყუოდნენ, მაგ-
რამ იმათ რა იცოდნენ კალაპოტიდან

ამოვარდნილ და გზადანებული ადამიანის ბედი.

ენკენისთვის შავი კუნაპეტით ღამე იღგა. წვიმდა კოკისპირულად. გარედ ძალიც კი არ გაიგდებოდა.

ამ თავსხმაში პოეტი მესტუმრა, ისე გაწუწულიყო თავითფეხებამდე, რომ იატაკზე წყლის გუბე დამიყენა.

— ყმაწვილო ხომ არ გეწყინათ ჩემი მობრძანება? — შემეკითხა თავხედური კილოთი და წარბები შეიკმუნხა.

— კიდევ რომ მეწყინოს, რა გენალვლება, ჩემს რჩევას შენ მაინც არაფრად აგდებ. რას ეკიდები იმ ოხერ ღვინოს, ნუთუ, იმდენი ნებისყოფა არ შეგწევს, რომ ლოთობას ორიოდე კვირით თავი აარიდო?.. ხედავ, რა საშინლად გაღვივდა, ფეხზე დგომა გიჭირს. ისიც კი მიკვირს ამ ავდარში და უკუნეთში, ჩემს სახლს როგორ მოაგენი, — ვუსაყვედურე მგოსანს თან ჩემი ძველი ტანისამოსი მივაწოდე, რომ გაზუნგლული ხალათი და საცვლები გამოეცვალა.

— რა დაგიშავე?.. რად მლანძღავ? — გაბუხხა მეგობარი.

— დიდება შენდა ღმერთო! ნუთუ არ გესმის რაზე გედავები? რად ატიალებ შენს ცხოვრებას, რისთვის იღუპები, როგორც ქუჩის ბოგანო. რა კჯუამ გაგიჭრა, რომ ასეთ ნიაღვარში ავიღია თავი და დაწრილებ?.

— მომწყდი, გეთავყა! თორემ ჩემი გულის ნადებს, დღეს რომ მოგიტანე, სულ ნაყუწ-ნაყუწად ვაქცევ. — ამის თქმა იყო და გატვინდა, ქვედა ტუჩი ჩიჩვირით ჩამოუშვა. სანამ ხელებს ვტაცებდი, ამოღებული ნაწერი ნაფხრეწად აქცია. ის იყო წინ უნდა გადავლობებოდი, რომ დაჰკრა ფეხი და აღანძული გარედ გაეარდა.

გავშრი!.. აღარ ვიცოდი რა წყალს მივცემოდი. თავში ვირტყამდი, რად ჩავუძმარე ჩემთან მოსვლის ხალისი. დაყვავების ნაცვლად, რად შევაშფოთე... ასე ელდა დაკრული ვფიქრობდი, ასე მქენჯნიდა ჩემი პირშავობა. ჩემი

ებრე დახვედრა საყვარელ მეგობარს მიმართ.

ნახევებად ქცეულ ფურცლებს თბდ ვკრეფდი. გარეთ ქარი ასლოკინებდა. წვიმამ გადაიღო. განაბული მთვარე ღრუბლების ბუდრუგანაში შემძვრალიყო. ესკიზის ნაგლეჯები მაგიდაზე დავალაგე, სტრიქონი სტრიქონს მოკუყენე და შევეუდექი კითხვას.

გაბზარული ბწარები საფანტმორტყმულ ბელურებივით ფართხალებდნენ, მტუქსავდნენ და მისტიროდნენ შუალამის გზებზე ვაებით მიმავალ ლექსების ფარეშს.

ესკიზი ასე იწყებოდა:

„შუალამის სანათურებიდან გადმოვარდნილი ქვენა ქარი საბერველივით უბერავდა ოდნავ მბუტავ ქვეყნიერებას.

სადღაც, ხნიერი გამოქვაბულები განუწყვეტილ უსტვენდნენ ფარალალა და ბუმბერაზ სივრცეებში.

ეკლესიის გაღავანში ფეხშიშველი მლოცველები შეგროვილიყვნენ, თვლებზე ხელებმიფარებულ მაცხოვარს რალაცას ევედრებოდნენ.

ქარი მძვინვარებდა. მაღალი ხეები გამალებით იქნევდნენ კენწეროებს სდა საგულდაგულოდ ჰკვიდნენ კორიანტელში გახვეულ ცის შეუღობავ ეზოებს.

წარმავლობის შორეულ მიჯნებიდან ვიღაც იცქირებოდა, ის ბევრის მომსწრე იყო, იმან იცოდა: „შუქამღვრეული მთიები ადამიანის გამოჩენაზე რომ იღრინებოდნენ, როგორ გაურბოდა დედამიწა ისტორიის მაცდურ ფურცლებს; როგორ დორბლიდა კაცობრიობა ღრჯილებგადმოვარდნილ კერპებს, ავადმყოფებივით რომ ხიხინებდნენ ასეული წლების შარა გზებზე მიმავალი საუკუნენი.

ის, ახლაც იყურება. ის, მისანა დასაბამსა და წარმავლობას შორის დასახლებული.

იმის ცხედარს დაწვრილებულ წუთისოფელში შემოასვენებენ გაფითრებული გრიგალები. ვიღაც, იგლოვებს და სანთლების წინ ჩუმად ჩაიწყება.



ასე ჩაივლის მისანის ბედი.

გორგოთაზე ხის მძიმე ჯვარს ისევ აღმართავენ, ვით სამარადქამო მძევალს.

საიდანღაც, კიდევ შემოცვივდებიან ნისლეზმოსხმული საუკუნენი და ასე, წარმავლობის ჩაქრობამდე, სამრეკლოების ძირში და მინარეთებთან იყბედებენ:

ქრისტე, თუ ბუღა?..
ბუღა, თუ ქრისტე?..

ამ სტრიქონებში ჩემი მეგობრის ბურუსი სთვლემდა. ის თითქოს ყველას ეკითხებოდა: ვინ დამიძახა დედამიწიდან?.. რა უნდოდათ ჩემგან?..

გული მეტყინა, რომ ჩემი მგოსანი მარტო მივატოვე. როდილა დავახანე, საჩქაროდ მოვემზადე და გავწიე მეგობართან. ის რატომღაც თავის ბინაზე მეგულებოდა. მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა, თან მიმქონდა იმის ნაღვლიანი ნაწერი, ისეთივე დაძმნძილი და ნაწვიმარი, როგორც პოეტის ცხოვრება.

მთვარეს დაევახშმა, თუ კრუხივით დაეჟორქლა და მის ფრთებქვეშ ვარსკვლავებსაც შეებუდათ. სიბნელეს რომ შევერიე, ვიღაც შორიახლო ამედევნა და შემომკვივლა.

„წარმავლობამ არ ავიკვიატოს, თორემ თავის ნოტიო კედლებზე შემოგაწყვიტავს, ფრთხილად! ფეხი არ დაგიცდეს, არ გადაეშვა სისხლდარეულ მდინარეში მეწამულის სათავეებიდან რომოქშუის.

მგზავრო, მოიხედე! — მომძახოდა ეშმაკის კერძი — ხომ ხედავ, რა თავშისახლელად გაჩნდა კაცთმდინარება!.. არავინ იცის, როდის, ან საიდან შეესივნენ აღამიანები დედამიწას, არავინ იცის საიდან შემოჭებტა უამთასიავე. როდემდის იყურყუტებს, როდის გადაშენდება, როდის ჩაიგდებს სამიწე ხმას, როდის დაუცხრება უკულმართი თვალების ბრღლვიალი!.. წარმავლობის

კრახანებმა მოწამლეს ტვინი, ^{თორემ} გულს რა უჭირდა. ტვინმა დაღუპა ^{მეტი} სტეც და ბუღაც. ტვინის ბედკრულ გულს რო დასჩხავის თვალების შიგნით ურჩხულივით ჩაცუქული და თავის ქალაში ქორიკანა ფიქრების აბლაბუდას ქსელს რო აბავს“.

მესმოდა ეს წყევლა. ნაბიჯს ვუჩქარებდი, ტანი მექინკრებოდა. შიშით უკან როდილა ვიხედებოდი.

ჩემდა კირათ, მზეც წყვდიადის იქით ხვრინამდა, თითქოს წყვდიადის პიტალო კლდეზე სინათლეს ტვინი შეენთხია.

ღრუბლიანი ტაროსი

დეე... შენი განვლილი ცხოვრება
ღრუბლნარა ღამეთ წარმომესახოს.

რაც დრო გადიოდა ჩემი მეგობარი ქალაქის ჭუჭყში და ლაფში იძირებოდა. ულუკმაპურობა, სილატაკე, იმის განუშორებელი მხლებლები იყვნენ. ბინის პატრონი გამოსახლებით ემუქრებოდა. ჩემნაირი ხელმოკლე მზრუნველი შეძლების დარათ ვეწეოდი, მაგრამ მოიხელთებდა თუ არა ორიოდე თუმანს, ანდა საიდანღაც სასუსნავე მოუვარდებოდა, ისე უცბათ გააქრობდა წყეულ ღვინის სარდაფში, რომ ხეაღინდელ დღისათვის გახვრეტილი შაურიანიც აღარ რჩებოდა.

აწეწილი, უყაირათო ცხოვრება ჩეკდა და ანაფოტებდა ჩემს პოეტს. გადავწყვიტე საღმე იოლ სამუშაოზე მომეწყო, იქნებ საკუთარი ოფლით მომცვრეული ხელფასი როგორმე დაეზოგა. ჩემი განზრახვა გაუნდე, ბიჭო! გეყო ლაწლაწი, დადექი სამუშაოზე, პატარა ხელს მოინაცვლებ-მეთქი. მგოსანი ხალისით დამთანხმდა.

— მართლაც, ყასაბის ძალლივით როდემდის უნდა ვეგდო სხვის ნასუფრალზე. კმარა, გზადაბნეულ სიცოცხლეს უნდა დავემშვიდობო. — კვერი დამიკრა მეგობარმა.

ჩემი ქველმოქმედი ნაცნობის მეოხე-



ბით, პოეტი მოვაწყვეთ ზომა-წონის პალატაში დამხმარე რეგისტრატორად. პირველ ხანებში სამსახურში მის დროზე გამოცხადებას და მიცემულ დავალების პირნათლად შესრულებას კარგი პირი უჩანდა, თითქოს მოიტეხინა... მაგრამ, ხუთი თვის შემდეგ, სამუშაოზე გული თანდათან აიცრუა, აიყარა. ყოველ დღით იგვიანებდა, ძილს იბრტყელებდა, დაგროვილ საქმეს ხვალ-ზეგისათვის იტოვებდა. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა, რომ ხანდისხან მთვრალიც შებარბაცდებოდა ხოლმე თავის უფროსთან.

ერთ დღეს ჩემი ნაცნობი საგანგებოდ მესტუმრა და ასე მისაყვედურა: „დიდ ბოდიშს ვიხდი, მომიტყვევთ, თქვენს მეგობარს ვერასგზით ვეღარ გამოვესარჩლები. რა მიდრეკილების კაცია ვერ გამიგია. სხვა არა იყოს რა, მუშაკები დაცივნიან, ქოთქოთებენ, ნიშნს მიგებენ; ამას წინათ, ჩემმა საქმეთა მმართველმა, იმის საწერ მაგიდაზე რალაც ლექსი იპოვნა, უნდა გეყურებინათ და თქვენს ბედნიერ ყურებს მოესმინა, რა აურზაური ასტეხეს: ჩვენი რეგისტრატორი პოეტიანობას თამაშობსო!..“

რამდენჯერ დავარიგე: ყმაწვილო! ეგრე არ ვარგა-მეთქი! მაგრამ შენც არ მომიკვდე, პირჯვარი ვერ დაგწერე! ის, მაინც თავისას ბუქნის, გულს არაფერს არ უდებს. აინუნში არავის არ აგდებს. რაც არ უნდა უთხრა ყურს არ გაიბერტყავს. ყველაფერს მიქარწყლებს. პირდაპირ შევჯერდი, სანამ უარეს ფათერაკს გადამიკიდებს, ნუ გეწყინებათ და თქვენს მეგობარს ხვალედან სამუშაოდან ვანთავისუფლებ. ისიც იცოდეთ: რომ იმის მოთოკვას მე კი არა, მრისხანე იოანეც ვერ გასწვდებოდა. ბოლოს ცხვირში ამოირტყავს, მაგრამ გვიან იქნება“.

აჲ სიტყვებით დამემშვიდობა ჩემი კეთილი ნაცნობი. ვიდექი ფანჯარასთან და უაზროთ გავცქეროდი ქალაქის დაუშრეტელ მოძრაობას.

ზამთარი კარზე იყო მომდგარი. სა-

ცა თოვლს ჩამოჰყრიდა. მეგობარზე ბრალეობდა. განა იმაზე მეტი საცდელაობა შეიძლება, როცა გაჩანაგების გზაზე მისულ მოყვას ყოველნაირად ელოლიავები, ეხმარები, უფროსილდები, ექომავები, ზედ აკვლები, მაგრამ მაინც ხელიდან გისხლტება და ნათეხურებასა შესტირი მის დაბრუნებას. თუ ნათეხურებიც ქარმა წამოკრიფა, აი მაშინ ნახე შენი სიერი!

ამინდები გართულდნენ. მოურჯულბელმა, დაუღვევარმა პოეტმა არარაობის ტიალ ღარტაფიან გზებზე გაუტია. იქ, სადაც უმადური დღეები ჩიფჩიფებდნენ. ის დაღმართზე თავს ვეღარ იქერდა, ძალა აღარ შესწევდა. ის თითქოს ქარში რჩებოდა ავღრის ჰოჰივით. ის თავის ანგრეულ ცხოვრებას ვეღარ ურიგდებოდა. არ ვიცი რა ვარსკვლავზე იყო დაბადებული ანდა რა ყალიბიდან იყო ჩამოსხმული.

მომავონდა ხსოვნის ღველფში დამარხული პოეტის ლექსი, თავის სანატრელ ადამიანს რომ უძღვნა:

ქვეყნიერებას უცქეროდი ათასნაირად,
წარმართ თვალებზედ ქრისტეს წყევლა
გქონდა აკრული,
მთვარე დასით გავითბია, როგორც დიარი,
და ანგელოზებს ულანძობხარ
მუხლებდაზრული.

ბნელ გეთისმანის ბაღში დიდხანს
ტრუბაღლობდი,
ღმერთების ჯოგი გოლგოთაზედ
გელანდებოდა,
დასწყველოს ჰირმა, რაღა ნისლეგს
დაუმეგობრდი,
თუ არ იცოდი, სად ინათლა, სად
ბნელდებოდა!

რა საოცარი იყო შენი მარადისობაც,
ღვენილ სიცოცხლეს ბნელ სიზმრების
ჩანყი მალავდა,
ღრო საუკუნის ჯახა-ჯუხში ჩაისრისება,
და ეგ ცხოვრება მოთავდება როგორც
ბალადა.

ძლივს დარწმუნდები, რომ შენ ჯვარცამაც
კი არ გწყალობდა,
ბედს ნულარ ერჩი, თუ ლოდებმა
ამოიოხრეს,

ნიკო საზადაშვილი
შეხვედრები და სინანული

იტყვიან: ნეტავ დაგენახათ, როგორ
წვალობდა
სანამ დარღებმა საცოდვე სულ არ
გამიხრეს.

ეხლა დადიხარ და ხეებსაც კი ერიდები,
ხან არც კი გინდა, რომ ბინაში შემოგაყვას
ჩრდილი,
ცოტა ხანს კიდევ... იმის შერე, რომ
დაბურღები,
ეგ თავის ქალა კლდეს ექნება პირში
გაჩრდილი.

და შენს ხერხემალს სალამურად
გამოიყენებს,
არმაზის კერპი, ან ქარების ტიალი დოლი,
სანამ გროგალებს შენს ძვლებს კვერთხით
დააყრევინებს,
გოლგოთის მთიდან მორეცილი ღმერთების
ჯოგი.

ჩემო მეგობარო! ამ სტრიქონების
შემდეგ, მე მავიწყდება შენი ბრმა ბედი-
სგან გაუცინარი, ზარდამცემი და გამხმარ
კლერტოსავით გადაქცეული არსებობა.
შენი აფორიაქებული სიცოცხლე ალალი
იყვეს და უსაყვედურო. როდილა მეცო-
დები, რატომღაც მინდა, რომ სულ ეგ-
რე იფუფქებოდე. შენ რო ქვესკენელს
შეგასხან, ალბათ იქაც იკამკამებ.

როცა სასაფლაოზე ფარდებს დაუშ-
ვებენ, როცა შენი ცხოვრების უკანას-
კნელი გულისცემა შეწყდება, ეგ თავის
ქალა, ფერადი ფიქრების ნისკარტებით
გამოფულრული, უღრანი მთების სალ
კლდეებს ნიანგივით პირში ექნებათ გა-
ჩრდილი, როგორც უდაბნოს აღმურმო-
დებულ ქარიშხალებს.

რამდენი ნადირი დასუნავს შენი წა-
მებული სხეულის ჩინჩხვარს და პოეზი-
ის გულთმისნობით შერყეული ხმაგაკ-
მენდილ სოფლებისკენ გაიყმულიებს.

როცა აისის შუქი ნალვერდალივით
დაეცემა ჯვარის მონასტერს, არმაზის
კერპი სალამურზე წარმართთა ფერ-
ხულს დაუკრავს და ბაგინეთის ვარდის-
ფერ ფილაქანზე პიტიაშუმების ქალწუ-
ლები თეთრი მარმამებით იცეკვებენ.

უფლისწულების ყიყინა დაოთხილი
შავგვრემანი ბედაურების თქარა-თქუ-
რით მზეს ჩამოშლილი სხივებიდან ქარ-
ბუქივით მიეჭრება დასატყვევებლად...

ციცაბო შეღმართებზე ფაფარაყრი-
ლი ცხენებით აფრინდებიან ქუთუმიან
რომ დაესწრონ არმაზის ლოცვას და
თმებჩამოშლილ წარმართების ხელე-
ბის სავსავს.

ძევახი შენს ხერხემალს რომ ველარ
ჩაბერავს, ფეხს მუხლზე ჩუმათ გადა-
იმტვრევს და შენს მიმავალ ლანდს
კოდმანის კლდეებიდან გადაჰყვირებს:
ალექმა, მეგობარო არ დაგავიწყდეს!..

ბამქრობა

საკუთარ სხეულში კვარი მიანც
შენით ხოლმე, რომ ჩახედო
გულის ხეივანში...

ზოგიერთი ადამიანი საკუთარ თავს
უფრო ხშირად ებუზღუნება, ეანჩხლება,
ვიდრე მტერ-მოყვარეს.

თუ შემოქმედი თავის შთაგონების
აკლდამაში აბედივით იწვეის, ის მაშინ
ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებს თა-
ვის ორეულთან. იქ არ გიშველის: არც
ფარი, არც ჩაჩქანი, არც ჯაჭვის პერან-
გი, არც ბეგთარი, არც მოღერებულები
დაშნა.

შენს ორეულს შენ ძვლების ლე-
რწის ქვეშ სძინავს, ხან სთვლემს, ხან
ფხიზლობს... ისეთ დროს წამოგხიდება,
რომ აღარ იცი, თავგზააბნეული სად
დაემალო; დაგცინის, გეჭიდება, აქეთ-
იქით გაწყვიტამს; როცა მოგქანცავს,
მოგღლის, შეძვრება შენივე გულის სა-
ბუდარში და შენს დაღეწილ სხეულის
ნარეყს ესაყვარლება.

ჩემი მგოსანიც თავის ორეულს შეს-
ჩიოდა:

შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დაი,
სულ კარგად მახსოვს, შენ რო გამიჩნდი,
გარეთ ძალღივით ყმუოდა ქარი.

ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა.
ქარი სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.

შენ ვადარებდნენ ბინდების ჭრიკინს,
თუშა. სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი,
ავადყოფომა ეგონათ ბიჭო,
ლექსები ტანზე გამოწყარა.

ვერ გაოცდები, დაგდევდი კეტით,
ხან მელეოდა მუხლებში ძალა,
ზარივით გასცდა ამდენი რეკით,
ზედ რო მამხია ეს თავის ქალა.

ჩემი ძაგძაგი, თრთოლვა და სუსხი
ტანის შერქანში თითქოს ძვლებსა ხრავს,
ღვინო მორეულს, ოსშიეარ ასხმულს,
ბინაში ბევრჯერ დამიკონცხარ.

იქამდე სანამ დათეთქვილ ტუჩებს,
არ ვალბობიათ ბუერა სევდა,
შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს
და წმინდა ნინო აკვანს გირწევდა

ლექსების ჯღაბნა წამებათ გექცა,
სჯობდა, ვენახის კვალი გეზარა,
ვის რათ უნდოდა ეს თვალთმაქცობა,
ნეტავი ქარში გადაგეყარა.

ქარები უფრო წაიკითხავდნენ,
ჩაბეირდებოდნენ, სადმე სიცილით,
ჩემი ცრემლებით დამეს ხატავდი
და ბეთანიას მათისი დილით.

ვერ მოვიარე, რა გიყო ძმომ!
ორივე შემერთალ ბუჩქის ჩრდილს
ვგავდით,
შენ კიდევ ფიქრში მაინც მძუნაობ,
მე კი ბუწუწი გამცვივდა დარდით.

რა ვუყოთ, თუ პოეტის გადაყრდნობა
ნაწერებს დასწვდნენ, წაიკითხეს
ხელები თავპირში წაიშინეს.

არტახებში ჩაკრულ ბანგმორეულ
ორეულს მგოსანი გადახვეოდა და გაშ-
მაგებით უკონიდა სევდის ნალვლის-
გან ამღვრეულ თვალებს.

პოეზიის აკვნის უღელზე მარცხენა
მკლავით დაყრდნობილი ღვთისმშობე-
ლი იავნანას მღეროდა და, საგოგავები
ბანს აძლევდნენ.

უნაბის ხეების გასწვრივ, თეთრად
გადაპენტილ კორდზე წმინდა ნინოს
ცრემლები ბრწყინავდნენ, როგორც
დამსხვრეული ჯვრის ნაკუწები, თით-
ქოს უდაბნოში გადახვეწილ ნინოს
მშობლების მღელღარება მოეტანათ იე-
რუსალიმიდან წამოსულ ღრუბლებს.

გაშლილ ალუჩებს კი შესეოდა ლექ-
სების გუნდი და, აი საცაა გადაფრენას
აპირებდა ბოდბის მონასტერში, იქ სა-
დაც განისვენებს კაპადოკიელი ქალწუ-
ლი.

გაგრძელება იქნება

გაბაბასება ილიას აჩრდილთან

მთვარის ქათქათა თეთრი ზეწარი,
მშობლიურ ქედებს გადაეფარა,
ბედნიერი ხარ, ვერ მოესწარი
უმანკო სისხლით მოთხვრილ ქვეყანას.

დაჩეხვა ჩვენი ბასრი ნიჩბებით,
არ უფიქრია უნდობ შაჰ-აბასს.

ჩვენ ჩვენი გვინდა ეზოც და ოდაც,
სხვისი არც შურს და არც უნდა
ქართველს,

ისე ვართ მაინც წელში წახრილი,
ვაი, დავითის რა დრო გაფრინდა,
და შემაძულეს ისე აპრილი,
რომ რუსთაველზე გავლაც არ მინდა.

მამაბაპური ნაქები გორდა
მხოლოდ ხელიდან არ გაუვარდეს.

გვტყიებია და მაინც ვითმენდით,
მერე გამოჩნდა გეზი, სულ სხვა გზა,

მთვარის ქათქათა თეთრი ზეწარი,
მშობლიურ ქედებს გადაეფარა,
ბედნიერი ხარ, ვერ მოესწარი,
უმანკოთ სისხლით მოთხვრილ ქვეყანას.

დეკემბრის საღამო

დეკემბრის ქარი მიხვეტავს ფოთოლს,
დეკემბერია, ბორგავს ბუნება,
დღეს თუ არა და ზვალ, ან ზეგ მოთოვს
და ყველაფერი გადახუნდება.

გადაათეთრებს მთებსა და გორებს,
დრო, უკან აღარ დაგვიბრუნდება,
შენ სულის, სულის იჯაერე, თორემ,
რა არის ხორცის გადახუნება...



მთელი ბრბო უკან ისე მომდევდა
ზოგი კეთილი, ზოგი კი ფლიდი,
არ ვიცი, სულო, გტანჯო როდემდე,
წმინდა ტაძრისკენ დროა გაფრინდე.

სიკვდილს, რომელსაც ასე გოდებენ,
არ გააჩნია ხათრი და რიდი,
არ ვიცი, სულო, გტანჯო როდემდე,
წმინდა ტაძრისკენ დროა გაფრინდე...

ქუთაისი

მზის სხივები ძაფებია ჩემი გულის,
მფრინავ რაშზე მეც შემისვი ზვითო ბიკო,
სიყვარული წინასწარ მაქვს გაფლანგული,
თუ დამიჭერს შენმა გულმა დამიჭიროს.

მეც მოვუსმენ ფაეტონზე მხტუნავ ორღანს,
და მტერს სიტყვას ისარივით მეც გავარტობ,
მომისაჯონ სამუდამოდ ის კატორღაც
ოღონდ შენს მკერდს მიმაბან და მიმაჯაჭვონ.

ვცდები როგორც კამათელი ჰრელი ნარდის,
მაგრამ მაინც, შენი სუნთქვით მაინც ვხარობ,
როცა წავალ არ დამმადლონ მიწა ადლი
შენი მიწა გულზე მუჭით მომაყარონ.

უკან ვინ დაგვიბრუნოს ორშაბათი, შაბათი,
იცლებიან დღეები, ვით ჭიქაში შარბათი.
რალაც ირიბ თვალებით მიცქერს ყვავის ბახალა,
ვერ გავუგე წარსულ წლებს; ვერც მეგობარს, ამხანაგს.
მეც ცხოვრებამ შემავლო ბედისწერის სასწოროზე,
ბევრი ეპვით მიცქერდა, ბევრჯერ ამწონ-დამწონეს.
და როდესაც გაფრინდნენ ორშაბათი, შაბათი,
ეპვებით და ტკივილით როცა გავკვალარავდი,
ბოლოს როცა ვიტანჯე, კიდევ ბევრი ვიწვალე.
რამდენს გინდა გაუძლო ამ ცოდვიან მიწაზე,
რომ შენც კაცად გიწამონ...

ნერვიულობა, ფიქრი, ლოდინი,
მიკოჭილი ვარ ბოძზე თასმებით,
იმარჯვებ, ჰყვავი ნედლი ტოტივით,
ხმელს გავხარ კაცი, როცა
მარცხდები.

ფიქრებს, ლოდინს და ნერვიულობას,
ვიცი, აწი რომ ველარ ავცდები,
მე მეჩვენება, მაშინ ვიმარჯვებ,
თქვენ რომ გგონიათ, მე რომ
ვმარცხდები...

ძახილის ნიშანი

ეს მწვანე კორდი, მაღალი სერი,
ლამაზ ქალივით გიზიდავს, გეტრფის,
გავეზვით და ცხოვრების ქსელში.
მას ვერასოდეს დაუესვამ წერტილს.

რასაც ვწერ, დავწერ და რასაც ვწერდი,
მას ვერასოდეს დაუესვამ წერტილს.

ეს მწვანე კორდი, მაღალი სერი,
რალა ვინატრო, არ ვიცი მეტი,

ეს მწვანე კორდი, მაღალი სერი,
უკვდავ სიცოცხლის წყაროსა ნიშნავს,
მეც სიყვარულის თუ დამწვავს სენი,
დაუესვამთ ალბათ ძახილის ნიშანს.

ოტა რამე მახარებს,
ოტა რამე მწყინს,
ნეტავ რისთვის დავკარგე,
ვინც მიყვარდა, ის.

თუ ცხოვრებამ გამრიცა,
მაინც გაწვდნით ხმას,
ხდება, ვინც რომ არ გიყვარს,
ეფერები მას...

ცვარი როდესაც დანამავს ვარდებს,
აყივლდებიან სოფლად მამლები,
შენც ჩუმად მაშინ გადაწევე ფარდებს,
ფანჯრის კუთხეში დაიმალეები.

და მთვარე — ნავი არგონავტების,
შეიპრა ღრუბლის რძიან ნათელში.

წითლად ფეთქავენ ირგვლივ ატმები
დრო დადგა უკვე გრძნობის გამხელის

მზემ ოქროს ძაფით ცა ამოკემსა
და გადმოფინა თბილი სხივები,
დილა ნისკარტით შემოაქვს მერცხალს,
გიტარის ტკბილი ქლერად სიმებით.

სიმღერის ძალა

ნანი ბრეგვაძეს

თოვლი და წვიმა
და ისევ ქარი,
სიბნელე, ბინა,
გამხდარი ქალი.
სიკვდილი, სევდა,
და ძვლების გროვა,

ჰალარა დედა,
მოთქმა და გლოვა.
ფიქრები, სისხლი,
გარღვევა ბინდის,
ცხოვრება მაინც
სიმღერით მიდის...

როგორც ყოველთვის მარტო ვარ ისევ,
და ჰიბმული ვარ ფიქრებთან თასმით,
ვდაიბ მუზებთან და ღმერთი მისმენს,
ეშმას თვალებიც მიყურებს თარსი.

— ასე მარტოა როგორა ძლებო,
მეუბნებიან, მაწვდიან სასმისს,
— ეჰ, თქვენ რა იცით, რა იცით, ძმებო,
თეთრი ღამის და მუზების ფასი...

მე აქ ბუდე მახსოვს მერცხლის,
აქ შაშვების მახსოვს გლოვა,
ამ სოფელსა ვილა შეცვლის,
აღბათ სულ სხვა კაცი მოვა.

ვინც გვიყვარდა ახლა რად გვძულს,
ვინც რომ გვძულდა ახლა ვაქებთ,
ველოდებით ახალ მსაჯულს
და უცოდველ მოსამართლეს...

სვანეთს

სიმწვანე თუკი ლივლივებს სადმე!
 სიმაღლე, — ვინმეს თუ უღირს რადმე!
 ჩანჩქერნი, — ცხადლივ ზღაპარს რომ
 გავდეს,
 მზერა ღვთის სამზერს ნამივით სვამდეს,
 ეს შენ ხარ, შენა, ჩემო სვანეთო!

შემახეთ ხელი, შხარავ და შეხელდავ,
 სული გამშრალი მიქციეთ ნედლად;
 მონატრებათა უსაზღვრო სევდავ,
 მშობლიურობის ცრემლო და ელდავ,
 გულივით ფეთქავ ჩემში, სვანეთო!

უშა მზირალი ქვეყანას ზედა,
 ქნილი ნუგეშად, მფარველად, მწედა,
 მას ჩავაბარე ძმა, მამა, დედა,

მუდამდლე მალლით დასცქერის,
 ხედავს... —
 სალბუნი დამდე, დედავ სვანეთო.

ბავშვობა ჩემი, კამკამა ნენსკრა,
 უძირო ციდან ვარსკვლავთა რეკვა;
 რაც უნდა მძიმე დარდის წრე მეკრას,
 ვერ დავივიწყებ ყვავილთა ცეკვას,
 სიმღერავ ჩემო, ჩემო სვანეთო!

მონატრებიხარ ისე ძალუმად,
 ცრემლიც მიყლაპავს სხვისგან
 მალულად;
 ცაო, გამლღვლო შექში ფარულად,
 შენთვის ვლოცულობ უხმოდ,
 ქალურად...

უცხო ხილვების ნეტარ-სამეფოვ,
 გულში ჩამიკარ, ჩემო სვანეთო!

არც სამეფო ხოხბები,
 არც კოლხური შურთხი.
 თვალნელშუა ოხრდები,
 ამოთქმასაც უფრთხი.

ადგილთ, მშვენთა იისაგან
 ეპარებათ მწუხრი.
 არც ნალარა მღვიძარეთა,
 აღარც მგლისა მუხლი.

ღიაცური ჩივილი,
 წუთისოფლის მუხთლის...
 ...ვაი, თანამდევ სულებს,
 ღრმა საფლავებს ვუფრთხით...

რის კოლხური ხოხბები,
 რის სამეფო შურთხი...
 თვალწინ რომ გვიოხრდები,
 ამის თქმასაც ვუფრთხით.

ილია

ვითარ შეგბედო სიტყვა, სულმნათო,
 თუმც ნათელხილვის ტყვიელი მათრობს...
 ხატო და ფიცო, სულთქმავ ქართვლისავ, —
 ო, როგორ გნატრობთ!
 ...უფლისებრ ხატობ. შუბლზე ნაქდევი
 შარავანდელის შუქ-ჩრდილად იწვის.
 სისხლთხევით თქვენით... ვახლავ, რომ მივხვდით,
 წარვსხიბეთ გზად აღთქმული მიწის,

შევბღალეთ ძარღვი ქართული სისხლის,
 აღზევდა რადგან იუდას ნიჭი,
 ბოგანოსავით ნათრევი იქვით:
 რომ თურმე ქართველთ,
 რომ თურმე ქართველთ, — ღვთიშობლის წილხვედრთ,
 უღმერთოდ გვიჭირს,
 უღმერთოდ გვიჭირს, —
 რადგან მტრის ხელით დამიზნულ ტყვიას,
 ისევ მტრის ფანდით ძარცვა რომ ჰქვია, —
 ისევ ჩვენ ვესვრივთ ჩვენივე ხატებს;
 ჩვენივე ვიკლავთ თავს, ერს ვაძლევთ ზიანს...
 და მოსიერიე მტერს თავაზიანს,
 ბრალსაც ვერა ვდებთ, დავლაჩრდით ისე.
 ისინი ჭრიან... კერავენ... ჭრიან...
 ჩვენ ერთურთს შუბლში ვაჭედავთ ტყვიას...
 მტერი სეირნობს, მტერი ზეიმობს,
 თამაშ-თამაშით გეგმავენ... ჭრიან...
 ...და მერე მათგან გასროლილ ტყვიას, —
 მთლად საქართველოს სირცხვილი ჰქვია.

ბედნიერებავე,
 ეს მერამდენედ ჩაიარე
 ჩემი ქოხის წინ...
 შემოსვლა ჩემთან
 ერთხელაც არ მოგსურვებია?!
 გადმოატარებ შენს ფრთხილ მზერას
 ჩემი ტანჯვის პირბასრ მესრებზე,
 ...მზერას ვინ ჩივის,
 ჩემი სულიც დაკაწრულია.
 გულისმომკვლელად გამიღიმებ
 და გზას განაგრძობ...
 ...გული ჩემი ზანზალაკია,
 რომელიც დუმს და
 მხოლოდ შენით აწყრილდება.

მიღიხარ სხვაგან,
 სხვისთვის იცლი,
 და ჩემთვის — არა.
 შენი ჩავლა
 ბედისწერა ჩემი მგონია,
 რომელიც მუდამ ჩემს
 გულის ცეცხლს ეთამაშება,
 სხივებს მთავაზობს, მოჩვეულნი რომ
 არ მყოლიან.
 მგონია, აგერ, შემოაღებ
 ახავსულ კარებს
 და ჩემს წილ ზეცას
 მევე მიძღვნი, — რატომ მგონია?!

დეკემბრის ღამე

დეკემბრის ღამე
აქ ასკილის ტოტზე ყვავილობს.
დე, ეს სიჩუმე,
როგორც ლოცვა ქარმა წაიღოს.
რალაც იდუმალს შენატრიან
თვალეში შაშვის,
ამ დიდ ტაძარში ჩემს
ნაბიჯებს, ღამევე, ნუ წაშლი.

არ მიმატოვო შემოქმედო
ბნელის წინაშე,
შენ სულო ჩემო,
არ ემონო ჩამქრალ მირაჟებს,
ისევ მამშვიდებს მომავალით
მეუფე ჩემი,
მივინდე თქვენს ხმას იდუმალნო,
როგორც ზღვას გემი.

ნასახლარებში
ვის იხსენებს
ვერხვი შრიალით,
ვტირივარ,
როგორც თერგის ღამე
წვიმით გვიანით.
ნაწისქვილართან
რას მოსთქვამენ
შმაგი ღვარები,
ან ანანურთან ვის უხმობენ
ძველი ზარები.
კვლავ სინანულით
გავუღიმებ
ტყისპირ გვირილებს.
ჩემს დიდ ტკივილზე
შლეგი ქარი
ისევ ქვითინებს.

სხვას ვის რას ვეტყვი,
შენ ამინთე გრძნობა სიწმინდის,
უდაბნოდ შთენილს
წინ იმედის დროშას მიწვდიდი.
როცა კლდეებზე ლოცვის ნაცვლად
ყორანი ყუფდა,
მყუდრო კარავში
ღამესავით ჩნდებოდა სევდა.
მფარავდა შენი თბილი კალთა
ქარით გაძარცულს,
ფოთლის შრიალით მიგზავნიდი
გვიან გაზაფხულს.
მე მაღლიერი შენი ქცევით
ცრემლებს გწირავდი.
ვთვრებოდი შენით
როგორც ქვევართან ღამე წინანდლის.

მთიულეთს

თოვლში მიყუჩდნენ ტოტები თრიმლის,
ქარი ჩაჰბლავის ღია სამარეს
და ამ ქვეყნიდან წაღებულ ტკივილს,
ცივი ბელტები მშვიდად მალავენ.
რას ამბობს ნეტავ ცაცხვების ბინდი,
სანთლით გაჰვარტლულ ნიშის
კედლებთან.
ქალაში როცა ყვავილობს შინდი,
ვის იცის შენთვის მაშინ თენდება.

შენთვის ლოცულობს დაუსრულებლად
ანანური და ჭვარი.
და ქვაზე ნაკვეთ მარადისობას,
შენთვის აღვიძებს ქარი.
მზე დაგიკოცნის, მზე დაგილოცავს,
მთებივით მაღალ დროშებს.
აქ ღამე შესძრავს ბრძოლის ყიყინით
ჟამთა სვლით მღუმარ კოშკებს.

შეშინების პრაქტიკა

რ(მ)ან(ი)

84

85

მორჩილას რომ საკუთარი თავი ენახა სარკეში, დასკვნადა, რომ შეშლილის პერანგი ოდნავადაც არ უხდებოდა. თეთრ ტაბურეტზე იჯდა მაღალკერძიან ოთახში და გაბანჭველულ ნიკაპს მხარს უხახუნებდა. ერთმანეთის მიყოლებით შემოლაგდნენ თეთრხალათიანები. ყოველ მათგანს ხალათის ჭიბეებში ჩაეწყო ხელები და თანაგრძნობით უღიმოდა პაციენტს.

მორჩილამ თვალი შეავლო მოსულეებს. უცხად წამოხტა, ფეხზე დადგა, ტაბურეტს წიხლი ჰკრა და შესძახა: — „რას ჰგავს ეს? ვინ გგონივართ!“ ხმაშაღლა დაასლოცინა და გაირინდა. თეთრხალათიანები ისევ უსიტყვოდ და ისეთივე თანმიმდევრობით გავიდნენ, როგორც შემოვიდნენ.

გაკვირებული მორჩილა მარტო დარჩა, მაგრამ დიდხანს — არა... შემოვიდნენ ორნი: ახალგაზრდა თეთრხალათიანები. მღუმარედ ეცნენ მოგზაურს, ტახტზე პირქვე წაწვიანეს, შარვალი ჩახადეს და უკანალი გაუშისვლეს... მორჩილას დაძაბულობისაგან მთელი ტანი უძაგდაგებდა, ასლოცინებდა და სულ ძლივს ითქვამდა (არადა, ძალიან უნდოდა ცეითხა ამ ახალგაზრდებისათვის, რას შერჩითო).

როცა ჩხვლეტა იგრძნო უკანაღზე, მიხვდა, — ნემსი გამიკეთესო!

ჩხვლეტის შემდეგ, თეთრხალათიანებმა შარვალი ამოუწიეს და დატოვეს მარტო.

მორჩილა ტახტიდან აღარ ამდგარა, პირაღმა გადაბრუნდა და კერს მიაშტერდა. სლოცინმა გაუარა. გონება დაებინდა, ძილი მოუნდა, თვალები მიილუდა და ტახტზე შესწორდა. — ხვლებდობარკილს წოლა ეუბერხულებოდა.

ეტყობა, მოგზაურის ძილისწინა საშუადისს ყურადღებით უთვალთვალებდნენ. ისევ შემოვიდნენ თეთრხალათიანები, მორჩილების პერანგის თასმები შეუხსნეს და უკან გაკრული ხელები ახლა გულზე დაუკრიფეს ნახევრად მძინარეს...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 12, 1, 2.

— მე ჭანმრთელი ვარ! — ამაყად განუცხადა მორჩილამ დარბაისელ მთავარ ექიმს.

— აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, — უხერხულად შეიშმუნა ექიმი და სასთუმალთან დაუქდა.

— ნამდვილად! — დაეთანხმა გაგულისებულ მორჩილა. — „რაღაც“ კი არა, დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი.

— მეტამორფოზორიუმში როდის ჩამობრძანდით?

— არ მახსოვს, ვგონებ გუშინწინს!

— აბა, გაიხსენეთ: იმ დღეს ჩამოხვედით, როცა უსიხდას რესტორანში დაგაქავეს?

— დიახ!

— მაშ, ერთი კვირის წინ ჩამოსულხართ!

— რა ბრძანეთ?

— ნუ იღლევებთ, ხდება ხოლმე!.. მკურნალობა თავისას მოითხოვს. დღემდე თქვენ ძალიან აგრესიული იყავით.

— რას ბრძანებთ, აგრესიული არასდროს ვყოფილვარ!

— მაშ, დაფიქრდით, ვინ დაემუქრა უსიხდას და ვინ მოუქნია მუჭლუგუნი ჩვენს შოფერსანიტარს? აბა, გაიხსენეთ!

— როგორ გეკადრებათ, არავის ვერჩი, გუფიცებით! ცოტა ნასვამი ვიყავი, მახსოვს, მაგრამ ვინმეს წყენინება, მით უმეტეს, მუჭარა... არასოდეს!

— კეთილი, კეთილი! დავუშვათ, ჭანმრთელი ხართ. მაშ, მეტამორფოზორიუმში რამ მოგიყვანათ?

— მოგზაურობა მიყვარს!

— ხეტილი?

— როგორ გეკადრებათ! მე სულ სხვა რამეს ვამბობ: ჭერ ერთი, — შევბუღებში ვარ, მეორეც, — მოგზაურობა მიყვარს და მესამე და მთავარი...

— ბრძანეთ, ბრძანეთ!

— მთავარი ისაა, რომ ნაცნობს ვეძებ! კაცი დაიკარგა და ვალდებული ვარ, მოვძებნო. ვეძებ კიდევ!

— თუ იპოვით, ამით შეიცვლება რამე?

— შეიცვლება!

— კერძოდ?

— სინდისს დავიშვილები! დავრწმუნდები, რომ ვალი მოვხალებ და სინდისს დავიშვილები!

— თუ ვერ იპოვეთ?

— თუ ვერ ვიპოვე, მაინც დავეშვილები, ძებნა შეტე არ შემიძლია!

— ვისაც თქვენ ეძებთ, ისიც ასე მოხვდა ჩვენთან (ყახიდას რესტორნიდან აიყვანეს).

— მერე?

— ზუთ დღეში გავერეთ.

— სად წავიდა?

— შარავანდაში.

— ზოო, შორია?

— არც ისე, მაგრამ ხანამ ამაზე ვილაპარაკებდით, თქვენ მკურნალობაზე უნდა შევთანხმდით. სასურველ შედეგს იძულებით ვერ მივიღებთ... სჭობია გაიზარათ და დაგვეთანხმობით!

— იმან რა ჰქნა?

— ის დაგვეთანხმდა. არც წაუგია თავისი თანხმობით!

— იცით რა, არაფერი მინდა გამიშვიო. მთელი შევებულემა აქეთ-იქით ხეტილში შემომიღვევა, თუ არ გამიშვებთ... ის კაცია უნდა მოვებნო!

— მოითმინეთ, ჭერ უნდა მომაგრდეთ! ვერ ამჩნევთ, მაგრამ გაუთავებელმა მოგზაურობამ, დაღლილობამ და არარეგულარულმა კვებამ დაგასუსტათ... გიმკურნალებთ. როცა მომაგრდებით, მიბრძანდით და ეტებეთ! ზშირად სვამაღით?

— რა ბრძანეთ?

— აშირად დებულობით სასმელს?

— ოოო, არა! არაყი დაველიე ზოლოს, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო...

— მაშ, არ ლოთობდით!

— არა, ნამდვილად არა!

— აქ რატომ მოდით, თუ არ ლოთობდით?

— აქი მოგახსენეთ, დაკარგული კაცის საქმენულად წამოვედი და იმიტომ...!

— რამდენი ხანია, რაც ეძებთ?

— დიდი ხანია.

— მაინც, ზუთი წელი იქნება?

— რა ბრძანეთ? არა!

— იმან ზუთი წლის წინ იპყრნალა მეტამორფოზორიუმში.

— რა ბრძანეთ?!

— რატომ ნერვიულობთ, დაწყნარდით!

— მატყუებთ!

— როგორ გკადრებთ! მეც იქნებ ეჭვი შემპარება თქვენში, შემიძლია იგივე გითხრათ, მაგრამ არ გუებნებით!

— შევიშლები ჰკუიდან!

— ამას უკვე ჩვენ არ დავუშვებთ, იმედი იქონიეთ დაწყნარდით და ისე შიპახსუბეთ. მაშ, თქვენ არ ლოთობდით, ქანმრთელი ხართ და ყახიდას რესტორანში იმიტომ მოხვედით, რომ იმ კაცს ეძებდით, ახეა?

— მთლად ასეც არაა! ყახიდას რესტორანში იმიტომ მოხვედით, რომ თოფიანმა კაცმა მიპაწავალა. მეტამორფოზორიუმში კი იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩიასაც ამ გზით უნდა ევლო და აქ გამოვივლიდა, თუმცა...!

— ბრძანეთ, ბრძანეთ!

— ჩიამ იპყრნალა თქვენთან თუ სხვამ, იქნებ გეშლებათ? ლურთებმა მითხრეს, ალბურ მდელიობთან დაიღუპაო.

— თქვენ ლურთების სექტიდან ხართ? მერედა, ლურთულად რატომ არ ლაპარაკობთ?

— არა, არა! მე ლურთებთანაც ვახლდით. ჩიას კვალმა იქ მიმიყვანა, იქიდან კი აქეთ წამოვედი...

— ზოო, გინახავთ ლურთული ყოფა?

— დიხა! ცული ხალხი არაა.

— ცული ხალხი არაა, მაგრამ ცრუმორწმუნეობის გამო მკურნალობას ერიდებიან. მოხვდა ჩვენთან ერთი ლურთი (შემთხვევით, რა თქმა უნდა), მაგრამ მკურნალობაზე უარი გვითხრა და გაიქცა (თითქოს ვინმე აძლიებდა). იმ დღეს ქარბუქი ამოვარდა. მოთხილამურე-სანატრებმა უღელტეხილამდე იარეს, ეტებეს, მაგრამ ვერ იპოვეს (დაიღუპებოდა უტყველად). არადა, ვაჟკაცი ჩანდა აღნაგობით, მაგრამ ჰკუა კი არ უჭირდა... ლურთებთან დიდხანს ცხოვრობდით?

— არა, რამდენიმე დღე ვიშრომე მათთან. ატურს ვწიდავდი, რომ ქურქი და ჩექმები შემეცინა.

— ალბათ, მუყაითად იშრომეთ, რახან ასე დაგასაჩუქრეს...

— მშშ, ვიშრომე, როგორც შემქმლი თქვენ ის მოთხარით, ჩიი თუ ნახეთ პირადელ?!

— ვნებე! მკურნალობის შემდეგ მშვენივრად გამოიყურებოდა. მეტამორფოზორიუმში ჩამოსვლის დღეს კი თქვენსავით ნასვამი წამოვიყვანეთ ყახიდას რესტორნიდან. მაშ, თქვენ არ იცით, რატომ არის აქ უფასო რესტორანი?

— აა-რა!

— ზოო, ლურთები მოდიან თავისი ნებით, უფასოდ თვრებიან, მერე კი მკურნალობაზე თანხმდებიან. თუმცა ეს ადრე იყო. ახლა სტაციონარში ბოლო პაციენტები გვეყავს (სულ რამდენიმე). მეტამორფოზორიუმში თითქმის ცარიელია...

— მე ლოთი არა ვარ, დამიჭერეთ!

— დაგიჭერებთ, დაგიჭერებთ, ოღონდ მკურნალობის შემდეგ.

— შევიშლები, ღმერთმანი!

— გამორიცხულია. ძალებს არ დავიშურებთ თქვენს გასაქანსაღებლად.

დარბაისელი ექიმი წამოღგა, ხელი მოუთათუნა მხარზე პაციენტს და უთხრა: — ცოტა წაუძინეთ! ნახადიღვეს კიდევ გავისაუბროთ. მერწმუნეთ, თქვენთვის სიყვთე შინდა!

...ქანსადაც მსცდუნა... უთხრა ნასადრილეს
მორჩილად შეტბორა ფორიუსის დაბნახსელ
მთავარი ექვსე... დასალევი შემომთავაზა, მა-
შინ, როცა სულაც არ ვაპირებდი დაღვევას.
რატომ დათანხმდით? — გაეცინა დარბა-
სიებს.

— მაცდუნა-მეთქი, გესმით? — გაღიზიანე-
ბული ჩანდა მორჩილა.

— ვერ უნდა იცდუნებინეთ, თუ დალევთ არ
გინდათ... რახან ცდუნებას აწყვეით, ცოტა უნ-
და იმეორნალოთ!

— არ მინდა, გეფიცებით, ეს საკმარისია
იმისათვის, რომ სწორი დასკვნა გამოვიტანო.
ჩემი გალოთება გამორიცხულია!

— კეთილი, კეთილი, მაშინ მომავრდით და
თქვენე მკურნალობა დამთავრებულად ჩავთვა-
ლოთ. იმედი გამიცრუეთ, მართალი ვითხრათ!
იძულებით არ გიმეორნალებთ. თქვენ რომ...
არა უშვავს!

— რამდენ ხანში გამიშვებთ? ჩემთვის ურვე-
ლი დღე ძვირფასია. ხვალვე...

— კარგი, კარგი... ხალამოს უახიდა ტეტს
გაგატარებთ. თუ შედეგი დადებითი იქნება,
ხვ ლეე წახვალთ!

მორჩილამ წუთხილად არ იცოდა, რა იყო ტეს-
ტი, მაგრამ შეიკითხვა ითაკილა და თანხმობის
წინადად თავი დაუქნია ექიმს.

...აზოდ იცოდა იმ ხალამოს მორჩილამ ცნასი-
და არ გამოჩენილა).

ის ღამე თითონად გაათუნა. მორჩილე ექიმთან
კამათი მოუვიდა („მინდა დაგიჩინებ და მინ-
და არაო“, — უვიროდა).

დღით დარბაისელ მთავარ ექიმს ალატაში
შემოსვლისთანავე მიახალა: — უახიდა არ მოხ-
რძანდა და მორჩილე ექიმმა ტვინი გამოილახა
„დაიძინე, დაიძინე“... ძახლითო.

დარბაისელი უქმყოფილოდ შეიშმუშნა. ამ-
ჭრად სასთუმალთან აღარ დაუჭდა პაციენტს.
თქმით კი უთხრა, — ერთი კვირა დასვენება
თქვენთვის აუცილებელია. როცა დამშვიდდე-
ბით და მომავრდებით, ვაჭერო!

მორჩილა მთავარი ექიმისაგან რატომღაც
მხარდაჭერას ელოდა და მისი ნათქვამი ისე
ეწეინა, ხმა ვეღარ ამოიღო... დარბაისელსაც
შეტი აღარაფერი უთქვამს, გაიხურა კარი და
წავიდა.

მორჩილა სადილობამდე იწვა და ათას რა-
მეზე ფიქრობდა... მთავარს ჰკიან მიხვდა: ექი-
მი მართალი იყო. უნდა დაესვენა და გზა შე-
რე განეგრძო...

სადილობისას დარბაისელს შეხვდა და უთხ-
რა: — უველაფერს დაგიჭრებთ, ოღონდ რო-
გორც კი მოვმავრდები, გამიშვით!

დარბაისელმა მხარზე მოუთათუნა ხელი და
გაუღიმა (თქმით არაფერი უთქვამს).

იმ ღამეს მორჩილე ექიმთან აღარაფერი
მორჩილას (პირიქით უშალამისას კახინეტში
დაუჭდა მედიკოსთან, პატივმა სთხოვა, ღამის
ძმობა შეეფიცა და თავისი მოგზაურობის ამ-
ბავი დაწვრილებით მოუყვა)... თავის მხრივ,
ახალგაზრდა მორჩილე ექიმმა ჩიას „ავადმყოფო-
ბის ისტორიიდან“ ამონაწერი წაუკითხა. გამო-
ირკვა, რომ არტიტექტორს მღვერის აკვიატე-
ბული შიში შექმნია. სტაციონარში კრიზისიდან
ხუთი დღის მკურნალობის მერე გამოუყვანიათ.
გამოკანმრთლებების შემდეგ (როგორც „ავად-
მყოფობის ისტორიის“ ეპიკრიზში ეწერა) სა-
ბოლოოდ დაუსვამთ დიაგნოზი, „რამდენადმე
სანდო“. ეს უველაფერი ნამდვილად ხუთი წლის
წინ მომხდარა და არტიტექტორი ფუნქციული-
რით გამგზავრებულა შარავანდაში.

იმ დროს, როცა ექიმი უველაფერს ამას უხსნი-
და, ტელეფონმა დარეკა. მორჩილა უსიაპოდ
შეიშმუშნა, ზარამ საუბარი რომ შეაწყვეტინა,
მაგრამ მოთმინებით ელოდა, როდის დაამთავ-
რებდა მორჩილე ექიმი ტელეფონზე ლაპარაკს.
ისევე ათასი აზრი უტრიალებდა თავში და ვერა-
ფრით დაელაგებინა თავ-თავის ადგილზე... ტი-
ვენებოდა, რომ ის ორმოცი წელი, რომელიც
ამ ქვეყანაზე გაატარა, უღიმღამო და ერთფე-
რკვანი იყო...

ფიქრიდან ექიმმა გამოარკვია, მორჩილას
ყურმილი მიაწოდა და უთხრა, — ელაპარაკეთ
მორჩილა არავისთან აპირებდა... უღონო
გასაუბრებას, მაგრამ უსიტყუოდ გამოართვა
ყურმილი და მიაყურადა.

— სადამო მშვიდობისა! — ყურმილიში გაი-
სმა ქალის ხმა. — ოდენე განზარული ალტი.

— გამარჯობათ! — მორჩილამ წარბები შე-
ქმუშნა და ექიმს გადახედა.

— მარტობელა ქალია, არც დღე სძინავს და
არც ღამე! — გაიცინა ექიმმა. — შარავანდი-
დან რეკავს. ჩვენი პაციენტია. თვითონაც
ფხიზლობს და ჩვენც ვავფხიზლებს...

— რას იქმთ, ავადმყოფობა ხომ არ მოგე-
რით? — გაისმა ყურმილიში ხმა შარავანდიდან.

— რა ბრძანებთ? — დაიბნა მორჩილა, რომე-
ლმაც ექიმისა და ტელეფონზე მოხსუბრის ნა-
თქვამის ერთდროულად დააზრება ვერ მოახე-
რბა.

— სენი ხომ არ მოგერიათ-მეთქი, — გაიცი-
ნა შარავანდელმა ალტმა.

— არა, რას ბრძანებთ!.. — გამოცოცხდა
მორჩილა. უნდოდა ეთქვა, სრულიად ჩანმრთე-
ლი ვარო, მაგრამ გაახსენდა, რომ ექიმი იქვე
იმყოფებოდა, ტრამბისაგან თავი შეიკავა და
დასძინა: — უბრალოდ, გადაღლილი ვარ, ცო-
ტა უნდა მოვმავრდე... შევბუღებმა მავს და
ჩამდენიმე დღით ვისარგებლდე.



— მოლი — თქვა ალტმა, — რა გვიყავს?
 — მორჩილა
 — მეც სასაცილო სახელ მქვია — ევრიკია!
 — რა ბრძანეთ?
 — ევრიკია!
 — ჩემი სახელი სასაცილოა, „ევრიკია“ კი — სულაც არა!

— ნახვამდის, მორჩილა, ძილი ნებისა თუ ხვალაც კარგად იქნებოდა, დამირეკეთ, ჩემი ნომერი: ერთი-მეორე-სამი-მეხუთე, ჩაიწერთ?

— ახლავი! — დაფაცურდა მორჩილა, მაგრამ თვითონ თან არაფერი ჰქონდა, ექიმს გახედა უსიტყუოდ... ეს უკანასკნელი მიუხედავად, ფურცელზე ევრიკიას ტელეფონის ნომერი ჩაწერა (რომელიც, ალბათ, მთელმა მეტამორფოზორიუმმა ზეპირად იცოდა), ჩანაწერი დაანახა და მერე მიაწოდა აკიენტს. მორჩილამ გამოარჩია ფურცელი და ხმაშაღლა წაიკითხა:

— I-II-B-L, სწორია?
 — დიახ, დიახ! — დაეთანხმა ალტი შარავანდიდან. — ღამე მშვიდობისა!
 — ძილი ნებისა! — თავი დაუქნია მორჩილამ.
 — არა, არა, ოღონდ ეგ არაა ძილს არ ვაპირებ... — გაიცინა ალტმა.

მორჩილას გაახსენდა ექიმის ნათქვამი („მარტოხელა ქალია, არც დღე სძინავს და არც ღამე“) და, თავისი აზრით, კეთილი სურვილი გამოთქვა ურმობით: — მაშ, კარგ დროსტარებას გისურვებთ!

შარავანდელი ალტი დადუმდა. სატელეფონო საუბარი დამთავრებულს ჰგავდა, მოგზაურმა იუხერსულა დუმილი, უურმობის დაღება ვერ მოეფიქრებინა, ძალუმად მიეჭლებოდა უურზე და გარინდებული უცდიდა, როდის გაითიშებოდა კავშირი შარავანდასთან... ამ მდგომარეობიდან ისევ მორიგე ექიმმა გამოიყვანა, უურმილი გამოარჩია და დაჰკიდა.

მორჩილამ შევებით ამოისუნთქა. უცბად შეეკრთა, მიუბრუნდა ექიმს და შეეკითხა: — რატომ არ სძინავს ევრიკიას?

— მაგას დილით გეტყვით! — გაუღიმა ექიმმა, — ახლა მიბრძანდით და დაიძინეთ, სჭობია!

— დილით? რა მნიშვნელობა აქვს, ახლა მითხარით! — მორჩილა ზეზე წამოდგა და ხელები ხალებიანი პიუჟამოს ჭიბუხეში ჩაიწყო.

— ახლა რომ მოგიყვებო, შეიძლება აღარც თქვენ დაგქმნოთ... მერე უნდა ვიკამათოთ, — არ ივარგებს! მიბრძანდით და დაიძინეთ. ხვალ დილით გამახსენეთ და მოგიყვებით ევრიკიას ამბავს.

— რა გაეწყობა, იყოს ხვალ დილით. ღამე მშვიდობისა!
 — ძილი ნებისა!

დილით მორჩილამ მორიგე ექიმს მიაკვირვებულ ექიმში მაგიდასთან იწვია, ჩიას სულს უმარტოხელა და და ის-ის იყო აპირებდა საუზმობის დაწყებას.

— დილა მშვიდობისა! — თქვა მორჩილამ და უხერხულობისაგან მხრები აიწურა.

— ო, გამარჯობათ, მორჩილა! ჭერ ისაუზმეთ, რა გეტყვობათ, ათ საათამდე აქ უნდა ვიყო; ევრიკიას ამბავს კი უსათუოდ მოგიყვებით (არ გეგონოთ, რომ დამავიწყდა)! —

— კეთილი, კეთილი! — დაეთანხმა მორჩილა, რომელსაც ევრიკიას ამბით დანტერესება დაბარალეს (პაციენტს მორიგე ექიმისათვის უნდადა ეთხოვა, დარბაისელთან შუამდგომლობა გაეწიეთო, რადგან თავს უკვე კარგად გრძნობდა).

უკან გაბრუნდა, პალატაში ციქვნა მაგიდაზე გაწყოხილ საუზმეს ბოლო მოუღო და დერეფანში მოჰყვა ბოლთის ცემას... მერე ივარაუდა, რომ ექიმის საუზმობისათვის საქარისი დრო უკვე გასულიყო, წავიდა და მიუყაყუნა სამორიგეო კაბინეტის კარს...

მორიგე ექიმს მართლაც დაემთავრებინა საუზმობა და სამუშაო მაგიდაც წესრიგზე მოეყვანა.

— დაბრძანდით! — შესთავაზა სკამი მორჩილას.

— დარბაისელი მთავარი ექიმი? — იყიბო მორჩილამ და დაჭა.

— დიახ — დაუდასტურა მორიგე ექიმმა. — სიხოვით, რომ გამწვროს (თავს კარგად ვგრძნობ!)

— თქვენ თვითონ სიხოვით, მორჩილა!

— ვერა, გუშინ პირობა მივეცი, რომ უველიაფერს დაჭკერებდი... არადა, ერთკვირიანი მკურნალობა, რაც დარბაისელმა დამინიშნა, აღარაა ჩემთვის საჭირო. თავს კარგად ვგრძნობ!

— კეთილი, კეთილი... დარბაისელი თვითონვე განხავთ — მაგაზე არ იდარდოთ. ისე, თუ დავიჭერებთ, უკეთესი იქნება — სრულიად გაქანმრთელდებით და გაგწერთ დიაგნოზით „ხანდალი“.

მორჩილა საბოლოო დიაგნოზს არ დაგიდევდა, მისი აზრით, მთავარი ის იყო, რომ თავს მოლონიერებულად გრძნობდა და თვლიდა, მოგზაურობის ვაგრძელება შეეძლო. რაც შეეხება ჩიას ძენას — უკვე შეუძლებლად მიაჩნდა. უკვირდა ჩიას ხუთი წლით დაწინაურება, მაგრამ მეტამორფოზორიუმში ამის შესახებ კითხვების დასმას ერიდებოდა (ავადმყოფობაში ჩამითვლიანო).

— ევრიკიას ამბავი არ გაინტერესებთ? — შეაფხიზლა ექიმის ხმა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — თვლის დაუხამებლად იცრუა მორჩილად.
ეგრეთაა მარხან გავერთა მეტამორფოზო-რაიუმინან. თორმეტა წლის განმავლობაში ეძინა ლეტარგიული ძილით და ახალი წლის წინ გაიღვიძა.

— რა ბრძანებთ?

— დიახ, დიახ! ხალათის ძილი შეეყარა თორმეტი წლის წინ. ჩვენთან იწვა სტაციონარში ამ ხნის განმავლობაში. ნახევარი წლის წინ გაიღვიძა და გავვერთე დიაგნოზით „რამდენადმე ხანდა“.

— მერე?

— ახლა შიში აქვს, რომ ისევ ლეტარგია შეეყრება და დაძინება ვერ გაუბედია. საკვირველია, მაგრამ საკუთარი ორგანიზმი ისე გავერთინა, არც დღე ჰქონავს და არც ღამე. დღისით ვითომ წასთვლებს ხოლმე და მერე რულს არ იკარებს თვალზე.

— არ მჭერა!

— ნება თქვენია! მე ის ვითხარით, რაც წუხელ არ ვიპოვე. ჩემი თუ არ გჯერათ, პირადად ევრაიკას შეგიძლიათ შეეცხოვროთ. წარმოგიდგინათ, თვამეტი წლისას დეიძინა და ოცდაათისას გამოვიღვიძა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ცხოვრებას თორმეტი წლით ჩამორჩა. ამ ექვსი თვის მანძილზე ბევრს კითხულობს, რომ დანაკარგი აინაზღაუროს და უნივერსიტეტში განაგრძოს სწავლა... ბევრს შეცადნიერებს. ჩვენც შეშლებისდაგვარად კონტროლს ვუწვევთ — არ გვინდა, გადაამლაშოს... ყოველდღე 28⁰⁰-ზე და 60⁰⁰-ზე გვირეკავს... თუ არ გვირეკავს, ჩვენ ვუკავშირდებით ხოლმე.

— მაშ, ამ დღითაც დარეკავდა!

— რასაკვირველია!

— და მთელი ღამე არ სძინებია!

— რა თქმა უნდა!

— და ასე ცხოვრობს ნახევარი წელია... კი მაგრამ, რამდენ ხანს გაძლებს ასე?

— წინასწარ თქმა ძნელია ყოველ თვეში გადის სამედიცინო შემოწმებას. ჭრიჭერობით განმარტულია.

— მაპატიეთ, მაგრამ მაინც არ მჭერა!

— კეთილი, კეთილი! აჰი მოგახსენეთ, ნება თქვენია... ახლა კი გთხოვთ დამტოვოთ, ბატონო მორჩილა! ჩემს საქმეს უნდა მივხედო.

მორჩილამ წასვლა დააპირა, მაგრამ ერთი მწვედვ კითხვა დაეხადა და მაინცვე დასვა, — შარავანდედ შორსაა აქედან?

— არა, კარგ ამინდში ჩანს. დასავლეთის მხარეს, მწის ჩახვლისას ნათელი ადგას თავზე, იქნა სწორედ! ამ საღამოს 19⁰⁰-ზე შეგიძლიათ დააკვირდეთ ვერანდიდან, თუ არ გაავდრდა, უნათლოდ მიაწვდენთ თვალს.

— გმადლობთ, გმადლობთ! — თავი დაუქრა მორჩილამ ექიმს და დერეფანში გავიდა.

მორჩილე ექიმის კაბინეტიდან გამოსულმა, დარბაისიღვი შეინშა. ხნიერი მთავარი ექიმი

დაბეჭითებით, მაგრამ ჩურჩულით უნდა და რაღაცას ახალგაზრდა სანიტარს. ეს უკანასკნელი კი თავდახრბილი დასცქეროდა იატაკსა და ტუჩებს ტუჩებზე უკრავდა კვირს.

მორჩილა არ იყო ბებერი, მაგრამ დარტყო დერეფანში თეთრხალათიანებთან ათ-თხუთმეტ ნაბიჯზე და ფეხი არ მოიკვალა, სანამ მთავარ ექიმს თვალში არ მოხვდა. დარბაისელმა სასწრაფოდ გაისტუმრა სანიტარი და პაციენტს მიაშურა.

— როგორ ბრძანდებით, მორჩილა? — გაუღვიძა და ხელი ჩამოართვა.

— გმადლობთ. კარგად! იმდენად კარგად, რომ სიამოვნებით გავვერებობლი. აქ ყოფნა ნამდვილად მომიხდა, მაგრამ მეტხანს დარჩენა ჩემთვის ფუფუნება იქნება...

— მორჩილა, არ გეწყინოთ, მაგრამ, იტყუება, არ იცით, რაა ფუფუნება. სად ფუფუნება და სად მეტამორფოზოზი!

— უკაცრავად, სხვა რამის თქმას ვაპირებდი.

— თქვენც პირდაპირ თქვით, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, რა არ გაქმავოფილებთ, რა არ გუფუნით?

— დრო, ექიმო!

— დრო?

— დიახ, დრო არ მყოფნის და არ ვიცი, რა მეშველებას!

— დამშვიდდით, მორჩილა! თქვენთვის ზემოთ ნერვიულობა არ შეიძლება. ნუ გგონიათ, რომ ჩან-ღონით მოერევეთ უკვლავდერს. თუ ინერვიულებთ, ქანმრთილობა გაგიუარესდებათ და მეტამორფოზოზი იქნება ყოფნა გაგიკინანურდებათ. მიზრძანდით და დაისვენეთ!

მორჩილა მიხვდა, რომ ექიმი მართალი იყო. დაბრუნდა თავის პალატაში, საწოლზე გულაღმა წამოწვა და თეთრ კერს მიაშტერდა. ფიჭობდა და უკვირდა: მთლად კარგად ვერ იყო და ექიმებს კი ატყუებდა... დაასვენა, საკუთარი თავის მტერი ვარო და აფორიაქდა. საწოლზე თელარ მოისვენა. ადგა და პალატაში გაიარ-გამოიარა... ამასობაში რატომღაც დაინტერესდა, ამ საავადმყოფოში ნეტა რამდენია ჩემისთანაო. პალატაში წინ და უკან სიარულს თავი ანება, გამოვიდა დერეფანში და დარბაისელს დაუწყუა ძენა.

მთავარ ექიმს მორჩილე ექიმთან მიავლო — კაბინეტში ფანჯარასთან იდგნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. მორჩილას გამოჩენისთანავე ლაპარაკი შეწყვეტიეს და გაკვირებისა და შეკითხვის ნიშნად წარბები უსიტყვოდ აწიდეს.

— ბატონო! — ჩვეულებრივზე უფრო ხმაყალა გამოუვიდა ნათქვამი მორჩილას (იმ წუთში მართლა ავადმყოფს ჰგავდა), მერე ხმას დაუწია, დაირცხინა და თითქმის ჩურჩულით იკითხა: — ბატონებო, ჩემისთანა რამდენია აქ, თქვენთან?

ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს, პასუხს დარბაისელმა იკისრა: — თქვენისთანა არავინა,

ამიტომაც მართლ ხართ მოთავსებული (ბოლო ალკოჰოლიკები შეზობელ კორპუსში არიან)... იქნებ მოგვეყინათ?

— ნუ დამეცინით, თუ ღმერთი გწამთ! — განაწყენდა მორჩილა.

— დამშვიდდით, პირი გაიპარსეთ და თავს მიხედეთ, — ურჩია დარბაისელმა.

— გამწვრთ, ძალიან გთხოვთ, აღარ შემიძლია მეტხანს დარჩენა!..

— დაწყნარდით, მორჩილა, სადამოს ტიტს ჩაგიტარებთ: თუ შედეგი დადებითი იქნება, წლით გაგწერთ. ახლა კი მიბრძანდით (ცოტა დაძინება არ გაწყენდათ). მერე კი გაიპარსეთ და დამელოდეთ, — უნდა გავსინჯოთ!..

მორჩივე ექიმმა გამოაცლია, პალატაში შეძუვა, დაელოდა, სანამ მორჩილა ლოგინში ჩაწვებოდა, როცა დარწმუნდა, რომ ეს ორმოცი წლის პაციენტი ცელქობას არ აპირებდა, დატოვა და დარბაისელთან დაბრუნდა.

— იძინებ? — იკითხა მთავარმა ექიმმა.

— დიახ, დიახ! — უპასუხა მორჩივე ექიმმა. — ჰამს?

— კი, არ კირვეულობს, არც უშადლობას უჩივის.

— ღამე მშვილად ეძინა?

— დიახ, მაშინდელივით არ გაჭიუტებულა.

— ევრკიაზე უამბობ?

— დიახ, მაგრამ ინტერესი ვერ გავუღვივე (უფრო სწორად, ბოლომდე არ დააჭრა ჩემი მონაცემი). შარავანდამ დაინტერესა, მგონი სადამოს შეიძლება ვერანდაზე გავიდეს და შინ ჩასვლისას დასალიერს დააკვირდეს.

— კეთილი ახლა კი დროა, თქვენც დაისვენოთ: უსილასთან ისადილებთ?

— დიახ!

— უთხარით, რომ 17⁰⁰.ზე მოვიდეს!

— კეთილი, ნახვამდის!

— ნახვამდის!

33

სადილის წინ დარბაისელმა მორჩილა ვასინჯა.

— ხომ ჭანჭირთელი ვარ? — იკითხა პაციენტი და პასუხის მოლოდინში სმუნდა იქცა.

— რა თქმა უნდა! — რატომღაც ამოიხზრა დარბაისელმა.

— მაშ, გამწვრთ?

— 17⁰⁰.ზე უსილა მოვა და წრთობას ჩაგიტარებთ!

— უსილა? წრთობას?... — მორჩილა უზომოდ გაკვირებული ჩანდა.

— ჰო, ნუ გაგვიკირდებათ! — დინჯად თქვა დარბაისელმა, წამოდგა და ჰაღარა თმაზე გადაისვა ხელი. ცოტა ხანს დუმდა. მერე ეტყობა, ახსნა-განმარტება აუცილებელი ჩათვალა და პაციენტს უთხრა: — უსილა ჩვენი ინსტრუქტორია და თავისი საქმე უედიმიწვევით იცის.

— რასმ მგლომარობა წრთობა? — ვერ და...

მალა ცოხისმყოფარობა მორჩილამ.

— ცხელი და ცივი წყლის აბაზანების მსხვერპლი ცვლობაში, — აუხსნა ექიმმა. — უსილა წრთობას ჩაგიტარებთ და თუ შედეგი დადებითი იქნება, ზეალილითვე გაგწერთ.

— თუ არა?

— თუ არადა, გიმკურნალბთ! — დარბაისელმა საუბარი დამთავრებულად ჩათვალა, თავლი ჩაუბაჰუნა პაციენტს და პალატიდან გავიდა.

მორჩილამ პიფამა ჩაიცვა, საწოლზე გულადმა წამოწვა და კერს გაუშტერა მჭერა, როგორც სჩვეოდა ხოლმე ფიჭვისას.

ახლაგარდა საინტარმა შემოიტანა სადილი, ციკვსა მავიდაზე გაუწყო სუფრა, სასთუმალთან მიუჩოხა და უთხრა: — მიირთვიოთ, ბატონო მორჩილა!

„ბატონო!“ მიუჩვეველმა მოგზაურმა მადლობის ნიშნად რაღაც ჩაიბურტყუნა, წამოჭდა საწოლზე, დაელოდა, სანამ მარტო დარჩებოდა... მერე სკამზე გადაჭდა და წვინანის ზვრება დაიწყო. თან ფიჭობდა და თანაც არ ფიჭობდა... იმ წუთას მისთვის შეუიბხვა რომ დაგეხვათ, კონტრშეტევით გიპასუხებდათ, — „რა ბრძანებთ?“ და, მისი აზრით, დროს მოიგებდა პასუხის შესათხზავად...

მორჩილამ უგემურად ისადილა, დანანების ნიშნად თვით გააქანტურა და ფეხზე დადგა.

ფანჯარასთან მივიდა და გაიხედა. მოულოდნელი არაფერი დაუნახავს. ფანჯრიდან ჩანდა მეტამორფოზორიუმის ორსართულიანი თეთრი კორპუსები, თეთრად დათოვლილი ხეები და გაწონები, შავი ასფალტით გადაზაწული ეზო.

მოგზაურმა ფანჯარასთან დგომისას სახეზე იგრძნო გათბობის ბატარეიდან ავარდნილი სითბო და პროფესიული ინტერესი აღეძრა. დაინტერესდა, როგორ ათბობდნენ მეტამორფოზორიუმს, სად იყო საქვაბე... სხვათ, ალბათ, ასეთი კითხვები არ დაებადებოდა, ზოგიერთისთვის სრულიად ინტერესმოკლებულიც იქნებოდა ახსნა-განმარტება, მორჩილასათვის კი ძალიან საინტერესო იყო ენახა საქვაბე და მეტამორფოზორიუმელი ცეცხლფარემო... გადაწყვიტა, აუცილებლად მოეკითხა და აღძრული ცოხისმყოფარობა ამომწურავი ინფორმაციით დაეცმაუფილებინა, როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდა... აჰან, ცოტა არ იყოს, გაამზიარულა კიდევ და მეტამორფოზორიუმში მის ყოფნას აზრი შესძინა.

ფანჯარას მოშორდა, მაგიდა გვერდზე გააჩოხა, დასვრლდ თეფშებს, პურის ნამცეცხებს, ისე დახედა, ვითომ მშვიტი დარჩენილიყოს. შეკრათა... თავში აზრმა გაუელვა, იქნებ მეტამორფოზორიუმში მკურნალობა ფასიანია და ვაითუ, შევებულების ფულადან დარჩენილი თანხა არ შეუოსო... აფორიქდა. ფული ზურგჩანთა-

ში მქონდა, ზურგჩაბთა ყასიდასთან იყო. ქურ-
ქიც ყასიდასთან დარჩა. ვაითო, ამწამონო, დაწ-
ვეს: იმასიყოდროსო დობიან მკითხველს
და ეცნინა მკნენ რეკლამაცემი ფეხს რა
მინც ირისილად მკნენ მკნენი
წინმდგენ მკნენი
1900 წელს მორჩილა სანიტარმა გააღვიდა და
უთხრა: მთავარი ექიმი გეძახითო.

მორჩილამ ჩაიკვა მეტამორფოზორიუმის
ხალციხიანი პიუჟა და ხალციხიანი ფლოსტები.
გატუსტუსდა დერეფანში და დარბაისელის კა-
ბინეტისკენ გასწია.

კარი ღია დაუხვდა. ოთახში დარბაისელი
და ყასიდა ისხდნენ. მორჩილას არ ესიაშოვნა
ყასიდას დანახვა, მაგრამ არ შეინჩინა და
ზრდილად მიესალმა. ის კი დიდის ამბით შეიგე-
ბა და ხელი ჩამოართვა. — ხომ კარგად ბრძა-
ნდებით? — ღიმილით მოიკითხა ყასიდამ მე-
ტამორფოზორიუმის პაციენტი. პასუხს არც და-
ლოდებია, დაძინა: — დღეს წრთობას ჩაგი-
ტარებთ. თუ მოგეწონებათ, შეგიძლიათ პრო-
ცედურების სრული კურსი მიიღოთ.

დარბაისელი დუმდა.

— მე მზად ვარ! — რაც შეეძლო მშვიდად
განაცხადა თანხმობა მორჩილამ.

— ძალიან კარგია! — ხელები მოიფშვინტა
ყასიდამ და ნებართვის მოლოდინში, დარბაი-
სელს მიუბრუნდა.

მთავარმა ექიმმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

როგორც უთხრეს, ისე მოიქცა: პირსახოცი,
რეზინის ქუდი და ქოშები წაიღო და ყასიდას
წაჰყვა საპროცედუროში.

მორჩილა და მეტამორფოზორიუმის ინსტრუ-
ქტორი პირველი სართულისკენ ჩამავალ კიბეს
დაუყვანენ.

ვხედვ, ჩემზე ოდნავადაც არა ხარ ნაწყუ-
ნი. ასეც უნდა იყო! — გაიცინა ყასიდამ.

მორჩილას უნდოდა ორიოდ სიტყვა ეთქვა,
მაგრამ გადაიფიქრა (ყასიდა ისე ლაპარაკობდა,
თითქოს შეკითხვას სვამს და თვითონვე პასუ-
ხობსო).

ხმა აღარ გაუღია არც ერთს. სამკურნალო
კორპუსისა და საბაზანოს შემავრთებელი დე-
რეფანი გაიარეს და გასახდელთან შედგნენ.

— გაიხადეთ! — გარდერობისკენ მიუთითა
ყასიდამ.

მორჩილა გახლას შუღდა.

— ახლა აქეთ მობრძანდით! — მიიპატიჟა
ინსტრუქტორმა შიშველი პაციენტი საპროცე-
დუროში, რომელიც შუშის ვერეა დარბაზს
წარმოადგენდა. ექვსი აუზი ორ მწკრივად იყო
ჩაჩიკებული და მაღალი, თაღოვანი, ნახევრად
გამჭვირვალე შუშის ჭერი ეხურა. იჭურობა
მოციფტრო ფიქალთი მოეპირკეთებინათ.
თითოეულ აუზში ორი სამსაფეხურიანი კი-
ბე ეშვებოდა: ჩასასვლელი და ამოსასვლელი.

ყასიდამ კედლიდან უზარმაზარი თერმომე-

ტრი ჩამოხსნა და წულის ტემპერატურის გაწე-
ვა დაიწყო.

დარბაზში თბილოდა, მაგრამ რეზინის
ჩამოვხატული, შიშველი მორჩილა მობუწულს
ჩავიდა. იღვა და უყურებდა თერმომეტრთან
ინსტრუქტორს, რომელიც რიგრიგობით ზომა-
ვდა წულის ტემპერატურას ყოველ აუზში. ყა-
სიდამ ექვსივე აუზს შემოუარა (წრე გააკეთა
შუშის დარბაზში), უზარმაზარი თერმომეტრი
თავის ავდივლად დაჰკიდა და თქვა: — ყველა-
ფერი რიგშია!

მორჩილამ ფეხი მოინაცვლა და მოსასმენად
მოეშვადა.

— პირველ აუზში ცხელი წყალია, — აუხს-
ნა ყასიდამ — მეორეში — ცივი, მესამეში —
ცხელი, მეოთხეში — ცივი, მეხუთეში — გრი-
ლი, მეექვსეში — თბილი ყველაფერი გასაგე-
ბია? გასაგებია, რასაკვირველია!

მორჩილასთვის ყველაფერი გასაგებია არ იყო
და ამის დასტურად შეკითხვაც დაუსვა ინსტ-
რუქტორს: — წყალს რით ათბობთ, გაზით თუ
მაწუთით?

ყასიდას შეკითხვა უადგილო ეჩვენა და წარ-
ბები შეეშუხნა. — წყალს არ ვათბობთ, პირი-
ქით — ვაცივებთ! მეტამორფოზორიუმს გეიწე-
რებზე თებდა... ეს არაა საინტერესო; აი,
წრთობა კი ერთობ საინტერესოს!

მორჩილას გაუკვირდა, მიუხედავად იმისა,
რომ იცოდა, რაც იყო გეიწერი და როგორ
შეიძლება იმის გამოყენება საყოფაცხოვ-
რებო მიზნით.

— მაშ, ასე! — ხელი შემართა ყასიდამ და
პაციენტის ყურადღება მიიქცია. — დაწყებთ
ცხელი აუზით! რაც შეიძლება სწრაფად გატო-
პავთ და ამოხვალთ (ამას თხუთმეტ-ოც წამზე
მეტი არ დასჭირდება), მაშ, ასე, — ამოხვალთ!..
შეუჩრებლავ ისკუბებთ ცივ აუზში; გატო-
პავთ (ასევე თხუთმეტ-ოც წამში) და ამოხ-
ვალთ, მეორე — მესამეში ჩახტებით და ასე
შემოივლით ყველა აუზს, წერს გაკეთებთ და
შეისვენებთ. გასაგებია, რასაკვირველია!

მორჩილას დუმილის მეტი არაფერი დარჩე-
ნოდა. უხმოდ მივიდა ცხელწყლიან აუზთან,
რეზინის ქოშები გაიხადა, ჩასასვლელ კიბეს
ჩაჰყვა და ჩახტა... წყალი მღულარე იჩვენა და
კინადამ უკან ამობრუნდა.

— წინ, მორჩილა! — ჩასძახა ყასიდამ „და-
მღულარულს“, — ნუ გაჩერდებით, გატოპეთ და
მეორე კიბით ამოლეთ.

მორჩილამ ინსტრუქცია ბოლომდე ვერ ათ-
ვისა, აუზიდან ამოსვლა დაუგვიანდა და ბრო-
წეულის ყვავილივით გაწითლებული ამოხობ-
და „ცხელი“ აუზიდან. აქომინებულს სულის
მოთქმა გაუჭირდა. ამოიჭმინა და ყასიდას გა-
ხედა.

— ნუ ჩერდებით, მორჩილა! — დაუძახა ყა-
სიდამ: — წინ, „ცივ“ აბაზანაში გაგრძელდით!

მორჩილა დაიძრა... „ცივი“ აუზში საფეხურებით კი აღარ ჩავიდა. პირდაპირ ისეუბნა და ტყაპანი გააღინა... უცხად ვერ იგრძნო სიცივი. მაგრამ როგორც კი იგრძნო, გამოცოცხლდა, მკვირცხლად გატოხა, აირბინა კიბე, დაღვა ფლანქანზე და მოიბოხა.

— წინ — შეახსენა ინსტრუქტორმა. მორჩილამ ისეუბნა რიგით შესამე „ცხელი“ აუზში; დამდურულივით ამოხტა და „ცივი“ ში გააღინა დგაფანი... იქიდანაც სწრაფად ამოცოცხლდა. „შემოიარა“ ექვსივე აუზი და აქოშინებულია მოიბინა უსიდასთან.

— როგორია? კარგია, რასაკვირველია — უთხრა უსიდამ და სველ ბეჭზე დაუტყაპუნა ხელისფეხი. — ვანაგრძობთ, რა თქმა უნდა — გაიცინა. — ერთი სენახსისთვის ორი წრე საქმარისია!

მორჩილა მიხვდა, რომ ინსტრუქტორი ლაპარაკს არ დააცლიდა... რაც მთავარია, თავს მშვენივრად გრძნობდა, უჩვეულო ხალისი და ეუფოვრა; პირველ „ცხელ“ აუზთან მიიბინა, დაიძახა, — „წინ!“ და „მეღუღარეში“ გადახტა...

როგორც დამჭერე პაციენტს შეეფერება, ინსტრუქტორისაგან აღარ დასპირებია შეხსენება: თანმიმდევრობით ხტებოდა „ცივიდან“ „ცხელში“ და „ცხელიდან“ „ცივიში“. მკერდით მთარღვევდა წყალს და დგაფუნით უვლიდა მეორე წრეს.

— კიდევ გინდათ? საქმარისია — უთხრა უსიდამ, როცა პაციენტმა პროცედურის მეორე წრე დაასრულა.

მორჩილამ რეზინის ქოშები ჩაიყვა და გრძელ სკამზე ჩამოჭდა უზარმაზარი თერმომეტრის გვერდით. დაღლილი ჩანდა, ღრმად სუნთქავდა და ამოხუნთქვისას „ფჰჰჰ“-ს იძახდა...

უსიდა გვერდით მიუჭდა და ზურგზე დაუტყაპუნა ხელი. — კარგია? კარგია, რა თქმა უნდა — უთხრა და გაიცინა.

მორჩილა მიხვდა, რომ თუ თვითონ არ დასვა ვინა შეითხვას, ისე ინსტრუქტორი რამეს თქმას არ დააღლიდა, სული მოითქვა და ჰკითხა: — უსიდა, თქვენ ექიმი ხართ, ოფიციალტო თუ მწარეული?


მეორე მხრივ, ინტელიგენციის ერთი ნაწილი დასავლეთის პარლამენტური დემოკრატით არის გატაცებული, სადაც პოლიტიკური ცხოვრება ცივილიზებული სამყაროსათვის ჩვეული კორექტულობით მიმდინარეობს და პარლამენტისადმი ბოიკოტი მართლაც ექსტრემისტულ ავანტიურად აღიქმება.

მაგრამ, აბა, ვკითხოთ პარლამენტარიზმის გზაზე შემდგარ ჩვენს დემოკრატებს, რომელ ტრადიციებზე აპირებენ მგარდაქმნის პარლამენტის? დამუნობან? რუსეთი ხომ ის ქვეყანაა, სადაც თავის დღეში არ გამოართულა თავისუფალი და საყოველთაო კენჭისყრით არჩეული პარლამენტის სხდომა, ხოლო თუ როგორც მსგავსი რამ მაინც მომხდარა, უხათუოდ ტრაგიკულად დამთავრებულა.

...1917 წლის ივნისში, პეტროგრადში შეიკრიბა საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა. ამ ფორუმის არჩევნება, რევოლუციური ღრის კვალობაზე, დემოკრატულად ჩატარდა და ბოლშევიკებმა, მათი სურვილისა და მოლოდინის საწინააღმდეგოდ, 700-დან 100-მდე დეპუტატის მანდატი მიიღეს, დანარჩენი ენერგია და სხვა პოლიტიკურ პარტიებს ერგოთ. როცა პოლიტიკები აშკარად გამოიკვეთა და ცხადი გახდა, რომ ბოლშევიკები მთავრობას ვერ შეადგენდნენ, პარტიულმა ელიტამ შეცვალა საბჭოებისადმი მხარდაჭერის ლოზუნგი. ბრძოლა გამოუცხადა კანონიერად არჩე-

ულ ხელისუფლების ორგანოებს და შეიკრიბა დეპუტატების სამზადისა და შედეგების შეფასების კომისიის გადართობის შემდეგ, რუსეთში პარლამენტური დემოკრატის მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ „პროლეტარული მთავრობა“ იძულებული გახდა ჩეტარებინა დამფუძნებელი კრების არჩევნები. კრება 1918 წლის 6 იანვარს გაიხსნა თავრების სახელში, მაგრამ, როდესაც დეპუტატთა უმრავლესობამ ეჭვი შეიტანა ბოლშევიკური რეჟიმის სამართლიანობასა და მისი პოლიტიკური კურსის სისწორეში, ცაკის განკარგულებით კრების მუშაობა ძალით შეწყვეტეს, ხოლო ექვს იანვარს კრება დათხოვნილად გამოცხადდა, დეპუტატთა ნაწილი დააპატიმრეს. ფაქტობრივად, მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ქვეყანაში ძალადობის გზით დამყარდა „დემოკრატის ბურჟი და მშრომელთა მოსარჩლე პროლეტარიატის დიქტატურა“.

ახლა თუ შევისდროინდელი სათათბიროების ისტორიასაც გავიხსენებთ, თვალს გვაფიქვანებთ საბჭოთა საარჩევნო სისტემის მთელს შეტამორფოზას 1937 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიდან, ვიდრე სხვაც სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამდე, ნუთუ იმდენად გულუბრყვილონი უნდა ვიყოთ, რომ გვჭეროდეს, არსებული ერთპარტიული სისტემის ფუნქციონირებისას, ოდესმე ისეთი პარლამენტის ჩამოყალიბდება, სადაც პოლიტიკური დებატების გამართვა ანდა, უბრალოდ, აზრის თავისუფალი გამოთქმა იქნება შესაძლებელი, ნებისმიერი რესპუბლიკის გამოყოფასა და იმპერიის დემონტაჟზე რომ აღარაფერია ვთქვათ.

ამგვარი რამ მხოლოდ სამართლებრივად დაცულ საკანონმდებლო ორგანოში, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში შესაძლებელი, სადაც საზოგადოების დემოკრატიზაციის ბიუროკრატიული აპარატის ინსტრუქციებით კი არ ახორციელებენ, არამედ კუშმარტივ სხალხო წარმომადგენლობის მეშვეობით. ამ იდეალისაგან ჩვენ ჭერ ძალიან შორს ვართ.

ილუზიებით ცხოვრება აღარ გამოგვადგება. პარტია, რომელმაც კონსტიტუციურად დაიკანონა თავი, როგორც საზოგადოების ერთადერთმა „წარმმართველმა ძალამ“, და რომელიც მსოფლიოს აწ უკვე არარსებული „პროლეტარიატის მესაქედ“ აცხადებს თავს, მიწინადასახავს კომუნისტად წოდებული მითითრი საზოგადოების აწინებას, სადაც აღარ იქნებიან კლასები, ერები და მამასადაამე, ეროვნული კულტურები, არასოდეს არ დაუშვებს სერიოზულ კამათს ერთა თვითგამორკვევისა და თვითგამოყოფის შესახებ. დამოკრატული ძალების დაწოლით მიღებული რეფორმატო-

რული დონისძიებები კი მუდამ შუაგზაზე შეწყდება.

ამგვარად, ლიბერალიზმის აშკარა უპერსპექტივობის საპირისპიროდ, რადიკალიზმს თავისი დიდი რეზერვები აქვს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ბრძოლის მეთოდები ერთობ დიდ სიფრთხილეს, წინეობრივობასა და პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებას მოითხოვს.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა იმდენად წმიდააწმიდაა, რომ თაობა, ვისაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა არგუნა ბედმა, ადამიანური მთლიანობისა და წინებრივი სიმტკიცის მთავალიადა უნდა იქცეს უველა შემდგომი თაობისათვის. თავისუფლებისათვის ბრძოლა ანგარებით მიწნებს ვერ იომენს, სამწუხარაა, რომ წოგირთს ეროვნული მოძრაობის ამა თუ იმ აქტივისტის მოქმედებაში ბოლშევიკური რადიკალიზმის დანახვის სახაბი ეძლევა. ამ სახაბს მათ აძლევენ დაუსრულეწული პარტიული განხეთქილებები, ლიდერთა უზავილაკული კიწკლაობა, საპირისპირო ძალებისადმი ანგარისწორების მუქარა, განხვავებული აწრის მქონე პირთა „ერის მტრად“, „აგენტად“, „მოღალატედ“ გამოცხადება. ხაერთოდ, გაიორბოლა წარმოდგენს თავისუფლებისათვის ბრძოლაზე და მარტოდენ მასთვის ეპროციაზე თამაში.

ეს მართლაც საშიში სიმპტომებია.

დემოკრატების, ანგარისწორებლების, დამხვრეტებისა და პოლიტიკური ფანატოკების უღელი კარგა ბანს ედგა ჩვენს ხალხს კისერზე, საბოლოოდ ქერაც არ მოუცილებია და არა მგონია, ოდენმე კვლავ მასში მოინდომოს თავის შეყოფა, თუნდაც ეს თავისუფალ საქართველოში ხდებოდეს.

მხოლოდ წინებრივი სიმაღლე შემატებს კეთილშობილებას და სიწმინდეს ბრძოლის უველაზე რადიკალურ მეთოდებსაც კი. წინებრივი უკომპრომისობა, შერწყმული პოლიტიკურ უკომპრომისობასთან, ადამიანური სიმტკიცე და შეუპოვრობა თვით უველაზე დიდ ძნელებდობის უამსაც, შერწყმული პოლიტიკურ სიმტკიცესა და შეუპოვრობასთან — ეროვნული ბრძოლის წარმატებით დავირავინების საწინდარია.

ამიტომ დღეს ეროვნული მოძრაობის წინებრივი სახისათვის წრუნვა გვმართებს, ხლო მასში რადიკალიზმის ელემენტების სიჭარბე არათუ სახლს უტებს ამ ბრძოლას, როგორც ჭაობის სიმწვინდეს მიჩვეულ ობივატელს მგონია, არამედ გამარჯვების აუცილებელ პირობას ქმნის.

რეფორმატორულად განწყობილთა თავმოყვარობას ერთობ სათუთად ელამუნება ბოლოდროინდელი „დათობა“. კონსტიტუციის შესწორებები და, ხაერთოდ, ქადალდმთხველო-

ბის მთელი კამპანია, რომელსაც რეკლამურ განხორციელება არ უწერია მანამ, სანამ ურყველია სისტემის საფუძვლები, უბრალოდ მუშაობს მრავალნაკადი ბიუროკრატული მექანიზმი და სანამ პოლიტიკურ ასპარეზე ბატონობს ერთადერთი „წარმმართველი“ პარტია.

კონსტიტუცია მხოლოდ მრავალპარტიულ, პარლამენტურ, დემოკრატულ სახელმწიფოში წარმოადგენს ძირითად კანონს. ტოტალიტარისმისა და დიქტატურის პირობებში იგი ფრატინა ქადალია, რომლის არსებობა მმართველ კასტას იშვიათად აგონდება.

ამიტომ დროა, თავს აღარ ვიტყუებდეთ ოფიციალის „მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებით“, „ცვლილებებითა და დამატებებით“. ეს უველაფერი იმაზე შორს არ მიდის, ვიდრე მონობაში მყოფი ადამიანის ოცნება თავისუფლებაზე.

ნუ დაველოდებით იმ დროს, სანამ საკუთარ შეცდომებზე ვისწავლიდეთ, გავისხენოთ ბისმარტის სიბრძნე — საკუთარ შეცდომებზე მხოლოდ სულელები სწავლობენ, ქვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს.

უსამართლო ბრალდებები

უკანასკნელ პერიოდში ხშირად გაისმის ხმები — ქართველი მწერლები ეროვნულ მოძრაობას გვერდით არ უდგანანო. ეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევები რომ იყოს, ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი მწერლების შერცხვენა-დამუნათება ტრადიციად იქცა და ფართო გასაქანს პოულლობს საწოგადობის სხვადასხვა ფენებში. ამიტომ, თავს ნებას მივცემ, წოგადად მონაცვაოდ ამ ბრალდებების ვაბათილება.

მკითხველი მტრებელობად ნუ ჩამითვლის, მაგრამ იმის შიში — ვითო, არამკითხედ ან ოფიციალის დავალებით მოქმედ ლიბერალ-კონსერვატორად შემრაცხნა-მეთქი. მაიძულებს ერთი ფაქტი გავისხენო პირადი ცხოვრებიდან: ამ სტრუქტურების ავტორი თავის დროზე ნებაყოფლობით გადადგა საქაოდ სოლიდური თანამდებობიდან და გავიდა სკკპ რიგებიდან, რათა შებოჭილი არ ყოფილიყო ჩინოვნიკურ-ფუნქციონერული ვადებულელებით და ეროვნული მოძრაობისადმი თანადგომის მეტი საშუალება მისცემოდა.

რასაკვირველია, ეს ფაქტი, ეროვნული მოძრაობის წოგირთი აქტივისტის უვალში, ქართული მწერლობის „რეაბილიტაციას“ ბევრად ვერ წაადგება, ამიტომ, იძულებული ვარ მკითხველის უბრალდება ელემენტარულ ქეშმა-

დავით მუხაღურაი
მოკლენები და დაპყრობები



რიტებაზე — ქართული მწერლობის პატრიოტული პოზიციის განმარტებაზე შევაჩერო, კიდევ ერთხელ გავიმეორო ის, რაც უკვე ქართველმა უნდა იცოდეს: ილია ქავჭავაძი-დან მოკიდებული ვიდრე ჩვენს თაობამდე მწერლობა საქართველოს ედგა ჰირისუფლად, მის ბედზე ზრუნავდა, მისი აღორძინებისა და თვითგამორკვევისათვის იბრძოდა. რასაკვირველია, ქართულ მწერლობას ეროვნული გულშემატკივრობა არც ილია ქავჭავაძიმდე აკლდა, მაგრამ ეროვნული ხსნის კონცეფცია მხოლოდ ილიამ შეიმუშავა, ილიამ დასახა სა-მოქმედო პროგრამა, „წარსულ ღრობაზე და-რდის მოკვლა“ ურჩია ქართველობას და „სხვა ვარსკვლავის საღვინელად“ გაიყოლია.

ახლო წარსულში ისეთი დროებიც გვახსოვს, როცა უკვე სხვა ეროვნული ძალა მიიძინებულა, პარალიზებული იყო და ქართველთა ეროვნული ინტერესების სადარაჟოზე მხოლოდ ქართული მწერლობა იდგა. სათანადო მაგალითების მოხმობა შორს წავიყვანს, ამის უარყოფა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს, უბრალოდ, უზუნოება იქნება.

ნუთუ საკამათია, რომ დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას წლების განმავლობაში იდეურად ამზადებდა ქართული მწერლობა და უკველივე ის, რაც ხდება, ამ იდეების პრაქტიკული განხორციელებაა? განა ჩვენი ეროვნული მოძრაობის მოღვაწეთა ჩამოყალიბება ქართული მწერლობისა და სახელოვან ქართველ მწერალთა ზეგავლენით არ მოხდა?! ბევრი მათგანი განა თავად მწერალი ან მწერლობისათვის ახლო მდგომი არ არის?!

აქ თავს ნებას მივცემ დავიმოწმოს ნაწყვეტი მწერალ ზვიად გამსახურდიას ერთი ინტერვიოდან: „ოჯახურმა ტრადიციებმა დიდი როლი ითამაშა ჩემში ნაადრევად გავლიძებული პატრიოტული შეგნების ჩამოყალიბებაში. ჩვენი სახლი კერა იყო იმუამინდელი პატრიოტულად მოაზროვნე ხალხისათვის. აქ იკრიბებოდნენ მწერლები, მეცნიერები...“ როგორც ვხედავთ, ბატონი ზვიადი თავის პირველ მოძღვრად მწერლებს ასახელებს.

ნურავის დაავიწყდება, რომ უკველივე ჩვენი არ იწყება და ჩვენი არ მთავრდება, უკველივე ისტორიული ლოკაიკითა და კანონ-ზომიერებით მიმდინარეობს. იყო იდეური მზადების პერიოდი, რომლის ავანგარდში, როგორც ლეგალურად მოქმედი ძალა — მწერლობა იდგა.

ელემენტარული კანონზომიერებაა, რომ დიდი სოციალური რევოლუცია თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჭირ გონებაში აუკლებებს თავის თეორიულ ბაზისს, ხალხის ფართო მასებს ამზადებს დიდი საზოგადოებრივი მოძრაობისათვის. ვგონებ, ქართველ მკითხველს არ სჭირდება

იმ მწერალთა ჩამოვლა, ვინც წლების განმავლობაში რეკდა განჯავის ზარბაზნის დადგა ამ იდეების პრაქტიკული რეალიზაციის დრო: „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადავიდა განვითარების ისეთ სტადიაში, რომლის დროსაც უკლებელი ხდება ერთობლივი ძალისხმევითა და საყოველთაო ეროვნული მობილენაკითა შეურიგებელი და მიზანდასახული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის“ (ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წესდება, „ქართველის დედა“ № 6). ახლა უკველი დღე, თვით უკველაზე ტრაგიკულიც კი, საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ფურცელია და, მოდით, ემოციების მოჭარბებით, წინდაუხედაობით, ნიმილისტური გამოხდომებით ჩრდილს ნუ მივაყენებთ ამ ფურცლებს.

სულაც არ ვაპირებ იმის მტკიცებას, თითქოს დღევანდელი ქართული მწერლობა ერთსულოვანია ეროვნული მოძრაობისადმი თანადგომაში. სამწუხაროდ, მწერალთა ერთ ნაწილში ქარბობს ფუნქციონერობა და კონსერვატიული შეხედულებები. ქართული მწერლობა დღეს ისევ დაქაჩსულია და მხოლოდ ცალკეულ შემოქმედთა აქტიურობით ცოცხლობს. მწერლობის დეზორიენტაციისა და გათიშვისათვის თავის დროზე დიდად გაისარჩა ოფიციაში, ამავე ოფიციაში დავადლებთ „აქტივისტი მწერლები“ ნოემბრისა და აპრილის დღეებში რაღაც აბსტრაქტული „ტრაგიკული შედეგებით“ აზინებდნენ მომთინგეებს, დაშლას, „შინ წასვლას“ უჩვენებდნენ ათასობით გულანთებულ პატრიოტს, ნაცვლად იმისა, რომ მათ გვერდით მდგარიყვენ. მსგავსი გამოსვლები სხვადასხვა ფორმით ახლაც არ შეწყვეტილა.

უკველივე ამან წარმოშვა კონფრონტაცია ზოგადად ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას შორის, მაგრამ ქართული მწერლობა არ არის მარტოედენ ხელისუფლების მაღალ სფეროებში გასნაურებული რამდენიმე მწერალი, ისევე, როგორც ეროვნული მოძრაობის ცალკეულ აქტივისტთა აზრი არ არის მთელი ქართველი ხალხის აზრი.

ქართული მწერლობა თაობათა ერთობლიობა, იმ შემოქმედებითი ნაყოფისა და ნააზრევის ერთობლიობაა, რომელიც წელთა განმავლობაში გროვებოდა და რომლის მამოძრავებელი მუხტი საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლა იყო და არის.

ქართველი მწერლები არც ნოემბრის მიტინგებს დაქლებია, მ აპრილის ღამესაც მთავრობის სასახლესთან ვიდექით, მაგრამ ამის შესახებ ქვეყნის შეყრა საპიროდ არ მივგაჩინა, უკველ განსადელში ხალხის გვერდით უოფნას ჩვენს მწერლურ და მოქალაქეობრივ

მოვალეობად ვთვლით და უოველივე იმის მხატვრული ასახვა, რაც დღეს ხდება, ქართული მწერლობის ახალი აღორძინების საწინააღმდეგოა.

როცა მწერლობისადმი ბრალდებებს ვისმენ, მომითვქვით და, ძალაუნებურად, „პროლტარიატის მგზნებარე მომღერლებისა“ და „რევოლუციის ტრიბუნთა“ ასპარეზზე გამომშობის ავადსახენებელი კამანია მაგონდება, რამაც ერთიანად შერყვნა და განუღუტურების გზაზე დააყუდა საზოგადოების სულიერი ცხოვრება, ვაუფსახურა ნამდვილი ღირებულებანი, გზა გაუხსნა სუროგატს, კონფუქტურულ, სამოყვარულო „ხელოვნებას“, ლიტერატურის პარტიულობისა და სოციალისტური რეალიზმის მავნე თეორიებს.

შემოქმედებითი პროცესის პოლიტიკისადმი დაქვემდებარების ტენდენცია სტალინიზმის ერთკის იდეოლოგიური არსენალიდან ამოღებული შაბლონი და მისი რესტავრაციის ცდები, თუნდაც შორეული ასოციაციით, ღმერთმა გვაშოროს.

მწერალი თუ ტრიბუნი და პოლიტიკური მოღვაწე არის, ამას რაღა სჯობს, ოღონდ, ასეთი მაგალითი ისტორიად ცოტა იცის და, ვიცის ჩვენში ამგვარი ნიჭი ბუნებით მოსდევას, გამოღწევი კიდევ სახალდო. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, მწერლის უპირველესი მოვალეობა ნიჭიერი ნაწარმოებების შექმნა და არა სახელდახელო მითინგებზე მახების ემოციებზე თამაში, მით უფრო, როცა საქმოდ გაჯაფულ პოლიტიკოსთა თაობაც გამოჩნდა. ვისაც მწერლების პოზიციის გაგება სურს, უპირველესად მათი წიგნები უნდა იკითხოს. ამქვეყნად უველას თავისი საქმე აქვს და „სოციალიზმის ეპოქაში“ ქვეყნის დამაქცევი არსრედ არაპროფესიონალიზმი, თავის მოწოდებაზე და პროფესიულ უნარზე უარის თქმა გახდა, დღემდე მთელი ჩვენი საელმწიკრდლო და საგანმანათლებლო სისტემა ტოტალური დიქტანტიზმის დამკვიდრებისაკენ არის მიმართული, ადამიანთა უმეტესობა აკეთებს იმას, რაც არ იცის და არც არაოდეს უსწავლია, ხოლო თავისი ბუნებითი ნიჭი ჩანსოხილი აქვს ან მისი გამოვლენა და გამოყენება ცხოვრების სახსარს ვერ შესძლებს.

აბე, რომ ნუ მოვთხოვთ ქართველ მწერლებს ტიბუნისა და პრაქტიკოსი მებრძოლის ხელოვნებაც შეითავსეთო, ვიკმაროთ, რომ მათი სიტყვა წლების განმავლობაში პატრიოტული მგზნებარებით ათროვლებდნ ქართველთა გულებს. ეგვი არ მესარება, მათი სტრიქონები ზეპირად ეცოდინება მწერლობის ბრალმდებელთა უმეტესობას.

დღეს ერთგული მოძრაობა ემოციიდან განისხიერ განსჯაზე გადადის. ნოემბრისა და აპრილის დღეებში ჩვენ შეგვეძლო უველაფრის

აღწერა, ოღონდ მიღწეული უოფილიყო ქართული მამრადიკება და მასობრივი შორძინების დაწეება. ამჟამად პროცესის მართვას პროლტარიატური სიბრძნე, მაღალი ინტელექტი, ეთიკა და ერთიანი ეროვნული კონსტრუქციის შექმნა-ვება ქირდება; ეროვნულმა მოძრაობამ გაიარა „ემოციის ფაზა“ და ახლა გონებით აწონდაწონილ პოლიტიკურ პროგრამას ითხოვს, ამ საქმეს კი ნაუღებად წაადგება მოავრობის სახაზლის წინ ლექსების კითხვა.

დღეს თავისუფლებისათვის ბრძოლა მარტოდენ კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებას არ ისახავს მიზნად, საქირომა კოლონიური შონობის ავებდითი შემკვიდრებისაგან ჩვენი სულიერი ცხოვრების გაწმენდაც, ბრძოლა პიროვნების სულიერი ვადარჩენისა და ამაღლება-აღორძინებისათვის, რის ვარშეც ვერა და ვერ შეიქმნება ნორმალური, დემოკრატიული სახელმწიფო. ვანელილმა წლებმა იმდენად დაამახინჯა, შერყვნა და დაამდაბლა ადამიანთა ზნეობა, რომ მის აღორძინებას მრავალი ათწლეული და არა ერთი თაობის სიცოცხლე დასჭირდება. ეს საქმე კი, უპირველესად შემოქმედებითი ძალების და მათ შორის, მწერლობის საქმეა. აი, ამ ფრონტზე, ამ ბრძოლაში უნდა მოვითხოვოთ მწერლობის წინამდგომობა და უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული მწერლობა ამ მისიას წარმატებით შეასრულებს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში, როცა საბოლოოდ მოხდება შემოქმედებითი პროცესების დიდილოლოგიკაცია და თავისუფალი განვითარება. ქართულ მწერლობას წინ აქვს თავისი ზმიმე ამოცანა — მომავალი თავისუფალი საქარუველოს სულიერი ფორმირების რთული პროცესების წინამდგომობა.

მოდით, ბატონებო, უარი ვთქვათ ურთიერთ ბრალდებებსა და კონფრონტაციებზე, მივმართოთ დიდი ილიას გზას — ურთიერთ შემსუენარებლობის, ჩატეხილი ხიდის აღდგენის, ეროვნულ ძალთა მოპოლიზაციის, სრულყოფილ საქართველოს იდეური გამთლიანების გზას და ასე ვეშადადოთ ვადამწევეტი ბრძოლისათვის, რათა ღირსეულად მივიდეთ ხანუკვარ მიზანთან. ამ გზაზე უველას ჩვენი საქმე ვაკვავს და ჩვენი მისია ვვაკისრია.

„კომპრომისისა“ და „დილოგის“ განმარტებებისათვის

ერთგული მოძრაობის აღმავლობის კვალდაკვალ პოლიტიკურ ლეგისკონში დამკვიდრდა სიტყვები „კომპრომისი“ და „დილოგი“: „ჩვენ კომპრომისზე მივიღვართ“, „დილოგის მომხრე ვართ“, „ხელმძღვანელობა დილოგზე მიდის“, „უარი თქვეს კომპრომისზე“. ერთი სიტყვით, „კომპრომისი“ და „დილოგი“ ტე-

ვად. შინაარსიან, ხშირად ხმარებულ სიტყვებზე დადიკვა, და განმარტებას ითხოვს.

ამ სიტყვების ხმარების კონტექსტსა და გამოყენების სიზიარს თუ დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ საქმე გვაქვს ორ შტორულ ხანაკად გაყოფილ ძალასთან. ერთ მხარეს არის ოფიციაოზი, ანუ მმართველი აპარატი, რომელიც „მოწყალედ“ მიდის „კომპრომისზე“ ეროვნული მოძრაობის წინაშე, უფრო სწორად, ტაქტიკურ სვლას აკეთებს, რათა გართულებები აიცილოს თავიდან, თუმცა ამ მოძრაობას არც ცნობს და არც თანაუგრძობს, არც მსთან თანადგომის სურვილი გააჩნია, არც ამ მოძრაობის საბოლოო მიზნას აღიარებს.

მეორე მხრივ დგანან ეროვნული ძალები, რომელთაც ოფიციაოზი „კომპრომისზე“ მიდის და ხანდახან „დილოვასც“ მართავს, მაგრამ, როგორც მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, ოფიციაოზი ერიდება მოქმედებას როგორც ეროვნული ხელისუფლება და რაიმე პოზიტიური ნაბიჯი მისი მხრიდან გარკვეულ ძალდატანებას საქიროებს, გარკვეული აქციების განხორციელებას მოითხოვს.

ეს ორი პოზიცია შეურიგებელია დასახული სტრატეგიული მიზნების გამო. ერთი მხრივ მოქმედებს სოციალ-დემოკრატიის გაუნუხარი ნიშნისტური მემკვიდრება — უკველივე ეროვნულის უფლებდმიუყოფა და მსოფლიო „პროლეტარული რევოლუციის“ ხავსმოდებული იდეები („პროლეტარებო უველა ქვეუნისა, შეერთდითი“). მეორე მხრივ თერგდალეულთა ეროვნული ხნის იდეაა, რამაც 1918 წლის 28 მაისს ქართველი ხალხი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე მიიყვანა. ამ დღეს დასრულდა საქართველოს ისტორიის ერთი ხანგრძლივი მონაკვეთი და გაიფანტა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების მითიც.

ქართველთა მონობის მეორე პერიოდი 1921 წლის 28 თებერვალს დაიწყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიით და მოხდა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების მითის ხელახალი რესტავრაცია, რასაც დამატებითი საქართველოში ბოლშევიკური აჯანყებისა და რუსეთის არმიების ინტერნაციონალური დახმარების შესახებ.

მაშასადამე, დღეს საქმე გვაქვს ორი საპირისპირო ძალის მემკვიდრეობასთან. ერთი მხრივ არის დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული და რესპუბლიკური იდეების ჩაუქრალი სულისკვეთება, მეორე მხარეს — საოკუპაციო რეჟიმის უნიტარული მისწრაფებები.

არსებული ხელისუფლება ვერ გაბედავს წინ აღუდგას ამ მისწრაფებებს, (აქ ცალკეულ თანამედებობის პირებს არ შეუძლიათ რაიმე არ-

სებთი, გავლენა მოახდინონ საერთო ვითარებაზე). უნიტარული რეჟიმის ბუნებდმდებარე მომდინარე მორჩილების პრინციპს ვალდებულნი არჩება. უკველი სხვაგვარი ნაბიჯი ცენტრის მიერ შტრის ბანაკში გადასვლა ანდა ხელახალი დაწვევისაკენ სწრაფვად შეუფასდება.

ოფიციაოზის ამ ბუნებდმდებარე გამოდინარების მიერ გატარებულ უკველიგვარი ანდორმატორული ღონისძიება მხოლოდ უხადებულ უნიტარული „კომპრომისისა“ და „დილოვის“ რკალში ექცევა. ამგვარად, „კომპრომისის“ და „დილოვი“ დღეს ის ნეიტრალური ზონაა, სადაც ერთმანეთს ხვდება საპირისპირო ძალთა ინტერესები და ვითარების კვალოზაზე, ხან ოფიციაოზი მიმართავს „კომპრომისის“, ხან ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ნაწილი ესწრაფვის „დილოვის“.

უკველივე ეს იმის მათწუებელია, რომ მათ შორის დაძაბულობის გარკვეული შენელება დროებითი მოვლენა და უკველი წუთს მოსალაღნელია ხელახალი კონფრონტაცია. ამ ძალების საბოლოო დახადობისაკვის ოპტიმიზმის საფუძველი არ არსებობს, რადგან ისინი ისტორიულად სხვადასხვა იდეალებს განასახიერებენ („პროლეტარებო უველა ქვეუნისა, შეერთდითი“, „ედა, მამული, სარწმუნოება“). ბუნებდმდებარე, თუ ოფიციაოზი ძველი დავების ტვეობაში დარჩა, მსოფლიოს არარსებული პროლეტარიატის გაერთიანების იდეიდან ენის, მამულისა და სარწმუნოების დაცვის პოზიციაზე ვერ გადავა, მაგრამ ღირს კი აწ ნანგრევიხად ქვეული ძველი იდეებისა და წარმოდებების ტვეობაში უფუნა?!

ამ ნანგრევებიდან სოციალიზმის სტალინური მოდელის რესტავრაციას ახლა მხოლოდ თავგამოდებული რტორგარდები ცდილობენ და, ისტორიის ღოგიკით, ეს ცდა ნაყოფს ვედარ გამოიღებს.

იქნებ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ის არის, რომ ქართველი კომუნისტები დაადგინენ ეროვნული კომუნისტური პარტიის შექმნის გზას, რომელსაც, მთელი თავისი წარსულის მიუხედავად, უფლება ექნება, არცთუ იხე შორეულ მომავალში მეტოქეობა გაუწიოს ერთობსუფთა ბიოგრაფიის შქონე სხვა პოლიტიკურ პარტიებს საუკველთაო და თავისუფალ არჩევნებში.

სხვაგვარად, ალბათ, „კომპრომისისა“ და „დილოვის“ ნეიტრალური ზონა ხელუხლებული დარჩება, სკკპ-ის ნაწილის მიერ თუნდაც ფრთხილად გადადგმული უკველი ეროვნული ნაბიჯი იმ დიდი მთელის დასტურის გარეშე უდიშამო და მკვდრადშობილი იქნება. ცენტრის დასტური კი პრაქტიკულად მიუღწეველია. სოციალიზმის ახალი კონცეფციის თანახმად ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში არართგვის მოვებისება უველიფ-

არს თავიდან გაეთებაო — გვარწმუნებენ. ამჟერად პარტია თურმე „მომხურის სოციალიზმის“ მშენებლობას შესდგომა და ზუნებრივია, პარტიული იდეოლოგიის შექანაშმიც აქტიურად დაიწყება სოციალდემოკრატიული აზრის დამუშავებას, რათა მოლონობით აღმინანა უზარმაზარ ქვეყანაში. ეს მერამდენად, დაიწყოს „უკვლადურის თავიდან გაეთება“. შესაძლოა, საქმე ისე წავიდეს, რომ ეპიკი კი ვერ გამოვთქვით — ხომ არ სჭიობა, ერთხელ გავეკეთათ და კარგად გავაკეთოთ.

ერთი სიტყვით, ის, ვინც „კომპრომისისა“ და „დიადოგის“ ილუზიებით კვებავს თავის ერთოვლ პოზიციას, ერთოვლი მოძრაობისთვის სასარგებლო კაცად ვერ ჩაითვლება, ამგვარი განწყობა ინიციატივის სხვისთვის გადაცემის საშიშროებას ქმნის. გამარჯვების საწინდარი მხოლოდ აქტიური, უკომპრომისო პოლიტიკური ბრძოლაა.

ზენობრივი პარადოქსები

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, 1988 წლის 8 აპრილს საქართველოს კომპარტიის ელვამ მოაწყო ე. წ. პარტიული აქტივის კრება, რომელზეც ბიუროს სახელით განსახილვად გამოიტანეს მთავრობის სახლის წინ გამართული მიტინგის „აღვეთის“ მრვალპუნქტიანი „ლონისძიებები“. ამ „ლონისძიებებს“ შორის იყო ერთი, რომელმაც არ შეიძლება არ შეგვარწყუნოს თავისი დაუნდობლობითა და ანტიადამიანურობით.

ეპიკი არ არის, ეს წინადადება მაღალი რანგის პარტიულ ფუნქციონერს ეკუთვნის და რაღა გასაკვირია, რომ ორგანომ, სადაც ამგვარი განწყობილების მოხელენი სხედან, სანქცია მისცა 8 აპრილის ბოცვა-უტუტას.

ამ ავადსახუნებელი „ლონისძიებების“ ეს პუნქტი ასე უდერს: „სასწავლო დაწესებულებების ყოველ კურსზე, სკოლების უფროს კლასებში შეიქმნას ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები“.

სანამ ამ „ლონისძიების“ თავზარდამცემ ასპექტებს გავიზარბდეთ, გავიხსენოთ, რომ „ექსტრემისტებს“ მაშინ ეროვნული მოძრაობისადმი თანაგრძნობაში შემჩნეულ ახალგაზრდებს ეძახდნენ, რომელცა რიცხვი ნოემბრის მოვლენების შემდეგ განუხაზვრელად იზრდებოდა ყველა სასწავლო დაწესებულებაში, მთელი საქართველოს მასშტაბით.

...და აი, ანონიმი ფუნქციონერი, ვილაც „ხელმძღვანელი ამხანაგი“, გულცივად გებმავს ძმათა შორის სისხლის ღვრას, ვერაგულ მიზნებს იხიბავს, ერთმანეთს უსევს ერთი კურსის სტუდენტებს, ერთი კლასის მოსწავლეებს. ვთქვათ და, ჩვენი ახალგაზრდობა აპ-

ულოდა პროვოკაციას, ვის შეუძლია შეტყუნების გარეშე წარმოიდგინოს ათასობით ქართველი ახალგაზრდა, ერთ მხარეს პარტიული იდეოლოგიის გულანთებული, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი „ექსტრემისტი“, მეორე მხარეს „მშობლიური კომუნისტური პარტიის“ იდეების დამცველი, მისი მითითებებისა და განკარგულებების განმხორციელებელი ჰაბუტები და ქალიშვილები!

თავზარდამცემია ამ პატარა აზრაცში ჩადებული შხამიანი აზრის გასიგრძეგანება. ვინ განიზრახავს თუ არა ქართველი ერის პათოლოგიური მოძიანე, ერთმანეთს წაქედოს ერთსხილი და ერთხორცი, გრძნობადაუოკებელი ახალგაზრდები, გააჩაღოს სამოქალაქო ომი, ზნეობრივად გაზრწნას ეროვნული მოძრაობის საყრდენი და აქტიური ძალა.

...რასაკვირველია, არსებობენ ადამიანები, რომელთაც იციან ამ „ლონისძიების“ კონკრეტული ავტორის ვინაობა. დუმილი, დაე, მათ სინდისზე იყოს, მაგრამ უფრო დამაფიქრებელია, რომ ამ ანტიადამიანურ და ანტიეროვნულ გადაწყვეტილებაზე აქამდე ყურადღება არავის გაუშავილებია და მსწელობის საგნად არ ქცეულა.

ოფიცოვნა მანამდე მინც მოახერხა მიკრო სამოქალაქო ომის გაჩაღება. 1988 წლის 18 თებერვალს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოხდა შემადრწუნებელი ფაქტი: ჭერ დუღვენელი „ხელმძღვანელი ამხანაგების“ მიერ ვერაგულად მოფიქრებული გეგმით ერთმანეთს დაერივნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. ერთ მხარეს იყვნენ ეროვნული მოძრაობის თანამგრძნობნი და მონაწილენი, მეორე მხარეს „კომკავშირული აქტივისტები“, ანუ ვილაცის (კომკავშირის, პარტორგანოების, რექტორატის, სუკის?) მიერ გაბრყეებული ახალგაზრდები. ასე იყო თუ ისე, ძმებმა სასიკვდილო აღმართეს ერთმანეთზე ხელი, ზურგი დაიკრა და დაზიანდა, თანამემამულეთა შორის სისხლი ჩამოვარდა.

კიდევ რომელი ერთი გავიხსენოთ, პიროვნული უზნეობისა და ეროვნული ღალატის რომელ ეპიზოდზე დავუიქრდეთ?

ნოემბრისა და მარტ-აპრილის დღებში რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის მითითებით ქალაქებსა და რაიონებში იქმნებოდა „ექსტრემისტებთან“ მებრძოლი ე. წ. „მუშათა დამკვრელი ჯგუფები“, რაც ასევე მიმართული იყო სამოქალაქო კონფლიქტის გაჩაღების, თანამემამულეთა მიერ ერთმანეთზე ხელის აღმართვისაკენ. მისი სცენარა მარტივია: პარტიული აქტივისტები მიერ გაბრყეებული მუშების ერთი ნაწილი უნდა შებამოდა აღვლობრივ და დედაქალაქიდან ჩამოსულ „ექსტრემისტებს“. რომელნიც „სიმ-



შეიღებ ურღვევდენ" მათ. არ აცლიდენ
„თავდადებით ებრძოლათ ზუთწლედის გეგმა-
ვალდებულებების წარმატებით შესრულები-
სათვის“. შუშათა კლასს თავისი „მონოლი-
თური ერთიანობა“ უნდა ეჩვენებინა წესრი-
გის დამრღვევი „ნაძირალებისთვის“ — ასეთი
იყო ამ თვეების ოფიციალური პრეზისა და
რადიო-ტელევიზიის პათოსი.

...8 აპრილს ცენტრალური კომიტეტის სხდო-
მათა დარბაზში, ე. წ. პარტიული აქტივის
კრებაზე შემოვიდნენ გენერლები კოჩეტოვი
და როდონოვი, დარბაზი მათ როგორც მხსენ-
ვებს, ტაშით შეხვდა (არ დაგვაიწყდეს, და-
რბაზში ის ხალხი იქდა, ვისაც დღემდე აბა-
რია საქართველოს მართვა-გამგეობა დღედა-
ღამეში და პერიფერიებში). დამსჯელებს ზომ
შეხვდნენ ტაშისცემით. „აქტივმა“ ასევე ტა-
შისცემით დაადასტურა თავისი თანხმობა მი-
ტინგის დარბევისა და ეროვნული მოძრაობის
ლიდერთა დაპატიმრებაზე (ამ უკანასკნელზე,
როგორც ირკვევა, მხოლოდ ჩანსულ ჩარკვიან-
მა განაცხადა პროტესტი).

...1988 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქარ-
თველოს კომპარტიის მაშინდელმა ხელმძღვა-
ნელმა შეხვედრების სერია მოაწყო თბილისის
უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.
ამ შეხვედრებს ტელევიზიით გადასცემდნენ
და, თუმცა დაკვირვებულ თვალს არ გამოეპა-
რებოდა ოფიციალური პოლიტიკური პოზიცია,
მანებში მაინც შეიქმნა მითი პარტიული ლიდე-
რის პატრიოტიზმის შესახებ, ვგონებ ეს უფ-
რო ხალხის სურვილი იყო, რომ ეროვნული
მოძრაობის არნახული აღმავლობის ეამს თავის
გვერდით ეხილა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა
და ძალაუნებურად, პარტიული ელიტის მიერ
გათამაშებულ ფარსს უკრიტიკოდ იღებდა.

შეიქმნა იმის ილუზია, რომ მდგომარეობა
სტაბილური ხდებოდა. მხოლოდ შემდეგ
გახდა ცნობილი ხელისუფლების „ლიბერა-
ლიზაციის“ ნამდვილი მიზეზი: რესპუბლიკის
ხელმძღვანელობის თხოვნაზე — ქარები მო-
გვაშველეთ და საგანგებო მდგომარეობა გა-
მოაცხადეთო, ცენტრს იმეორად უარი უთქ-
ვამს, რესპუბლიკის შესვეურნიც იძულებული
გამხდარან „დიპლომატიის“ და „კომპრომისის“ გზას
დასდგომდნენ.

ეს დებულები ა. ლუკიანოვმა სახალხო დე-
პუტატთა პირველ ყრილობაზე იმის დასტუ-
რად წაიკითხა, რომ უველაფერი, რაც აპრლ-
ში მოხდა, შესაძლო იყო, უფრო ადრეც მო-
მხდარიყო საქართველოს ხელისუფლების
თხოვნით, მაგრამ ცენტრი თავს იკავებდა და
ჩვენ ნორაფერს დაკვებრალბეთო.

...8 აპრილის მომდევნო დღეებში, ე. შევარ-
დნაძესა და გ. რაზუშვიტისთან მოწყობილ

სახალხო შეხვედრებზე, რესპუბლიკის მაშინ-
დელი პარტიული ხელმძღვანელი ვერხვანიძე
შურისძიების გრძობას და საქვეყნო
ხალხებს: „წესრიგის დამცველი“ ქარების პირ-
ველივე გამოჩენაზე ეროვნული მოძრაობის
ლიდერები გაიქცნენ (СМЫЛИТСЯ) და ხალხი
ბედის ანაბარა მიატოვეს. თურმე მიტინგის
მიუთხოვებიათ „შეშით შეპყრობილ“ მერაბ კოს-
ტავას, ზვიად გამსახურდიას, ირაკლი წერე-
თელს, გიორგი ჭანტურიას, ირაკლი შენგელა-
იას, ირაკლი ბათიაშვილს, ზურაბ ჭავჭავაძეს...
და უმისამართოდ გაქცეულან ნეტავი საიდან
განცხადა ასეთი ინფორმაცია. განა უოველივე
აბასობით ადამიანის თვალწინ არ ხდებოდა?
ვინ დაიჭრებდა, ვინ ირწმუნებდა, მაგრამ ამ
განცხადებას მაინც ჰქონდა თავისი მიზანდასა-
ხულება — კიდევ ერთხელ გაეტეხა სახელი
გულუბრევილო ხალხის თვალში ეროვნული
მოძრაობის მოღვაწეთათვის; ეს იყო სახო-
ლოო გახვლისას კარის გაჭახუნება.

...განა მმართველი კასტის უწინების მაგა-
ლითი არ არის 8 აპრილის გარემოებათა გა-
მოსაძიებლად მოავრობის კომისიის შექმნა, მა-
ღალი რანგის ფუნქციონერის თვმჭლომარე-
ობით? უპრეცედენტო მოვლენა — საყუ-
თარი დანაშაულის გამოსაძიებლად დამნაშავე-
თაგან იქმნება კომისია!

...უწინებათა ეს ჩაკვი ქმნის იმ ძალების ავ-
ბედით სურათს, რომელთაც მინდობილი ჰქონ-
დათ საქართველოს მართვა-გამგეობა, სამწუ-
ხაროდ, ამ ძალების განლაგებაში დღემდე ბე-
ვრი არაფერი შეცვლილა, ცვლილება მხოლოდ
ნაწილობრივ შეეხო უმაღლეს ემელონს უმე-
ტისად ისევ საკომანდო თანამდებობებზე გა-
დაადგილების სახით, რაც მხოლოდ ილუზიას
ქმნის. ჰვედა ეშელონებში ეს ილუზორული
გადაადგილებაც არ განხორციელებულა, ისინი,
ვინც 8 აპრილს ტაშს უკრავდნენ ქართველთა
დასახველად გამოცხადებულ გენერლებს,
კვლავ მშვიდად განაგრძობენ „მოღვაწეობას“
და უველა ხელსაყრელ შემთხვევაში ისევ
ტაშით მიესალმებიან „სიმშვიდის დამრღვე-
თა“ სასტიკად დასჯას.

ეს წინებრივი სიმდაბლე მმართველობის
მთელი სისტემის ბუნებად იქცა და იგი წლე-
ბის განმავლობაში უაღირობად დგება. ამ მა-
ნიჩვი მექანიზმის აღმოცენება შეუძლებელია
ნამდვილი; დემოკრატიული სახელმწიფოს
მშენებლობის გარეშე, უოველგვარი „წარმმარ-
თველი“, „მესაქე“, „ეპოქის გონებისა და
სინდისის“ „ბრძნულ მითითებათა“ გამორიც-
ხვით.

საქართველოს ბოლო მოწყვეტის უმაღლეს
საბჭოში 440 დეპუტატი იყო. მათგან მალა-

ლი რანგის პარტიული და სახბოთა თანამდებობა ეკრა 182-ს, 88 დეპუტატი სხვა ეროვნებას ეკუთვნოდა...

ახლა გავიხსენოთ, რამდენი ტრაგედია, რამდენი ავტოდიოი ამბავი დატრილდა საქართველოს თავს ბოლო წლების განმავლობაში. გავიხსენოთ დამანგრეველი მშენებლობები, ქართული მიწების შიტაცება-განიავება, უცხო ტომთა მასობრივი ჩამოსახლება საქართველოში, სრული დაუსჯელობის ატმოსფერო, კორუფციისა და შებრთაობის გაფურჩქვნა, ეკონომიკური კრიზისი, მეურნეობის მოშლა და ცხოვრების დონის კატასტროფული დაქვეითება, ცენტრისადმი მონური მორჩილება, ბოლოს, პოლიტიკური კრიზისი და მ აპრილის ტრაგედია...

და რა გგონიათ -- უოველივე ამის საფასურად რესპუბლიკის „პარლამენტარებმა“ უოველთვიური გასამრქელის სახით სრულიად დაუპვედრებლად ჩაიჩიხეს დაახლოებით 4 მილიონი მანეთი. ამასთან, ისარგებლეს უველი იმ პრივილეგიით, რაც „ხალხის რჩეულთათვის“ არის დაწესებული!

„ადიარებულია, რომ ქვეყნის ეკონომიკურმა კრიზისმა მწვერვალს ბრუნვეის „მართველობის“ წლებში მიაღწია, მაგრამ, როგორც ჩანს, „გენეკამ“ ამის შეხახებ უურმოკვრითაც არაფერი იცოდა, იგი გატაცებით ელოლიავებოდა თავის ჩინ-მედლებს, რომელია რიცხვმა სახლოლოდ თურმე 114 შეადგინა. ამას ვარდა, ახლახან ბრუნვეის ბინიდან ამოიღეს გმირის 21 ოქროს ვარსკვლავი, 18 ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“, ბრილიანტით დამშვენებული, მარშლის სამხრები... როგორც „იშვებსია“ განმარტავს, საქმე შემდეგში ყოფილა: როცა ბრუნვეი უმარწილური კირვეულობით გადაწყვეტდა ჩინ-მედლების გადაადგილებას თავის მარშლის კიტელზე, თურმე ახალ კიტელს უკვეთავდა, ქველი კი ჩინ-მედლებიანად მის საკუთრებად რჩებოდა, ვერ უბედავდნენ — დავიბორუნეთო. ამის შემდეგ, მოდია და ნუ გავეცინება — ჩვენს 440 დეპუტატს, რომ რაღაც 8 მილიონი მანეთის მითვისებას ვსაუვედურობთ?!

305 აპლვრმვს წსპლს?!

შეინიშნება საშიში ტენდენცია: ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და საერთო ეკონომიკური კრიზისის კვალდაკვალ ამოქმედდა რაღაც შექანიში, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ფენებში ნერგავს ჯარს, რომ უოველდლორი ეკონომიკური გაკირება, პოლიტიკური არასტაბილურობა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა ბრალია. „მთ

არის ქვეყანა“ (ამავე სიტყვებით ება ქვეყანას ვინმე ეღოშა ვაჩნაძე ბაზალთაოშის წინ სააკაძის წინააღმდეგ ამხედრება ქართველთა ერთ ნაწილს). ეს ძალები პანკას თესავენ, რომ მალე შემშილობა დაიწყება, გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა, რომ ეროვნული მოძრაობა მხოლოდ ხელმოკარბისი, უსაქმური და ჯარმაიე ახალგაზრდობის თავერილობაა და მეტი არაფერი.

ეს უოველივე ფართო მახების (განსაკუთრებით პერიფერიებში) პოლიტიკურ უმწიფრობაზე და უსიტვეო მორჩილების საკალალო ტრადიციებზე გათვლილი სვლეობა, ეროვნულ მოძრაობასთან ბრძოლის ამ მეთოდს მიმართვის პარტიული და სახბოთა აპარატ, მძლავრი ბიუროკრატიული მექანიზმი, რომელსაც კვლავ ხელთ უპარია მმართველობის სადავეები.

„საზოგადოების წარმმართველი“ ეს კასტა, რახან თავისუფალია უოველგვარი წნეობრივ ნორმებისაგან, დღიი ხანია მიეჩნია თავისი დინაშაულობებისა და შეცდომების სხვისთვის გადაბარალებას. ამ კორუფციის კაობში ჩაფლული სისტემის ეროვნული მოძრაობისაქენ შემობრუნება მხოლოდ წყლის ნაყვა და მიუტევებელი მიამიტობა იქნება. მათ მიერ შემოთავაშებული „კომპრომისი“ კი, როგორც შემოთ ვოქვი, მხოლოდ ტაქტიკური უქან დახევაა და უველა ხელსაყრელ შემთვევაში „ჩვენი გამარტვების სულიჩამდგმელი და ორგანიზატორი“, „საზოგადოების წარმმართველი ძალა“, „ეპოქის ღირსება, გონება და სინდისი“ კვლავ თავეარდამცემ, რეპრეზიულ, უოვლის დამორგუნველ რეგის დაამყარებს.

ახლა ამ ძალებს, ეკვი არ არის, თავის სახარტებლოდ სურთ მხოოყენონ თავისივე მიზეზით შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, ცდილობენ უოველივე ეროვნულ მოძრაობას გადააბრლონ, სახელი გაუტეხონ მის ლიდერებს.

ეს კი, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ ფენებში ნოყიერ ნადაგხა და მხარდქერას პოულობს, გაისმის ოხტრა სტალინის „ბედნიერ დროზე“, როცა „უველა თავის საქმეს აკეთებდა“, „დისციპლინა და წესრიგი იყო“. ეროვნულ მოძრაობას მტრობს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ისეთი პროლექტიც, როგორც არის კორუმპირებული, მოხვეჭამონაგრებით, სახელმწიფოს ძარცვით გაქსუბულ-გამდიდრებულ ადამიანთა საკმაოდ დიდი და გავლენიანი ფენა.

მის კეთილდღეობას განადგურებით ეშუქრება სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება, დემოკრატიული, დამოუკიდებელი ქვეყნის მართვის მექანიზმი, რომელიც ბატონპატრონად უნდა მოველინოს საქართველოს და რომელიც სოციალურ სამართლიანობაზე



უნდა იყოს დაფუნდებული. ამ ძალღებისათვის მიუღებელი და გაუგებარია სრული ეროვნული თავისუფლების იდეალები და, უკეთეს შემთხვევაში, საქართველოს განიხილავენ, როგორც ფედერაციის ნაწილს გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობით. ამასთან, უოველნაირად ცდილობენ, სახელი გაუტეხონ ეროვნულ მოძრაობას, იბრძოლონ იმ უსაირაოო, უგერგოლო, ფაქტობრივად უმართავი ეკონომიკური სისტემის შეხანარჩუნებლად, სადაც უკველი ჭურის ბოროტმოქმედს ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი, სადაც პატიოსანი და მაღალწინობრივი ადამიანებისათვის ადგილი არა რჩება, არსებულ სისტემაში ისინი წედმენტი არიან და საქმოსანთა ჭბუფეზი, ჩრდილოვანი ეკონომიკის ქორები რულიდენტითი იცილებენ თავიდან. ჩვენდა ნამარცხვინად, ამგვარმა მფიოზურმა ტენდენციებმა ფართო ვასაქანი ჰპოვა შემოქმედებით ხვერობეშიც. ეროვნული მოძრაობისადმი ინდიფერენტისმს ანდა პოზიციურ მტრობას წწროვდამგვარი „შემოქმედნი“, ხელისუფლების მადალ ეშელონებში ხელდასხმული პიროვნებები ამულავნებენ.

სტალინის „ბედნიერ დროზე“ ნოსტალიგიით შეპარობილი მასების მოტუყებაზე ადვილი არ არის და დღენიდაგ ძალას იკრებს ეროვნული მოძრაობის ლიდერთა წინააღმდეგ მიმართული კამპანია.

მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ერკვევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებში. — რა უნდათ, ზომეუელადფირი გვექონდა? რუსეთის გარეშე შიმშილით დავიხოცებთ! თურქეთი და ირანი დავიპყრობს! ახლა თავისუფლები არა ვართ? სტალინია საჭირო... ათას უწნაირ აბსურდს და უცილობის ზეიმს შეესწრება კაცი საქართველოს დაბასოფლებში, მატარებელში, ავტობუსში, კრებაზე, შეხვედრებზე...

ფართო მასებს წარმოდგენა არა აქვთ საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის იმ მექანიზმზე, რომელიც უნდა დამკვიდრდეს დემოკრატიულ ქვეყანაში, ჰგონიათ, რომ კოლექტივიზაციის „დაჩქარებული ტემპით“ განადგურებელი, ბატონყმობის (თუ მონათმფლობელობის) ახალი ფორმებით დაკაბლბული ქართული სოფელი ფეხზე ვედარახობდეს წამოდგება, რომ რეჟიმის ბატონობა უცვლელი და სამარადისია.

მასებისათვის, რომელთაც პროპაგანდის ყოველგვარი საშუალებებით უნერგავდნენ აზრს, ყველაზე სამართლიან, მშვიდობის მოყვარე და კაცობრიობის ბედნიერი მომავლის შენებელ საზოგადოებაში ცხოვრობთო, ძნელია შეხედულებებისა და წარმოდგენების დიამეტრალური შეცვლა. ძნელია რევოლუცია

გონებაში, ძნელია აღქმა იმისა, რომ საქართველო დღეს მხოლოდ რუსეთის ერთი პატარა რეპუბლიკა კოლონიაა, ცენტრზე ორიგინალური პოლიტიკური რეჟიმით. ბუნებრივია, საქართველოს ეკონომიკა, არათუ ახლა, თავისუფლებისათვის ბრძოლის ეტაპს, არამედ დამოუკიდებლობის პირველ წლებშიც ვერ შესძლებს ფეხზე წამოდგომას. ამისათვის მზად უნდა ვიყოთ, ამას უნდა შევუვრიდეთ და უნდა გვესმოდეს მისი გამომწვევი ობიექტური მიზეზები.

ხელოვნურად შექმნილი ინტელექტუალური ქაოსის გამო, მასების დიდი ნაწილი ასევე ვერ ერკვევა საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში და საგარეო პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებში. ფიქრობენ — თუ საქართველომ თავისუფლება მოიპოვა, იგი გამოეთიშება დანარჩენ სამყაროს და კარჩაეცტოლ, მსოფლიო მოვლენებისაგან იზოლირბულ ქვეყნად იქცევა.

ამ მონურია რწმენისა და უცილობის, უხიტვეო მორჩილებისა და ტოტალიტარიზმზე ოცნების გაფანტვა. ადამიანთა შეგნებაში თავისუფლების იდეების, მათი განხორციელებისათვის კირათა თმენის შეგნების აღროძინება არის საჭირო. ზალხის მასებმა უნდა იცოდნენ, რისთვის იბრძოლონ და რას მისცემს მათ გამარჯვება.

ჩვენი პუბლიცისტიკა და საზოგადოებრივი აზრი ჩერაც წარსულის შეფასებით არის გართული ეს შეღარებით ადვილია და მომავალს მხოლოდ იმდენად წაადგება, რამდენადაც შეცდომების გამოვრების გზას აგვაცდენს. ახლა უფრო მომავალზე, მომავლის ორიენტობზე გვმართებს უტრადლებს გამაზვლებია იმ ქეშმართი გზის საპოვნელად, რომელიც შეესაბამება ქართველთა მრავალი თაობის ოცნებებს და მომავალი თავისუფალი საქართველოს ჰუმანისტურ ინტერესებს.

უნდა გაიფანტოს ბნელი წარმოდგენები დღევანდელი პროცესების ქოტურობაზე, „ქვეყნის არევაზე“. ლიდერთა რალაც ამბიციბზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა უნდა აღიქმებოდეს როგორც ჩვენი უმთავრესი საქმე და წმიდათაწმიდა მოვლენა ერის გადარჩენის გზაზე.

ზემოთ ვთქვი, „წყალთა მღვრევის“ სათავეში პარტიული და საბჭოთა აპარატი დგახმეთვი, მაგრამ ნუ დავიციწვებთ, რომ სპარატი ჩვენივე მსგავსი ადამიანებისაგან შეადგება. ეს ადამიანები კი თავისი უსიკიკური წყობით ქართველები არიან, საქართველოს მიწაზე გაზრდილან და ბევრ ფუნქციონერს მაღალი ადამიანური ღირსებებიც ამწვენებს. მაგრამ ეს კასტა, სისტემის უკუღმართობით, „გახლენილ“ პიროვნებათა კასტაა, ერთ მხარეს არის მათი ბუნებითი მწოდება ადამიანობის.

სიკეთის, სამშობლოს სამსახურისათვის, რაც აქამდე სულაც არ იყო მომგებიანი. მეორე მხარეს მათი კეთილდღეობის წყარო-იერარქიული ემულონების მომარაგებელი პირები და მმართველობის ბუროკრატიული, ერთ-სახოვანი სტილია, რომელიც განსაკუთრებულ გონებრივ შესაძლებლობებს არ ითხოვს, არის შეუძლებელი კუმარტებად მიჩნეული სწორხაზოვანი მოძღვრება, არის კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის განუსაზღვრელი გავლენა, რომელიც უშაღვე თავის ბრკვანდებში აქცევს უკვე აღაღებდა ფუნქციონერს და უმოწყალოდ ანადგურებს მის წევობრივ ავტორიტეტს. თავის მხახურად, ფაქტობრივად, დამანახვედ აქცევს მას.

ამ „გახლებილი პიროვნებების“ გადარჩენისათვის ბრძოლა ჩვენი ადამიანური და კრიტიკიანიული მოვალეობაა, რათა ავადობისათ მათში ბუნებით ბოძებული ღირსებები, შემოვადბრუნოთ ეროვნული მოძრაობისაკენ, იმ აზრამდე მივივანოთ, რომ პარტიული და საბჭოთა მოხელის რბილი სავარძლის მიღმა არის დიდი და პატარა სტერეოტიპი გარემოცული სამშობლო, რომელიც თავგანწირვით იბრძვის თავისუფლებისათვის და ამ ბრძოლაში მონაწილეობა მათი ვალიც არის.

ეთნოპოლიტიკის ასპექტები

საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, დაწვებულმა ეთნოკრიზისმა გამოაშუღავნა წლების განმავლობაში ნაქადაგები „ინტერნაციონალიზმისა“ და, ხაერთოდ, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის მთელი სიყალბე, „ძმურად შეკავშირებულ ხალხთა ურდღვე ფედერაციაში“ ეროვნული საკითხი უველაზე კონფლიქტური. აფეთქებასაშიში და, შესაძლოა, სახედისწეროც კი აღმოჩნდა.

პერმანენტულმა ეთნოკრიზისებმა დაგვანახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ჩვენს მიწაზე მოსახლედ ეთნოსის წოგირთ წარმომადგენელი მტრულად უუფრების, მათ მხარდაჭერისა და გვერდში ამოღობის ნაცვლად, როგორც კი ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობისათვის დაიწყო ბრძოლა, ზურგში მახვილი ჩაგვეცხ და სამკდრო-სამიციციხლო ომი გამოგვიცხადეს. ქართველები მხოლოდ საკუთარი თავის ამო დადვრჩით და, ბუნებრივია, ეს სიმარტვერა და აღლავი აოტყებს იმ ხალხს, ვინც თავისი ეროვნული ფსიკიკით კუმარტი ინტერნაციონალისტია, ამ სიტყვის არა საბჭოური გაგებით, დაშაღარის სხვა ერის ინტერესებს და კეთილდღეობას თავისი ანაცვალოს.

ახლა კი ამდგარა ჩვენი გუშინდელი ხიზანი და თოფს გვიდვრებს, საქართველოს გაყოფა-განაწილება მოუწადინებია, ტერიტორიულ

პრეტენზიებს გვიუენებს და, ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდობს ზეჟერეული თველოს საუკეთესო ნაწილი ჩამოათავს“.

ყოველივე ამას ფესვები საქართველოს ხანგრძლივ კოლონიურ მონობაში გაუღვამს, ვიღაცას იმის ილუზია გასჩენია, თითქმის ჩვენი სამშობლოს ეროვნული სხეული საბოლოოდ დაირღვა, კვეყანას პატრონი აღარ ჰყავს, ქართველებს სამშობლოს მთლიანობის განცდა დაუკარგავთ და მისი დანაწილების დროც დამდგარა. ამასთან ერთად, არც ჩვენს ეროვნულ მიამიტობას, გაუმართლებელ ტოლერანტობას, გულუბრყვილო სიკეთესა და უანგარო სტუმართმოყვარობას მიუძღვის ნაკლები ბრალი. ეროვნული პოლიტიკა ხომ არა გვექონდა და არა, კომუნისტური იდეოლოგია კი უსამშობლობას, კლასობრივი ინტერესების ეროვნულზე უმაღლესობას და ხალხთა შერწყმა-შერევის აუცილებლობას ქადაგებდა, კოსმოპოლიტიზმის ამ ეპოქალური სენისათვის უველაზე მეტად ქართველი კაცის გული უკვილია ნაყოფიერი ნიადაგი. როგორც ჩანს, გულუბრყვილოდ მხოლოდ ჩვენ ვენდეთ ამ მოძღვრებას, სხვებმა თვითშენახვის მტკიცე ჯავშანი შემოიკრეს და როცა საქართველომაც გამოიღვიძა, უშაღვე წამოგვივიგენ. მათ თავისი ეროვნებაც კარგად სცოდნიათ, რა უნდათ, ისიც იციან და როგორ უნდა აკეთონ თავისი ეროვნული საქმე, ისიც მშვენივრად აქვთ გააზრებული. იციან, რომ იმპერიის ცენტრალური ზეღისუფლების სახით დიდი მფარველი მუავთ, რომელმაც, უარაბადის გაკვეთილებიდან გამომდინარე, აშუამად ვერ გაბუნდა საქართველოს ეთნოკრიზისში აშკარა, აქტური ჩარევა. მაგრამ ზვლად რას მოიმოქმედებს, ამის თქმა ძნელია.

ქართველ კაცს ვერავინ ასწავლის გაგებით მოკიდოს სხვათა ეროვნულ გრძნობებს, პირობით, თავისი სუფრიდან საუკეთესო ლუქას უთავაზებს მისულ კაცს, მუხრანის ბოლოს შემოყრილი ყვიჩაღისა არ იყოს, გულუბრად გასტუმს და ამაში საამოვნებას პოულობს, ქართული ბუნება, ზოგადად, სიკეთეს ესწრაფის, ჩვენი სიკეთე და შემწყწარებლობა კი, როგორც ჩანს, მავან ეთნოსს ჩვენს სისუსტედ მიუჩნევია. ამაში გარკვეული კანონზომიერება არსებობს: მას არ შეუძლია ამაღლდეს სიკეთის უანგაროდ კეთების გაგებაზე, ფაქტობრს — ჩემი ეწინაა და იმიტომ იქმს ამახო. მოღბნილი და გუნებაზე დამდგარი მასპინძლის ცოლსაც „დაზიდნებს ნაწნავს თმისახა“, მუხრანის ბოლოს შემოყრილი ყვიჩაღისა არ იყოს, ეს უწარსული ეთნოსის ინსტინქტია, რომელმაც ვერ მოახერხა თავისი ეთნიკური ბუნების გამოყვადვება სულიერ კულტურაში, ვერ შექმნა სხვა ერებთან ინტელიქტუალური ურთიერთობის ბაზისი და მათთან კონტაქტი-



სას უველა ხელსაყრელ შემთხვევაში მტრულ, პირველყოფილ ინსტიქტებს ამჟღავნებს. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ პარადოქსს, რომ აღმართი და აფხაზური იმპერიების შიშის-მთხვევითა წინაპარტობა მხოლოდ ახლახან 70-80 წლის წინ შექმნეს დამწერლობა და ისიც სხვათა დამწერლობის საფუძველზე. ასეთ სიტუაციაში, გვინდა თუ არა, გზა იმ ფინალი-საკენ მიდის, მუხრანის ბოლოს შეყრილი უფ-ჩაღისა და ქართველი მოუმიხ ბალადის ერთი ვარიანტი რომ თავდება („ქალი სიღერდსა ში-ვევარტე, ის კი ათ სკანს ქვიშას“).

ქართველთაგანის ეს აზირობული ტალღა გამოგნებელი და ვერაგული დარტყმა ჩვენი ეროვნული მოძრაობისათვის, გამოგნებელია ამდენი ზიზილი და სიძულვილი, სიყალბე და ცილისწამება, ჩვენს მიმართ რომ ამჟღავნებს ჩვენი მიწაზე მოსახლე სხვადასხვა ჯურის ეთ-ნოსი. ქართველთაგანის არავითარი ისტორი-ული საფუძველი არა ქვს და მისი დამუხტ-ვა ცენტრიდან ხდება, როგორც 20-იან წლებ-ში ხდებოდა.

დამოუკიდებელი საქართველო და მისი პო-ლიტიკური ლიდერები კი რესპუბლიკის წი-ნაღმდეგ აჩანებულ ეთნიკურ ერთეულებს მაშინაც უაღრესი გულმოდგინებითა და კე-თილმოსურნეობით ეცილებოდნენ.

ამჟამად ე. წ. სამხრეთ ოსეთში მოქმედი პროვოკატორები თავისი მიზნებისათვის იუ-ნებენ 1918 წელს ზემო ქართლში ოსთა აჩან-ებების ისტორიას. ამბიანებენ რა ფაქტებს, ამ მოვლენას ქართველთაგან ოსთა მტრობის გამოვლინებად აცხადებენ, აზვიადებენ მსხვერ-კლის რაოდენობას.

აჩანებების ნამდვილი ისტორია საბჭოთა ის-ტორიოგრაფიისათვის ჩვეული ტენდენციურო-ბით არის მიჩქმალული და მოიხსენიება რო-გორც „პირსინხლიანი მენშევიკური დიქტა-ტურის“ წინააღმდეგ მშრომელთა აჩანება ბოლშევიკური ზელისუფლების დახმარებ-ლად

სინამდვილეში ეს იყო ჩრდილოკავკასიელი ბოლშევიკების მიერ (რომელნიც, თავის მხრივ, ცენტრის კარნახით მოქმედებდნენ) პროვო-ცირებული ოსი მოსახლეობის აჩანება სა-ქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის ზეღოფის მიზნით, საქართველოს კანონიერი ზელისუფლების წინააღმდეგ, რაც მიზნად ისა-ხავდა ზემო ქართლის ჩამოცილებას ჩვენი ქვე-ნისაგან და საქართველოს ამ ტერიტორიის რუ-ხეთისათვის მიერთებას.

აი, ნაწყვეტი 1918 წლის მარტში ჩავაში გამართული ოსთა ურღობის დადგენილები-დან: „...ვაცხადებთ, რომ სამხრეთ ოსეთი არის და უნდა დარჩეს თავისუფალი, ბოლშევიკური

რუსეთის განუყოფელ ნაწილად, ჩვენი ღირს-ვედობთ, რომ ჩვენსა და საბჭოთა რუსეთის ში-რის ჩამდგარ ბნელ ძალებთან ჩვენს დასა-და დაუზოგავად ვიმოქმედებთ, ჩვენ ძმებსა და ამხანაგებს, რუსეთის ბოლშევიკებს ვუძ-ღვინო მხურვალე საღამს, ხოლო ამიერკავ-კასიელ უზურპატორებს და სეპარატისტებს ზიზლსა და კრულვას“.

როგორც ვხედავთ, კომენტარები ზედმეტია და ამ დოკუმენტის სულისკვეთებას სრულიად იმეორებს „დამონ ნიხასის“ მიმართა 1980 წელს ცენტრალური ზელისუფლებისადმი.

ასევე არ საჭიროებს კომენტარს საქარ-თველოს საექსპედიციო ჯარების სარდლის ვა-ლეკო ჭულელის სიტყვები, რომელიც მას თავის საველ დღიურში ჩაუწერია:

„ვომობთ პროვოცირებულ, მოტყუებულ, უბ-ედურ გლეხობასთან, რომელსაც ზელმძღვან-ელობენ უოფილი ჩაფრები, ზულიგნური ინ-ტელიგენტები, ვანდუა? არა, უფრო რთული, სამწუხარო რამაა. ახლა ჩვენ ვართ ოსთა სა-ზოგადოების კრებაზე გვავსთან, საცოდვი, მოტყუებული გლეხები! როგორ მიყვარს ისი-ნი და როგორ მეცოდებიან...“

ქართველი სარდლის ეს სიტყვები არა მარ-ტო სწორ პოლიტიკურ დასკვნებს შეიცავს, არამედ ჩვენი ეროვნული შემწყნარებლობისა და მიმტვებლობის დასტურიცაა, საერთოდ, ქართველი ხალხის პოზიციის გამომხატველია თუნდაც სამტროდ ამხედრებული უცხო ეთ-ნოსის მიმართ.

ანალოგიური მდგომარეობა იყო აფხაზეთ-შიც, საქართველოს ამ ისტორიულ პროვინცი-აში ბოლშევიკური ლოზუნგების საფარქვეშ მიმდინარეობდა სეპარატისტული ბრძოლა სა-ქართველოს მთლიანობის ზეღოფისა და მისი ისტორიული მიწა-წყლის რუსეთის შემად-გენლობაში გადაცემისათვის.

როგორც ამ ფაქტებთან ჩანს, ქართული მიწაზე მოსახლე ეთნიკური ერთეულები ტრა-დიციულად მტრობდნენ საქართველოს დამო-უკიდებლობის იდეას და ეროვნულ-განმათა-ვისუფლებელი მოძრაობის უოველი ახალი აღმავლობისა არამკვიდრი ეთნოსი სეპარატულ ბრძოლას იწყებს. ეს ბრძოლა თითქმის უო-ველთვის გარედან არის პროვოცირებული და სულაც არ ემსახურება მოქანუე ეთნოსის ინტერესებს, არამედ ქართველთა ეროვნული ძალების დაქსაქსავს ისახავს მიზნად.

თანამედროვე პირობებში სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი საფუძველი იმ მავნე კამპანიის შედეგია, რასაც წლების განმავლო-ბაში ეწეოდა ზელისუფლება არარუს ერებში. ე. წ. ორენოვნების დამკვიდრებისათვის. ამ კამპანიამ თავის ზენიტს „სუსლოვშინის“

დროს მიადგინა და მისი რეციდივები დღესაც აქტიურად იჩენს თავს.

„ორგნოვების“ ავბედითი ნაყოფი უპირველესად მტარე ხალხებმა იგემეს, მათ თითქმის დაკარგეს მშობლიური ენა და რუსულენოვან ხალხებად აქცნენ. ასე დეამართა აფხაზ და ის მოსახლეობას, რომლის უმეტესმა ნაწილმა აღარ იცის მშობლიური ენა და თავის დედა ენად რუსულს მიიჩნევს. სამწუხაროდ, ამ ხალხებში არ გამოჩნდა ძალა, რომელიც ერს მთელი ამ ტრაგედიის ხილრამეში ჩააბედებს, არა ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ საკუთარი ენის, კულტურისა და ფსიქიკის გადასარჩენად მოუწოდებს. აუნხნის, რომ ოროდღე თაობის შემდეგ რუსულენოვან სამყაროში უკავალოდ შთანთქმა უწერიათ, მაშინ როცა თავისი ეროვნული მთლიანობა ქართულ სამყაროში საუკუნეთა განმავლობაში შემოინახეს.

„ორგნოვების“ უბადლებული თეორიის წყალობით, რომელსაც პაგამატისტული მიზნებით იოლად ეწყობა მმართველი ზედაფენი, ამ ხალხებმა დაკარგეს ქართველ ხალხთან ურთიერთობის ტრადიციები, უნარი და საშუალება. მოსახლეობის უმეტესობა თავისი ფსიქიკით რუსია და შევლულად კომუნისტურ-ლური საშუალებებით მხოლოდ რუსულ სამყაროში შეუძლია ცხოვრება, ამიტომ მისთვის თავისუფალი საქართველო ბუნდოვანი პერსპექტივაა, ამას არც მალავენ აფხაზი და ისი სტარაქაზი.

ბუნებრივია, ეს ხალხი რაკი თავს უკვე დიდი ერის ნაწილად თვლის. ამავე ერის ხელისუფალთა დიდმპყრობელური, შოვინისტური ხრიკებით წაჭეზებული, იოლად ბედავს საქართველოს მთლიანობის ხელყოფას და ქართველთა ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფას, ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოებრიობას აღქვამს, როგორც ბელის-შემშლელ ბარიერს რუსულ სამყაროში მთლიანად შთანთქმის გზაზე. მე შეცთომილი ჭერ მხოლოდ მიდის!

საქართველოში მოსახლე უცხო ეთნოსის სახე და ორიენტაცია გარკვეულია: მტრობა მკვიდრი ერისადმი, საქართველოს მთლიანობისა და ეკლესიური ინტეგრების ხელყოფისაკენ სწრაფვა.

მიუხედავად ამისა, მომავალი თავისუფალი საქართველო მტრობაზე, შურისგებასა და შოვინისტურ გრძნობებზე ვერ აშენდება. ამის გარანტია ჩვენი ისტორიული წარსულია. მსგავსი გრძნობები ქართულ ბუნებას უქიღურესი შექარვევის ქაშასა არ გამოუმუდავებია და ამის საშიშროება არც მომავალში არსებობს, მით უფრო, თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში.

მაგრამ საქართველოს დღევანდელი მტრ-

ბისთვის, კინც ზვალ, ეკვი არ მეპარება ისე მოუვარედ მოგვადაგება კარზე, ანუ მე შეცთომილი დაბრუნდება, არსებობს შესასრულებელი პირობა: პატივი სცემ იმ ერის, იმ სახელმწიფოს ინტერესებს, რომელი შივ ცხოვრობს, განგან არ ეკვიროს თვლი და ჩუმხუმად ხანჯალს არ ლესავდეს ვერაგული მიზნით — როგორც კი დროს ვიხილეთ, მასპინძელს ზურგში ჩავცეო.

ქართული მიწის უველა მკვიდრი, მიუხედავად მისი ეროვნებისა, ქართველი ხალხის გვირგვინად უნდა იდგეს კვეთა განსაცდელში, ამის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს და იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მისი ხსნა, მისი ეთნიკური სახის გადასარჩენა მხოლოდ ქართველებთან განუტყრელ მეგობრობას შეუძლია.

ქართული ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეთნოპოლიტიკა იმის გარანტიას უნდა ქმნიდეს, რომ ქართველი ხალხი არსოდეს იკადრებს გენოციდი მოუწოს, დაჩაგრას, გაანადგუროს, ასიმილაციის საფრთხე შეუქმნას მცირე და დაბალგანვითარებულ ხალხებს. არც მათი ენის, კულტურის და ეროვნული ცნობიერების აღორძინებას შეუშლის ხელს, თუ ეს, რასაკვირველია, თავის მხრივ არ დაეშუქრება ქართული სახელმწიფოს მთლიანობასა და განუყოფლობას.

მროვნული კონცეფციისათვის

ამჟამად კონსერვატორთა ბანაკში უველაზე გავრცელებული ლოზუნგია — საქართველო დამოუკიდებლობისათვის ჭერ მზად არ არისო, მაგრამ ამა ერთი კვითხით მათ, როდის მოვეშვადებით დამოუკიდებლობისათვის ან არსებულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში, უნიტარული და იმპერიული ძალების ბატონობის პირობებში მიაღწევს კი რომელიმე ერი თავისუფლებისათვის მზადყოფნის დონეს? განა სისტემის მთელი იდეური სულისკვეთება ამგვარი მზადყოფნის გამორიცხვისკენ არ არის მიმართული?!

ამ კონსიციის დამცველებს, მათი აზრით, შეუვალი არგუმენტები აქვთ მომარჯვებულის: ჩვენი ეკონომიკა ბაზრის მოთხოვნისებებს ვერ გაუძლებს, საკუთარი ფული არა ავაქვს, სტეკალინების მომზადების დონე დებალია, პური არ გვეყოფა, წიაღისეულით ღარიბნი ვართო და სხვა მრავალი.

წარმოუდგენელია, ცოტად თუ ბევრად განსწავლული კაცი დღეს ამგვარი სიბუცის ტყვეობაში იმყოფებოდეს, მაგრამ ფაქტს ვერსად გავუქვეითო. ახლა შორს წავიყვანს იმ ხალხების ჩამოთვლა, მართლა ცოცხვე რომ სახლობენ, და ნეტავი ქართველებს რაღა ღმერთი გავვიწურება, ჩვენს მშვენიერ სამშობლოში ხარკო ვერ მოვიპოვოთ ნეტავი ვინ გვავე-



სებს სიმდიდრით და გზას დაგვილო-
ცავს — წადით, ბედნიერად და თავისუფლად
იხსოვრეთო, არ არის ქვეყნად ძალა, რომელ-
ლიც ჩვენ თავისუფლებიხა და დამოუკიდებ-
ლობისათვის ვაირჩიება. ეს ძალა ჩვენს თავში,
ჩვენს ეროვნული ერთგობის მდინარეებში უნდა
ვიპოვოთ. როგორც გავრცელებული სენტენ-
ცია ამბობს — თავისუფლებას არ ჩუქნიან,
თავისუფლებას მოპოვება უნდა. კონსერვა-
ტორთა ქადაგება ახლა მხოლოდ დამაშურებ-
ლებელი, ეროვნული მოძრაობისთვის მავნე
მოქმედებაა. ნათუ უსიტყვოდ უნდა შევუ-
რგებოთ იმას, რაც გვეჭირს, ღვთის მოწყალე-
ბას ველოდოთ და არ ვიბრძოლოთ უნებართ-
ვის ბრკუალებიდან თავის დაღწევისათვის,
არ შევეცადოთ საკუთარი სახელმწიფოებრი-
ობის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძ-
ვლების მოწყობას?

ე. წ. „მსოფლიო სოციალისტური სისტე-
მის“ კრიზისი, ანუ რუსეთის ხელდასხმით აღ-
მოსავლეთ ევროპაში წარმოშობილი დიქტა-
ტორული რეჟიმების კრახი რეალურად იქცა.
მსოფლიოში იწყება ახალი ერა, რომელიც
მნიშვნელობით 80-იან წლებში მიმ-
დინებულ კოლონიური სისტემის რღვევის ტალ-
ღისა (იმედი უნდა ვიპოვიოთ, რომ XX საუ-
კუნის 80-იან წლების ბოლო და 90-იან წლების
დასაწყისი მსოფლიო ისტორიაში შევა, როგ-
ორც კოლონიალიზმის აღსასრულის პერიოდი).
ამ პროცესის საბოლოო შედეგები არანაკლებ
ცვლილებებს გამოიწვევს მსოფლიო რუკაზე,
კაცობრიობის ცნობიერებაში, ნაერთაშორისო
ურთიერთობებში, ვიდრე 80-90-იანი წლების
პროცესებმა გამოიწვია.

სამწუხაროდ, ხელისუფლების უმაღლეს ეშ-
ელონებში არ სურთ აღიარონ ამ ცვლილებე-
ბის გარდაუვალობა, ცდილობენ შეინარჩუნ-
ონ უნიტარისმის სტერეოტიპები და დიქტა-
ტორული რეჟიმის პოლიტიკური საფუძვლები.
ამის გამო სახალხო დეპუტატთა 11 ყრილო-
ბაზე ერთმა დეპუტატმა გონებაშეზღუდულად
შენიშნა — თუ ჩვენ ახლაც არ მივბაძვით
აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ორიოდ
წლის შემდეგ თავის შველა ცეცხლმოდებუ-
ლი დერეფნის გავლით მოგვიწევსო.

მსოფლიო მნიშვნელობის ამ მოვლენებში
ქართველ ხალხს თავისი საზრუნავი აქვს —
როგორ მოვახერხოთ უზიფათოდ ან, უკიდურ-
ეს შემთხვევაში, ნაკლებ მსხვერპლის ფა-
სად „ცეცხლმოდებული დერეფნის“ გვლა,
არც ძალიან წინ წვაიდეოთ, არც ძალიან დავი-
გვიანოთ, როგორც ამბობენ „ვიჩქაროთ ნე-
ლა“.

მოვლენები კი შეიძლება იმაზე სწრაფად გა-
ნვითარდეს, ვიდრე ჩვენ გვგონია და მიჩვეუ-
ლი ვართ „სოციალისტური“ რუტინის პირო-
ბებში. აუცილებლად, გასათვალისწინებელია

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ნიშნობა
ჩაკვერი რეაქცია.

ამ შემთხვევაში ჩვენ „შეუცნობელ
ცეში“ გადაბიჭვამ არ უნდა მოგვიწიოს, უნ-
და ახლაც გავცეთ პასუხი უამრავ კითხვას,
მათ შორის უმთავრესს: როგორ უზრუნველ-
ყოფთ კოლონიალიზმის უღლიდან თავდასნი-
ლი ქვეყნის მშენებლობასა და შეინარჩუნებას,
რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონცეფ-
ციებზე დაეფუძნება იგი?!

მრავალწლოვანი კოლონიური რეჟიმიდან გა-
ნთავისუფლებული ყოველი ერი, ფაქტობრი-
ვად, ახლიდან იწყებს თავისი სახელმწიფოებ-
რიობის მშენებლობას, რადგან არსებული
სტრუქტურები, როგორც კოლონიური ხელი-
სუფლებლის ნაშთები, ახალ პირობებში ყოველად
გამოუსადეგარი ხდება.

გასათვალისწინებელია ისტორიის გაკვეთი-
ლიც: 1921 წელს საქართველოს დემოკრატი-
ული რესპუბლიკის კატასტროფის ერთ-ერთი
მიზეზი, ცნობილ საგარეო ფაქტორებთან ერ-
თად, ისიც იყო, რომ ქვეყანა მოულოდნელად
აღმოჩნდა სრულიად ახალ ვითარებაში, არა-
ვითარი კონკრეტული ეროვნული პროგრამა,
საერთო ეროვნული კონცეფცია არ არსებობ-
და. მთავრობას მოუხდა ყველაფრის ნულიდან
დაწყება, ნაჩქარევად ყოველგვარი პროგრამა,
დისტიული წინამძღვარების გარეშე უკალიბრე-
ბოდა ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურე-
ბი და ინსტიტუტები. ბუნებრივია, ხალხის
ფართო მასებში დაბალი იყო, მაგრამ უკუნი-
ა და მოქმედების კოეფიციენტი. თუცა ამ ინსტი-
ტუტებს იმდენად პროგრესული ხასიათი
ქონდათ, რომ, როგორც ახლახან გამოქვეყ-
ნებული მასალები მოწმობს, თვით ბევრის
მნახველ ევროპელებსაც ეს აოცრებდა.

რუსეთის ცარიზმიდან თავდაღწეულ ქვეყა-
ნას, რომელმაც თავისი პოლიტიკური სახე გა-
ნსაზღვრა, როგორც დემოკრატიული რესპუბ-
ლიკა, კიდევ რამდენიმე წელი სჭირდებოდა,
რათა საბოლოოდ გაფორმებულიყო, განემტკი-
ებინა პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკა და
თავდაცვისუნარიანობა. საუბედუროდ, საბ-
ჭოთა რუსეთის აგრესიამ ძალით შეწყვიტა
თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს
სახელმწიფოებრივი მშენებლობა. ამ უკანას-
კნელს კი ძალა არ ეყო, სერიოზული წინააღ-
მდეგობა გაეწია აგრესორისათვის.

მიუხედავად ეროვნულ-განმათავისუფლებე-
ლი მოძრაობის არსებული აღმავლობისა, ჩე-
რაც არა გვაქვს ეროვნული განვითარების
მოკვეთილი კონცეფცია, მისი მხოლოდ ზოგა-
დი საფუძვლები არსებობს ცალკეული პოლი-
ტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ მო-
ძრაობათა პროგრამების სახით.

...და ისევ კითხვები, რომლებზეც ძალიან

მალე უნდა გავკეთო თეორიული პასუხი მაინც: როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები, საკუთრების ფორმები, საბაზრო და საერთაშორისო ურთიერთობები, მიწვევებისა და სოფლის მეურნეობის თანაფარდობა... პოლიტიკური სისტემა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, აგრეთვე სისტემა, დემოკრატიის უზრუნველყოფის მექანიზმი, ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი... მრავალზე მრავალი კითხვა პასუხს ითხოვს, ჩვენ კი ჩერ პასუხები მზად არა გვაქვს, ზვალ კი შესაძლოა გვიან იყოს, პასუხების ძიებამ ძვირფასი დრო დაგვაკარგვიოს...

ამ კითხვათაგან უმეტესზე პასუხი ქვეყნის ძირითადმა კანონმა უნდა ვასცეს, ამიტომ, იქნებ არ იყოს ნაჩქარავი, რომ ახლავთ დაიწყოთ მუშაობა მომავალი, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შესაქმნელად (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საზოგადოებაში არსებობს ალტერნატიული ვარიანტები, საჭიროა ისინი უნდა გამოკვეთდეს, საჭიროა ხალხმა იცოდეს მისი მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის პერსპექტივები, ხალხს მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს საერთო ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელსაც დაეფუძნება ქვეყნის ძირითადი კანონი და რაც უფრო პროგრესული იქნება ეს კონცეფცია, მით უფრო გრძელ ნახტომს გავაკეთებთ ტოტალიტარიზმიდან აბსოლუტური დემოკრატიისაკენ, მით უფრო მაღალი იქნება ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტი, მისი გავლენა და სწრაფი აღმავლობის პერსპექტივები.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ დღეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, გარედაც მიმდინარე ათას საშრობობასთან ერთად, სერიალური საფრთხე თვით ჩვენში აღმოცენებული კონსერვატიზმიც არის, რომელიც ძალზე იოლად ეგუება საგანმანათლებლო ხასიათის ლიბერალიზმი, კაბინეტურმა განმანათლებლობამ კი ვკონებ, უკვე მოკვამ დრო. მაგრამ ეს ჩვენი კონსერვატორი მაინც თავისაზე დგას. — სიმშვიდისა და სიმუდროვისაკენ მივკვიწოდებს, ბეჭითად ისწავლეთ და იშრომეთ — გემოდღვავს, თავისუფალი საქართველოს გაგონებაზე ურწმუნოდ ქიჩქალებს, თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდობას უსაქმურობას და ხელმოკარულობას უციეინებს, აქაოდა, მიტინგებზე სიარულის ნაცვლად, რატომ აუდიტორიებში არს სხედან და მიცინიერული კომუნიზმის საფუძვლებს არ იშუთხავენ.

გაგიხარბათ, ბეჭითი სწავლა და შრომა კარგია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა პიროვნებისა და საზოგადოებისათვის ნაყოფის მო-

ტანა შეუძლია, როცა მოსწავლე და მშრომელი წინ სოციალურ და ეროვნულ პერსპექტივას ზედავს, ჩვენმა დრომ და სოციალურ-სისტემამ კი ამგვარი პერსპექტივები საზოგადოეროდ ჩაქლა. ანდა რამდენმა თაობამ გალია თავისი ცხოვრება ბეჭით სწავლასა და შრომასი, მაგრამ რა ნაყოფი გამოიღო მათმა თავდადებათ, უკვლა ვხედავთ.

კონსერვატორს კიდევ ერთი არგუმენტი მოუშარჩვებია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კომპრომეტორებისათვის — მომბიტინგებს ემოციები სჭარბობთ, მოულომავი სიტუაციებითა და მოწოდებებით გამოდიან, წესრიგი და დისცილინა აკლიათო; ერთი სიტუაციით, წლების მანძილზე გავლენას, მბრძანებლობას, მოძღვრისა და მენტორის როლს მიჩვეული საკლასო ოთახის სიმშვიდეს მოითხოვს ათათაობით ერთად თავშეურთხე ადამიანსაგან. ნეტავი სად უქმულა და სად გაგონილა აბსოლუტური კორექტულობით მიმდინარე დიდი საზოგადოებრივი და ეროვნული მოძრაობა? იგი თავის დროზე კალაპოტს თავად მონახავს და მოძრაობის შინაგანი კანონზომიერებით მოწყობილდება.

ხელისუფლებაზე აღაგაფრის ვამბობ, მაგრამ შინაწი ამოღებული, ლიბერალთან დამოზობილებული ის ანონიმი კონსერვატორი ხომ სულ გადარია ვასული წლის 7 ნოემბერს დროშების საქაროდ დაწვის საქართველო აქციაში, ეს აქცია მოქმედი კანონმდებლობით, რასაკვირვებლად, დანაშაულად მიჩინევა, მაგრამ მას კვეს თავისი მორალურ-პოლიტიკური გამართლება, და ამ საქმეში ჩვენ პირველი არა ვართ. აი, ერთი მაგალითი: 1981 წლის 18 ივლისს, ესპანეთში, ქალაქ სან სებასტიანის ცენტრში, ავტონომიისთვის მებრძოლმა ბასკმა პარტიობებმა დაწვეს ფრანკოს მიერ ამ ქალაქის აღების წლისთავის აღსანიშნავად გამოყოფილი ესპანეთის სახელმწიფო დროშები.

პოლიტიკური ახლომხედველობის ბრალია გაშუდმებული ბუზღუნი სხვადასხვა პარტიებისა და ჭკუფების არსებობის გამო, მოთხოვნა იმისა, რომ ეროვნული მოძრაობა ერთხულოვანად შეიკრას, შეკავშირდეს და ერთი ლიდერის ვარშემო დაირაზმოს. ამგვარი რამ არც ერთი ცივილიზებული ქვეყნის საზოგადოებრივ მოძრაობაში არ მომხდარა და მსგავსი მოქმედება მხოლოდ პირველყოფილი, ქოგური ინსტიტუტის გამოხატულებაა.

იქ კი, სადაც განსხვავებული ინტელექტი, მრწამსი და პოლიტიკური ცნობიერებაა, მუდამ იარსებებენ განსხვავებული პოზიციის მქონე პოლიტიკური პარტიები. ჭკუფები, საზოგადოებანი; მათ გარეშე როგორ უნდა წარმოვიდგინოთ დემოკრატია, მრავალპარტიული



პარლამენტი. აზრის თავისუფლება და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი?

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მრავალპარტიულობის წინააღმდეგ ბრძოლა ისევ კენსერვატორიზისა და ოპოზიტელის პოზიციას. მრავალპარტიულობის წინააღმდეგ ბრძოლა კუ არ გვეჩრდება, არამედ საქაროა აღმოიფხვრას მათი გამოიშველი კონფრონტაცია, რაც ზიანს აუენებს ეროვნულ მოძრაობას. იწვევს ძალების დაქსაქსვას და მასების დეგორიენტაციას. მთელს ამ მოძრაობას უნდა გააჩნდეს ერთიანი თეორიული ბაზისი, რასაც ისევ ეროვნული კონცეფციის აუცილებლობასთან მივყავართ.

მინდა შეგროდეს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ „განხეთქილების“ ეტაპი გაიარა. უველა რეალური პოლიტიკური ძალა საბოლოოდ შეკავშირდა „ეროვნული ხსნის კომიტეტში“ თავისი პარტიული ინტერესების მიუხედავად, საერთო მიზნისთვის საბრძოლველად.

მომდარობის ხსნის ბანსაზღვრისბათვის

მომავლის ისტორიკოსები, როცა საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესების ანალიზს დაიწყებენ, აღბათ, ერთსულად შეთანხმდებიან. რომ მოძრაობა, რომელსაც ჩვენ ზოგადად ეროვნულს ვუწოდებთ, არაერთგანზომილებიანია.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მარტოლდე ეროვნული მოძრაობა, თუმცა გარეგნულად უფრო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ხასიათი აქვთ და მოძრაობის მონაწილე ძალებიც ეროვნული თავისუფლების იდეით არიან შეკავშირებული.

ამდენად, გამოკვეთილია მოძრაობის ერთი არსებითი ნიშანი — ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლის წინაგან მექანიზმზე დაკვირება გვიჩვენებს, რომ მოძრაობას სოციალური ხასიათიც გააჩნია და წარმოადგენს სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლას, თუმცა ეს ერთგვარად, მეორად მოვლენად აღქმება.

სოციალურად დაპირისპირებულ ძალთა განლაგებაზე ზემოთ ითქვა, მაგრამ მეტი სიხადისათვის კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ მრავალპარტიული პარლამენტური რესპუბლი-

კისა და სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მებრძოლი, ძალგუნდობრივი მხრივ, ლენინ-სტალინური ერთპარტიული, ტოტალიტარული რეჟიმის მემკვიდრე მმართველი აპარატი, ის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ამ აპარატის გარშემო, ან მის შემადგენელ ნაწილად, მის დასაყრდენად იქცა, ეს სტრუქტურები, ისევე როგორც მრავალრიცხოვანი პარტიული და საბჭოთა აპარატი, განსაკუთრებულ სოციალური პრივილეგიებით აღჭურვილი, სოციალური კანონიერების გარეთ მდგომი ადამიანების, გერთიანებას წარმოადგენს, საზოგადოების ფართო ფენებს მოიცავს და ფაქტობრივად, კვლავ არსებით ძალა-უფლებას ფლობს. ამ ადამიანთა კსტა, რომელიც რეჟიმის დასაყრდენად და, ამდენად, პრივილეგირებულ ფენად ჩამოყალიბდა, ბუნებრივია, აშკარა თუ ფარულ წინააღმდეგობას უწევს ქვეყნგვარ სახალხო მოძრაობას, რომელიც დამხობით ემუქრება მათს განუკითხავ ბატონობას.

ეს ძალები იყვენ, აპარის ტაშის რომ უკრავდენ რუს გენერლებს და კვლავც დაუკრავენ, თუ ისინი მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობის დასაცავად გამოჩნდებიან საქართველოში.

დღეს საქართველოში მიმდინარე პროცესების ხასიათი ჩაღრმავებულ კვლევასა და ანალიზს მოითხოვს. რასაკვირვლია, ერთი წერილის ფარგლებში მთელი ამ მოძრაობის წინაგანი მექანიზმის ინტერპეტაცია, მისი ისტორიული ანალიზების ძებნა არ მოხერხდება. ამავე დროს, ეს მოძრაობა ჩერ კიდევ არ არის საბოლოოდ ფორმირებული, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ახალ-ახალი მოვლენები და ნიშან-თვისებები იჩენს თავს. უკველივე ამის მიუხედავად, არსებობს საფუძველი, რომ ჩვენს დღევანდელ მოძრაობას ვუწოდოთ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა, მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა და ცალ-ცალკე განხილვა მართებული არ იქნება. მრავალწლოვანი კოლხიური მონობის პირობებში, ერის წიაღში მომწიფდა როგორც ეროვნული, ასევე სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის წანამდვარები. დავი, უველა ქართველს მტკიცედ სწამდეს, რომ ჩვენი ერის დღევანდელი ბრძოლა წარმატებით დამთავრდება და სწორედ ჩვენს თაობას არგუნა ბედმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დიადი მისია.

ქართული კაცის სინამდვილე

რაა უფრო გულსაკალო,
სამკოროს და დიდშის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე
ეს არ არის საქართველო!

არის რკინიგზების კვანძი,
არის ავტო-მობილ-ველო,
ოჯახებიც არის, მაგრამ
ეს არ არის საქართველო!

ბალატიონი

წინამძღ

ძლიერი ბანგისაგან თავდაღწეულივით იშშუშნება და თვალებს იფშვნეტს ქართველი კაცი. რა მოხდა? სადა ვარ? როგორ ვარ? როგორ აღმოვჩნდი იქ, სადაც ვარ? ეს ფიქრები უტრიალებს თავში. კითხვები იტოტება. კითხვები მრავლდება. რაც უფრო მეტად აღწევს თავს ძილ-ბურანს, რაც უფრო ფხოვლდება, ის კითხვებიც უფრო ცხადად გამოიკეთება. იქნებ მხამის გემოც დაუტოვა ამ შეფხიზლებამ, რადგან მოწამლული სულის განცდით იღვიძებს, გრძნობს, რომ რაღაც უსიამოვნოს უმწადებს დღე. გაწანტებული სული და სხეული ისევ ძილბურანისაკენ ეწივდება. არ ეტაშინება მის სისხლძარღვებს გამოფხიზლება, ბანგა თვლემას შეაჩვია. ილუზირებულ თბილ მორევში დანთქმული მისი არსებობა უამბა უხეშად შეანჯღრია, ძალიანძალათი ცდილობს მის გამოყვანას ამ მთელმხარე მდგომარეობიდან. თავის დაღწევა გარდუვალია, აუცილებელია, კანონზომიერია, რადგან იქ დარჩენა თვითმკვლევობაა, იგი ტკბილად გაჰიანურებული სიკვდილის პროცესია, რომელიც ხვალ თუ წეგ უსათუოდ დასრულდება. შეიძლებაოდა ასეც მომხდარიყო. მაგრამ, საბედნიეროდ, არ ყოფილა განწირული. აუღუნდნენ ეკლესიის ზარები, ხმები ზეცაში შეერთდნენ, ვაჰმა მძიმე ტორი დაჰკრა მხარზე, დრო არ ითმენს, — იგი სულზე მისწრებას ჰგავს — მწოლარე წამოავლო, კონტურებაშლილი უსახური სამყაროდან ჭერ კიდევ თავდაუღწევლს ახალ სამყაროში შეახვდა. იქ, სადაც მისი ადგილია, ან უფრო სწორად უნდა იყოს მისი ადგილი.

მსოფლიო არ არის რაინდი, ჩავშანი ჩაიცივას თუნდაც დაფლეთილი, მუწარალი თავს დაიჭრვას. თუნდაც გატეხილი, შუბი დაიჭიროს. თუნდაც წვერწაფანგული, ცხენზე შეჩდებს თუნდაც გაძვალტუავებულზე და არენაზე გაიჭრას სამართლიანობის აღსადგენად. კაცობრიობის სული დონ კიხობამდე ჭერ არ ამაღლებულა. მსოფლიო მკაცრი რეალისტია, ანგარისიანი, თავკერძა და ეგოისტი. მხოლოდ ხანდახან გაკრთება ელვასავით დონ კიხობის ამა-

ღლებული იდეალები, რომელიც ვერა და ვერ დაეუფლა მის სულს.

არ არსებობს რაინდი სახელმწიფოც, დაჩაგრულის მფარველობას მიზნად რომ დაიკვლავდა, სამართლიანობის აღდგენას ენერგიას რომ შესწირავდა.

პოლიტიკა მტაცებელია, პოლიტიკამ გაამტაცებლა ქვეყნები და ერები, ბუნებით მტაცებელს მადა გაუწარდა, ბუნებით კეთილშობილს თავისი კეთილშობილება დაავიწყა. სიმკაცრეზე გამართა ურთიერთობის შინაარსი. დაირღვა ქრისტიანული სამართალი. ამ სამართლის აღდგენისაკენ მისწრაფებულა ღვივის ხალხებში. მისწრაფებაც სინამდვილეა, მაგრამ ჭერ კიდევ არამიწიერი. მანამ კი, სანამ ღვთაებრივი ნიშატი იელვებდეს მსოფლიოს სულში, ჩვენს წინაშე მკაცრი სინამდვილეა, მკაცრი რეალიზმია, უშეღავათო და უსამართლობით უსწორმასწორო.

„თვალი რომ დავხუტოთ, ეს მკაცრი რეალბა განა მოჩვენებასავით გაკრება“, ისევ წინ დავგიდგება. ისევ იმოქმედებს, დაუძინარია და დაუნღობელი. გამოვცადეთ ეს თვალისდახუტვაც. თვალისდახუტვას და თავის მოტყუებას ქართველ კაცს ვინ ასწავლის! რა გამოვიდა აქედან. დავიპყრო ტკბილად გაჰიანურებულმა სიკვდილის პროცესმა — გადაგვარებისა და გადაშენების ფორმებით მოიფინა ქვეყნის უწარმაშარი ორგანიზმი. ამიტომ მკაცრად, გადაკრით ვამბობთ დღეს უარს ძილის გაგრძელებაზე. მეტი აღარ შეიძლება უფსკრულთან ვერწმუნეთ, რომ მეტი აღარ შეიძლება. აქამდე კი კოტრიალ-კოტრიალით მოვედიო, გვეგონა ელემში ვნებავრობდით, იქ გვეძინა და ძილში მხარს რომ ვიცივდიოთ, თითო მოძრაობას ვაკეთებდით უფსკრულისაკენ. ტკბილი ჩრდილი თან მოგვეყვებოდა, მოგვაცილებდა გააზრებისა და გაცნობიერების თავი სადა გვექონდა...

სინამდვილე თვალის გამართვას მოიხზავს, ვაჟკაცურად, წარბშეუხრედალ! ვაჰმა რომ ფეხზე წამოგვავლო, ეს იმას როდი ნიშნავს,

რომ ბანჯს მთლიანად გამოვტაცეთ ჩვენი გონება, ჩვენი არსებობა. ჭერ კიდე ნახევრად მოვლემარენი ვფიქრობთ იმაზე, რაც ჩვენ თავს ზღბდა, რაც შეიძლება მოხდეს. ნახევრად-მოვლემარენი სანამ სრულიად გამოვერკვეოდით, დრო გვინდა. ეს დროც განსაზღვრულია. ნელი, თანდათანობითი გამოღვიძების ადამიანური უფლება უკვე დავკარგეთ. დრო არ ითმენს. უმოკლეს ვადაში უნდა მოვევოთ გონს. მაგრამ მანამ, სანამ ეს მოხდებოდეს, სანამ გონს სრულად მოვეგებოდეთ, ჩვენი შეფხიზღებული ფიქრი იწვის, უფრო და უფრო მეტ სივრცეებს ანათებს.

დღეს ყველა ფიქრობს, საქართველოს ყველა ქალაქი, ყველა რაიონი, ყოველი სოფელი, ყოველი კაცი ფიქრობს თავისი გონების შეძლებისდაგვარად. ფიქრობს შეფხიზღებული საქართველო!

მ აპრილს საქართველოს ახალი ერა დაიწყო. მტერი უნებურად მოემსახურა ჩვენს ქვეყანას. სილა გაგვანწეს, მონა ვეგონეთ — შეშინდებო, დღესილი ნიჩაბი დაგვეკრეს — მონა ვეგონეთ. შეშინდებო, ტანკები! დაგვანახეს — მონა ვეგონეთ, შეშინდებო.

მ აპრილმა ამოღღებოს საფეხურზე შეგვადგმევინა ფეხი. აღამიანურ შიშს მოვერიეთ. ჩვენ არა გვაქვს უფლება ვყოთ შეშინებული. ჩვენ არ დავუტოვებთ შიშის უფლებას თავს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, იგი განსაკუთრებული მდგომარეობაა სულისა, არსებობის სხვაგვარი ხარისხია. ჩვენ ახლა ოთხი მილიონი წველი თვალით ვუჭურებთ ჩვენი სინამდვილის მირიად წახნავს და ცდილობთ, როგორმე ავიდეთ კუთვნილ სიმაღლეზე.

ყველაფერი ქვემოთ თქმული მოკრძალებული ცდაა გავერკვეთ ქართველი ხალხის გარემომცველ მოვლენებში. შეუერთდეს ეს ფიქრი ჩემი საყვარელი ხალხის ფიქრს და ოცნებებს, იქნებ ერთი წვეთის ენერგია მაინც შემატოს საქუთარი ქირის წახალკად შემართულ ზღვის ტალღას.

ამ ზაფხულს ამბობქრებულ შავი ზღვის ტალღას რომ ვუცქერდი, ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს შეწუხებული გოლიათი მოუსვენრად აწუდებოდა ცას და ენარცხებოდა ამიწას, რათა ათასი სნება ჩამოეფერთხა და თავის კალაპოტს დაბრუნებოდა წინაღობებურად ღრმა, ლურჯი და მოკამკამე, რომლის ფსკერზეც კენჭებს ითვლიდა წინათ მეოცნებე ქართველის ღამაში სული.

მირიადი მიკრობით შეჭირვებულ შავ ზღვას მავსე ქართველი ერი. მის სულსა და სხეულში წარსულმა ვერაგულად დღვარა შხამი და საწამლავი. შავ ზღვასავით აღმართა იგი — ცას აწუდება და მიწას ენარცხება, რათა ჩამოეფერთხოს აკრული მიკრობები, ათასი კირთება და ახალი „თვისებანი“. მტერმა რომ

შეხმინა და მიხად მონათლა, ვაი რომ ურიცხვია. ვინ იცის, რამდენჯნის უნდა მიაწუდეს, ხელს ცას, რამდენჯნის უნდა დაენარცხოს მის წვეთს რომ განთავისუფლდეს და ქართული ცის ქვეშ კვლავ დაიწმინდოს ცისფერი სული.

რათა უფრო გულსაკლავი, სამგორის და დიღმის ველო, მიდილივე და ფიქრობდე მის არის საქართველო!

რა უფლისგამქოლი ღვთაებრივი მზერა გადაატარა გალაკტიონმა ქართული ხალხის ყოფას, რა უფლისგამქოლი ღვთაებრივი მზერა გაატარა ამ უფლის გულისგულში, რომ ეს მწარე სიტყვები ამოიხახა სულმა, შეუვალი და ერთადერთი დასვენა მოგვაწოდა. ეს არ არის საქართველო და უცებ, ჭადოსნური კვერთხის შეხებისთანავე აღსდგა კონტაქტი წარსულთან. თითქოს გრიგოლ ხანძთელმა გადმოიარა საქართველოზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და გულჩაწყვეტით ჩაილაპარაკა: ეს არ არის საქართველო!

რატომ მაინც და მაინც გრიგოლ ხანძთელი? შეიძლება, რა თქმა უნდა, სხვა დიდი წინაპარიც გავგხსენებოდა, მაგრამ გრიგოლ ხანძთელი ერთი იმათგანია, ვინც ასეთი მაქსიმალური სისრულით დაინახავდა თავის არსთან ქვეყნის დაცლილებას. ეს ის აღამიანია, რომელმაც ღვთის უწმინდესი სახლებით მოფინა საქართველოს მიწა-წყალი, მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია, ქრისტიალური სულის არქიტექტონიკად წარმოგვიდგინა მთლად საქართველო და ამიტომ მახსენდება უპირველეს ყოვლისა. მან შექმნა სკოლა სულის ტაძრის აღშენებლობის, შექმნა სტილიც, ამოიტანა დღის სინათლეზე ყველაფერი ქართული, რაც მოქარული ძალეობით ითარგუნებოდა და სიღრმეში იძირებოდა საუკუნეთა მანძილზე, შეაისხლხორცა ქრისტიალური სამყაროს ორგანულ შინაარსს და ყველაფრიდან ამოწარდა ის ერთადერთი ქართული, რომლის განუმეორებელი ფორმა და რაობა ასე ითხოვდა სრულ თვითგამოხატვას.

გამოხატა კიდევ. მას დახვდა უჯარმა, მას დახვდა ხორნაბუჯი, დახვდა ნოქალაქევი, დახვდა ვანი, დახვდა უფლისციხე, დახვდა ბერთვისი, არტანუჯი, პერეში, დახვდა ჭვარი... მან მოფინა ხანძთით, ოპიზით, ხაბულით, შატბერდით, იშხანიო, ოშკით, უბისით, მარტვილით, ბაგრატიო, სვეტიცხოველით, ალავერდით, გელათით... საქართველო. ზოგი თვითონ ააგო, ზოგი მისმა მოწაფეებმა ააგეს. ზოგიც მისმა სკოლამ და შთამომავლობამ ააგო.

ამ ცვლესიებას, მონასტრებსა და ტაძრებს მიღდა ქართული სული მაღალი და თავდადრე-

კილი; ბირთვისის, კლდეკარის, ვარძიის, თმოგვის, გორის, ნარიყალას... კარბექსთან და ქუჩურებზე იდგა გაუხუნარი სული. საქართველოსი შეგვიძლია გონების თვალთ მისვლივანთათასობით შეუვალი კოშკისა და ციხის, გრანდიოზულ ხერთვისის და უჯარმას, ან ათასობით ეკლესიას, მონასტერს და ტაძარს, რომელთა სახელის გაგონებაც კი ტრუნატელს ვერის კაცს, თავისი იშვიათი აზრით და სურნელით. ეს გიგანტური სხეულია საქართველოსი, უზარმაზარი ქვეყნისა, რომლის ცაშიც სივრცეს სერავდა ქართული სულის დინება.

ხერთვისის ციხე-ქალაქის მონუმენტურობა ქართული სულის მონუმენტურობის განსხეულებია. ხერთვისი კი ამ მონუმენტური ციხე-ქალაქის ერთი რგოლია. გაქვი მთელ საქართველოს შემოვლებია. დგანან ახლა სიცოცხლე-ჩამქრალნი, მაგრამ ასე როდი იყო ყოველთვის. იდგნენ და აფხიზღებდნენ ქვეყანას, კიდეი კიდემდე გასახებდნენ სივრცეში ერთმანეთს, რამდენია, რა დიადები არიან, რა დიდი იყო ქართველთა ქვეყანა, რა დიდი იყო ქართველი კაცი.

იმ საქართველოდან ჩვენ არ მოგვასვენებენ. მე გრიგოლ ხანძთელი გამახსენდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვას სხვა გაახსენდება. წინაპარი უსათუოდ წამოვა და წამოვიდა კიდევ გრიგოლ ხანძთელი, ჩემს ფიქრს არც უცდია მისი შეკავება.

გაღმობარა იმ საქართველოს მკვიდრმა ღღევანდელიობაში და დაცდა პოეტს — ეს არ არის საქართველო!

და თუ შევუდარებთ, მართლაც არ არის. მან ვერ იცნო, ვერ იცნო გრიგოლ ხანძთელმა თავისი ქვეყანა გალაკტიონს კი „რუსთაველი ახსოვს ბავშვი“, მის მარადიულ მუხბიერებას ვერაფერი ვერ უსხლტება. რაა მისთვის, გრიგოლ ხანძთელის თვალი იგრძნოს თავის მწერაში!

რაა მისთვის, წაშში გაღაფასოს წარსული და აწმყო. ჩვენ ვირეკლავით გულისმომკვლელ განცდას, ვებრძოდით, ვეურჩებოდით. ის კი არ გეტოვებდა. ჩვენ ვსვამდით კითხვას — სევდიანს, საკირბოროტოს. რანი ვიყავით? ვეძებდით პასუხს, ზოგჯერ სწორს, ზოგჯერ არასწორს, მაგრამ ვერაფერს ვშველოდით იმ განცდას, ის ცოცხლობდა. განცდა იმისა, რომ ეს არ არის საქართველო. ეს არ არის ის ქვეყანა, ჩვენ არა ვართ ის ქართველები. მაგრამ ამ აზრს ვერ ვგუებოდით, რაკი აზრს ვერ ვგუებოდით, მისით გამოკვებელი განცდა გვაწამებდა...

უფრო მეტი სახლი დგას, ვიდრე ჩვენს წინაპრებს ედგათ, უფრო დიდი სახლები ავაშენეთ, ვიდრე ჩვენი წინაპარი აშენებდა. სულ არ ჰქონდა ქარხანა — გვაქვს. სულ არ ჰქონ-

და ფაბრიკა — გვაქვს, არ ჰქონია კაშხალი ბი — გვაქვს, სულ არ ჰქონდა რკინიგზა — გვაქვს. „სიცოცხლე დიდს და გაღმობის მისი შემუცლარი მწერა კი თავს უკმაყოფილოდ იქნევს — ეს არ არის საქართველო.“

რა საიდუმლოა მასში ჩამარბული. იგივე ქვეყანაა, იგივე ცა, იგივე მთები, ველები, მდინარეები, არის ქართული ოჯახები, იშვიათად ყოფილა ამდენი ქართული ოჯახი. მაგრამ არ არის ის, რასაც ჩვენი სული ეტკვის, რასაც ჩვეთვის ნამდვილქართული ჰქვია.

ძნელად დასაჩერებელიც კია, უფურბდეს ყველაფერს იმას, რაც ირგვლივ ცოცხლობს, ამ განიერ აივნებიან სახლებს, მთელი ქვეყნის ზედაპირზე რომ მოფენილა, მის ცხოვრებას, ოთხი მილიონი ქართველის ყოფას, დაფანტულს ქალაქებსა და სოფლებში, სადაც თითქოს ყველაფერი რიგზეა და ვერ ხედავდეს საქართველო, დაუინებით ეძიებდეს და ვერ პოულობდეს.

საღლა შეაფარა მან თავი? შეაფარა თუ გაქრა, ეს სხვაგვარად თავსამტრევეი პრობლემაა. ეროვნული ყოფის ქსოვილი კი ჩვენს შუერას აწყდება, სანუგეშოს არაფერს გვეუბნება.

და ჩვენ დავდოვართ ამ განცლით დამძიმებულნი — ჩვენი ქვეყანა საქართველოს არ ჰგავს, ჩვენ ნამდვილ ქართველებს არ ვგავართ.

როგორ ითაკილებს ჩემი მოძმე! ჩემგან კი არა, ილია ჭავჭავაძისაგან თაკილობდა, ემუქრებოდა...

ვინმეს, შესაძლოა, ისიც კი მოეჩვენოს, ამგვარი ლაპარაკით მტრის წისკვილზე ვასხამთ წყალსო, ისედაც გვლანძღვენ და ჩვენ კვირს ვუკრავთო. შედგა არჩევანი. როგორ მოვიქცეთ? რაკი მტერი გვლანძღავს, კვირის დაცვრა რომ არ გამოგვივიდეს, გავჩუმდეთ მიანც? არ იქნება ეს სწორი, ეს მკურნალობის შეწყვეტაა. ეს ილიას და აკაიის გზის ღალატია. სხვარამ მგონია გონივრული. მტერს პასუხი გავცეთ სიტყვითაც და საქმითაც. არ არსებობს ერი ქვეყანაზე, ნაკლი რომ არ ჰქონდეს. გააჩნია, ვინ როგორ იმტურნალო, ვინ გაიჭანადა სული, სხეული. ჩვენს ყოფას სამარადისო მოჩვენებითობად ხომ არ ვაქციეთ, რათა მთელს მსოფლიოს თვალეში წაყარი შევუაროთ, ვუმტყვოთ, რომ ყველაფერი ჩინებულადაა, არაფერი არ გვაწუხებს.

ვერც ვერავის მოვატყუებთ და ვერც თავს მოვიტყუებთ. ერთი გზაა რჩება — აქტიური მკურნალობის, აქტიური ბრძოლის, აქტიური შრომის გზა.

ჩვენ ვერ ჩავაჩუმებთ რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაიის, ვაჟას, გალაკტიონის უკმარ სულს. ჩვენ იმ უკმა-

ჯანსულ ღმინჯილია
მართველი კაცის სინამდვილი



რი სულის შემვიდრენი ვართ. შესაძლოა, პატარა მოთხოვნები ბაღს ედევნებოდა ჩვენი უფა, სრულყოფილებად — ჩვენი ცხოვრების წილი. მაგრამ არა, ჩვენთვის უმაღლესი გემოვნების საიდუმლო გახსნეს დიდმა წინაპრებმა და სამუდამოდ მის ტყვედ გვაქციეს. ღირსეული არსებობის ადამიანური იდეალი მთელი დატვირთვით იღვწის ჩვენს სულში. ჩვენ ცივილიზებულ მსოფლიოზე გვაქვს სულის შერა დაბჯენილი. სანიშნე სვეტად ის გვიქცევა.

ჩვენ ვიცხოვრობთ კიდევ ერთი საუკუნე ცივილიზებული მსოფლიოს უმაღლესი დონის მაჩვენებლებით, თავად ვიყავით სანიშნე სვეტი (მე-12 საუკუნის საქართველო). მერე შეტრიალდა ისტორიის ჩარბი. მაგრამ არ შევირგებოვართ სხვაგვარ უფას. უოველთვის ვიცოდით, რა იყო ჩვენი საშვენი, რომელი იყო კუთვნილი სიმაღლე. ის გვიძახდა, ჩვენ ველტვოდით. გაფორებულ ბრძოლებში გავლით საუკუნენი. არ ჩაგვცხრომია მისწრაფება, არ ვპატიუღვართ მონებად, ბევრი დაგვაკლდა. ბევრიც დავკარგეთ, მაგრამ მკვდრებით აღდგომის სურვილი არ განელებულა.

ახლა საქართველოში არ არის კაცი, რომელსაც თავისი უფა მისწონდეს. ობივატელის აზრი გასაგებია ისიც მალე გამოვა „ტყბილი ცხოვრების“ შოკიდან. უველა უქმყოფილია, უველა ხმაალა ამბობს, „რასა ჰგავს ჩვენი ცხოვრება?“ მაშასადამე, გალაკტიონის აზრი უნივერსალურ სიმართლეს გამოხატავს. ამ სიმართლითაა გამსჭვალული ჩვენი სული.

და ის უნდა დაფიქრდეს სულ სხვაგვარი დაფიქრებით. უვე დროა. იმდენად კი გამოვიღვიძოთ, თვითვე მივცეთ ჩვენს თავს ანგარიში. გარეშე ძალა აღარ გვეკრძება სრული გამოფხიზლებისათვის! უნდა დროზე მოვრჩეთ თვლების ფშვენებას, უნდა შევუძახოთ ჩვენს თავს, რომ დამთავრდა ძილის დრო. ფეხზე აღდგომაა საქმე.

ჩვენ თვალს გვეკრის მკვეთრი სინათლე, სიმართლის სინათლეა იგი. მზე სიმართლეა, ან პირიქით — სიმართლე მზეა. შიგნით მოგვაწვლდა მისი ტალღები, მოგვეცადა, დაგვაბარბავს. მაგრამ ეს საქმეა. ამ სინათლეში სიმკაცრის სულია მოქცეული, კიდევ ბევრ სილას გავცავს, თანაც ზედღიუდ, რათა დროზე მივიღოთ გადაწყვეტილება.

ახლა ჩვენი ხედვა სხვაგვარია. „მაღალი იდეალებით“ არ არის იგი დაბინდული, ლოზუნგებით არ არის თვალაქრული. უველაფერი ქართულია, მიზანიც, მისწრაფებაც, ოცნებაც და მეთოდიც. მხოლოდ ქართული. ჭირ ქართული არ აშენებულა: ქართულის აშენება უოველივე ქართულის თავის ადგილზე დაუენება სინავს. უველაფერი თავის ადგილზე უნდა დადგეს. მანამდე, სანამდე ეს არ მოხდება, რა უფლება

გვაქვს მსოფლიო იდეალებს ველოდებოდეთ? ნამ ჩვენს თავს არ მივხედავთ, იქ ჩვენს უნდევართ.

აქ კი რამდენი რამ არის მისახედო, ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ერის სწავლული ხალხი საქმეს ვერ აუღის. უველამ უველებზე უნდა მიხედოს თავის საქმეს, უოველი ფენის ადამიანმა იფიქროს, რა არ ვარგა მის უოფაში, რა დაეარგა, რა გადაეხვეა.

თავი უნდა მოუუწაროთ უველაფერს ერთად, რამაც შეაწუხა ჩვენი სული, ჩვენი უოფა, ჩვენი ქართული არ უნდა დაგვიროს შიშმა ხელი, როცა შევიგრძნობთ ჩასატარებელი სამუშაოს სიდიდეს, ტვირთის სიმძიმეს, არ არსებობს ტვირთი, მარია ამ ღვთისმშობლის წილხვდომილმა ქვეყანამ რომ ვერ ასწიოს.

საქართველო ამბიციებისაგან უნდა დაიცავდეს

სანამ კირთებისაგან, სნებებისაგან, უცხო საგნებისა და უცხო ელემენტებისაგან ქვეყანა განთავისუფლებოდეს, მანამ საქართველო ამბიციებისაგან უნდა დაიცავდეს!

ქართველი ხალხის წინაშე შინაგანი თავისუფლების, შინაგანი განწყენის, შინაგანი ამბიციების ურთულესი ამოცანა დადგა.

ამბიცია ებიდეშია, დრომ და გარემოცვამ საუოველთაო ქართულ ებიდეშიად მოგვიკლინა იგი.

სამისო საფუძველი იყო „ჩვენში უოველ ნაბიჭვარს აწნაურობა სწუერთა, უოველ ნაცარქეჩიას — სარღლობა... ოდითაგანვე ასე მოგვედგამს ქართველებს, მუდამ სიმციერეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გუჟავდა მუდამ, მაგრამ ღილი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაეკრტნო, როგორც დაეოდილ ძერას უვაები“ — მოხდენილ მხატვრული ფორმულირება მოგვაწოდა ჩვენი შინაგანი მდგომარეობისა ამ საუკუნის დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ. მაგრამ ამ ფრთიან ფრზას თავისი წინაპრები ჰუავს. „უჩემოდ ვინ იმღერო?“ — იოქვა მეჩვიდმეტე საუკუნეში. „ვიინათა ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითაგანე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განხვენება, იწყებენ განწრაზვად ბოროტისა...“ — მეთორმეტე საუკუნეში დაიკვნესა დიდმა ისტორიკოსმა. ამ თვისების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი შეგვახსენებდა, ხოლო ილია ქვეყანაზე მთორახით მიიწევდა მისკენ.

ე. ი. ეროვნული ხასიათის ერთი გამორჩეული ნიშანია ამბიცია. ეროვნულ ხასიათს მრავალი გამორჩეული ნიშანი გააჩნია და უოველი მათგანი არსობრივი დანისულებიანა. ამიტომ არ უნდა შეგვაშუოთოს სიმართლის მკაცრმა

მწერამ. ჩვენს ღარღვეულ ნიშანთა თანაფარ-
დობაზე საუბარი გასრულებული უბედურებად
არ უნდა მოგვეჩვენოს. ქართულ კაცს იმდენი
ამღობილებული თვისება აქვს, ისე ჩანსალად არი-
ან გადარჩენილნი ის თვისებანი, რომ საქმე და-
ღუპულად არამც და არამც არ უნდა მოგვეჩ-
ვენოს. ახლა შენიქსისებრ ფერფლიდან აღორ-
ძინებისათვის ასეთი ტოტალური ეროვნული
მოწადინებისას გარდაუვალია დაწულულებული
ორგანიზმი გულდაგულ გაიწმინდა.

ისტორიას ახსოვს ქართველი კაცის ეროვ-
ნული თვისებებისაგან მოხდენილი მსოფლიო
მასშტაბის სასწაულები. ამ სასწაულების შე-
საყრბელი და გვირგვინი მეთორმეტე საუკუნე
გახლდათ, მაგრამ მანამდეც და მას შემდეგაც
არაერთი სიმაღლე დაუჭურია ქართულ გონს.

თუ ქვეყანა თავისუფალია და ამ თავისუფალ
ქვეყანაზე გამოჩნული ეროვნული მისია აქვს
დაკისრებული, ეროვნული მისიის გაცნობიერ-
ების ხარისხი თუ მაღალია, მაშინ ჩვენ მოწ-
მენი ვხედებით უცნაური ფერისცვალები.

სადაც მიიშალებიან, დამცირდებიან, დაენი-
ნდებიან სხვა დროს მოაზრებელი თვისებანი.
ის ეროვნული მისია, ის საკაცობრიო იდეალე-
ბის სამსახურში დგომის პრინციპი იშვიათი
ორგანიზებით რაზმავს ეროვნულ ძალებს და
ფაქტობრივად, უნივერსალური სრულყოფით
წარმოსდგებიან ჩვენ წინაშე მისი თვისებანი.
თავად ამბიცია სად არის ამ დროს? ის, ის ქარ-
თული ამბიცია, რომელსაც არაერთგზის დავუ-
მხივართ? თითქოს მანაც ფედი და შინაარსი
იცვალაო. საქვეყნო საქმეში ჩამდგარი, სასარ-
გებლო საქმეს აკეთებს, კარგის ქმნაში ეჭიბ-
რება სხვა თვისებებს. სხვა ვასაქანი მას არ
აქვს. პატიოსნად უნდა იმსახუროს.

ამბიციას აქვს ენერჯია, ხშირად წამლეკავიც.
ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ მართლაც წამ-
ლეკავი ენერჯია აქვს მას, მაგრამ იმ დროს,
სვებედნიერ დროს, როდესაც მთელი სახალ-
ხო ძალა, მისიის აღსრულებაში იხარჯება, მას
სხვა გზა არა აქვს. ის ენერჯია აქეთ უნდა მო-
მართოს, სადაც უნდა დახარჯოს, რათა თვი-
თონაც თქვას თავისი სიტყვა, ამჭერად ქვეუნი-
სთვის სასარგებლო!

მაგრამ როდესაც ქვეყანა თავისუფალი არ
არის, როდესაც იგი თავისუფლებისთან ერ-
თად ეროვნულ მისიასაც კარგავს, როდესაც
მიწანი დიდ ასპარეზზე შესაძლებლობებს არ
უბნობს, რადგან ის მიწანი უკვე აღარ არსე-
ბობს, აი, მაშინ იწუებს ამბიცია პარაზუს, მა-
შინ დგება მისი ამინდი, მაშინ მძლავრობს მი-
სი მადა, უსასრულოდ იზრდება იგი.

ამბიცია ებიდებია. საქართველოში დღეს ეს
ეპიდემია ფართოდ არის გავრცელებული.
ვთქვი და ვიმეორებ, ამბიციას უნაპირო ენერ-
ჯია აქვს.

ეს ენერჯია კარგა ხანია დღეს, ნაპირს ვა-
მოდის, წარბოცავს და წაღეკავს ირველი ქ-
ველიცე.

არავინ იფიქროს, ვისაც ამბიციაში ძალზე
აწუხებს, ცუდი პიროვნება იყოს, უკეთესა უფერ-
ბლივი ცუდი მწერალი იყოს, ცუდი მეცნიერი,
ცუდი პოლიტიკური მოღვაწე, ცუდი მოქალაქე
არავინ იფიქროს, რაკი ამბიციაურობა ზოგჯერ
ხალხსაც დასტუბობია, ამიტომ ქართველი ხალ-
ხი ცუდი ხალხი იყოს.

ამბიციაურობა ჩვენი ვირია, ჩვენი უბედურე-
ბა და არა არსი ჩვენი ხალხისა.

ჩვენ ამბიცია თავს დაგვატეხებს, ამოზარდეს
ჩვენი ხასიათის უღრმესი შრეებიდან მისი სე-
ტუკიანი ღრუბლები და თავს დაგვატეხებს.

ჩვენ ისე მოგვეწყვეს საქმე, რომ თითქმის
შეუღმჩევლად აღმოვჩნდით ერთ მშვენიერ
დღეს ამბიციის ტყვეობაში.

იქ, დიდი ეროვნული მიწინების ასპარეზზე
არაფერი დაგვიტოვებს. იქ, საითქენაც მივეშუ-
რებოდით, რაც გვავეწყებდა პირად ინტერე-
სებს, კერძო მისწრაფებებს, რაც გვაშალდებდა,
აღგავანებდა, მწვერვალებისაკენ გვეძალდა.

მწერლობაც, მეცნიერებაც საფეოდალო კო-
შეხად გვექცა. სადაც თავსუფარებულები ხან-
დახან ცისკენ ავფრენდით ნიჭიერებით აღსავ-
სე ფურცლებს. ამ ფურცლების ქაშიც კი შთა-
მბუქავი იყო, რადგან სწორედ რომ ნიჭიერე-
ბით აღსავსე ქართველი კაცის ნაყოფი გახლ-
დათ იგი. მაგრამ სრული, ნამდვილი გაქანება
ეროვნული ენერჯიისა არ გვეღირსა, ეროვნუ-
ლი მიწანი და მისი შესაძლებელი უქიდგანო ას-
პარეზი წაგვართვა და იმიტომი გაძლიერდა
„ინდივიდუალური ფენომენი“. შეიქმნა გამო-
ნაკლისთა სკოლა. სამაგიეროდ, გაქრა კანონ-
ზომიერი პროცესი. ყოვლისმომცველი და
სისხლსავსე.

აფოფინდა საკუთარი თავის დაფასებისა და
წარმოჩენის სურვილი, ყურადღება, რომელიც
იმ საერთო, კანონზომიერ პროცესს მოაკლდა,
თუ მოწყდა, საკუთარ თავს მოეჩაქვა, სულ
მისკენ უჭირავს თვალი. ნახეთ, რამოდენა მწე-
რალი ვარ, ნახეთ, როგორი მეცნიერი ვარ,
ნახეთ, რა გაბედული პოლიტიკური მოღვაწე
ვარ, ნახეთ, რა ბიჭი ვარ...

...სხვაზე ნაკლები რითა ვარ, რუსთაველის
პრემია ვითომ მე რატომ არა? სახელმწიფო
პრემია ვითომ მე რატომ არა? ივანე ჯავახი-
შვილის პრემია ვითომ მე რატომ არა? ლენინ-
ური პრემია ვითომ მე რატომ არა? ვალაქი-
ონის პრემია ვითომ მე რატომ არა? ლენინუ-
რი სტიპენდია ვითომ მე რატომ არა? ქვეყნადის
სტიპენდია ვითომ მე რატომ არა? მერსლესის
იმას რატომ ვითომ? ვოლგა იმას რატომ ვი-
თომ? თანამდებობა იმას რატომ ვითომ? ჩემ-
ზე დიდი სახლი იმას რატომ ვითომ? ჩემზე
დიდი ბინა იმას რატომ ვითომ? საზღვარგა-

რტი წასვლა ვითომ მე რატომ არა... მთავრდის. დაღე დაკრძალვა ვითომ მე რატომ არა, დიდუბის პანთეონში დაკრძალვა ვითომ მე რატომ არა...

„სიუ ფიქრობს მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე, გლეხი, მუშა, სტუდენტი, ამოხუცი, ხანდაზმული, ახალგაზრდა.“

არ ვეთანხმები, ეს უკველივე ადამიანურიყო, რომ ფიქრობს ჩემი ოპოზიცი, არც იმაში ვეთანხმები, ჩიბრი და შური მეტნაკლებად უკვლას ახასიათებსო, ფიქრს რომ განაგრძობს ჩიუტად.

მეტნაკლებ თვისებაზე არ არის საუბარი, არც ადამიანურ სისუსტეებზე, რაც უბრალო ადამიანური სისუსტის საზღვრებს გადასცდა და ტრიალურ მოვლენად გამოგვეცხადა, იმ ქართულ ეპიდემიაზე ვლაპარაკობ.

ეს ეპიდემია ამბიციაა.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობა ვითომ მე რატომ არა? დამსახურებული არტისტის წოდება ვითომ მე რატომ არა?..

ერთი რომ თავის გამორჩეულ შეილებს აფანებდეს, ამაში არაბუნებრივი რა უნდა იყოს. უბედურება სწორედ ისაა, რომ ერს არავინ აცლის თავისი გამორჩეული შეილები შესაფერისად დაფასოს... თვითონ ვიფასებთ თავს, თვითონვე ვუწოდებთ დიდ მწერალსა და დიდ მეცნიერს საკუთარ თავს, დიდ პოლიტიკურ მოღვაწედაც თვითვე ვსახავთ ჩვენს თავს. გამონაკლისები, საბედნიეროდ, უკველთვის არიან, ამინდს ვერ კმნიან მხოლოდ. მათ თავდადრეკილობაში შეფარებულია ხალხის საღი სულისკვეთება.

გადარჩენილ ფესვებზე საუბარი მომავლისათვის გადავდოთ. ის ფესვები იმედებია, იმედი ნუ მოგვიშალოს დემერსმა.

საქმე იქამდე მივიდა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოვიდრებები აღიან და დღიენებით მოიოხვენ, ჩვენი მშობელი მთავრდისაზე უნდა დაიკრძალოსო.

და ასეთი საქციელი ნორმად გავვიბატონდა, არავის უკვირს იგი. უკველ შემთხვევაში აღარ აღგავსოფოთებს უკვე.

არც ის გვიკვირს, საიუბილეო საღამოს სცენარს თვითვე რომ გვთავაზობს გამოჩენილი ხელოვანი, თვითვე აზუსტებს გულისამრევი სპექტაკლის მონაწილეთა სიას, თვითვეა რეჟისორი.

იმასაც მოვასწავროთ, ცოლ-ქმარი საზღვარგარეთ მიდის და საქართველოს დელეგაციად ცხადდება პრესაში.

მეცხრამეტე საუკუნეში ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა მოხდენილად უწოდა ცოცხალ ვიქტორ პიუგოს თავისივე თავის ძეგლი.

საუყოფარი თავის ცოცხალი ძეგლივით დღეს ბევრი დადის საქართველოში!

ეს არ გახლავთ უწინარი მოვლენა, მოვლე

ნა, რომელიც თითქმის არავის არაფერს უშავებს. ეს ის ეპიდემიაა, რომელიც უკველთვის თითოთად გვაზარალებს და საბოლოოდ უკველვის ვენებს. ამ თვისების წყალობით სახლში მივაქანებთ უკველავებს და ამდენად საქუყუნო არაფერი გავაჩნია.

სამაფეროდ ამბიცია გვაქვს თავზე საყრელი.

ამბიციაები რომ გვაქვს თავზე საყრელი, საქუყუნო მიტომაც არაფერი გვივარგა, ან თითქმის არაფერი გვივარგა.

უკვლას შემჩნეული ექნება ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი. ქუჩაში, ტრასაზე მანქანები რომ გამწვრივდებიან და გადასწრების არავითარი სიტუაცია რომ არ არსებობს, ჩვენი კაცი ვერ ისვენებს, ხან ერთი „ფლიაკი“ გამოხტება საერთო მწვრივიდან, ხან მეორე, მოინდომებს უდროოდ დროს გადასწრებას, არ გაუშვებს რკინის ნიღვარი და შეხტება თავის ადგილზე ისევ, ზოგსაც გაუმართლებს და თავედურის გამბედაობით, უკვლა წესის დარღვევით, საკუთარი და სხვისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად გაიკვლევს გზას, მაგრამ მთავარია, რომ ეს რიგიდან გამოხტომები ასე ხშირია და თვალის საცემი.

ეს ჩვენი ამბიცია ბტის. ის არ გვახვენებს... ჩვენ როგორ გვაქვს დარბა ამ „გომების“ მწვრივში ტაატიო სიარული!

ამბიცია წესსა და რიგს ვერ ეგუება, იგი თავზელია. ვერსად ვერ ნახავთ მსგავს რამეს. თანამედროვე ცივილიზაციის კანონია საერთო წესისა და კალაპოტის მორჩილება. ეს კულტურაა უკვე, მართო მოძრაობის კანონის დაცვა არ გახლავთ.

ამბიციას კულტურა არ აქვს.

ამბიციაებისაგან ილუპება ავარიებში უამრავი ადამიანი. ამბიციაური მიპრობებენ უჩვეულო სისწრაფით, ამბიციაური სხდებიან ნახვამნი საქნებთა, ამბიცია არ უთმობს შემხვედრს გზას, ამბიცია გადადის სანიშნე ხაზს.

„ეგ მაკლია, მაგათ წესებს ვუყურო“, — აი, მისი ფიქრი.

ამბიციას არცერთ ფენაში არ აქვს კულტურა, იგი გამორიცხავს საერთოდ სულის კულტურას.

შეიძლება კაცი გამოჩენილი მწერალი, აკადემიკოსი, პროფესორი, ხელოვანი, მეცნიერი იყოს, მაგრამ თუ იგი ამბიციაურია, ის უკულტურია.

დიდად საღარდებელი არ იქნებოდა არც არავის უკულტურობა, არც არავის ამბიციაურობა, ეს უანასკენელი ქვეყნის დამანგრეველ ეპიდემიად რომ არ შენივთდებოდეს საბოლოოდ. გლეხისა და მუშის ამბიციასაც თავისი უბედურებანი მისდევს, მაგრამ მათი ინტერესები მათივე რასალური შესაძლებლობების გამო უფრო მოკრძალებულია.



გამოჩენილი მწერლების, მეცნიერების, ხელოვანების ამ... ა კი სულ სხვა რამ გახლავთ. ამბიციურობის გამო ნიჭიერი ადამიანები ერთმანეთს გვერდით დადგომას ვერ ახერხებენ. ამდენად ინდივიდუალური ფენომენების უბრალო ჩამი ვერ შეადგენს საქვეყნო ძალას.

საქვეყნო ძალას მოკლებული საქართველო თავისთავად სუსტია...

საქვეყნო ძალას რომ ვერ შეადგენენ, ეს ერთია. უბედურება უფრო შორს მიდის — ამბიციურობის გამო ნიჭიერი ადამიანები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს ებრძვიან.

ამ გზით ინდივიდუალური ფენომენიც კი უძლურდება.

რას უნდა მიადწიოს ქვეყანამ მათი იმედით? როდესაც ხალხი მათ ჩხუბს უყკვრის, ერთხანს გაკვირვებისაგან იჩივას მხრებს, მერე სიწინაუღიოს იქნევს თავს, ბოლო ბოლოს, მათი ცხოვრების წესის შემოუთრ, უფრო იკეტება თავის ნაუჭუში, ის გამოჩენილი ადამიანები რაკი საქვეყნო ასპარეზისაკენ გზას არ უჩვენებენ და მაგალითს არ აძლევენ, ივიწყებენ ყოველივე საქვეყნოს. მაგალითად, ივიწყებენ სოფლის საერთო სატყეარს და საკუთარი ერო-კარის მოვლით არიან დაკავებულინი.

ფრთხვებს შლის რიგები ადამიანის ამბიცია. ისიც საკუთარი თავის უპირატესობის რწმენას განიმტკიცებს და წემოდან ელაპარაკება მეზობელს, თუკი ორი კვირით დაასწრო მანქანის შეძენა, ან რიგიანი სახლის წამოკვივა.

უწარმაშარ სახლებს რაიონებსა და სოფლებში ამბიცია აშენებს, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა იღანდება ამ დიდი სახლების შენებაში. კერძო ინტერესების პარაშინ რომ გამოსკვივის და საქვეყნო საფიქრალის დასამარება ამ დიდი სახლების შენებაში, ეს ცალკე პრობლემაა და ამაზე შემდგომ.

ამბიციაში ათასი მილით აშორებს ადამიანებს ერთმანეთისაგან.

იგი არც ერთმანეთთან და არც საქვეყნო საქმესთან ახლოს არ მიგვიშვებს.

დღეს უმარავი უანგარო ადამიანი იღწვის საქართველოს კეთილდღეობისათვის. მოძრაობის ლიდერები უაღრესად საინტერესო პიროვნებები არიან.

მაგრამ ამდენი დასი, პარტია და საზოგადოება მარტო ქვეყნის გასაკვირს არ შეუქმნია!

ჩვენმა ამბიციურობამ წარმოშვა საზოგადოებათა გარკვეული ნაწილი! ქვეყნის გასაკვირმა დაბადა საზოგადოებათა წარმოშობის აუცილებლობა, ეს სიტუაცია შესანიშნავად გამოიყენა ამბიციაშ და დაქსაქსა ძალები, დააქუცყაცა მიკრო დასებად, საზოგადოებებად, ასოციაციებად დაფანტა ისინი.

ბევრს უნდა ქვეყნის შეველა, მაგრამ ბევრსაც უნდა მხოლოდ „თავის გამოჩენა“, ამიტომ ლიდერობა ავადმყოფობად მოგვეკვლინა.

ამის გამო ნამდვილი ლიდერები წარალდნენ. ნამდვილად თავგამოდებულნი, კემშარტად ეროვნული მოღვაწენი!

ამბიციას უყვარს დაუფიქრებელი, განუსკვლელი გამოჩიბრება, ასეთ გამოჩიბრებას კი გამოუსწორებელი შეცდომები სდევს თან.

საქართველოს დღეს აქვს დიდი ეროვნული მიზანი — სრული პოლიტკურთი და ეკონომიკურთი თავისუფლების მიღწევა. თანდათან გამოიკვეთება ამ ბრძოლის გზაზე მისი ეროვნული მისია — ანუ მსოფლიო ცვილიზაციის პროცესში საკუთარი დანიშნულების და ადგილის განსაზღვრა.

მაგრამ:

სანამ კირთებისაგან, სნებებისაგან, უცხო საგნებისა და უცხო ელემენტებისაგან ქვეყანა განთავისუფლებდებოდა, მანამ საქართველო ამბიციებისაგან უნდა დაიცავოს.

როგორ შეიძლება მოხდეს ეს, როგორ შეიძლება ეპიდემიის მოსპობა?

საქართველოს აქვს ამ ეპიდემიის მოსპობის გამოცდილება, აქვს ისტორიული ხერხები და მეთოდები, ისინი არ გაცვეთილა, რამდენადაც როგორც ამბიციის, ასევე მასთან საბრძოლო მეთოდის შინაარსი მარადიულია.

უბრალოდ, ამ მეთოდებსა და ხერხებს ჩვენ ჩერჩვრობით არ ვიყენებთ. ის მეთოდი კი ისე ადამიანური, ისე ჰუმანურია, თანაც ისე უნივერსალურია.

ჩვენ არ ვიცნობთ კარგად ჩვენს ისტორიულ პროფესიას, კონტაქტი გვაქვს მასთან გაწყუბილი და სანამ ამ კონტაქტი ფაქტობრივად აღსდგებოდეს, გაღარიბებული და უსუსურნი გამოვიუტურებით ეპიდემიასთან ბრძოლის დროსაც.

მოხდა ერთი სასიკეთო ძვრა. რაკი სერიოზული ეროვნული მიზანი დავისახეთ, იგი თავისი შინაარსობრივად ამაღლებულობის წყალობით უაროდ ზღის ამბიციას. უკვე დააუენა კიდევ ჩრდილში ამბიციის არაერთი ნიშანი, მისი სურვილი, მოთხოვნილება და მისწრაფებანი. ე. ი. ეროვნული მიზანი უკვე თავის სასიკეთო კვალს ამჩნევს ჩვენს სულიერ ცხოვრებას, წარმოშობს და ამძაფრებს ერთად დგომის წყურვილს. ეს წყურვილი უკვე არაერთგზის გამოიხატა, ოღონდ იმ ძაღისა გერ კიდევ არ არის, ადამიანებს შეაძლებინოს თავადარეკილობა, მიიყვანოს და დააუენოს უბრალო ჭარისკაცად ყოველი ჩვენთაგანი ამ ეროვნულ მოძრაობაში. ისევ აღმაცერად ვუსყქერთ ერთმანეთს, მაგრამ როცა მიზანი უფრო გაძლიერდება...

ისტორიული ფონი

ჩვენო სასიქადულლო, „უფალივით ერთადერთო“ და მრავალტანჭულო ქვეყანავ, ვგრძნობ, ძნელი იქნება სიმარტლის მოსმენა.

ძალზე ძნელია თვალთ გაუსწორო ქართველი

კაცის სინამდვილეს, ერთ მწერაში მოაქციო, გარემოცვა ფიქრით და აღიქვა იქნებ თავჯანსაღ და გვეცის უკვლავის დანახვამ, აღმოხვედითიდან დასავლეთით, ჩრდილოეთიდან სამხრეთით „ათას საგანს“ გარს მოვლებული ჩვენი შინაგანი მწერა არ მინდა შედარეს, საქციელი და ნირი წაუხდეს.

მადლობა ღმერთს, საქართველო დაფიქრდა, დაფიქრდა თავის სვეტზე, თავის ღმერთად მდგომარეობაზე, რამდენი ხანია ამგვარი დაფიქრებით არ უფიქრია მას. ილიას დროინდელი საქართველო დაფიქრება უცნაური ფენომენია, ფიქრი მოგვევლინა მამის საქმედ და მოქმედებად. ილიამ, აკაკიმ და მისმა თანამებრძოლებმა აიძულეს ქვეყანა ასე დაფიქრებულიყო. ფიქრი საქმის კატეგორიად იქცა.

მერე ვაწყვდა ცის ნათელი. სიბნელის ოკეანეში ჩაიძირა. ახლა ჩვენ იძულებულნიც ვართ და ვალდებულნიც, აქამდე ვალდებულნი ვიყავით და ვერ ვაკეთებდით. ახლა არ და ვერ უნდა გამოირიცხოვს და უნდა ვაკეთოთ.

ჩვენ გაწვეტილი გვაქვს საქართველოს ისტორიულ პროცესთან კავშირი. იმდენად ცუდი გავრძობება ავირჩიეთ, რომ კავშირზე ლაპარაკიც არ შეიძლება, თორემ თავისთავად ჩვენი ცხოვრება იმ ისტორიული პროცესის გავრძობება, მიმბოლნა მასზე. მომავალში მასაც ჩვენი ისტორიული პროცესის შემადგენელი ნაწილი დაერქმევა. მაგრამ როდესაც კავშირის გაწვევებზე ვსაუბრობთ, სხვა რამ იფიქსირდება აქ. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობის წყალობით, საქართველოს უკეთეს დროებთან კონტაქტი აღსდგა, ერი შინაშრთა თვისობრივად ახალ საფეხურზე ფეხის შესადგმელად.

ეს საფეხური გულისხმობდა ერის შინაგანი მდგომარეობის შესატყვის ნახევარს, იგი გახლდათ ქვეყნის სამომავლო მოძრაობის გამოსატყვისა, იგი მიესადაგებოდა ჩვენი არსებობის შინაარსს.

როგორც იტყვიან, საქართველოს ფეხი დაუცვლა. უკვლავური თავდაყირა დადგა.

მაინც რა მოხდა?
1907 წელს ილია ჭავჭავაძე მოკლეს
ჩვენ ძალიან გვაინტერესებს, ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე. რა თქმა უნდა, სრულფასოვანმა ერმა უნდა იცოდეს, ვინ ესროლა მის უღიდეს შვილს. ეს, ალბათ, მომავალში მაინც გაირკვევა.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რამ მოკლა ილია ჭავჭავაძე, რამ ასროლინა იმ „ვინს“ „აჩრდილის“ ავტორისათვის.

ჩვენი გულისყური ამ კითხვაზე პასუხის მოსაძებნად უფრო უნდა იყოს გამყვადინებული. ისტორიამ იცის რას წარმოადგენს შემთხვევის კატეგორია. შემთხვევის მიზეზით ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნების ისტორიაში, მაგრამ

ჩვენ იმდენი შემთხვევა დაგვიგროვდა, რომ უსათუოდ უნდა ვიკვლიოთ კანონზომიერება ან იმდენი შემთხვევა უკვე კანონზომიერებას წარმოადგენს. ჩვენ ილია ჭავჭავაძე, ჩვენი სულის რა მდგომარეობამ, ჩვენი ბუნების რა ნიშნებმა, ჩვენი ხასიათის რა თვისებებმა მოიხილეს იგი?

ერთგვაროვანი პასუხა ამ კითხვაზე არ გაცივება, ვერ გაწვდება ასეთი პასუხი კითხვას.

ამიტომ ჩემს პასუხს ვერ ექნება ამომწურავი შეფასების პრეტენზია, ვერც ვერავინ გამოიღებს თავს ამგვარი პასუხის პოვნაზე.

საქართველოში ძალიან კარგად იცოდნენ იმთავითვე ილია ჭავჭავაძის ფენომენი. იგი ჩვენ არ აღმოგვიჩინია.

რატომ უნებნა ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ახალი პარტიებისა და დასების ანტიილიასეულ განწყობილებას? რატომ დაემორჩილა მისი ნება სოციალ-დემოკრატების ტერორისტულ სულისკვეთებას?

სად გახუვდა თავისი ერი ილია ჭავჭავაძეს? გახუვდა სინათლეში, ალაღვინდა უკეთეს დროებთან გაწვეტილ შინაგან კავშირს, ამოლიანებდა ისტორიულ პროცესს, ქვეყნის ცხოვრების მდინარეებს ახალ კალაპოტს უჭრიდა, ნაპოვნი ჰქონდა სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა და შინაარსი. წარმოაჩინდა მის სიკეთეს, შინაგან ამაღლებულობას, თავისთავადობას.

ვის რა უნდა ენატრა უკეთესი, ვის უნდა შემოუთავაზებინა უმჯობესა, იმდენად გაღმობილი, რომ სიკვდილით ილიას თავიდან მოცილება გამხდარიყო საჭირო და აუცილებელი. ვერავინ ვერ შემოუთავაზებდა უკეთესს.

არც შემოუთავაზებიათ დაპირებითაც კი ვერავინ დაგვიპირდებოდა, რადგან მასზე უკეთესი, რასაც ილია ჭავჭავაძე ელტვოდა, არც არსებობს ბუნებაში. უკეთესისა გამოგონებაც კი არ შეიძლება.

მაშ რა გამოდის.
შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სწორედ იმიტომ ვერსოვდით, რომ უკვლავზე კარგი შემოგვთავაზა, მოგვიწოდა ნათელი მომავლისაკენ. მაშნადა ნიადაგიც, განაწყო ძალებიც და... დაასწრეს — ესროლეს!

თუკი სოციალ-დემოკრატები უკეთეს ქვეყანას ააშენებდნენ, ვითომ ილია ჭავჭავაძე რატომ გადაუღებოდა წინ, რატომ არ შეუერთდებოდა, კვერს რატომ არ დაუქრავდა და არ გაპყვებოდა?

უკეთესი არავის შემოუთავაზებია, მიუხედავად იმისა, რომ დევნი „ძმობა, ერთობა, თანასწორობა“ ამშვენებდა სოციალ-დემოკრატების დროშას! რითი ვერ შეეთვისებოდა ეს იდეები ილია ჭავჭავაძის იდეებს?

ილიას იდეები რეალური იყო. მისი მტრებისა



კი სატყუარა ლოზუნგები. ეს დრომ შემიდგ დადასტურა.

რატომ ვერ შეთავსდნენ ისინი ერთმანეთთან?

რომელიღაც იყო ყალბი. არაშინაგანი. ილიას იდეების სიყალბეს ვერც მაშინ ამტკიცებდნენ, როდესაც გააფთრებით ესხმოდნენ თავს. მაშინადაც, ყალბი იყო მისი მოპირდაპირების იდეები და რაკი იგი შინაგანი არ გახლდათ, ე. ი. რაღაც სხვა იყო შინაგანი!

მე დიამეტრულად განსხვავებული შინაგანი იდეა გვაქვს ერთმანეთს. ისინი გრძობდნენ, რომ დანახისხლად მოკიდებული მტრები იყვნენ ერთმანეთისათვის, ილია ხედავდა, რომ ბნელი ძალები გამოდიოდნენ ასპარეზზე და შესაძლებელი იყო ქვეყანა ხრამში გადაეჩეხათ. არ შეიძლებოდა გაჩუმება. ცრუ წინააღმდეგობა უნებლად ვნებდნენ ისინი ზაღსს, მის მომავალს. ამიტომ ჩება წაიხარებულე კამათში. სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მიმართული მისი წერილები პირდაპირ ცეცხლს აფრქვევს, დაუნდობელია, სასტიკი, შეუწყნარებელი.

აკი საქართველო ილიას მიჰყვებოდა?

ვერ დაიცვა საქართველომ ილია. ხოლო ხალხის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი ილიას მტრებს გაჰყვა „მალალი იდეების“ დანამკვიდრებლად გამართულ ბრძოლაში.

ჩვენმა შურმა, გაუტანლობამ და პატივმოყვარობამ მოკლა ილია ჭავჭავაძე.

ეს სამი თვისება შეადგენს იმ „რას“, რომელმაც ასროლინა იმ „ვისს“ ილია ჭავჭავაძისათვის.

ეს სამი თვისება ვახლავთ ზადი ჩვენი სულისა, რომელმაც ისტორიის უძიძეს, მოსაბრუნებელ წუთებში გამოუსწორებელი შეცდომები ჩავვადინინა არაერთგზის.

ამ სამი თვისებისაგან შედგარი რაობა ადრეც უძალიანდებოდა ილია ჭავჭავაძეს. არ მიჰყვებოდა, არც მიეშველებოდა, რათა დიდ შვილს ქვეყანა გაეთვანა დღის სინათლეზე.

ეს რა შეუუღლდა მეოცე საუკუნის დასაწყისში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციას საქართველოში და ახსოვლუტურად საწინააღმდეგო პოზიცია შვა.

იმ პოზიციიდან ესროლეს.

ილია აღმართა მათ წინაშე თავისი ერთგული მოძღვრებითა და ერთგული პროგრამით გადაულახავ უღელტეხილად. იგი ხელს უშლიდა „ნათელი საკაცობრიო იდელების“ დამკვიდრებას საქართველოში.

ჩვენ, შესაძლოა, დავავიწყდა კიდევ, რას ვაშენებდით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. იქნებ ბერის ილია ჭავჭავაძე მხოლოდ დიდი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ჰყოლია. — და ეს უსანახუნელი „საზოგადო მოღვაწე“ „რას“, იმ მთავარს, იმ მდგომარეობას სული-

სრულად ვერ გაუცნობიერებია. რას ნიშნავს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი უგონოებრივ თანამებრძოლებთან ერთად ახალ საქართველოში აშენებდნენ, ძველი საქართველოს საქადრის ქვეყანას. მათ დაიწყეს მშენებლობა, ცხადია, სულაც არ უფიქრიათ შენებას ჩვენვე დავასრულებთო, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით შეუდგნენ საქმეს, გააღვიძეს ქვეყანა, დააყენეს ფეხზე ერთი და მიდიოდნენ ნაბიჯ-ნაბიჯ მომავლის საქართველოსაკენ.

ჩვენ იმდენჯერ ჩავგვაძახეს რევოლუციურ საქართველოს ვაშენებო, იმდენი აქვს ეს რევოლუციური საქართველო. ისეთი ფერებით დავგვიხატეს მისი ბრწყინვალეობა, რომ განუღებელი გვეჩინა დიდი ხნის განმავლობაში სიფხიზლის გრძნობა, დიდად არ შეგვიწუხებია თავი იმაზე ფიქრით, თუ რა დასრულდა 1907 წელს და რას ვაშენებდით 1907 წელს აქეთ. დიამეტრულად იყო განსხვავებული 1907 წელს აქეთ ნაშენები საქართველო ილიას ქვეყნისაგან, მისი მტერი იყო, მასთან დაპირისპირებული, თუმცა გვისახავდნენ ილიას და აკაკის ოცნების ზორცემხსმად, მათი მიზნების გამოზარწყინებდალ.

ისინი უფრო გულწრფელი იყვნენ, ვინც ილიას და მის ქვეყანას ებრძოდნენ 20-იან და 30-იან წლებში. თავის დამოკიდებულებას მაინც არ მალავდნენ. მერე მიხვდა ვიღაც, არ ივარგებდა ასე, აღადგინეს ილია, ოღონდ მის მიერ მძინარედ დანახული საქართველო რევოლუციის მიერ გაღვიძებულად ჩავვითვალეს, ილიას მიზნები მეოცე საუკუნის ივრის მიზნებს დაუწყვილეს და გაქრა ჩვენი ფიქრებიც საშინელ და თავზარდამცემ განსხვავებულობაზე. რაზეც ილიას და აკაკის უოცნებია, ის გვიშენებია თურმე — „ცხოვრება საამურია“ და აღორძინებული საქართველო მტრებს უცნებს თვალებს!

მწარესიტყვარობა რომ არ გამოგვივიდეს, აქ დავსვათ წერტილი.

ოღონდ ნუ დავივიწყებთ, რომ ილია ჭავჭავაძის ზაზი გაწყდა 1907 წელს, ტყუილად არავის უსვრია თოფი წინამურში.

დიდი მიზანი იქნა მიღწეული, მტრების განახარელი მიზანი.

აი, რა საშინელია ის „რას“, რომელიც კლავს შიგადაშიგ ჩვენს უდიდეს შვილს. ე. ი. კლავს ჩვენს საუკეთესო ზვედრს, რომელიც დავაქანებს თავვე და მერე უფსკრულიდან გვაპტრეტინებს შორს დარჩენილ სიმაღლეს.

იმ საშინელმა რაობამ მოკლა ილია ჭავჭავაძე, ვინ ხელმძღვანელობდა ოპერაციას, ფილიპე მახარაძე თუ სერგო ორჯონიძე, ვინ გაორკრა პირველად სახსლტებს თითო, ვინ მორავ რიგის ხანებდა. ვიმეორებ, დიანაც განსახრეკი და მოსაკვეთი, მაგრამ რა ეშველება იმ

სას, იმ ნიშნებს ჩვენი ბუნებისას და თვისებებს ჩვენი ხასიათისას, რომელიც ამგვარ თვითრღვევას უდებს სათავეს?

ეს „რა“ კი ორნავე უკან დავაბევივნებს, ისტორიული პროცესების სიღრმისაყენ გვიბიძგებს. ისტორიულ პროცესზე ხანგრძლივი დავვირვების დრო ახლა ნამდვილად არ არის. სიტუაციები თვალწინ გვიფეთქდება ნაღმებივით, მაგრამ ახლო წარსულიდან ერთი ისტორიული მომენტის ვახსენება მოგვიწევს.

კრწანისის ბრძოლა მაქვს მხედველობაში. მე ერთხელ უკვე შევხებ ამ ისტორიულ ფაზს ჩემს ერთ-ერთ წიგნში. სანამ ცოცხალი ვარ, არ მოვეშვები, რადგან ის მუდამ პასუხაუკემელი რჩება. ჩვენივე რაობა მიზეზის ჩვენშივე ძიებას არ გვანებებს, არ სიამოვნებს ჩხრეკა, ჩვენ კი წინ უზარმაზარი ამოცანა გვიდგას გადასაწყვეტად. მოვერევით ზაღს? დავუშლით მას ჩვენივე ხასიათის უფრო ძლიერი ნიშნებით? თუ მომავალშიც ვაგრძობთ სულში, რათა კვლავაც არაერთგზის ვინანთო ჩვენი უბადრუკი ნაბიჯები?

შურმა, გაუტანლობამ და პატივმოყვარობამ არ დაგვყენა ერთელე მეორის დროის ქვეშ კრწანისთან. ერთელე მეორის პიროვნების ხასიათსა და პოლიტიკაში შეცდომების ძიებით ნუ ვცდილობთ ამ თვისებების თვალთაგან მიფარებას. ვთქვათ, ის დიპლომატიკაშიც სცდებოდა და პოლიტიკაშიც, ჩვენს „ორგულოვნებას“, რომელიც შედეგა შურისაგან, გაუტანლობისა და პატივმოყვარობისაგან, რაიმე ცვლის? ძლევდა მას რაიმე შედავით? ჩვენ კრწანისში მისვლა და გვერდით დადგომა, საქართველოს ინტერესების კარნახით პირადი წყენების ჩაჩუმება რომ ვერ შევიძლებით დროებით მაინც, ეს არის მთავარი უბედურება, თორემ ერთელე მეორის პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯები მცდარი იყო თუ სწორი, ეს კიდევ დიდხანს იქნება თავსატეხი საგანი, რადგან ჩვენი სრულყოფის სხვაგვარ ხარისხს ელოდება იგი. ეტუობა, ჩვენ ისტორიული სამართლიანობის აღსადგენი ღონე ჭერ კიდევ არ შევქვავს.

კრწანისის ველზე შემთხვევითი არაფერი არ მომხდარა. ჩვენ ბრძოლა უნდა წავგავო და წავვაგო კიდევ.

სულ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სიღრმის მეფეს ვინ გვიბიძგებდა ასეთი რამ არ ხდება სამყაროში. დავითიდან ახალ დავითამდე ბევრი დრო გადის, თამარიდან ახალ თამარამდე ასევე დიდი დრო. ამდენად საერთო ძალისხმევით უნდა აიზიდოს ის საქვეურო სატიკვარი, რასაც რიგ შემთხვევაში დიდი შეიღო ეწევა. საერთო ძალისხმევა კი ჩვენი საუკეთესო თვისებების მობილიზებით უნდა შედგეს. სხვა გამოსავალი არ არსებობს. საქმენია ძალა, რომელიც შეკრავს ჩვენს საუკეთესო

სო ბუნებობს ნიშნებს, დაურღვეველ მოლონობად წარმოგვიდგენს ეროვნულ რაობას. ჩვენ ზოგჯერ თვითონ უნდა ვვინაძმლონისაგან შეუცდომოდ კაცს, ჩვენივე რაობით, ჩვენი მოწინააღმდეგეობის ინტერესებისა და მისწრაფებების შინაარსით. ჩვენ კი, რაც არის, იმასაც ვუშლით. სულ გვიანდა ვიღაც ერთი გვაწინააღმდეგედს და თუ ეს ვერ შეიძლო, დავითისა და თამარის ღონეებით დავცინოთ ცინიურად.

ჩვენი შურის, გაუტანლობისა და პატივმოყვარობის სინთეზი მეთისმეტად ფაქიზი გემოვნებისაა ზაღის ერთ ნიუანსსაც კი ვერ მოაპარებ. უმად აღმოაჩნეს წინამძღოლში იმ ზაღს და ისე მწარედ გაკილავს, ნაკბენი სამარის კარამდე არ ავიწყდება დაზარალებულს. ერთელე მეორე დიხაყ იყო დიდი წინამძღოლი, მაგრამ არა დავითისა და თამარის სრულქმნილების ხარისხის გამოხატველი. მჭონდა აღმაშენური ნაკლი, დალუფა იქნებ ადამიანური შეცდომები, მაგრამ იმის ღირსი კი ნამდვილად იყო, გვერდით დადგომოდა ყველა, თავგანწირვის მისეული მაგალითი გაენაწილებინა და კრწანისის ბრძოლა მოეგო.

შეუერთდებოდა თუ არა მაშინ საქართველო რუსეთს? ჩემს რწმენას მოგახსენებთ: საქართველო ამ დროისათვის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ცხელი წერტილი იყო, მას არ შესწევდა ძალა, რომელიმე იმპერია უკან გაებრუნებინა მით უმეტეს სამივე ერთად (რუსეთი, ირანი, თურქეთი!) შეუერთდებოდა, მაგრამ გააჩნია, როგორ მარცხდები, დამარცხების წუთებში როგორ დგახარ, ისე, როგორც ვიღებოთ. თუ ისე, როგორც სასურველი იქნებოდა.

ჩვენი შინაგანი რაობა ჩვეულ ეროვნულ შემართებას მოკლებული იყო. გატბილი, დაწაფილი, დაქუცმაცებული ჩაბარა იგი რუსეთს, ამიტომ ვერ მოვითხოვეთ მფარველისაგან მფარველობა, მოკავშირისაგან მოკავშირეობა. მოვიდა და ცხვრის ფარასავით გავვირეკა წინ. ისტორიულ სიტუაციას ჩვენი წარმწყმედელი ნაკლი შეუუღლდა და მფარველმა დავიპარო. ელვის უმად გააუქმა სამეფო, გამოგაცახდა ფაქტორ კოლონიალ. მოჰყვა ყოველივე ამას ალაგ-ალაგ სერიოზული აჯანყებები. ისინი მუდამ მტკიცებულდნენ, რომ საქართველოს რაინდული სული მთლად არ გაშქარდა. სისხლი ხმაურობს, გენი იბრძვის, მაგრამ არ არის უკველივე ეს იმ ძალისა, რომ წინააღმდეგობას საქვეურო წინააღმდეგობა დაერთქვას.

ოჯახი წარმოადგენს ფუტუროლოგიური კვლევის ობიექტს, რომლითაც დაინტერესებული არიან მთელი მსოფლიოს მკვლევარები. ისინი აწარმოებენ საერთო ფუტუროლოგიურ პროგნოზირებას მომავალში ოჯახის ინსტიტუტის ეოფნარყოფნის შესახებ. მათი დასაცვა არც ისე უიმედოა: უახლოეს წლებში უნდა მოხდეს ოჯახური ურთიერთობების მნიშვნელოვანი სტაბილიზაცია.

ოჯახის სოციალური არსი და დანიშნულება შეღავნდება მის ფუნქციებში, რომელთაგან

სამედიცინო თვალსაზრისით, ძირითადია რეპროდუქციული და საერთო აღმზრდელიობით (ჩვენს შემთხვევაში სქესობრივი აღზრდა) ფუნქციები.

ოჯახის რეპროდუქციული ფუნქცია მდგომარეობს ადამიანის იმ ბუნებრივ მისწრაფებაში, რომ ბავშვის დაბადებით კვლავ წარმოქმნას და განაზღოს მშობელთა რაოდენობა. სასურველია, ოჯახის შემქმნელთა ჰქონდეთ ისეთი დემოგრაფიული მიზანდასახულება, რომელიც ითვალისწინებს 2-ზე მეტი შვილის ყოლას. ვინაიდან მხოლოდ ორი ბავშვი არ იძლევა სრულ გარანტიას მშობელთა რაოდენობის განახლებისა (დაუქორწინებლობა, უშვილობა, გარდაცვალება). — ოჯახი აქტიურ მონაწილეობასღებულობს თავისი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობრივ და ხარისხიან განახლებაში.

ოჯახის საერთო აღმზრდელიობითი ფუნქციიდან უნდა აუცილებლად გამოვყოთ და ნაწილობრივად შევვებით მოზარდთა სქესობრივი აღზრდის საკითხს, რომელიც წარმოადგენს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემას.

სწორი სქესობრივი აღზრდის დანიშნულებაა მოზარდებში მოახდინოს ისეთი წნეობრივი თვისებების ფორმირება, როგორცაა: მოქალებეობრიობა, პატიოსნება, თავდაპყრობა, მეგობრობა, მოკრძალებული დამოკიდებულება სქესთა მიმართ, სიუვარულის, ქორწინების და ოჯახის საკითხებისადმი სერიოზული მიდგომა, პასუხისმგებლობის შეგრძნებით.

სქესობრივი აღზრდის საკითხების მნიშვნელობის შეუფასებლობა დიდ ზიანს აყენებს წნეობრივი აღზრდის მთელ სისტემას და უარყოფითად მოქმედებს ოჯახ-ქორწინებით და დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე.

მიუხედავად ამ საკითხის სერიოზულობისა, ჩვენს რესპუბლიკაში სქესობრივი აღზრდის საქმეთა დაპაჟონი ჯერ კიდევ ვერ გასცდა პრიმიტიული და პროვინციული მიდგომის ფარგლებს. არა გვკავს სათანადო კადრებიც, რომლებიც დაუფლებულნი იქნებიან ამ „საჩოთირო“ თემაზე ლექციების წაითხვის ხელოვნებას. ბავშვთა ფსიქო-სოციალურ ფორმირებაზე უარყოფითი ზემოქმედება მიკროსოციალური გარემოს გარდა, შეუძლია არასწორი სქესობრივი აღზრდას, რომლის იგნორირება მოზარდებში იწვევს ფსიქიკისა და თავად პიროვნების დეფორმაციას. არასწორი სქესობრივი აღზრდის პათოლოგიური როლი იმდენად დიდია, რომ ამ დროს მოზარდებში ნორმალურ ენდოკრინულ მომარაგებასაც კი მნიშვნელობა ეკარგება.

მსოფლიო და სამამულო მეცნიერებამ კარგა ხანია დაამტკიცა, რომ უკანასკნელ 20-25 წელიწადში ადამიანებში სექსუალური განმარტე-

ლობის გაუარესება, გაახალგაზრდავებულ ქორწინებათა ფონზე სექსუალური აშლილობის განქორწინებების და უწყალობის შემთხვევების მატება, მკიდროდ უკავშირდება მოსახლეობაში სქესობრივი აღზრდა-განათლებისა და ჰიგიენის საკითხებში არსებული ცოდნის დეფიციტს.

აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ართულებს და ამწვავებს დემოგრაფიულ სიტუაციას, აძნელებს დემოგრაფიული მონიტორინგის პროცესს.

ყველა წნეობრივი თვისება, მათ შორის სექსუალურიც არ წარმოადგენს თანდაყოლილს. ადამიანი არ იბადება ამა თუ იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თვისებებით, ამისთვის მას ესპირირება სწავლა და აღზრდა. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ საერთო აღზრდის ამ რთულ სიტუაციაში, სქესობრივი აღზრდის საკითხები ყველაზე საქირბორტო პრობლემებს მოიცავს, რომლის გარეშეც შეუძლებელია მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარება. მითუმეტეს, დღეს ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს, რომ „ვეტროლოთ სქესობრივ საკითხებზე გაუნათლებლობას, რომელიც დამღუპველია უამრავი სიუვარულისა და არის მიზეზი ბევრი ოჯახის დანგრევისა“ (ი. რიუჩიკოვი).

ჩვენს ქვეყანაში ახლო წარსულში გამეფებულმა გულგრილობის, უძრავობის, შემგუებლობისა და „ყველაფერზე ხელის ჩაქნევის“ მავნებლურმა პოლიტიკამ ნოციერი ნიადავი მოუშადა ასოციალური მოვლენების მოქარბეობა. მოზად ბავშვთა აღზრდის ყველა სახეობის გაუარესება (როგორც ოჯახში, ასევე სასწავლებელში), რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში იდეური რწმენისა და მალაღწეობრიობის დეფიციტის აღმოცენებას. ცხოვრების ყველა სფეროში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს თავისთავად მოჰყვა სხვადასხვა ხასიათის ასოციალური მოვლენები, ვინაიდან მოზარდი მეტად მწვავედღებულობს და ითვისებს ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ეს მის მშობლებს და აღმზრდელებს ჰგონიათ,

„დეფიციტების ქვეყნის“ მოსახლეობაში, გაუმაძღრობის, სიხარბის, უტილიტარული მისწრაფებების მომწვაველებამ, ადმინაშვეთა დაუსჩელობის ფაქტებმა, გაუნათლებელი და უპატიოსნო ადამიანების სახელმწიფოსა და ხალხის ბარჯზე „ტუბილმა ცხოვრებამ“, ქონებრივადიფერენცირებამ და სოციალურმა უთანასწორობამ წარმოშვა საზოგადოების ახალი ფენა. ოჯახებში უზრუნველობის პრინციპით გაზრდილ ბავშვებს (ასევე მათ მიმბაძველებს) უჩნდებათ შეუთაობრობისადმი მმდრეკილების და სხვის კჟაუფაზე უოფის დაუოკებ-

ლი სურვილი, ჰედონისტური შეხედულებები ცხოვრებაზე, მშობელთა იმედით შექმნილი ოქახიც არასტაბილურია და მალე ინგრევა.

მრავალი წლის მანძილზე რესპუბლიკაში დამკვიდრებულმა საზოგადოებრივ-მორალური ნორმების დეკლარაციის ატმოსფერომ საფუძველი შეურყია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ დისციპლინას და ხელი შეუწყო ეკონომიკის დაუძლურებას. განსაკუთრებით გართულა პატიოსანი ადამიანების მატერიალურ-ეკონომიკური პირობები, რომლის მიწეწობაც ბევრ შრომისმოყვარე ახალგაზრდას ოქახის შექმნაზე ააღებინა ხელი, ჩაუნერგა არასწორი ცხოვრებისეული ორიენტაცია.

ქვეყანაში, სადაც საზოგადოების პატიოსანი და შეგნებული ნაწილი იჩენს ყველა სახის დამნაშავეებისადმი მიუტევებელ შემწყნარებლობას და ადაპტირებას, არ იბრძვის მთელი სისხტით სხვადასხვა ზნაილის მანკიერების ძირსივე აღმოსაფხვრელად, როდესაც შრომის და განვითარების თანდათანობით ეკარგება ფასი. როდესაც სახელმწიფო და დაწესებულებათა მმართველობაში ხვდებიან სახელგატებილი ადამიანები. ყოველდღე შეუძლებელია ერის შინაგანი ბედნიერების მიწეწვა. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ საყოველთაოდ განსათვალისწინებელ ქუშმარიტებასაც, რომ საზოგადოების საერთო ზნეობრივი სიჭანალე განსაზღვრავს ცალკეული ოქახების ბედნიერებას.

დადგენილი და ცნობილია, რომ სოციალური ფაქტორები ზემოქმედებას ახდენს რეპროდუქციულ მიწინადაბულობაზე, ბუნებრივი გამრავლების ბასიაზე. ამიტომ ჩვენს რესპუბლიკაში ბევრმა უნდა შეიგნოს, რომ „თავშეუკავებლობა, მატერიალური დოვლადით გადაჭარბებული გატაცება, არცთუ ისე უწყინარი ამბავია, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. პირიქით, იგი საქმარისად მკაფიოდ გამოხატულ ანტისოციალურ ბასიათს ატარებს“ (ნ. ა. სოლოვიოვი). ისტორიულად ერის დაცემა-განადგურება ყოველთვის იწყებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების მორალური თუ ზნეობრივი გაპრწინად, რომლის დამადასტურებელი ფაქტების მოყვანა ძალზე შორს წაგვიყვანდა. მართალია, ადამიანის ნორმალურ ფორმირებას ბიოლოგიური ფაქტორებიც განაპირობებს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ რაც უნდა ბიოლოგიურად სწორად იყოს ადამიანი დამორკავამირებული და შას სისტემატურად დაამკრებლები რჩებიან მივაწოდოთ, ყველაფერი ფუჭი გამოდგება, თუ ოქახური და საზოგადოებრივი გარემოცვა დიამეტრულად განსხვავებულია. ასეთ სოციალურ გარემოცვას და საზოგადოების ნაწილის დეგრადაციას თითქმის განკებ ზედ დაემატა ე. წ. „ვიდეო-ბუმი“, რომლის „ტრიუმფალურ ხვლახს“ ჩვენს ქვე-

ყანაში, რატომღაც ნეიტრალურად მივუღებულ დასავლეთში კარგა ხნის წინათ დაწყებულ „სექსუალურ რევოლუციას“, რომელზედაც უნდა შემოიკრა ჩვენი და გავრცელდა სწორედ პორნოგრაფიული ვიდეოფილმების სახით, სქესობრივ საქითხეში მტად მოუმზადებელი ახალგაზრდობა დავახვედრეთ.

სახუთა კავშირში ცნობილი ფსიქოთერაპევტის, პროფესორ ა. ფილატოვის აზრით, „სექსუალური ბუმის“ უარყოფითი გავლენა მოზარდებზე და საერთოდ მოსახლეობაზე შეიძლება გამომდევანდეს ფსიქიკის რეგრესიის გამოაშკარავებით, რაც გამოიხატება ადამიანის ცნობიერების, მის ინტერესთა მოტივების გაღარკვაში გაცილებით დაბალ ინსტიტუტურ საქციელთა ფორმებზე, რომელსაც უმრავლეს შემთხვევებში მოსდევს აგრესიის ინსტიტუტის ზრდა (მკვლევობები, დაჭრები, დამანიჩეებები და სხვა სახის აგრესიულობის შედეგები). ამ მხრივ, არც ჩვენი რესპუბლიკა გამოწკაიის და შედეგიც სახეზე... საბოლოოდ ა. ფილატოვი დაასკვნის, რომ „სახლგარკრების კინო და ტელეფილმები, რომლებიც სახეა ინტიმური ცხოვრების სცენებით, მოითხოვს ობიექტურ ანალიზს, სოციალურ შეფასებას და კონკრეტულ რეკომენდაციებს“. სამწუხაროდ, ამ საქითხით საქართველოში არავინ დაინტერესებულა.

არავის უცდია ახალგაზრდებისათვის თავის დროზე აეხსნა, რომ სისტემატურად სექსფილმებით გაღიზიანებას, სქესობრივი ენერჯის უზომო და არასწორ ფლანგვას თან სდევს: ფსიქიკის დარღვევა, შრომისუუნარობა, უინტერესობა, მელანქოლია, ზიზილი სქესთა შორის, ოქახის დაშლა, იმპოტენცია, ვენეროზი და სხვა მრავალი პათოლოგია. განსაკუთრებით გვიანდა გამოვლით უკანასკნელ წლებში ახალგაზრდებში რეალურად შემჩნეული სქესთა შორის ზიზილია და გაცივების გამომდევანების შემთხვევები, რომლის ერთერთ მიზეზად ჩვენს რესპუბლიკაში „სექსფილმების“ ფართო გავრცელება მივანჩნა. აკი გვარფთხილებდა ჭერკიდელ ლენარდო და ვინაი: „უალრესად აღტყინების მომენტში, გამიჩნურებულთ, რომ შესძლებოდათ საქუთარი თავის დანახვა, ადამიანების მოდგმა უთუოდ დაილუქებოდა“.

საზოგადოება გარკვეული უნდა იყოს იმ საშიშროებაშიც, რომ პორნოგრაფიული კინოწარმოები, მითუმეტეს ისეთი, სადაც ცინიკურადაა გამოხატული სქესთა შორის ინტიმური ურთიერთობები, განსაკუთრებით ცლ-ქმარში, იწვევს ურთიერთ გრძობების თანდათანობით გაუხამებას და გამოფიტვას. ველარ აღწევნრა საქმარის სექსუალურ აღგზენას. ორივე ან ერთერთი პარტნოორი მიმართავს „წარმოსხვით პარტნოორს“ უმეტხიხად იმას, ვინც მოეწონა.

კონფლიქტში. ამ მიზეზით ოჯახში თითქოს იმ-
ყოფნა უხილავი მესამე პირი. მხავსი სიტუ-
აცია ხშირია მამაკაცებშიც და განსაკუთრებით
ქალებში, ვინაიდან ქალები ხშირად უსიყვარუ-
ლოდ თხოვნიან. გაუცხოების ეს პროცესი
უფრო ღრმავდება, თუ რეალური პარტნიორი
შეხედვლებით გაცილებით ნაკლებია, ვიდრე
ფილმშია ნაჩვენები. ამ მოვლენას მედიცინა-
ში უწოდებენ „აზროვნებით ონანიზმ“, უფ-
რო ზუსტად, „სქესობრივ სიმფოლიზმ“, რომე-
ლიც არც ისე უზენებელია ოჯახებისათვის, რო-
გორც ჰგონიათ. იგი განკუთვნილია არასწორ
სექსუალურ საქციელთა ჩატვის და პერვერსი-
ტეტის სახელწოდებითაა ცნობილი. „სექსფილ-
მების“ საშუალებით ხდება პროსტიტუციის
პოპულარიზაცია, რაც ხელს უწყობს აპოკ-
ალიფსური (ფარული) და აშკარა შეძვეების
რიცხვობის ზრდას, რომლებიც ნაყოფიერების
ახვედ დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან.
მეიოხვედში ისე არ უნდა გაგვივოს, თით-
ქოს ჩვენ ასკეტოზმს ვქადაგებდეთ. ვიდრე ტექ-
ნიკის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მოსახლე-
ობამ უნდა იცოდეს, რომ ვიდრე შესწევს
უნარი როგორც სიკეთისა, ასევე ბოროტებისა,
სქესობრივი აღვირახსნილობის და ძალმომრეო-
ბის პროპაგანდისა. უნდა შევძლოთ ვიდრე-
ფილმების შესაძლებლობების შეფასება და კი-
ნოფილმების შერჩევა.

საერთოდ, საქართველოს ახალგაზრდობამ
და მშობლებმაც საკიროა იცოდნენ: და-
სავლეთის „თავისუფალი სიყვარული“ მოდელ-
ლი, რაც უნდა მომხიბვლელი და მიმზიდველი
ეჩვენებოდეთ, საქართველოს დღევანდელ
სინამდვილეში არ გამოკვადგება. ამ „თავისუფ-
ლებამ“ შეიძლება ერის განადგურებამდე მი-
გვიყვანოს, ვინაიდან მას მოკვს პარტოვლი ქა-
ლის წეობრივი და მორალური თვისებების გა-
უფასურება-გაფერმკრთლება, ერის უბე-
დურების დასაწყისი. გავიხსენოთ, რომ „ერი
ქალის ძალით წახდება და გალადდება“, ჩვენ-
და სამწუხაროდ, დღეს საქართველოში კლბუ-
ლობს ქალი-დენის რიცხვი და მატულობს
ქალი-ცოლის რიცხვი, რაც დემოგრაფიული
ვიკლანარისით ფრიალ ხახიფათაა, მითუმეტეს,
თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს
მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი 2-3-
ჯერ ჩამორჩება მეზობელ რესპუბლიკებისას.
ქართველმა ქალმა კი განსაკუთრებით შეამცირა
შობადობა და, რაც ყველაზე უფრო სავალა-
ლოა, ეს შემცირება ხდება ხელოვნურად, ლი-
ტერატურულიდან ცნობილია, რომ საქართველოში
ორსულობის ნახევარზე მეტი ხელოვნური აბო-
რტით მთავრდება. უკანასკნელ 2 წელიწად-
ში მას დაემტა ე. წ. „მინი-აბორტები“ რითაც
სიცოცხლის ულორტს სათავეშივე ვსაბოთ.

ამ „თავისუფლებამ“ (სხვა მიზეზებთან ერ-

თად), ხელი შეუწყო ბევრ ქართველ ვაჟაკს
სრულიად შეუფერებელ, წარსულში მათთვის
დამახასიათებელი მამაკაცური თვისებების
სიტყვის კარგი გაგებით) ფემინიზებას, რასაც
საბოლოოდ მივყვართ ოჯახების დესტაბილი-
ზაციისაკენ, ვინაიდან ემანსიპირებული ქალის
თანამედროვე მოთხოვნები ვერ იტანება ფე-
მინიზებული მამაკაცის თვისებებს.

— გარდა ამისა, იზრდება რაოდენობა არა
მარტო საყოველთაოდ ცნობილი ვენდავადე-
ბისა, არამედ — სასქესო გზებით გადამდე-
ბის, ისეთი სახის ინფექციებისა, რომელთა შე-
სახებ მოსახლეობამ ან არაფერი იცის, ან მე-
ტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. ესენია
მრავალი სახის დაავადებები, რომლებიც მარ-
ტივი ბერპების ვირუსის, მიკოპლაზმური და
ურეაპლაზმური ინფექციებით ვრცელდება. აღ-
ნიშნული დაავადებები გავლენას ახდენენ ქა-
ლის და ნაყოფის განმრთელობის მდგომარეო-
ბაზე, აღწარმოებისა და ფერტილობის ხარის-
ხზე. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში საშუალო
მასშტაბითაც არ მოგვემოკვება შესაფერისი
დიაგნოსტიკური საშუალებები, რაც დაავად-
ებული ახალგაზრდების დროული დიაგ-
ნოსტიკისა და სათანადო მკურნალობის ჩა-
ტარებაში დაგვეზარებოდა. ეს მაშინ, როდ-
ესაც მსოფლიო ჯანდაცვის ექსპერტთა დასკვნით:
„ერთობ ძველი უფილობის პრობლემის გა-
მოსუფა იმ დაავადებათა პრობლემებისაგან,
რომლებიც სასქესო გზებით გადაეცემა. ამ და-
ავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განვიხი-
ლოთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო გო-
ნიორული პროფილაქტიკური ღონისძიება უზვი-
ლობის, ნაყოფის დაკარგვისა და პერინატალუ-
რი ინფექციების პრობლემათა მიწანდასხულ
გადაწყვეტაში“. ზემოთ აღნიშნული ინ-
ფექციების პროგნოზირებაში მტად მნიშვნე-
ლოვანია ამ ჩგუფის დაავადებათა დიაგნოზის
დასმისა და დროულად მკურნალობის ჩატა-
რების საკითხი. საბოლოოდ ექსპერტები დაას-
კვნან: არის სრული საფუძველი, რომ უმკურ-
ნალოდ ეს დაავადებები იძლევა უნაყოფობის
საკმაოდ მაღალ პროცენტს (30-40% ში) (1).

ალარაფების ვაშობ რესპუბლიკაში შეიძებს
გავრცელების არსებულ საფრთხეზე; ყვე-
ლას უნდა ესმოდეს, რომ თუკი დიდ ერებს,
სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების გა-
ტარების მეოხებით, დაღუპვა ასე თუ ისე არ
ემუქრებათ, შეიძლება ჩვენისთანა პატარა ერი
შეიძლება ფიზიკური განადგურებამდე მიიყვან-
ნოს.

ამის თაობაზე იმიტომ მოგახსენებთ. რომ
მხოლოდ სამედიცინო ღონისძიებებით შეუძლე-
ბელია აღმოფხვრათ სასქესო გზებით გადა-
დები ყველა სახის დაავადება, მითუმეტეს,

ისეთები, რომლებიც გავლენას ახდენენ დემო-
გრაფიულ მარკენებზე.

ორიოდე სიტუციით, ყურადღებას გაავაძვი-
რებთ ცნოლოგიურ ფაქტორზე. 1958 წელს
სამედიცინო ლიტერატურაში გაჩნდა ცნობები
იმის შესახებ რომ გამოკვლევა (ცვაზღაბის ნაკ-
ლებობა), რასაც უმთავრესად იწვევს დიდ ინ-
დუსტრიულ ქალაქებში მომწამლავი აირებისა
და მანქანების გამოწვევების სიჭარბე, დამთ-
რგუნველად მოქმედებს მამაკაცის სერ-
მატოგენულ ფუნქციაზე. აღნიშნულ გარემოში
სერტმატორად და ხანგრძლივად ყოფნა ხელს
უწყობს მამაკაცების სტერილობის განვითარე-
ბას. ამ მხრივაც თბილისი უკიდურეს მდგომარე-
ობაშია. თანამედროვე ეპოქაში, ცივი-
ლიზაციას ყველგან თან სდევს მოსახლეობის
ხელოვნური ერთობილიც, მაგრამ მხედველო-
ბიდან არ უნდა გამოვარჩეს ის გარემოებაც,
რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებ-
ში და ზოგიერთ დემოკრატიულ რესპუბლი-
კაში მოწარმდა სქესობრივი აღზრდა-
განათლებისა და ჰიგიენის საკითხები უმა-
ღლეს დონეზე დაუყენებულა. თბილისში
კი, გაუგებარი მიზეზით სანკულტურის თეატ-
რი გააუქმეს, რომელსაც თავის დროზე მო-
წარდების ფსიქოგენული განვითარებასა და
ახალგაზრდებში „ვერერიული თუ სექსუალურ
რევიციების“ აღმოფხვრაში უადრესად სა-
სიკეთო როლი მიუძღვის.

ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ რესპუბლიკა-
ში ქალებისათვის სრულიად შეუფერებელ,
არატრადიციულ სპორტის სახეობების გავრცე-
ლებას. ასეთებია: ქალთა ძიულა, ქალთა ათლე-
ტიკა და ძაღოსნობის სხვა სახეები. არავითარ
შემთხვევაში ხელგოჭრად (მედლების გული-
სათვის), არ უნდა მოვამრავლო ქალი-მომღე-
ვე, ქალი-ათლეთი, ქალი-კულტურისტი, რომელ-
საც ექნება უნარი მტკივნეული ილეთის ჩატა-
რებისა, მასიური სიმძიმეების აწევისა და ჰი-
პერტროფირებული კუნთების დემონსტრირე-
ბას. მაგრამ არ ექნება უნარი ნაყოფიერე-
ბისა. ცნობილი სპორტული ექიმი, პროფესო-
რი ა. ნ. ვორობოვი თავის „ისევ ვისწრაფით
მორჩენებისა და თვის გამოჩინისაკენ. ვი-
მედოვნებ, რომ კაცობრიობა თავისი ბუნებით
მშამნურია და არ დაუშვებს სპორტი უაზრო-
ბამდე მიიყვანოს“.

საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში და დაბა-
ში ფუნქციონირებს (საქმარისად წარმატებით)
ქალ-ვაშთა გაცნობის კლუბები თუ ბიუროე-
ტი. ამ მხრივ, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა
საქართველოშიც. გაცნობის მიზნით, გამოქვეყ-
ნებული განცხადებები წარმოადგენს ქლირინ-
ჯის (ინჯლისური სიტუციდან — ცხადი, სუფ-
თა, თავისუფალი) ერთ-ერთ სახეს (ქორწინები-
თი ქლირინჯი). ქორწინებითი ქლირინჯის ამ-

გვარი პრაქტიკა, ხელს უწყობს ძიების-ორი
ნაწილის (საქმროსა და საცოდეს) მოტოვებ-
ბისა და თვისებების დამთხვევას, ოპტიმალ-
რი ურთიერთსარგებლიანობის კავშირს. აქ დიდ
როლს თამაშობს მეთოდოლოგიურად მოფიქ-
რებული ორგანიზი ინფორმაცია. ქორწინებითი
ქლირინჯის ინფორმაციული სახე, სექსოლო-
გიური თვალსაზრისით, სრულიად მისაღებია. იგი
წარმოდგენას იძლევა პარტნიორთა ფსიქობიო-
ლოგიური შეუფერებლობის ფაქტორებზე.
ქალ-ვაშთა გაცნობის არსებულ სახეებთან ერ-
თად კარგ საშუალებად მიგვაჩინა „დაუქორწინე-
ბელთა სანატორიუმის“ გახსნა საქართველოს
რომელიმე რაიონში. მითუმეტეს, რომ ახეთი
სახის სანატორიუმის გახსნა დამატებით თან-
ხებს არ ითხოვს, მხოლოდ რომელიმე სანატო-
რიუმს შეეცვლება დამსვენებელთა კონტიგენ-
ტი.

მედიცინის მუშაკებისათვის კარგად არის ცნო-
ბილი, რომ ჩანდაცვის მიღწევები განისაზ-
ღვრება სპეციალიზებული სამედიცინო დასმა-
რების დარგების სწორი ორგანიზაციით და მე-
დიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევების
დაწერგვის ტემპებით.

მოსახლეობის სპეციალიზებული სამედიცინო
დასმარების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს
სექსოლოგიური სამსახური, რომლის საზღვრე-
ბი და მასშტაბები მეტად ფართოა. იგი მოწო-
დებულია მოსახლეობის სექსუალური განმარ-
თელობის აღცვისა და გაუმჯობესებისათვის.
სექსოლოგიური სამსახური მოიცავს ზავშთა
სქესობრივი აღზრდის საკითხებს (თავისი
უამრავი პრობლემით), ოჯახის ქორწინებისა და
უდაყოფობის პრობლემებს, სექსუალურ აშლი-
ლობებს ასევე პროფილაქტიკურ ღონისძიებე-
ბაც.

საქართველოს დღევანდელ პრობლემში შეი-
ჩნევა სექსოლოგიური სამსახურისადმი ერთობ
გაზრდილი მოთხოვნები, აქედან გამომდინარე,
დღის წესრიგში დადგა აღნიშნული სამსახუ-
რის გაუმჯობესების საკითხი. მიუხედავად ამისა
მეტად გაძნედა სექსოლოგიური სამსახურის
ინტეგრაციის გზების მოძებნა, იმდენად დი-
დი აშ გზებზე გადაულახავი წლედებია და
საქმიანდში ფორმალური დამოკიდებულებია.

სექსოლოგიური სამსახურის გაუმჯობესების
მიზნით საკავშირო ჩანდაცვის სამინისტროს
არაერთი ბრძანება არსებობს. არის ჩვენი რეს-
პუბლიკის ჩანდაცვის სამინისტროს ბრძანებე-
ბიც, მაგრამ ამ ბრძანებებით დასახულ ღონის-
ძიებათა აბსოლუტური უმრავლესობა ჩერ არ
შესრულებულია და არც მატერიალურ-ტექ-
ნიკური ბაზის შექმნისათვის შეუფერებიათ თა-
ვი. ამ მიზეზებმა განაპირობა სექსოლოგიური
სამსახურის განვითარების მკვეთრი შეფერგე-
ბა, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო რესპუბ-



ლიკაში ისედაც არასახარბიელო დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესებას.

მიუხედავად იმისა, რომ სექსოპათოლოგია წარმოადგენს კლინიკური მედიცინის სრულიად დამოუკიდებელ დარგს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საკუთარი კვლევის მეთოდებით, ჩვენთან უკველნაირად ცდილობენ სექსოლოგიური სამსახური მხოლოდ „ფსიქიატრიული პროფილით“ წარმშაროს და ფსიქიატრიულ სამსახურს დაუქვემდებარონ. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ თბილისში ახლად ჩამოყალიბებული სექსოლოგიური ცენტრი რამდენიმე წლის განმავლობაში ნარკოლოგიური დისპანსერის შენობაში, მის ბაზაზე ფუნქციონირებდა, რაც უკვლად დამუშეებელი იყო. ვინაიდან გამართლებული არ არის პრაქტიკულად, ამ სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე დეოტოლოგიური თვალსაზრისით.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სექსოლოგიური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსენალი. სათანადო გამოკვლევების, კლინიკურ-ლაბორატორიული მეთოდების დიპაზონის თბოულობის სასწრაფო გაფართოებას, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია სექსოლოგიური სამსახურის წინაშე არსებული კარდინალური ამოცანების გადაწყვეტა.

დადა დრო, დაარსდეს სექსოლოგიური დისპანსერი სტაციონარით, რასაც მოითხოვს რესპუბლიკის ინტერესები; სტაციონარის პირობებში მკურნალობის ეფექტი გაცილებით მაღალია. რაც დადასტურა პრაქტიკამ. სტაციონარი მოსახერხებელია რაიონიდან ჩამოსული ავადმყოფებისათვისაც.

უშვილობის პრობლემა წარმოადგენს მეტად აქტუალურ სოციალურ ამოცანას. რესპუბლიკაში არ არის სრულფასოვანი უნაყოფო-

ბის სამედიცინო პრობლემებისა და მკურნალობის წოვიერთ კერძო ასპექტთა სრული დამუშავების მეცნიერული დონე. ამ საკითხების შესწავლისა და მკურნალობის ქირურგიული მეთოდების დანერგვაში პასიური როლი უკავიათ საქართველოს უროლოგთა საზოგადოებას.

უშვილობის პრობლემა მრავალასპექტიანი პრობლემაა, რაც მოითხოვს კომპლექსურ (სხვადასხვა სპეციალისტების გაერთიანებით) მიდგომას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუცილებლობას წარმოადგენს, ჩვენთანაც შეიქმნას სექსოპათოლოგიის, განქორწინებებისა და უნაყოფობის ძირითადი პრობლემების შემსწავლელი კომისია (უკრაინის მსგავსად), რათა მიღებული მხასლები სათანადო დამუშავების შემდეგ ჩავატაროთ შესაფერისი ღონისძიებები.

ერთ წერილში შეუძლებელია, დავრიღებით შევებოთ სექსოლოგიისა და სექსოპათოლოგიის (ასევე არასამედიცინო ხასიათის) ყველა იმ საკითხებს რაც უარყოფითად მოქმედებს რესპუბლიკის დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე.

საჭიროა, მაკოორდინირებელი ორგანო, ასევე, მოსახლეობის სექსუალური ჩანმრთელობის დარღვევების საწინააღმდეგოდ, პროფილაქტიკური ღონისძიებების ერთიანი სისტემის ან პროგრამის შექმნა.

ჩვენი გაერთიანებული ძალებით უნდა შევძლოთ რესპუბლიკაში ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება და ხელის შემწეული მიწეების ამოძირკვა. დიდი ილიას თქმისა არ იყოს: „რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთ, ხხვისგან ზერს ნუ ელოდებით“.

ალექსანდრე სულხანიშვილი

მოგონებები მეფისულთა რაზმზე

●
ორიოდე დღე მოვტრიალდი აკუშო-სა და ბარისახოს ახლო-მახლო ტყეებში. იქიდან ვზვერავდი ღურბინდით, თუ რა ხდებოდა სოფლებში. პატარა, ოცი-ოცდაათ კაციანი ჯგუფები, რომლებიც რუსების და ქართველ პარტიულთა ნარევისაგან შედგებოდნენ, შემოდოდნენ სოფლებში და აწიოკებდნენ ხალხს. ასეთი შემთხვევა მიაშობო ერთმა ხევსურმა: პირველსავე დღეს, როცა რუსები პირველ სოფელ აკუშოში შედიოდნენ, ერთი ხევსური ქალი, მზექალა, თურმე ერთი სახლის ბანზე წამოწოლილა და იმ დროს, როდესაც მისი ძმა ჩვენთან იმყოფებოდა, ძმის თოფით დაუწყია სროლა და არავინ შეუშვია სოფელში, სანამ ტყვია არ შემოვლევია, მას ხუთი თუ ექვსი რუსი მოუკლავს და მერე კი მისთვისაც უწყევია მტრის ტყვიას, აი, ასეთები არიან ერეკლეს მოსიყვარულე ხევსურებიც და ჩვენი დანარჩენი მთიულებიც!

იმ ხანად ხევსურეთის ცაში ხშირად დაფრინავდნენ ხოლმე თვითმფრინავები. ხევსურებს ისინი შალვა ქარუმძის გამოგზავნილი ეგონათ ევროპიდან, რის გამოც სიხარულით გაიძახოდნენ: „აჲ! აჲ! ეს შალვაის აეროპლანები!“-ო. მე თუმცაღა ვიცოდი ვისი იყვნენ, მაგრამ, აბა, რა უნდა მეთქვა იმ საწყყლე-

ბისათვის! ეს კი უნდა აღვნიშნო, რომ შალვა ქარუმძის დიდი სახელი ჰქონდა მთელ ხევსურეთში და დიდ პატივსაც სცემდნენ მას.

როგორც უკვე იცით, ჩვენ მალაროსკარის ბრძოლაში ბარძაყში დაგვიჭრეს შეფიცული შალიკო კანდელაკი, რომელიც ხევსურეთში გვყავდა მიმალული. მე ახლა ისიც მადარდებდა, რომ იგი კომუნისტებს არ ჩავარდნოდა ხელში, მაგრამ ხევსურებმა მას კარგა მოუარეს და შეინახეს. ამის შესახებ კიდევ მოგახსენებთ დაბლა. შემდგომ გავიგე, რომ ბადურის ფშავში ჩარჩენილიყო თურმე, ხოლო ის კი არ ვიცო, თუ რა-ნაირად მოხვდა იგი იქ.

ახლა, რაკი ჩემთვისაც ცხადი გახდა რომ ჩემი იქ ტრიალი აღარ შეიძლებოდა, აპარიკას რჩევა შევიწყნარე და შატილში წავედი, ახლა უკვე მარტოა. შუადღე გადასული იყო, რომ ჩემს მასპინძელ ძალიკასთან მივედი. აი, რა მიაშობო მან: ჩეჩნების რაზმები დანიშნულ დღეს ჩამოვიდნენ შატილში და შენი დატოვებული ამბავი რომ გაიგეს, ძალიან ეწყინათ, რადგან მონაწილეობას ველარ მიიღებდნენ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში; ჩვენ მათ საკლავი დავუქალით, პატივი ვეცით, მადლობა გადავუხადეთ და მერე გულდაწყევითლები წავიდნენ თავიანთ სახლებში, რომ იმედი გაუტრუვდათ და რუსების ხოცვის შესაძლებლობა ხელიდან წაუვიდათო. მერე, როცა ჩემს მასპინძელს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ცისკარი № 10, 11 (1989). 1, 2.

ჩემს ამბავთან ერთად აქუშოსა და ბარისახოში ჩემი საკუთარი თვლით ნახიცი მოვუყევი, ისიც საშინლად შეწუხდა. ამ დროისათვის, რაკი უკვე გამოძმეშავებული მქონდა ჩემი შემდგომი მოქმედების გეგმა, საუბრის დასასრულს ძალლიკასაც გავუზიარე იგი ზოგადად.

გზაში ცხენი დამიკოჭლდა, რადგან ცუდად დამინალეს და ლურსმანი ჰქონდა ნაწევი. ამიტომ სასწრაფოდ გავი და კვერი ვთხოვე ჩემს მასპინძელს, რათა ცხენისთვის ნალი ამეყარა და ის ხელახლა დამენალა. უნაგირიც მოვხადე საცოდავ პირუტყვს, რომ მას ოდნავ შეესვენებინა დალილი ზურგი. ეს ცხენი რუსებისაგან გეყავდა წართმეული და ძალიან დატანჯულიც იყო ამდენ ჭავში: ჭერ ისინი ხდიდნენ სულს ჰენებით და ახლა კი მე ვარბენინებდი.

ძალიკამ რომ გავი და კვერი მომიტანა, ცხენს ნალი ავავადებინე და დანით ამოვჭერი ერთი ნალურსმევი, საიდანაც ცოტა ჩირქი ამოვიდა. მე იმ ადგილას პატარა დაწეწილი თოკი ჩავდე, ცოტაოდენი ნავთი ჩავასხი და უმალ დავნალე, მე ეს ზერბი კვლავაც მქონდა ნაცადი და ვიცოდი, რომ მცირე მანძილის გავლის შემდეგ აღარ იკოჭლებდა.

სანამ მე ამ საქმით ვიყავი დაკავებული, ჩემი მასპინძელი იქვე ჩემს მახლობლად იდგა და უყურებდა, როგორ ვნალავდი ცხენს. ამ დროს ორი ხანშიშესული ხევსური მოვიდა. მათ ჩემი მასპინძელი გვერდზე გაიხმეს ცალკე სალაპარაკოდ. ვიდრე ხანდაზმულნი ჩემს მასპინძელს ესაუბრებოდნენ, მე ცხენს ვკაზმავდი და წასასვლელად ვემზადებოდი, რადგან ვფიქრობდი, დაღამებამდე საკმარისი დროა ჭერ კიდევ და ჭარეგოში ჩასვლას მოვასწრებ-თქო, ამასობაში ორმა ახალგაზრდა, თოფიარაღში ჩამჭდარმა ხევსურმა ჩაიარა სწორედ იმ გზაზე, რომელზეც მე უნდა გამეგლო ნახევარი საათის შემდეგ. ეს მე ცუდად მენიშნა და მაშინვე ეჭვი დამებადა, რომ ისინი საკაიკაცოდ კი

არ მიდიოდნენ, არამედ ჩემი გაძლიერებულთ გუნებაში. ცოტა ხანში, მერისახოში იყო ცხენს უნაგირს ვადგამდი, რომ ჩემი მასპინძელიც მობრუნდა ჩემთან და მითხრა: „მოხსენი უნაგირი; ამაღამ ჩემი სტუმარი იყავი“-ო. მე ცივ უარზე დავდექი, მაგრამ მტკიცედ დავრწმუნდი, რომ იმ ორ ახალგაზრდა შეიარაღებულ ხევსურს, რომელთაც გზაზე ჩაიარეს, ჩემი მოკვლა ჰქონდათ განზრახული, რომ ჩემი კარაბინი, მალუერი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ცხენი დაენარჩუნებინათ ნადავლად. თურმე ნუ იტყვით და, ჩემს მასპინძელს თავის გულუბრყვილობით ჩემი ნამდვილი ვინაობა დაუმაღავს, ვაჭრად გავუსაღებე იმ ახალგაზრდებთან და უთქვამს, ვითომც საკლავი საქონლის სასყიდლად მივდიოდი ჩეჩენებში. როგორც ჩანს, ეშმაკის ცთუნებამ აიყოლია ის ახალგაზრდები და აფიქრებინა: ამას ფულიც ბლომად ექნებაო, ხოლო მე კი ერთი შაურიც არ მეგდო ჭიბეში!

ამის გამო ცუდად შემექნა გული და სულ წამიხდა ხასიათი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე: „აუცილებლად წავალ; წანი გავარდეს, თუ ასეთია ჩემი იღბალი“-თქო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვიდავეთ, მაინც არაგზით არ გამიშვა ჩემმა მასპინძელმა და დაიქინა: გინდა თუ არა, ამაღამ ჩემთან უნდა დარჩე და დილით მეც შენთან ერთად წამოვალ ჭარეგოშიო. ამ დავაში მან სამჯერ მომიხადა ცხენზე დადგმული უნაგირი და ბოლოს, რახან აღარ მომეშვა, მის ნებას დავყევი და ის ღამე მასთან გავათიე.

ძალიკას ცოლი აღარ ჰყავდა, მაგრამ თვრამეტ-ცხრამეტი წლის მშვენიერი გოგო უტრიალებდა ოჯახში და იმ ღამეს იმან მოგვიმზადა ხინკალი. როგორ გავიდა დრო ჩემს სტუმართმოყვარე ოჯახის კაცთან მასლაათში, არც კი გამიგია. ბოლოს, როცა დასაძინებლად წამოვდექით, მან ერთ სავარძელზე მიმითითა და მითხრა: „აი, აქ დიძინე შენ; მაგ სავარძელში ეძინა ფილიპე მახარაძეს; იგი იმისათვის მომიყვანეს,

რომ ჩეჩნეთში გადაწყვიტა; ფილიპე მხარაძემ გვილაღა და შენც არ გვილაღატო“-ო.

მეორე დილით ძალღიკამ შეკაზმა თავისი ჯორი, გადაიკიდა მხარზე თოფი, გამიძღვა წინ და მიმიყვანა ჯარეგოში. იქ მან იმავე ქისტებს მასტუმრა და ასე უთხრა იმათ მოლას: „ეს ქაქუცას კაცია; ერთი ბეწვიც არ უნდა დააკლდეს ამას; ხელი მოუწყვეთ ყველანაირად“-აო.

გზაში, სანამ ქისტებთან ჩავიდოდით, ძალღიკა გამომიტყდა, რომ ის ორი ახალგაზრდა ხევსური მართლა ჩამსაფრებიო მოსაკლავად და ამიტომ აღარ გამოვეშვივარ წინა ღამით. აბა, გულითადი მადლობის მეტი რა მეთქმობდა ჩემი პატროსანი და პატრიოტი ხევსურისათვის!

ჯარეგოში ჩემთან ახლად დამეგობრებულ ქისტებს გავანდე ჩემი გულისხნადები: მე როგორმე საქართველოში მინდა-მეთქი გადასვლა და ამისთვის მათ ვთხოვე პანკისიდან გადმოსული ქისტები გამოენახათ ჩემთვის, რადგან ვიცოდი, რომ შემოდგომით იქიდან ჩეჩნეთში მუდამ შემოდდიონენ ხოლმე საქართველოს ქისტები. ამ გარემოების გამო, იმათთვის ჩემი თხოვნა დიდი არაფერი ბედენა გახლდათ და სულ მალე გამომინახეს პანკისელები. ერთი მათგანი ჩემი ძმადნაფიცის ბიძაშვილიც კი გამოდგა და, ესეც რომ არ ყოფილიყო, მე ხომ ისედაც ბევრი ნაცნობობა მყავდა პანკისელ ქისტებში. ასე გამოვემგზავრე საქართველოში ორი თუ სამი დღის შემდეგ, თუმცაღა დიდად სახიფათო იყო კავკასიონის ქედზე გადასვლა, ვინაიდან იქ მუდმივი ყარაული იდგა

პანკისში მე გადაუდებლოვ შევხვდი ჩემს ძმადნაფიცს, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ცხოვრება ლეგალურად. ამგვარად, ამ ძმაცაცის და მრავალი სხვა ჩვენი აგენტის საშუალებით შევუდექი ჩვენი რაზმის ძებნას, მაგრამ

მე მათ ასავალ-დასავალსაც კი ვერ ვაგენი. არც იყო გასაკვირი, ჩვენ იმ ხანებში იმდენად ძლიერდებოდა ხელისუფლება, რომ ყოველ მაზრაში ჰყავდათ გამოყოფილი დიდი მღვევარი. ამის გამო ფრთხილობდა რაზმი და ხშირ-ხშირად იცვლიდა თავის ადგილსამყოფელს, ამ მიზეზით იყო, რომ ძალიან ძნელდებოდა მათი მონახვა და, მე თუმცაღა სექტემბრის თვეში დავებრუნდი პანკისში, დეკემბრის პირველ კვირაში ძლივს მივაკვლიე მათ, მაშინვე მივაწვდინე ხმა, რომ ცოცხალი ვიყავი და შევატყობინე, სად ვიმყოფებოდი, ამნაირად ვიყავი მოწყვეტილი რაზმს სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. ჩემი გამოჩენის იმედი რომ გადაეწყვიტათ, ქაქუცას და რაზმელებს გადაუწყვეტიათ, ალბათ დაილუპაო.

როდესაც ჩვენი რაზმი ხევსურეთიდან კვლავ კახეთში დაბრუნდა, ჩემი ნათესავი მისულა მათ სანახავად და, იქ რომ არ შევხვდებოდივარ, მოვეუბოთხივარ, მაშინ იგი მოუტყუებიათ, ქაქუცამ საქმეზე გაგზავნაო, ამასობაში კომუნისტებშიც ვავარდნილა ხმა და თვით ჩემი რაიონის რეკომშიც გამოუკრიათ განცხადება, ვითომდა მომკლეს, მაგრამ თუ კაცს განგებისაგან დღე და სიცოცხლე უწერია ბედად, მას წითელი ეშმაკიც ვერას დააკლებს!

მე ძალიან გამიძნელდა სამი თვე მარტოცა ხეტიალი ტყეში, თუმცა კი ღამით ხშირად ჩავდიოდი პანკისის სოფლებში თითო-ოროლა საათით და მერე კვლავ ტყეში ვბრუნდებოდი. იქ ვიჯექი ხოლმე ჩემთვის წაბლის ხის ქვეშ, ზემოდან მისი კაკლები ცვიოდა და მე კი ნება-ნება შევექცეოდი მათ. აი, ასე ვფხიზლობდი თანაც, რადგან მეტად საშიში გახლდათ იქ ძილიც კი იმის გამო, რომ იქვე მახლობლად იყო ოსების სოფელი დუმასური, სადაც ჯაშუშები და კომუნისტები იყვნენ ყველანი დიდიან-პატარაიანად. მე, რა თქმა უნდა, ხანდისხან ჩამთვლემდა ხოლმე და, ფრინველი რომ დაიფრთხილებოდა, მა-

შინვე ფეხზე წამოვხტებოდი, თითქო-
და ვინმე მოდიოდა ჩემსკენ.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, ჩვენი
ერთი შეფიცული, შალიკო კანდელაკი,
დაქრილი დავტოვეთ ხევსურეთში, ჩე-
მი ვარაუდით, ამ ხნის განმავლობაში ის
უნდა გამოჩენილიყო და, რახან მის შე-
სახებ ვერაფერი გავიგე, აგენტები და-
ევგზავნე. როგორც იყო მივაგენი და
ჩემთან ჩამოვყავანიე დაახლოებით ნო-
ემბრის ნახევარში. ახლა ჩვენ ორნი გა-
ეხდით. მალე ჩვენ შემოგვიერთდა ჩემი
ძმადნაფიცო დათიკო ფარეულიძე, რად-
გან აღმაცერად უცქეროდნენ კომუნის-
ტები და სახლში აღარ დაედგომებო-
და. იმჟამად ის ალბათ ოცდათხუთმე-
ტი წლის მაგარი ვაჟკაცი იყო და ამას-
თანავე საუკეთესო მსროლელიც. ამ
სამში, დიდი ხანი არ გასულა, რომ
სწორედ დათიკო გაგვიხდა ავად. საში-
ნელი სიცხე ჰქონდა. როგორც იყო,
ერთხელ მოვახერხეთ და ამოვიყვანეთ
ფერშალი, რომლისგანაც გავიგეთ, რომ
მას მუცლის ტიფი სჭირდა. საშინლად
შეგვაშფოთა ამ ამბავმა. რაიარად უნ-
და მოგვევლო ამ ტყეში ავადმყოფისა-
თვის, როდესაც მუხლამდე თოვლი
იღო და სიცივე ძვალ-რბილში ატანდა?
მაგრამ გაჭირვებაში ხომ ჩიტი ჩიტო-
ბით ეხიზნება ღობეს! ამგვარად, გამო-
გონების ამ ბრძენმა დედამ ჩვენც აგ-
ვახტუნა აღმართში. კლდის ძირას ერ-
თი მაგარი ვაჟე ადგილი გამოვძებნეთ,
იქ გავუშალეთ ლოგინი, მალლიდან კა-
რვის პატარა ჩარდახი წამოვახურეთ
და წინაც კარგი ცეცხლი დავუთეთ.
ამ საზრუნავს რომ თავი გავართეთ,
ჩვენ ახლა საკვები გავვიხდა საფიქრე-
ლი, საწვავს კი გვიზიდავდა დათი-
კოს ძმა ღვინეში, მაგრამ როგორ გვე-
საზრდობინა მუცლის ტიფიანი ავად-
მყოფი? მას ხომ სპეციალური კვება
სჭირდება, რისი საშუალებაც ჩვენ არა
გვქონდა. მაგრამ ალბათ გაგონილი გე-
ქნებათ ჩვენებური ძველებური: „დი-
დი პირისა წამალი პატარა არის სამ-
ყოფი“-ო; ჰოდა, რახან ესეც მახსოვდა,
რომ დიდმა ჰამამ მოჰკლა კაციო, ავარ

მოგახსენებთ, როგორ მოვარჩინე ავად-
მყოფი პატარა ჰამით: წითელ ლობიოს-
ვხარშავდი, მერე მას მარლაში ვჭურა-
ვდი და აი, ამ წვესს ვასმევდი მას! სა-
ბედნიეროდ, სიცხემ ნელ-ნელა დაუკ-
ლო და ავადმყოფი გამოკეთდა. მაგრამ
დახეთ ბედის უკუღმართობას! ჩვენდა
საუბედუროდ, სულ უფრო და უფრო
უმატა თოვლმა. ამის გამო ვეღარც
ჩვენ ჩავდიოდით სოფელში და ვეღარც
თუ ჩვენთან ამოდიოდა ვინმე იქიდან,
რომ ნაფეხურები არ დაჩენოდა
თოვლს. საქმე ის არის, რომ ამ სოფ-
ლის თავში მდებარე ომალოს ტყეებით,
სადაც ჩვენ ვზინადრობდით, კომუნის-
ტები დაიარებოდნენ ხშირად სოფე-
ლში და ამდენად, საფრთხილო იყო,
რომ თოვლზე დარჩენილი ნაკვალევე-
ბით არ მოეკვლიათ ჩვენთვის, ჩვენ
უმეტესწილად შალიკო გვყარაულობ-
და, ვინაიდან მე მიხდებოდა ავადმო-
ფის მოვლა და ცეცხლის მიმარჯვება.

ამასობაში ჭაქუცასგანაც მოვიდა ამ-
ბავი, რომ დაახლოებით თხუთმეტ დე-
კემბრის შემდეგ შემატყობინებდა, თუ
სად იქნებოდა რაზმი. სწორედ იმ ხა-
ნებში ჩამოვყავანიე ბადურიც, რომე-
ლიც ფშავში იყო ჩარჩენილი, ოცდა-
ერთ დეკემბერს მოგვივიდა კაცი ჭაქუ-
ცასაგან. ეს იყო ალექსი ფეიქრიშვილი,
მეტსახელად „ბათირა“. მას უნდა მი-
ვეყვანეთ შეფიცულების ბინაზე. დათი-
კო ახალმორჩენილი იყო ტიფისგან და
იმდენად სუსტად გრძნობდა თავს ჯერ
კიდევ, რომ ბარბაცებდა, და ეს მაშინ,
როცა ჩვენ რვა თუ ცხრა კილომეტრი
გვქონდა გასავლელი, რომლისაგანაც
ორი-სამი კილომეტრი აღმართი იყო.
სხვა რა გზა გვქონდა, შევსვით დათიკა
ცხენზე, მე და ბათირა გავუძებნით წინ,
ხოლო შალიკო და ბადური უკან მოს-
დევდნენ მას, ძალიან სახიფათო იყო
ამ გზაზე სიარული, რადგან შესაძლოა
მილიციას წაეწყდომოდით, მაგრამ ჩვენ
ამისთვისაც მზად ვიყავით. სხვათა შო-
რის, ბათირა ჯერაც არ ირიცხებოდა
რაზმში, მაგრამ ის ჩვენი საუკეთესო
აგენტი გახლდათ. ამგვარად, მან ჩვენ

მშვიდობით ჩაგვიყვანა ბინაზე, რომელიც მატნის თავის, ეგრეთ წოდებულ მთაწმინდის ტყეებში იყო მოთავსებული.

ვერ წარმოიდგენთ ქაქუცას და დანარჩენი რაზმელების უსაზღვრო სიხარულს ჩვენთან კვლავ შეხვედრისას, რადგან მათ ხომ ჩვენ მკვდრები ვეგონეთ. უცხო თვალისთვის ძნელსაცნობი იყო ქაქუცა, ვინაიდან იმ ხანებში ჩვენ ორივე წვერებს ვატარებდით, რომ ადვილად არ ვეცნეთ ჩვენს მრავალრიცხოვან ნაცნობებს კახათში. რაზმელებს საკლავი დაეკლათ და ხინკალს ამზადებდნენ ჩვენს დასახვედრად. მე მისალმებისთანავე დავიწყეთ რაზმელთა დავალიერება. ვინც კი იქ ვერ ვნახე, ვკითხულობდი, თუ სად იყვნენ, ზოგი მათგანი მართლა გაგზავნილი იყო, მაგრამ ქაქუცას ძმა სიკო რომ მოვიკითხე, ყველა გაჩუმდა, მხოლოდ ქაქუცამ მიპასუხა, საქმეზე გავგზავნეო, მაგრამ მე ეჭვი შემეპარა და ვედარ ვისვენებდი. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ შევეკითხე. იგივე პასუხი მივიღე. ახლა რაზმელებს დავუწყებ გამოკითხვა, მაგრამ შევამჩნიე, რომ ყველა მატყუებდა. ჩემი გუმანი მართალი გამოდგა: ისინი ქაქუცას გაეფრთხილებინა, ჯერ ნურადფერს ეტყვიეთო. მან იცოდა, რომ ძალიან მეწყინებოდა, რადგან მე სიკოსთან ჯერ კიდევ რაზმის შექმნამდე ვიყავი უფრო მეტად დაახლოვებული, ვიდრე ქაქუცასთან. როგორც იქნა, მეორე დღეს ერთ ერთი შეფიცული გამოვტყეხე და მან მითხრა, რომ იგი ლავოდების ტყეებში მოჰკლესო, საშინლად მეწყინა და ტირილი ამივიარდა. ისევ ქაქუცა მამშვიდებდა: ხომ იცი, როგორ მიყვარდა მე სიკო; რა ვუყოთ, ის ხომ ქურდობაზე არ მოუკლავთ, სამშობლოს შესწირა თავიო.

როგორც ზევითა მაქვს ნათქვამი, ზევსურეთიდან ქაქუცა კახეთისკენ გაეშურა. ის მთელი რაზმით გადავიდა სიღნაღის მაზრაში. იქ მას კიდევ რვა

კაცი შეუერთდა მოლაშვილის მეთაურობით. ერთხანს რაზმი ლავოდების ტყეებში ტრიალებდა. იქვეა რაზმის რამდენიმე სოფელი. თურმე ერთმა ოსმა გასცა მათი ბინა. რაზმს ჩუმად მიბარვიან სამი მხრიდან და აუტეხიათ სროლა. ამ სროლაში რაზმელებს ოთხიხუთი პარტიული თუ მილიციონერი მოუკლავთ. როდესაც დანარჩენები გაქცეულან და სროლა შემწყდა, რაზმელებს მოსინჯვა დაუწყიათ იმის დასადგენად, თუ საიდან მიეპარნენ. განსვენებული სიკო თურმე, თითოთ უჩვენებდა: „აი, იმ ბარდებიდან დაიწყეს სროლა“-ო, სწორედ ამ თითით ჩვენების წამს გავარდნილა თოფი და მოუკლავთ არა მარტო სიკო, არამედ კიდევ ერთი შეფიცულიც — ახალგაზრდა ქართლელი ბაღდო, რომლის გვარიც აღარ მახსოვს. როგორც შემდგომ გარკვეულა, იმ ბარდებში დარჩენილა ერთი დაქრილი ოსი და იმას მოუკლია ის ორი კაცი, რა თქმა უნდა, ისიც იქვე წაუკლავთ მათთვის, მაგრამ რალა დროს: მან ხომ უკვე მოასწრო ორი რაზმელის გაფუჭება!

ჩვენ თუ ტყე-ღრეში დავებეტებოდით და იქ მოველოდით საფრთხეს წამიდან წამზე, არც შინ დარჩენილი ჩვენთანებისათვის იყო ცხოვრება მარტოდენ სიამ-ტკბილობა, ცხადია, მტერი არც მათ აძლევდა მოსვენებას ჩვენს გამო და მათი საშუალებით ცდილობდნენ ჩვენს ხელში ჩაგდებას, მაგრამ მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ენით აუწერელი გულმტკიცობა გამოიჩინა თითქმის ყველამ, მხოლოდ გამოჩაქლისი შემთხვევა რომ არ ჰყენდეს ოდნავ ჩრდილს იმ წარსულის დღეთა მოგონებას. თუმცა, განაღა არის სინათლე, რომელსაც არ ახლავს ჩრდილი? რადგან ასეთია ეს მუხთალი წუთისოფელი, არც არაფერია აქ მოულოდნელი და მგონი, რომ შინაგან გამცემლობასაც ჰქონდა ადგილი ერთ შემთხვევაში. ვამბობ, მგონია-მეთქი, ვინაიდან ძნელია თვალდაუნახავი საქმის განსჯა, მაგრამ მოვლენათა გარკვეული თანდა-

მთხვევა ბევრ რამეს ვაფიქრებინებს ადამიანს და დავანახებს გონების თვალით, აი, როგორ მოხდა ეს: ქიზიყში ტრიალისას ერთმა შეფიცულმა, მიხა ბალიაშვილმა, სთხოვა ქაქუცას, რომ ღამით ცოლ-შვილის სანახავად გაეშვა. მან ცოლს წინასწარ შეატყობინა დრო, როდესაც ის შინ უნდა მისულიყო. ახლაც არ ვიცი დანამდვილებით, სახლს კომუნისტები ყარაულობდნენ, თუ ცოლმა უღალატა. სახლში მისვლისას ჩეკისტებმა მიხას დაჭერა დაუპირეს. იგი არ დანებდა და სროლაში მოჰკლეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ შეფიცულს თავისიანმა უღალატა, თუკი ეს შემთხვევა მართლა ღალატი იყო.

ერთ ღამეს ქაქუცა თავის ბიძის, შაქრო ჩოლოყაშვილის, სანახავად წავიდა და მეც თან წამიყვანა. შაქრო სოფელ მატანში, ჩოლოყაანთ ციხეში ცხოვრობდა. ეს იყო სამოცდათხუთმეტოდე წლის ზორბა მამაკაცი თოვლივით თეთრი მოკლე წვერით, დიდი დარბაისელი და სიმპათიური ადამიანი. იგი გახლდათ ძველი სიმღერების განთქმული მომღერალი და ყველა სუფრის უცვლელი თამადა.

შაქროს ძალიან გაუხარდა ძმისწულის ნახვა, ქურდი ცრემლიც კი გადმოუგორდა თვალიდან, მაგრამ მალე გაიმაგრა გული და ხვეწნა დაგვიწყო, რომ იმასთან გვევასშმა. ჩვენ უარი ვუთხარით, რადგან საფრთხილო იყო იქ დიდი ხნით დარჩენა. ცოტა ხნის შემდეგ იგი მეორე ოთახში გავიდა, საიდანაც ძველებური ხანჯალი გამოიტანა და მან ამ სიტყვებით უფეშქაშა ის ქაქუცას: „აი, ჩემო ძმისწულო, ეს მამაპაპური ხანჯალი შენა გქონდეს ჩვენი მტრების ვანსაგმირავად. ვიცი, შენ უფრო გაუთქვამ სახელს ჩვენს გვარს საქართველოს სადიდებლად“-აო.

იშვიათად როდი იბარებდნენ დასაკითხავად ქაქუცას დედას და მის უფროს ძმას, შაქრო ჩოლოყაშვილს, იმის თაობაზე, თუ სად იმყოფებოდა ქაქუცა. ერთხელ, როცა მეტის მეტად მოაბეზრეს თავი განსვენებულ დარო ჩოლო-

ყაშვილისას, გვითხარითო, სად არის თქვენი შვილი, ასე უპასუხია გვერდებულ და თავმოებზრებულ ქალს. რას ჩამცივებოხართ; ის იქ არის, სადაც უნდა იყოს; ის მგელია, თქვენ — ძაღლები; წადით და დაიჭირეთ, თუ შნო გაქვთ“-ო. ამის შემდეგ თავი დაანებეს ქაქუცას დედას. სამაგიეროდ, ქაქუცას უფროსი ძმა შაქრო ჰყავდათ დატუსაღებული, ცოტა ხანს, ჩასცივებიან, რომ ქაქუცასთან წასულიყო მოსალაპარაკებლად: გვინდა გავიგოთ, რისთვის გვებრძვისო. მას უარი განუცხადებია ამ სამსახურის გაწევაზე და ეს უთქვამს: „მე არ მინდა მასთან შეხვედრა; მე ციხეში მიჩვევინა ყოფნა, თორემ შარს მომდებთ, შენ ძმას ხშირად ხვდები“-ო. ბოლოს, ბევრი ხვეწნისა და დაპირების შემდეგ, რომ ხელს აღარ ახლებდნენ, შაქრომ იკისრა მოლაპარაკება.

ერთ დღეს ჩვენთან მოულოდნელად მოვიდნენ შაქრო და ბიძინა ჩოლოყაშვილი, ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი მოსვლა ჩვენთან. ასე მიმართა შაქრომ ძმას: „აი, მთავრობამ გამომგზავნა შენთან მოსალაპარაკებლად. პირველი, თხოულობენ პასუხს: რა მიზეზით გვებრძვის, რას მოითხოვს, რა უნდაო? მეორეც, წინადადებას გაძლევენ, რომ შენი რაზმით საზღვარგარეთ გახვიდე. ფულს რამდენსაც მოითხოვს, მიიღებ-სო. თუკი არ გვენდობა, საზღვარზე გადასვლის დროს მთავრობიდან მოგვთხოვოს მძევლად ვინც უნდა და, როდესაც საზღვარზე გადავლენ, მძევალი უმტკივნეულოდ უნდა გაათავისუფლონ, თორემ თუ მოკლეს, მთელ იმათ ნათესავებს დახვრეტავენ“-ო.

შაქრომ რომ თავის სათქმელი დაამთავრა, ქაქუცამ უპასუხა: „დამოუკიდებლობის დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატები უდგნენ სათავეში. ჩვენ ძალიან არ მოგვწონდა მათი საქციელი, მაგრამ საქართველო დამოუკიდებელი იყო, მთავრობაც ქართული იყო და ჩვენ გულმოდგინედ ვემსახურებოდით მას მიუხედავად იმისა, რომ



ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდით, რად შემოუძღვნენ რუსის ჯარს და ვაი-ვაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა ხელმეორედ რატომ ჩააბარეს რუსებს? თუ ქართველ ერს მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება ჩვენ წინააღმდეგნი არ ვიქნებით და ისევ ისე ვემსახურებით მას, როგორც ეს იყო მენშევიკური მთავრობის დროს, ოღონდ კი რუსის ჯარი გაიყვანონ და საქართველო დამოუკიდებელი იყოს. რაც შეეხება მათ წინადადებას, რომ იმდენ ფულს მოგვცემენ, რამდენიც გვინდა, ჩემი უფროსი ძმა კი ხარ, მაგრამ ამისთანა დავალებით ჩემთან აღარ მოხვიდე... ჩვენ პატრიოტები ვართ. ჩვენთვის საქართველოს თავისუფლება და მისი სიდიადე არის ძვირფასი და არა ფული. ჩვენ იმათთანა ავანტურისტები და სამშობლოს მოღალატენი არა ვართ, რომლებმაც გაყიდეს საქართველოს კირითა და ვაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა, და თუ კიდევ შერჩენიათ ერთი ბეწო რაიმე ქართული, როგორც შემოუძღვნენ რუსებს, ისევე მოახერხონ მათი თავიდან მოშორება. ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მანამდისინ შევძლებთ, და თუ ჩვენ ვერ შევძელით ამ დიადი საქმის სისრულეში მოყვანა, მომავალი თაობა გააგრძელებს ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს. აი, ეს ყველაფერი, რაც მე გითხარ, მათ გადაეცი“-ო.

ამ ლაპარაკის დროს მე იქ ვიყავი პირადად ჩემი ყურით მესმოდა ყველაფერი. ამ მოლაპარაკებაში ერთი წინადადება არ არის დაწერილი ვისმე გადმოცემით და სიტყვა-სიტყვით მომყავს თვით ქაქუცას ნათქამი. ამ საუბრის შედეგად შექმნილი არასასიამოვნო ატმოსფეროს შემდეგ საკმარისად დაღონებული გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს ორივე მხარე და ამნაირად დავცილდით ჩვენ სამუდამოდ შაქროსა და ბიძინას. მატანში ცხოვრობდა ქაქუცას ბიძაშვილი, ანეტა ჩოლოყაშვილი, ეს გახლდათ დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის დიდად კულტურული ადამიანი.

იგი იყო უაღრესი პატრიოტი და მწიგნულოვან დახმარებასაც გვიწვევდა ეს იყო ჭკვიანი და მოხერხებული როგნება და მას ვგზავნიდით სხვადასხვა დავალებებზე. ანეტას თუმცა დამთავრებული არ ჰქონდა საექიმო დარგი, მაგრამ ის იყო ჩვენი მომმარაგებელი წამლებითა თუ კრილობებისთვის საჭირო სხვა მასალებით. ერთ დღეს ის ანაზღაურულად დაატუსაღეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი საშინლად აწამა ჩეკამ, მისგან მაინც ვერაფერი გაიგეს და ეს ფასდაუდებელი ქართველი ქალის განსახიერება დახვრიტეს 1922 წლის დამლევს, თუ ცოტაოდენ მოგვიანებით, 1923 წლის დასაწყისში, აღარ მახსოვს ზუსტად. ეს იყო მანდილოსნის დახვრეტის პირველი შემთხვევა საქართველოში.



1922 წლის შობა-ახალწლის უქმეებში ჩვენ გადავწყვიტეთ რიგიანად შეგვესვენებინა მოქანცული რაზმი. ამას გარდა, ზოგს ტანისამოსი და საცვლები შემოაცვდათ და საჭირო იყო მათი შემოსვა. ამისათვის წინასწარ შევატყობინეთ, სადაც საჭირო იყო, რომ საცვლები და ტანისამოსი დაემზადებინათ ჩვენთვის.

დავიწყეთ მზადება სოფლებში წასასვლელად, რაზმელები პირს იპარსავდნენ და კოპწიანობდნენ. მაღაქია კრეკდა ბიჭებს, მართალია, კიბე-კიბე, მაგრამ გაბურღლნულები მაინც ხომ აღარ იყვნენ. ლელო ჩიჭოვანს შარვალი სულ მთლად შემოეძარცვა ტანთ და ყველაფერი უჩანდა. რა უნდა გვექნა, ისე ხომ ვერ მივიყვანდით ოჯახებში?! კიდევ კარგი, რომ ერთი საბანი გვექონდა მის იღბლად. ის მე მას პირდაპირ წელზე შემოვახვიე, მაკრატლით ლაჭებში გაუქპერი, მსხვილი ძაფით ზედვე შემოვაკერე და გამოვიდა შარვალი! და აი, ასე წავიყვანე ჩვენი ასტინა. შეიძ-

ალექსანდრე სულხანიშვილი
მოგონებები შევიცვლთა რაზმზე.

ლება ბევრმა არ იცის, რომ ასტინა მაიმუნის სახელია და ჩვენ რაზმში ამ სახელს ვეძახდით ლელოს.

შეგვარად, შობის მესამე დღეს, ჩვენ მთელი რაზმით გავემგზავრეთ ჩვენს რაიონებში, სადაც ყველანი კარგად გვიცნობდნენ. ეს ადგილები იყო, მაგალითად: რუისპირი, იყალთო, თალააური, აწყვერი, ხოდაშენი, ოკიო, ხორხელი და სხვანი. მე აწყვერში ვცხოვრობდი, ჩემს სამოსახლოსთან ახლო, თავის ცოლ ნინო მეღვინეთუხუცესიშვილის სახლში ცხოვრობდა ქაქუცაც, რადგან სრამპრს და მის ძმას მშვენიერი ოჯახი ჰქონდათ, ხოლო ქაქუცას ძმები და დედა კი სოფელ მატანში ცხოვრობდნენ ჩოლოყაანთ ციხეში. მე კარგა ვიცნობდი ქაქუცას მეუღლე ნინოს, ვინაიდან ერთი ხნისანი გახლდით და ისე ვიყავ მასთან შეზრდილი, როგორც ჩემს საკუთარ დებთან.

ჩავედით ერთ სოფელში. იქ ჩვენთვის ორ ოჯახში იყო გამზადებული სუფრა. იმ დროს ჩვენი რაზმი ორმოცი კაცისგან შედგებოდა. ჩვენ ორ ნაწილად გავიყავით და ოც-ოც კაციან მოლხინეებად ვესტუმრეთ ყოველ მათგანს, უბირველეს ყოვლისა, რაზმელებმა მიიღეს საცვლებიც და ტანისამოსიც, ვისაც რა აკლდა. ლელომ ახალი შარვალი მიიღო და იქვე ჩავაცვიტო, რაც ტანთ ემოსა, იმის გაძრობა ისევ ჩემი საწვალებელი გახდა. ჭერ საბნის ზედ შემოკერება რა იყო, და ახლა მისი დარღვევა სთქვით! თვითონ ქალებმაც კი ვერ გაიგეს ლელოს უბედურება!

მე საკმაოდ ბევრ ხალხს ვიცნობდი ამ რაიონებში და მეც მიცნობდნენ. კარგად ვიცოდი აგრეთვე ამ სოფლების ყოველი კუთხე-კუნძული და გზაბილიკებიც. ამიტომ მე დამავალა ქაქუცამ ჩვენი ორად გაყოფილი რაზმის ყარაულობის მოწყობა. იმ ოჯახებში, რომლებშიც რაზმელები იყვნენ, ყარაული იდგა გარედან. მე ერთი რაზმელი მახლდა თან და ხან ერთ ჭგუფთან მივდიოდი, ხან მეორესთან. გარდა ამისა, ორი სოფლელი დავგზავნე ცხენე-

ბით, რომ ნელა ევლოთ სოფლის ირგვლივ და, თუ რაიმე საეჭვოს დაინახა, დანენ, მაშინვე სასწრაფოდ შეეტყობინებინათ ჩემთვის. ყოველივე ეს ღონისძიება იმისთვის იქნა მიღებული, რომ რაზმელებს თავისუფლად ამოესუნთქათ და უშიშრად გაეტარებინათ დრო. დილით ადრე, სანამ ხალხი აიშლებოდა, სოფლიდან ტყეში გავედით, მეორე დამეს ისევ ორ ნაწილად გაყოფილ რაზმად დავებრუნდით ორ ოჯახში, სადაც იქ მცხოვრები პატრიოტები შემოგვიერთდნენ. ისინი იყვნენ არა მარტო ჩვენი მეგობრები, არამედ უაღრესად დიდი მომხრენი და დამხმარენიც. ყველა მათგანი ცდილობდა პატივი ეცა და ესიამოვნებინა ჩვენთვის. გაისმოდა კახური და ძველი ქართული სიმღერები, გულში ჩამწვდომი სიტყვები და სადღეგრძელოები. ქაქუცამ ნება დართო შეფიცულებს, რომ ზომიერად დაეღლიათ ღვინო, მაგრამ იქვე დააყოლა: „მთვრალი არავინ დავინახო“-ო.

სოფლიდან ჩვენ გაუთენებლივ გავედით ტყის მიმართულებით. ტყემდე სავალი სულ აღმართია. იმ სოფლების თავში, ტყისპირას, წმინდა გიორგის ცნობილი მონასტერია, სადაც დიდძალი მლოცავი დაიარება თითქმის ყოველ შაბათ-კვირას, ნამეტნავად შემოდგომაზე. კარგა არც იყო გათენებული, რომ მონასტრის მახლობლად მდებარე ერთ გორაკზე შევისვენეთ. შეფიცულები მინდორზე წამოწვენენ. უკვე ახლო იყო ტყეც. მგონებ ოციოდე წუთს გაგრძელდა ეს შესვენება. იქ, მონასტრიდან ერთი კილომეტრის მანძილზე, ელიას ძველი ეკლესია იდგა ტყეში, ეს იყო ჩვენი ბინა. მართალია, ნანგრევი იყო, მაგრამ წვიმის დროს კარგი თავშესაფარი გახლდათ, ბინაზე რომ მივედით, შეგნიშნეთ, ჩვენ ერთი კაცი, რამან ყანჩაველი გვაკლდა, რამაც ძალიან შეგვაწუხა, მაგრამ უკვე რძისფრად იღვრებოდა დილის ნათელი და ამდენად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა წასვლა მის საქებრად, რადგან შესაძლებელია ვინმეს ვენახეთ შეიარაღებუ-

ლები და მყის მიხვდებოდა, რომ რაზმი იყო დაბანაკებული იქვე ახლო, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ალბათ შესვენებისას ჩაეძინა რამანს და წამოსვლისას ვერ შევამჩნიეთ, თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ გვეგონა, როდესაც გამოიღვიძებს, მონასტერში მოვა, ეტყვის ვინც არის, ბერები მას შეინახავენ და საღამოზე ვიპოვითო, თითონ რამანი ჩვენ ვერ გვიპოვნიდა, რადგან ის კარგად არ იცნობდა იმ მიდამოებს სადაც ჩვენ შევისვენეთ, იქ წასძინებია რამან ყანჩაველს თუ განგებ გაიტრუნა, ეშმაკმა იცის მისი თავი, თუმცა ჭკუათმყოფელი ადამიანისთვის ჭიუტი ფაქტები თავისთავად ღალატებენ სიმართლეს! დილით, რა თქმა უნდა, ის მისულა მონასტერში, სხვებსაც უნახიათ იგი. საცოდავ ბერებს შეშინებიათ და თურმე დამალვას უშირებდნენ, მაგრამ მას თოფ-იარაღი გადაუყრია და თელავში წასულა. იქ, ცხადია, იგი ხელისუფლებთან გამოცხადდა და, ერთი სიტყვით, შეურიგდა მათ.

რამან ყანჩაველი ჩვენი მოღალატე გამოდგა. მისმა ღალატმა დიდი ზიანი მიაყენა როგორც ჩვენს ნათესაობას, ასევე მთელ ჩვენ მოკავშირეებსაც საერთოდ. ამ საძაგელი მოღალატის შესახებ დაბლა კიდევ მექნება ლაპარაკი.

რამან ყანჩაველის ღალატმა გამოაშკარაა ჩვენი იმ არემარეზე ტრიალი. ჩვენ ჭერ არაფერი ვიცოდით და იმ დამეს კიდევ ვაპირებდით სოფელში ჩასვლას. შუადღის ხანზე ჩვენს ბინაზე გულამოვარდნილი მოვარდა ჩემი ნათლიმამა მოსე ბაინდურაშვილი — ჩემი ნათლული იყო იმისი ბიჭი, მოსემ შეგვატყობინა, რომ სოფელს ალყა აქვს შემორტყმული და ჩეკისტებმა და პატრულებმა ხალხი ააწიოკესო.

მოსე ბაინდურაშვილი გახლდათ იმ რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კაცი: ჭკვიანი, საზრიანი, დიდი ქართველი,

საუკეთესო მომღერალი, კარგი ოქანის პატრონი და მისი ღირსეული უფროსი მე ძმასავით მიყვარდა ეს მხრივ მხრივ შემკული, არაჩვეულებრივი ადამიანი.

ამ თავზარდამცემი ამბის გამო შეიცვალა ჩვენი გეგმა, ამის გამო ქაქუცამ ორად გაყო რაზმი. ქაქუცასთან ერთად სოფელ ხორხელისკენ წავედით ცხრა კაცი, დანარჩენები მან იქ გაგზავნა, სადაც ზამთრის სადგომებისათვის იყო მონიშნული ადგილი: ახმეტაში, მატნის ტყეებსა და მთაწმინდის გორაზე ვეიქრობდით საზამთრო მიწურების აშენებას. რა დამავიწყებს იმ დღეს: ეს იყო 1923 წლის ზუსტად ხუთი იანვარი ძველი სტილით! ჩვენ წინდაწინ შევატყობინეთ ერთ ჩემს მეგობარს, რომ მათთან მივდიოდით. იქ დავრჩებოდით წყალკურთხევა დღისით, რომელიც ექვს იანვარს ემთხვეოდა, და დაღამებისას კი შვინდიანის ფონს მივაშურებდით, სადაც თუშები უნდა დაგვხვედროდნენ ცხენებით და მათ უნდა გავეყვანეთ ალაზანში.

სოფელ ხორხელში გულუხვად გავემასპინძლდა როგორც ჩემი მეგობარი, ასევე შორეული ნათესავიც. ამ ჩემი მეგობრის ოჯახში უნდა შევხვედროდით ექვს იანვარს ბიძაჩემ კოლა მალრაძეს. იქ მას ჩემთვის უნდა გადმოეცა ოთხმოცი ცალი მაუზერის ვაზნა, ჩემი საათი, რომელსაც შუშა ჰქონდა გატეხილი და ამის გამო დავუტოვე, და რაც ყველაზე მთავარია, დაშიფრული წერილი დამკომიდან. ქაქუცა სოფლის განაპირას, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე დავტოვე დანარჩენ შეფიცულებთან ერთად, ხოლო მე და გაბო ოზიაშვილი კი სოფელში წავედით ბიძაჩემთან შესახვედრად.

ჩვენს იღბლად, ეს ისეთი ბნელი დამე იყო, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდით. საშინლადაც ყინავდა. იმგვარი მწვავე ნიავი ჰქროდა, გეგონებოდათ, თითქოდა სახეს დანით გისერავენო. ახლა ამასვე დაუმატეთ პატარა ქინკლ-

ლიანობაც და სულ ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა ენით აუწყრელ ამაზრუნენ ღამეს დაესადგურებინა იმ არეშარეზე, მე შესანიშნავად ვიცნობდი როგორც იმ სოფელს, ასევე იმ ადგილსაც, სადაც ბიძაჩემს უნდა შევხვედროდი და ამდენად, შედარებით იოლად ვძლევდი ბუნების ჭირვეულობას.

ჩვენ გავიგეთ, რომ იმ ოჯახში, რომელშიც ბიძაჩემს უნდა შევხვედროდი, მრავლად იყვნენ სტუმრები. ამიტომ მომიხდა სანდო კაცის შეგზავნა, რომ ბიძაჩემი გარეთ გამოსულიყო, მან დიდი ხანი როდი გვალოდინა. გამოვიდა, გადმომცა ყველაფერი და მიამბო კიდევ, თუ რა ამბები დატრიალდა იმ სოფლებში, სადაც ამ ორი დღის წინ კარგი დრო გავატარეთ და ჯამუში ვაგვივიდა. ამასობაში ჩვენ გაბო გვყარაულობდა. ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, და ჩვენ ძალზე ხმადაბლა ვლაპარაკობდით, რადგან მოგხსენებათ, მინდორს თვალი აქვს და კედელს კი — ყურით, მით უმეტეს, რომ მე რამდენიმე საკითხი მქონდა გასარკვევი ბიძაჩემთან და თანაც დავალეზას ვაძლევდი.

უეცრად გაბო მოვიდა ჩემთან, თითო მიმანიშნა ერთ ადგილზე და წამჩურჩულა: „გაჩერდით; იქ ვილაკებები არიან“-ო. ჩვენ მაშინვე შევწყვიტეთ ლაპარაკი. იმ ეზოს ერთი მხრიდან ფურცლის ხეებით ჩარიგებული და მსხვილ მესერაშემოვლებული გზა ჩაუდიოდა. აი, მთელი იმ ეზოს სიგრძეზე მილიცია და პარტიულები იყვნენ ხეებს ამოფარებულები. იქიდან დაიძახა ერთმა: „ვინ ხართ?“-ო. თავდაპირველად მე არაფერი ვუპასუხე. მეორედ უფრო მბრძანებლური კილოთი დაიძახა: „ვინა ხართ?“ ახლა კი გავუპასუხე: „ჩვენ ვართ, სოფლელები“-ო. ამაზე უფრო რიხიანად მოაყოლეს: „ვინ თქვენა? დაყარეთ იარაღი“-ო. მაშინ არანაკლები რიხით შევაგებე მეც: „მოლით და წაიღეთ“-მეთქი, და თანაც გემრიელად შევუტურთხე. ამ ჩემს კურთხევას გაბომ პირველმა ააყოლა აკომპანიმენტი თა-

ვისი იარაღით და მთელი გზისპირადაც ატყდა საშინელი სროლა. ცუცხნაყუცხნა ეტყობოდა, რომ ისინი ბევრნი იყვნენ. ბიძაჩემს ხელი ვკარი, რომ წასულიყო და მეც ავამოქმედე ჩემი კარაბინი. ჩემი სროლის შუქზე დავინახე, რომ ბიძაჩემი მიწაზე იწვა. მე სროლით მივეუახლოვდი მას, ფეხი წავკარი და ჩუმი ვუთხარი: „ადე, თუ ცოცხალი ხარ, წადი აქედან“-ოქო. ამასობაში მე უკვე ჩამოვწვი ხუთი ტყვია და, რადგან შევნიშნე, რომ ისინი ბევრნი იყვნენ, კარაბინი მხარზე გადავიკიდე და ამჟამად მაუზერიდან გავხსენი ცეცხლი ყველა მხარეს, დაახლოებით ოცდაათი ტყვია რომ ჩამოვწვი, სროლა შეწყდა და გზის მეორე მხრიდან ღობის ლაწალუწი შემომესმა, აშკარა იყო, რომ ყველანი ვენახში გადაცივიდნენ და წყვილიდში კიგოების მტკრევის ხმა მომდიოდა. ამ დროს იმ ოჯახის აივანზე ბიძაჩემი და ვანო საყვარელიძე გადმოდგნენ და დაიძახეს: „ვინა ხართ? რას ისვრით აქა“-ო. მე შევბით ამოვისუნთქე ბიძაჩემის ხმის გაგონებაზე, რადგან ცოცხალი გადარჩენილიყო, მაგრამ დახედეთ ეშმაკს! სანამ მე ბიძაჩემის გარეთ ტრიალით ვიყავ გართული, ამასობაში გაბო დავკარგე, აღარ ვიცოდი, მოკლეს, დაჭრეს თუ გაიქცა; ის ხომ სრულიად არ იცნობდა ამ სოფელს. ამან სულ ამაფორიაქა სულიერად, ვფიქრობდი: „ნეტავი, საით წავიდა? ქაქუცას თუ მიაგნო, არა უშავს რა; მაგრამ მიაგნებს კი ამგვარ საშინელ ღამეში“-მეთქი. ამ ფიქრებში გართული დავდიოდი იმ ვეებერთელა ეზოში და ფეხებით ვეძებდი, მოკლული ან დაჭრილი ხომ არ არის-ოქო. მე მახსოვდა, რომ ამ ეზოს მეორე მხარეს ჯანარი და ბილიკი მიუყვებოდა, რომელსაც მე უნდა გავყოლობდი. იქვე მეგულებოდა საძნე გომურიც. თურმე ის უკვე დაეშალათ და შიგაუარებელ დამტვრეულ კრამიტს წავაწყდი. აბა, რას გაუარჩევდი სიბნელეში! აი, ამ კრამიტებში რომ დავიწყე ბორიალი, ნამტვრევების ჩხრიალი გაისმა



და მაშინვე მომამახეს: „დაყარე იარაღი“-ო. მათ ამ ბრძანებას სროლაც თან მოაყოლეს. ბათქა-ბუთქი იმდენად ახლოს ისმოდა, რომ მთლად დავბორიალდი და იარაღის ხმარებაც კი ვეღარ მოვახერხე. მცირე ხანს იმ ადგილზევე ჩავჯექე ყვირილი „დაყარე იარაღი“-ო, ჯერ კიდევ არ წყდებოდა. წამსაც არ გაუვლია, რომ მოვსულიერდი და გონსაც მოვეგე. სულ ახლო, ალბათ ორასიოდე ნაბიჯზე თუ ვიყავით ერთმანეთთან. მე კარგა დავაკვირდი მათ ცეცხლს და ალღოს აღებისთანავე დავუწყე სროლა მაუზერით. ჩემმა საპასუხო ცეცხლმა ისინი მალე ჩააჩუმა. აღარ ვიცი, გაიქცნენ, თუ რა მოუვიდათ. ესენი არ იყვნენ ბევრნი. ალბათ,

შვიდი კაცი თუ იქნებოდა. მაგრამ ერთია, რადგან

განგებაა, სწორად მოჰკლავს,
ერთი იყოს, თუნდა ასი!

ამბობს შოთა და მეც მწამს ამ უზენაესი ძალისა! ეს რწმენა კი, თავის მხრივ, გულკაჟობას მატებს საფრთხისა და ფათერაკების გზაზე მარტოღმავალს და სასოებით ამეორებინებს გულში ზებუნებრივ ძალთა მადიდებელი მგოსნის გამამხნეველ ნააზრევსაც:

მარტოობა ვერას მიზამს,
მცავს თუ ცისა ძალთა დასი!

ხოჩხელში მომხდარი ამ ინციდენტის შემდეგ გავარდა ხმა, რომ ჩოლოყაშვილის რაზმელები შეიარაღებულნი არიან ტყვიამფრქვევებითაო!

გაგრძელება იქნება



ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტის გაძლიერების გზას დაადგა. მალე გაირკვა, რომ ასეთი პოლიტიკა რეალურად ურტყამდა საბჭოთა კავშირს. მალენკოვმა და ბერიაშ აღვივალა დარწმუნებს სტალინი, რომ ედანოვის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში აღვივებს ნაციონალიზმს არა დასავლეთის, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; ედანოვს არ ესმის, რომ მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა სადემონსტრაციო გამარჯვების შემდეგ, როგორც თვით დასავლეთის მოკავშირეებმა აღიარეს (იანტა, თებერვალი 1945 წ.), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სსრკ-ის მოქმედების სფეროში მოექცნენ. ჩვენ ვაღივებულბა ვიკისრეთ აღვადგინოთ იქ დემოკრატია, და ჩვენ უნდა აღვადგინოთ იგი უმალეს საბჭოთა ფორმაში.

ასეთი იყო ბერიაშა და მალენკოვის პოზიცია. ამ ხაზის განხორციელებას, ედანოვის შტაბის ჯერდის ავლით, შეუდგა საბჭოთა პოლიტიკური პოლიცია. პირველად ეს ჩეხებმა შეამჩნიეს და გადაწყვიტეს გამოსულიყვენ კომინფორმის შემადგენლობადან. 1948 წლის მთავრობის შეთანხმებით ბერიაშ ჩაშალა მათი გეგმა, მაგრამ იუგოსლავიაში, რომელიც საუკეთესო პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ პირობებში იმყოფებოდა, დაუსჭელად დატოვა კომინფორმი. ამან საბოლოოდ გაანადგურა ედანოვი სტალინის თვალში. იუგოსლავიის კონფლიქტი საშოში იყო სტალინისათვის, როგორც პრეცედენტი, რომელიც შეიძლებოდა მგავლით გამხდარიყო სხვა ქვეყნებისთვის და ჩაეშალა გასაბჭოების მთელი სტრატეგია. საჭირო იყო ამ „პრეცედენტის“ ლიკვიდაცია, მაგრამ როგორ? ერთადერთი გზა იყო ტიტოს წინააღმდეგ სამხედრო გამოსვლაში. ხრუსჩოვან საუბარში სტალინს უთქვამს: „საკმარისია ვავანძრო ნეკათითი და ტიტო აღარ იარსებებს. იგი დაცემა“ (ნ. ს. ხრუსჩოვი. პარტიის XX ყრილობის დახურული სხდომის მოხსენება, გვ. 48).

ამ „ნეკათის ვანძრევისთვის“ საჭირო ფსიქოლოგიური ატმოსფერო შესაქმნელად, მალენკოვისა და ბერიაშ გეგმით, სტალინი იწყებს ედანოვის შეგობრებისა და თანამშრომლების ლიკვიდაციას. ასევე იწყება კამპანია მოკავშირე ქვეყნებში „ტიტოისტების“ წინააღმდეგ. ამ დრამატული ბრძოლების მრავალი ეპიზოდი ჭერად მოსკოვისა და აღმოსავლეთ ევროპის დელაქლექების პოლიცოური არქივების საიდუმლო წარმოადგენს. მაგალითად. თვით ტიტომ დააპატიმრა ჭილასი ზოგაერთი ამ ეპიზოდის სააშკარაოზე გამოტანისათვის („საუბრები სტალინთან“) მოუხედავად ამისა, შეიძლება ამ ისტორიის ნაწილობრივ აღდგენა.

უპირველეს ყოვლისა, ედანოვს ბრალად ედებოდა სამი საბჭოთა აქციის ჩაშლა: საბერძნეთში „გენერალ მარკოსის“ პარტიზანუ-

ლი ომის ორგანიზაცია, ბერლინის ბლოკადის შექმნა და თურქეთისადმი წაუყენებელი მოთხოვნა — საბჭოთა კავშირისათვის მიეცა ტრეტიების რაიონებში სასლავო ხაზების შექმნის უფლება (ამას ემატებოდა „საბჭოთა სომხებისა“ და „საბჭოთა ქართველების“ მოძრაობა აღმოსავლეთ ანატოლიის სომხურ-ქართული რაიონების შემოსაერთებლად). ყველა ეს აქცია არა მარტო ჩაიშალა, არამედ მათ ბიძებიც მისცეს ნატოს შექმნას და გახმაურდა „ტრუშინის დოქტრინა“ საბერძნეთისა და თურქეთის დაცვის შესახებ; მაგრამ მთავარი მიანიც სხვა ბრალდება გახლდათ: ედანოვი დიმიტროვთან და ტიტოსთან დანაშაულებრივ კავშირში ცდილობდა შეექმნა ბალკანეთის ფედერაცია. მართალია, ეს იდეა დიმიტროვს ეცოვანოდა, მაგრამ ედანოვმა რატომღაც ჩათვალა, რომ სწორედ ეს იყო სოციალისტური ფედერაციის შესახებ ლენინურ-სტალინური დოქტრინის არსი. მაცდური იყო დიმიტროვის იდეაში ნაფულისხმევი „განთავისუფლების“ გზაზე მდგარი საბერძნეთის ამ ფედერაციის შეყვანის შემადგენლობაც.

აი, დიმიტროვის აზრი: „თავიდან შესაძლებელია ფედერაციაში შევიდეს იუგოსლავია, ბულგარეთი, ალბანეთი, შემდეგ რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და, შეიძლება უნგრეთიც“ (მ. ბონ. მალენკოვი 1958, გვ. 55).

1948 წლის 21 იანვარს დიმიტროვმა ხოლმე მოაწყო პრეს-კონფერენცია, სადაც დაასაბუთა ბალკანეთის ფედერაციის აუცილებლობა. ვაუთმა „პრავდაში“, რომელიც უშუალოდ ედანოვს ექვემდებარებოდა, გამოაქვეყნა დიმიტროვის ეს წინადადება, სადაც ცხადად გამოიკეთა თვით ედანოვის პოზიცია. ამ პერიოდში ტიტომ გაიგო, რომ იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. გებრანჯი საბჭოთა დაწვევების აგენტი იყო და სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საბჭოთა ელჩს, როგორც ცენტრალური კომიტეტის სხდომების, ისე, შესაძლოა ტიტოსა და დიმიტროვის კავშირის შესახებ, მალენკოვსა და ბერიაშ არ გაკრებივებია სტალინისთვის იმის დასაბუთებდა, რომ ბალკანეთის ფედერაცია გამოიგონეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ვაჟუნის შესახებ. 1948 წლის 28 იანვარს „პრავდაში“ რედაქციამ გამოაქვეყნა ვაცისკალები აღნიშნული ფედერაციის შესახებ. სტალინმა, რომელიც კარგად იცნობდა კუბლიცისტური ენის თავისებურებებს, უმალ ამოიცნო ვინ იყო ამ „განცხადების“ ავტორი. ვაცაცნობთ მას მთლიანად:

„პრავდაში“ რედაქციისა საბჭოთა სახელმწიფოს მრავალი კუთხიდან მივიღეთ შეტოხვები, რომელთა აზრით შემდეგში მდგომარეობის ნიშნავს თუ არა ამხ. დიმიტროვის მიერ სოფიის პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხა-



დების „პრავდაში“ გამოქვეყნება, რომ გაზეთის რედაქცია იზარებს დიმიტროვის პოზიციას, რომ მიწანშეწონილია ბალკანეთისა და დუნაისისათა ქვეყნების ფედერაციის ან კონფედერაციის შექმნა, რომელშიც შევლენ აგრეთვე პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი და მათ შორის უნდა შეიქმნას საბაჟო უნი. ამასთან დაკავშირებით „პრავდის“ რედაქციამ საბჭოთაო ჩათვლა შემდეგაა განმარტების მიცემის: 1). „პრავდას“ არ შეეძლო არ გამოქვეყნებინა ამხ. დიმიტროვის განცხადება, რომელიც დაბეჭდეს სხვა სახელმწიფოების გაზეთებში, ამასთან, გასაგებია, რომ „პრავდას“ არ შეეძლო რაიმე ცვლილება შეეტანა ამ განცხადებაში. 2). მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ „პრავდას“ ეთანხმება დიმიტროვის ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ფედერაციისა და საბაჟო უნიის შექმნის საკითხებში. პირიქით, „პრავდის“ რედაქციას მიარჩნია, რომ ამ ქვეყნებს სჭირდებათ არა პრობლემატური და გამოგონილი ფედერაცია ან კონფედერაცია, ან საბაჟო უნია, არამედ გაძლიერება და დაცვა თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისა, რაც უნდა უზრუნველყოფდეს შიდა სახალხო-დემოკრატიულმა ძალებმა. ამის თაობაზე სწორად არის ნათქვამი ცხრა კომუნისტური პარტიის ცნობილ დეკლარაციაში“.

წმინდა სტალინური ლოგოკა: ყველა ეს ქვეყანა დამოუკიდებელი უნდა იყოს ერთმანეთისაგან, რათა უფრო ძლიერ იყოს დამოუკიდებელი საბჭოთა კავშირზე! დიმიტროვს რომ გაეკეთებინა განცხადება ბალკანეთის ქვეყნების ფედერაციის საბჭოთა კავშირთან შექმნის შესახებ, ბუნებრივია, სტალინს არაფერის ექნებოდა საწინააღმდეგო.

არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილი უფროფასენის სტორიული პირველწყაროდან, რომელიც აღნიშნულ პერიოდს მიეძღვნა (მილოვან ჭილასი, „საუბრები სტალინთან.“). 1948 წლის თებერვალში ბულგარელთა და იუგოსლავები გამოიძახეს სტალინთან. შეხვედრაში საბჭოთა მხრიდან მოწაწილუობდნენ — სტალინი, მილოვოვი, უდაროვი, მაღენკოვი, სუსლოვი, ზორინი. ბულგარელთა მხრიდან — დიმიტროვი, კლაროვი, კოსტოვი, იუგოსლავიიდან — ჭილასი, კარდელი და ბაკარიჩი. პირველად სიტყვით გამოვიდა მილოვოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ უთანხმოებასთან ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის, ხოლო მეორე მხრივ ბულგარეთისა და იუგოსლავიის ქვეყნებს შორის. მაგალითად მილოვოვმა მოიყვანა ბულგარეთისა და იუგოსლავიას შორის (სარკის კონსულტაციის გარეშე) მოკავშირეობაზე დადებული ხელშეკრულება. როცა მილოვოვმა ახსენა დიმიტროვისეული გეგმა ფედერაციის შესახებ, სტალინმა შეაწყვეტინა: „ამხანაგი დიმიტროვი არ უფიქრდება,

რას ამბობს პრესკონფერენციებზე.“ სახელგანთქატი კი ბგონით, რომ ის და ტტტტ ამბობენ იმას, რასაც ჩვენ ვპარასობობთ გალითად, ჩვენთან იყვენ პოლონეთში, შემათ ვეკითხები: რას ფიქრობთ დიმიტროვის განცხადების შესახებ? მათ თქვეს: გონივრული საქმეა. როდესაც შეიტყვეს, რომ ჩემი აზრით ეს არ არის გონივრული საქმე, აღნიშნეს, რომ ეს საქმე მათ უგუნურებიად მიარჩნიათ, თუკი ასე თვლის საბჭოთა მთავრობა. პოლონელებს ეგონათ, რომ დიმიტროვმა ეს განცხადება საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმებით გააკეთა და ამიტომ იწონებდნენ მას“ („სტალინთან საუბრები“, გვ. 164—165).

მილოვოვმა დაამატა, რომ ბულგარეთი ცდილობს რუმინეთთან შექმნას ფედერაცია „ისე, რომ არაფერი კითხოს საბჭოთა მთავრობას“ (იქვე, გვ. 165). როცა დიმიტროვმა თავის დასაცავად თქვა, რომ ფედერაციის შესახებ იგი საუბრობდა მხოლოდ ზოგადად, სტალინი ჩაერია: „არა, თქვენ მიილაპარაკეთ საბაჟო კავშირზე და სამრეწველო გეგმების შეთანხმებაზე“ (იქვე). მილოვოვმა ვაგარძელა სტალინის აზრი: „რა არის საბაჟო კავშირი და ექონოშის შეთანხმება, თუ არა ერთი სახელმწიფოს შექმნა?“ (იქვე).

დიმიტროვმა თავის დასაცავად შენიშნა, რომ ბულგარეთსა და იუგოსლავიას არავითარი ხელშეკრულება არ დაუდებია, მათ გააკეთეს მხოლოდ ზოგადი განცხადება ამ მიმართულებით. სტალინმა უხეშად შეაწყვეტინა: „დაიბ, მაგრამ თქვენ არ შეთანხმებო ჩვენთან! თქვენის ურთიერთობების შესახებ ჩვენ ვაზეთებიდან ვგებულობთ! ლაუბობთ, როგორც ბებიები განაჯარედინებზე, რაც თავში მოვივთა, თურინალიტები კი ამით ხარგებლობენ“ (იქვე, გვ. 166).

დიმიტროვმა კიდევ ერთხელ სცადა თავის დაცვა: „ჩვენ შევცდით, მაგრამ ჩვენ ვსწავლობთ საჯარო პოლიტიკაში ასეთ შეცდომებზე.“ (იქვე, გვ. 167). სტალინმა თავის მართლება არ მიიღო. მილოვან ჭილასი აღნიშნავს: „სტალინმა მოკრით და დამცინავად თქვა: „ისწავლეთ! პოლიტიკაში იმოდგაწვეთ ორმოცდაათი წელი და ასწორეთ შეცდომები! აქ საქმეებზეა არა შეცდომას, არამედ ჩვენგან განსხვავებულ პოზიციას“ (იქვე).

აქ დიმიტროვს წაუშალა ძველი ვეტრანის კომუნისტი, ლენინის ბულგარელი თანამებრძოლი, კლაროვი. ამასთან დაკავშირებით გაიმართა საგულისსმო დილოგი. კლაროვმა თქვა: „მე ვერ ვხედავ, რაშია ამხ. დიმიტროვის შეცდომა — ჩვენ ხომ რუმინეთთან მილაპარაკების პროექტი წინასწარ ვაფუჭავდეთ საბჭოთა მთავრობას, მას კი საბაჟო კავშირის წინააღმდეგ არაფერი განუცხადებია...“ (იქვე, გვ. 168). სტალინმა მილოვოვს მიმართა: „გამოვივანდეს მილაპარაკების პროექტი?“ რა-

ცა მოლოტოვმა დადებითად უპასუხა საბოლოოდ ააფეთქა სტალინი, რომელსაც არ უყვარდა, როცა მის მტკიცებებს უარყოფდნენ ფაქტებით. მისთვის ფაქტები სულაც არ იყო გადართმავი დაბრკოლება. მან დაიპყროვის გამოიჩინა ბიჭუნახავით გაიციხა: „ისხულელმა თქვენ კომკავშირელივით იქცევით. გინდოდოდათ, გაგვეკირვეინათ მსოფლიო — თითქმის ისეც კომინტერნის მიღვანი იყო. არც თქვენ და არც იუგოსლავებმა არაფერი არ შეგვატუბინეთ. თქვენი საქმეების შესახებ ჩვენ ვაგებულობთ ქუჩაში, თქვენ უაფე მომხდარი ფაქტების წინაშე გვაყენებთ!“ (იჭვე).

ბელგრადის ცხელი მოსკოვში „დასახვენი-ლა“ და „ხახაბროდ“ გამოძახებული დი-მიტროვი იუგოსლავებს ურჩევდა მტკიცედ მდგარიყენენ მოსკოვთან კამათში (იუგოსლავის ვაჭეთი „ბორხა“, 29 სექტემბერი, 1949 წ.). დიმიტროვი მოსკოვიდან აღარ დაბრუნებულა. ცნობილია კომუნისმის ლიდერებთან სტალინის ანგარიშსწორების შეთადები, ისიც, რომ ხალ-კანეთის ფედერაციის შექმნის იდეა დიმიტ-როვის ინიციატივა იყო და იგი პრინციპულად იცავდა ამ იდეას, სტალინი კი დიმიტროვის წინააღმდეგი იყო, ამდენად, საკვების საფუძე-ლიანად მიგვჩანია მსოფლიოს ბეჭდვითი ორ-განოების კომენტარები იმის შესახებ, რომ დი-მიტროვი არ მომკვდარა ბუნებრივი სიკვდი-ლით. საბჭოთა ოფიციალური ცნობა („პრავდა“ 8 ივლისი, 1949 წ.). იუწყებოდა, რომ დი-მიტროვი გარდაიცვალა 1949 წლის 2 ივლისს „ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ (ღვიძლი, ღიახეტი) სანატორიუმ „ბარჯინაში“ მოსკო-ვის ახლოს. ერთი წლით ადრე ამავე სანა-ტორიუმში „გარდაიცვალა“ ედანოვი.

მხოლოდ ამის შემდეგ, 1949 წლის ნოემბერში სტალინმა ბუღაბაშტში მოიწვია კომინფორმის ხელმძღვანელებს სტალინის ბეჭდვითი (სულსოვის ბეჭდვითი) მთა-ვარი მოხსენება გააკეთა სტალინის მომხრემ რუმინეთში გ. გეორგიუდემ: „იუგოსლავიის კომპარტია, მკვლევებისა და ქაშუშების ხელ-მძღვანელობით“. სულსოვის მიერ წარმოდგე-ნილ რეზოლუციებში ტიტოს წაყენებული მკონ-და იმდენი პოლიტიკური და სისხლის სამართ-ლის დანაშაულის ბრალდებები კომუნისმის წინააღმდეგ და აშშ-ს სახარგებლოდ, რომ გაუგებარია, რატომ არ გამოუცხადა სტა-ლინმა ომი ტიტოს?

სტალინისათვის ეს არაფერს არ ნიშნავდა, მან თავი შეიკავა ამტომ, რომ არსე-ბობდა იუგოსლავი ხალხის განმათავისუფ-ლებელი ბრძოლის საშეშროება, რომელშიც შეიძლება ჩართილიყვენ სხვა მოკავშირე ქვეყნების ხალხები და იქნებ ამერიკის შე-ერთებული შტატებიც. ყოველივე ეს სტალინს იძულებულს ხდიდა, ტიტო გადაეყენებინა შეიდა შეთქმულების საშუალებებით (კომინფორ-მის იუგოსლავ მომხრეთა გამოაშკარებულ-

ლი შეთქმულება ადასტურებს, რომ კრემლი-მ შემთხვევაშიც სტალინის ერთგული დარჩა) სტალინს მკონდა ჩვეულება — მტრულად მიეწერა პირადი დანაშაულებრივი მიწინები, ამის მაგალითებით სახსენა ტანისთვის მისი ლენინთან ბრძოლის ისტორია. ამავე მეთოდე-ბით მოქმედებს იგი ტახტის დაპყრობის შემ-დეგ. ომის პერიოდში თავის ღირსეულ თანა-მოაზრებს ინკვიზიციაში, მაგრამ უმიდლო ეფ-რეიტორს პოლიტიკაში — შიტლერის სტალინმა მიაწერა ბარბაროსთა ისეთი შეშველი პო-ლიტიკური ფილოსოფია, რომლის მსგავსსაც ვერ ამოიკითხავ თვით მაკიავლისთანაც კი: „ადამინი, — ამბობს შიტლერი, — დახადებიდან ცოდევილია, მისი მართვა მხოლოდ ძალის გა-მოსყენებით არის შესაძლებელი. მასთან მი-მართებაში დახადებია ნებისმიერი შეთადები: როცა ამას პოლიტიკა ითხოვს, საჭიროა სიცი-რუე, ღალატი და მკვლელობაც კი... მე ვან-თავისუფლება ადამინს, ამ დამამცილებელი ქიმიკისაგან, რასაც სინდისი ჰქვია. ჩემი უპირატეობა მდგომარეობს იმაში, რომ მე არ მოქმედებ თეორიულად და მორალური ხანა-ითის არავითარი წარმოდგენა“ (ი. სტალინი, „სახაბოთა კავშირის დიდი სამაშულო ომის შესახებ“, 1952, გვ. 28—29). შიტლერს შე-ეძლო ასე ემოქმედა, მაგრამ არამც და არამც არ შეეძლო ასე ელაპარაკა, რად-გან ასეთი გაშიშვლებული ამორალური ფილოსოფიით იგი ვერასოდეს მივიდოდა ბე-ლიუსუფლების სათავეში მორალურად ჩანად და მალაქულტურულ გერმანიაში. სტალინმა მის მავიკრად შეთხზა ეს სიტყვები, რადგან თვი-თონაც ასე ფიქრობდა და, რაც მთავარია, ასე მოქმედებდა. სწორედ ამგვარად მოქცა სტალინი ტიტოს, როცა თავისი რევიმი და დანაშაული მას მიაწერა. როგორც ჩანს, სტალინმა საშუალოდ დამიხსნოვრა ტურგენევის ერთ-ერთი გმირის მო-რალი: „თუ თქვენ გასურთ კარგად დამარჩი-ლოთ და ავნოთ კიდეც მოწინააღმდეგეს — შეუბნებოდა მე ერთი ძველი ნაძირალა — დაადანაშაულებთ იგი იმ დამში, რომელსაც თქვენ თქვენს თავში ხედავთ, ახილებთ... დაადანაშაუ-ლებთ. ჯერ ერთი, — ეს სხვებს აფიქრებინებს, რომ თქვენ ეს ნაკლი არ გვაჩანიათ. მეორეც, თქვენი უმეყოფილება შეიძლება მართალი აღ-მოჩნდეს... თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სა-კუთარო სინდისის მზილებით. თუ თქვენ, მგა-ლითად, რენეებთან ხართ, — დაადანაშაულეთ იმაში, რომ მას არ გააჩნია შეხედულებები. თუ თქვენ თავად ლაქია ხართ, — უთხარით მას, რომ იგი ლაქიაა. ცივილიზაციის, ევროპის, სოციალისმის ლაქია შეიძლება ითქვას: ლა-ქია ლაქიაობის გარეშე — აღენიშნე მე, — ესეც შეიძლება, — აიტაცა ნაძირალამ.“ ყოველივე ეს უნებურად გახსენდება, რო-ცა სტალინის და ტიტოს ბრძოლის ისტო-რიას სწავლობ. გამწვავდა რა სსრკ-სა და



იუგოსლავიის ურთიერთობა, სტალინმა პირადად შეადგინა „დღილომატიური“ ნოტა იუგოსლავიის მთავრობის სახელზე. სტალინის ავტორობაზე მეტყველებს არა მარტო ნოტის სტილი, არამედ მისი შინაარსიც: ნოტაში ნათქვამია ის, რის თქმასაც ვერავინ გახედავდა სტალინის გარდა, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღწერილია არა იუგოსლავიის, არამედ სტალინური საბჭოთა რეჟიმი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია:

„მარქსისტული პარტიების ყრილობები იკრიბებიან არა იმიტომ, რომ ბელადები განადიდონ, არამედ იმიტომ, რომ არსებული ხელმძღვანელობის მოღვაწეობა კრიტიკულად შეფასდეს და, თუ საჭიროებამ მოითხოვის, განახლდეს ან შეიცვალოს ახალი ხელმძღვანელობით. ყველა მარქსისტულ პარტიაში, სადაც არსებობს შიდაპარტიული დემოკრატია, ხელმძღვანელობის შეცვლის ასეთი მეთოდი ბუნებრივი და სრულიად ნორმალურია... (ეს არაპირდაპირი პასუხია იმაზე თუ რატომ არ იწვევდა სტალინი ყრილობას 14 წლის მანძილზე) რა დემოკრატიული ხასიათის ხელისუფლებაზე შეიმძღვა ლაპარაკი, როცა მთელს იუგოსლავიაში გეტკაბოს მეთოდებით მართვის პრინციპები მიფოხს, როცა უგულბებულყოფილია აზრის ყოველგვარი თავისუფალი გამოხატვა, როცა გათელილია ადამიანის ყოველგვარი უფლებები, როცა იუგოსლავიის ციხეები სავსე... როცა იუგოსლავიის კომუნისტური პარტია გადაიქცა პოლიტიკური პოლიციის განყოფილებად“ (ზუსტად ისე, როგორც სტალინთან).

სტალინი გადადის იმ საშინელებათა აღწერაზე, რაც იუგოსლავიის ციხეებში ხდება, წერს წამების მეთოდებზე, რომლებსაც იყენებდნენ საბჭოთა დაწვევების სამსახურში ექვსიტანილ რუს ემიგრანტებზე. გამოაცხადა რა თეთრი ემიგრანტები (მათ აქამდის „თეთრ ბანდიტებს“ უწოდებდა) „სსრკ-ის მოქალაქეებად“, სტალინმა გამოთქვა აღფშოთება, რომ დაკითხვების დროს ტიტო შეურაცხყოფს და დამამორცხვლად ეპყრობა მათ: ერთი მათგანი აიძულეს, 30 საათი უმოძრაოდ მდგარიყო და ორ დღე-ღამეს არ დაეძინა (სტალინის საშუალო ნორმა 10 დღე-ღამე იყო), მეორეს დალაშობით, დაკითხვის დროს ჩოხით სცემდნენ, მესამეს სცემდნენ და ექვსჯერ მოათავსეს კარცერში (ყოველივე ეს დღილტანტოზშია სსსრკ-ის პრაქტიკოსთან შედარებით). სტალინი კითხულობდა:

„შეიძლება თუ არა ასეთი უმხგავსო და არაადამიანური რეჟიმი სახალხო-დემოკრატიულად ჩათვალდეს? უფრო სწორი არ იქნებოდა რეჟიმისათვის, რომელიც ასე თელავს ადამიანურ ღირსებებს, ფაშისტურ-გეტაპოური რეჟიმი გვეწოდებინა?“

სტალინი ინტერვენციის აშკარა მუქარით ამთავრებს:

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა ნაცხადოს, რომ იგი არ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და იძულებული იქნება დაიწყოს უფრო ქმედითი ზომების... რათა დაიკავას იუგოსლავიაში საბჭოთა მოქალაქეების ინტერესები და უფლებები და მოეწოდოს წესრიგისაკენ ფაშისტურ მოძალადეებს“ („პრავდა“, 21 აგვისტო, 1949 წ.).

სტალინმა ვერ მოახწრო იუგოსლავიის ოკუპირება და ტიტოს „წესრიგისკენ მოწოდება“, თუმცა სარწმუნოა, რომ მას სურდა და კიდევ მოახდენდა ოკუპაციას. მისმა უფრო „ლიბერალურმა“ მემკვიდრეებმა ორჯერ დაამტკიცეს (1956 წ. უნგრეთის, ხოლო 1968 წ. ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციით), რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტი — წმინდა წყლის ფიქვია, თუკი ოღნავ მიიწვი ილახება საბჭოთა ხელისუფლების იმპერიალისტური ინტერესები.

დღიბტრავის სიკვდილისა თუ მკვლელობის შემდეგ სტალინმა დაიწყო მოკავშირე ქვეყნების წმინდა ფედერაციის მომხრეთაგან. 1949 წელს შედგა დემიტრავის მომხრეთა — ტრანიო კოსტოვის, ეკოს და მთავრობის სხვა წევრთა სასამართლო პროცესი. ექვსჯერ შეტარა დემიტრავის ბაღკანეთის ფედერაციის ბეგმა ვახდა როგორც დემიტრაველთა, ისე ყველა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „იტოისტი“ ძირითადი ბრალდება. ერთი რამ იწვევს გაოცებას, ბუნებრივ პეტისმეტად ფრთხილი სტალინი ამჩრავდა ბულგარულ კომუნისტებს დაუფარავად დებს ბრალს ბაღკანეთის ფედერაციის „დაწამულბებრივ იდეაში“, ქრომელიც მან გააკრიტიკა „პრავდაში“, როგორც დემიტრავის იდეა. სტალინს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ეს გაშიწვევდა სრულიად საფუძვლიან ექვს დემიტრავის უცაბედი სიკვდილის გამო, რომ სტალინი მოერბდა „ლაპაცივის ვეფხვის“ აშკარა გასამართლებას და გადაწყვიტა მისი მოკვლა. ამას გარდა, სტალინმა მისთვის შეუფერებელი დაუფიქრებლობით, კოსტოვი აიძულა „ეკლერეზინა“ რომ ფედერაციის ბეგმა, ჭერ კიდევ ომის დასასრულს, მოიფიქრა არა დემიტრავმა, არამედ ტიტომ, რათა ბაღკანეთი მოეწვიტა საბჭოთა კავშირისთვის. აი ეს ალიარებაიც:.

„ქარდღმა ბაზი გაუსვა, რომ შეიქმნა ხელსაყრელი მომენტი ფედერაციის იდეის განსახორციელებლად, რადგან მსოფლიო ჭერ კიდევ ომით არის დაკავებული და ბულგარეთისა და იუგოსლავიის გაერთიანება ფედერაციის სახელით შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლინ. მხოლოდ საჭიროა ვიმოქმედოთ სწრაფად და პრინციპულად, რათა მსოფლიო დავეყნოთ უკვე მომზადარი ფაქტის წინაშე... იუგოსლავია ფედერაციის შექმნის საქმეში ბულგარეთის შთანთქმას გულისხმობს. იუგოსლავიას სურს ბულგარეთი იუგოსლავიაზე დაშოყიდებული



ვახადას და ამგვარად ორივე მოწვევით სსრკ-ს" („პარადა“, დეკემბერი 1948 წ. „ბულტარეთის სახალხო რესპუბლიკის შთავარი პროკურატურის დასკვნა. ტრაიო კოსტოვისა და მისი თანამონაწილეების საქმეზე“).

მოწვევით ბალანდები საბჭოთა კავშირს. — აი, სად იყო დამარბული სტალინური ძალის თავი ამიტომ უნდა მომქედარე-უენენ ჭერ ედანოვი და დიმიტროვი. შემდეგ კი კოსტოვი.

სტალინის ფარსევლობა უპრეცედენტო ვახლდათ. კრემლში არსებული ჩვეულების თანახმად. პარტიული ლიდერების ცხედართან გვირგვინები მხოლოდ წარმოება-ორგანიზაციების სახელით მოქმედებდა და არასოდეს ეტრო პირთაგან. ეს ჩვეულება არ ირღვეოდა სტალინის მხრიდანაც. პიველად ეს წესი სტალინმა დიმიტროვის სიკვდილთან დაკავშირებით დაარღვია. მის მიერ ცხედართან მიტანილ გვირგვინს გულისამართებელი წარწერა ამშვენებდა: „ვირფას მეგობარსა და ამხანაგს გიორგი მიხეილის ძე დიმიტროვს ი. სტალინი“. აქ უნებურად მახსენდება სტალინის წარწერა საავტორო ეგზემპლარზე „ლენინის მისი საკითხები“: „ჩემს ძმასა და მეგობარს სერგეი მიხეილის ძე კიროვს. ი. სტალინი“. არხად არ უოფილა ისე ხიფათიანი „ძმებისა“ და „მეგობრების“ ცხოვრება, როგორც სტალინის იმპერიაში.

ახალი „დიდი წმენდის“ მომზადება

ედანოვის სიკვდილის შემდეგ ედანოვიმ მხილდა ახალი ფსევდონიმი: „სუსლოვიჩინა“. მალენკოვი და ბერია ფარულად უპრედენც მხარს სუსლოვის ედანოვის წინააღმდეგ, ახლა ლეგალურად დაამყარეს მასთან კავშირი და დაარწმუნეს სტალინი, რომ სუსლოვი ბევრად უფრო დიდი „თეორეტიკოსია“ მაქსისმისა, ვიდრე ედანოვი. ამიტომაც იდეოლოგიის ბაზოთ უკვლეა იურიდიული პრეროგატივა მასთან გადაეცადა.

სუსლოვის წინაშე სტალინმა დააყენა ამოცანა — ედანოვიმხინა ერთი საფეხურით აემალღებინა, რაც „კოსმოპოლიტიზისა“ და „მდალხად თავყანისმკეცელთა“ განადგურებიდან „ხალხის ახალი მტრების“ სწავლულ— „მავნებელთა“ განადგურებაზე გადასვლას ნიშნავდა. ესენი იყვნენ „მემარქვენი ოპორტუნისტები“, „სიონისტები“ და „ბურჟუაზიული ნაციონალიზმები“. რომელიმე ამ კატეგორიისთვის ნებისმიერი საბჭოთა მოქალაქის მიკეთვება შეიძლებოდა. აქნებოდა იგი პოლიტიბუროს წევრი თუ რიგითი კოლმეურენე. ეს ნიშნავდა „ხალხის მტრების“ შეშინებიდან მათ განადგურებაზე გადასვლას და, ასევე, ჩაუღენელ დანაშაულთა საქარო აღიარებას. და ბო-

ლოს, ეს ნიშნავდა საბჭოთა კავშირის მთლიან მოწოდებულ მოსახლეობის საიდუმლო პოლიტიკის კოლმეორაციის მიზნების პარტიის წლის ლოზუნგის თანახმად „სსრკ-ს უკვლეა მოქალაქე სსრკ-ს თანამშრომელი“ („პარადა“, 21 დეკემბერი 1987 წ. მიქოიანის მოხსენება სსსკ-ის ჩეკას 20 წლისთავთან დაკავშირებით).

რამი მდგომარეობდა ამ კოლმეორაციის არჩი რუსმა ფილოსოფოსმა და პუბლიცისტმა გ. ფედოტოვმა გააკეთა ასეთი ღრმა შენიშვნა: „უნდა ადილო ზედისუფლება მამინაც კარცა ვაქულს იგი“. მაგრამ სტალინი უფრო შორს წავიდა მან შეიქმნა სისტემა, რომელსაც აქამდე არ იცნობდა კაცობრიობა. სტალინმა მოწინად დანახა, უოველი მოქალაქე იძულებული გაებადა, ჩაედინა რამენ სინაძეულ. რათა მოესპო მათი ღირსების გარანტიება და შეექმნა ადამიანის ტიპი, რომელიც უკვლავურს იკადრებდა... ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამსხვრეულიყო ადამიანური გუნება დაჩრდილულიყო მისი სინდისი, გამხდარიყო მოვალეობა და ცილისმწამებელი — აი, მოწინა. ასეთი კაცი ვეღარასოდეს შეხედავს ადამიანს თვალებში. ის გააკეთებს უკვლავურს რასაც მოვთხოვთ... ცილისწამების მსხვერპლს და სასიკვდილოდ განაწამებს ადამიანს მისი ეთოსობება საკუთარი აზრისა და იდენის უკვლავურსა. აქაც იგივე მიზანს იახავდნენ მწერალთა სწავლული მორალურად მოკვლათ: მეთისმებათ თავაწული დადის. მას ეტყენენ რომ იმსახურება მეცნიერებასა და ზელოვინებას. სინამდვილეში ის ვეშახებურება ჩვენ ის არის პრესტიტუტა, რომელსაც ფულს უნდა სახელმწიფო, და ეს მუდამ უნდა ახსოვდეს მას“ („ნოვი თურნალ“, ნოუ-იორკი, 1987 წ. № XXI, 25. 249-250).

დაიბ, ასეთი იყო სტალინის მიზანი ახალი წმენდის დაგეგმვისას. უფერტიურად ექცა „ლენინგრაძის საქმე“. ოფიციალურად მის შესახებ არხად არაფერი თქმულა: არაფერი თქმულა ვარკოვი 1949 წლის 13 ივლისის ცხადდენილის შესახებ, რომლის თანახმადც დაშლეს ღერნალ „ბოლშევიკის“ (ახლანდელი „კომუნისტი“) რედაქცია და საკვდურთი გამოუცხადეს ცკ-ის სააკტიაციო განყოფილების უფროსს დ. შეპილოვს, ვოლენსენსკოს წიგნის „სსრკ-ის სამხედრო ეკონომიკა სამაშულო ქვეპერიოდში“ შექებისთვის (ეს წიგნი სტალინის მოიწონა და თავისი სახელობის პრეფიქსი დაეკვლიდა). „ბოლშევიკის“ მოთავარი რედაქციის ედანოველი ფედოსიევი მოხსენეს, რედაქციის შემადგენლობიდან გამოიყვანეს, აგრეთვე, მისი კარა მალენკოველები — ალექსანდროვი და იოვარუო, რომლებსაც უფრადლების მოქმედებაში დაედოთ ბრალი. ახალი რედაქციის შემადგენლობაში შევადენენ მალენკოვის

მოყენებული ახალინი (მთავარი რედაქტორი), ილიჩევი, კრუჟკოვი, გრიგორიანი, ბურკოვი და მიასნიკოვი. უკვლავური საიდუმლოდ ხდებოდა, მხოლოდ 1952 წლის დასასრულს, როცა ცკ-ში გაჩაღდა ახალი ომი, ეს დადგენილება სუსტობდა გააცნო მკითხველს ედანოველებს წინააღმდეგ დაწერილ სტატიაში.

მხოლოდ 1949 წელს, სსრკ უმაღლესი საბჭოს მარტის სესიაზე პარტია მიხვდა, რომ მდღის მიმდინარეობდა ბრძოლა და ჯერ ედანოვეს მოწოდებდნენ ლენინგრადად და თავიბი ცვიკა. საჭირო იყო ვარეგული ლეგალიზაციის დაცვა, ამიტომ სესიას ცნობდა, რომ 1949 წლის მარტს თანამდებობიდან განთავისუფლებულია ვოზნესენსკი და მისი თანამებრძოლები.

ყოფილმა ედანოველმა კოსიგინმა გასცა და ამხილა რა თავისი მფარველი ედანოვი და გადაედავა მაღენკოვის მხარეზე, ამით მან არამარტო შეინარჩუნა საბჭოთა კავშირის მიზნის ტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, იგი ამავე სესიაზე სსრკ მსუბუქი მრეწველობის მინისტრადაც დაინიშნა. კუნეცოვის შესახებ არაფერს იტყობინებოდნენ და არავინ იცოდა, რომ კუნეცოვი (მცირე ხნით ლენინგრადის აღმასკომის ხელმძღვანელობის შემდეგ), პოპოვი, როდონოვი უკვე გადაიოდნენ წამების „კონვიერის“ ბერბასა და აბაკოშოვის სარდაფებში, ხოლო ვოზნესენსკი საშინაო პატიმრობაში წერს „კომუნისმის პოლიტიკონომისა“, რითაც კიდევ უფრო აღიზიანებს სტალინს, უნდა აღინიშნოს, რომ პარტიისა და საზოგადოებრიობის „დეზორიენტაციისთვის“, მოხსნილებს „ამხანაგებს“ უწყოდებდნენ, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო. ბოლოს ვოზნესენსკი და კუნეცოვი პოლიტბიუროს წევრებთან ერთად 1949 წლის 22 იანვარს — ლენინის ბსკვისადმი მიძღვნილ საღამოზე ნახეს. მხოლოდ სტალინის დამარცხების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ვოზნესენსკი 80 სექტემბერს დახვრიტეს, ხოლო სხვები, კუნეცოვთან ერთად, — 1950 წლის 1 ოქტომბერს.

ბერია და მაღენკოვი არ დამაყოფილდნენ იმით, რომ ზნიდან ჩამოიცილეს ედანოვი და ედანოველები. მონოპოლიური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ედანოვის ყოფილი მოკავშირეებისთვისაც მიეყენებინათ დარტყმა, ანუ მოეწყვიტათ სტალინის მთელი მისი „ძველი გვარდიისა“ (მოლოტოვი, ვოროშილოვი, კავანოვიჩი, მიკოიანა, ანდრეიევი). სწორედ „ძველი გვარდიის“ ხალხმა, რომლებიც ლენინის უშუალო მოწოდებებზე და სტალინის თანამებრძოლები იყვნენ, მიიყვანეს სტალინი ერთპარტიულ დიქტატურამდე. მათი ერთგულება სტალინისადმი აბსოლუტური იყო და არც სტალინს შეპარვია არაზოადეს მათში ეკვი.

და აი ერთი შემდეგით, ისე ჩანდა, რომ ბერია და მაღენკოვი უიმედო საქმეს იყენებდნენ ხელს. მაგრამ მათ ისე ოსტატურად მოქმედებდნენ „სტალინური დიქტატორი“, რომ სტალინმა მალე დაუშვა დაუშვებელი: შესაძლებელია მოლოტოვი, ვოროშილოვი, მიკოიანა, კავანოვიჩი, ანდრეიევი სტალინის წინააღმდეგ, სიონისტური შეთქმულების იარაღი იყვნენ, უფრო მეტიც, ისინი შესაძლებელია ინგლისურ-ამერიკული დაზვერვის ჩაუშვებიც კი აღმოჩნდნენ.

სტალინი ლოკატორად აზროვნებდა — თუკი სტალინი თვითონ იყენებდა მეფის პოლიციას თავის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში (მაგალითად, შაუშინის წინააღმდეგ), თუკი ლენინი რუსეთის დასაბოხად გერმანული დაზვერვისაგან ღებულობდა ფულს, ლენინისა და და სტალინის მოსწავლეებს რატომ არ შეუძლიათ გაეყოლონ იგივე?

სტალინმა ეკვი შეიტანა მათში, რისი პირდაპირი შედეგიც გახლდათ ლაშოვსკის, მიხილსისა და სხვების მიერ ზელოვურად შექმნილი „სიონისტური“ საქმე. დააპატიმრეს მოლოტოვისა და ანდრეიევის ცოლები, როგორც ამ საქმეში ვარეული ებრაელები. დააპატიმრეს კალენინის ქვრევი. პოლიტბიუროს სხვა წევრების ცოლებსაც დაკითხვაზე იბარებდნენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანოებში, როგორც მოლოტოვის მეუღლის მეგობრებს — ებებს ვარეუე რჩებოდნენ მხოლოდ ცოლები „ორი ცეზარისა“ — მაღენკოვისა და ბერბასი, თუმცა აქამდე ისინიც მოლოტოვის ცოლის „უაბლოესი მეგობრები იყვნენ“.

დააპატიმრებულ „სიონისტებს“ აიძულებდნენ „გულახდლლად ელიარებინათ“, რომ ომის პერიოდში შექმნილი „სსრკ ებრაელთა ანტი-დასისტური კომიტეტი“ ამერიკის დაზვერვის დაავლებით დაუკავშირდა მოლოტოვისა და მიკოიანის, რათა საბჭოთა კავშირში მოემზადებინა ანტისტალინური გადატრიალება. ითხოვდნენ რა ამ ნაძალადევი „ელიარებას“, ბერია და მაღენკოვი ყოვლისშემძლე დიქტატორის ერთ-ერთად შესწავლილ სისუსტეს ითვალისწინებდნენ: კარგად უნდა იცოდნენ, რომ სსრკ-ში მიმდინარე ინტრიგა უკველთვის ადვილად იყვლებაა გზის სტალინის ეკვიან გონებაში. სტალინი იქამდე მივიდა, რომ ძალიან ერთგული ვოროშილოვი ინგლისის ჩაუშუად გამოაცხადა და მის ბიზნის საიდუმლო მკროფონი დაადგმევინა. ამავე დროს, სუსლოვის პროპაგანდისტული ლაბორატორია იწყებს ლენინის შექმნას იმის შესახებ, რომ ბერია და მაღენკოვი არიან „ლენინის მოწოდებები“ არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ფიზიკურადაც, რომ ისინი პოლიტბიუროს სხვა ძველ წევრებთან ერთად უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ (თუმცა ლენინს წარმოუდგენაც არ მქონდა მათი არსებობაზე).



აქ გაკვირვებას იწვევს არა იმდენად ისტორიული ფაქტობრივობის უცერემონიოება, რამდენადაც თვით სტალინის „მოთმინება“ იმის გამო, რომ უშუალოდ მისი აღზრდილები ლენინის მოწვევებზედაც ასაღებდნენ თავს. მიუხედავად ამისა, ახალი ლეგენდა ოლიციალურად აღიარებს პარტიულ დღემად, რომელიც 1948 წელს ბერკის ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით ცკ-ის მილოცვაში იქნა ფორმულირებული. 1952 წელს იგივე ფორმულირება მისცეს მაღენკოვის მილოცვას: „ამხანაჯ ბერკის ლეგენდას პავლის-ძეს, ცენტრალური კომიტეტი და სსრკ მინისტრთა საბჭო მზურვალედ გილოცავთ თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფეს, ამხანაჯ სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს...“ („პრავდა“, 29 მარტი, 1948 წ.). „ამხანაჯ მაღენკოს, გიორგი მაქსიმოვიჩის-ძეს, ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭო მზურვალედ გილოცავთ თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფესა და ამხანაჯ სტალინის თანამებრძოლს“ და ა. შ. („პრავდა“ 8 იანვარი, 1952 წ.).

ბოლშევიკური ცის ქვეშ არაფერია მარადიული, მაგრამ სამაგიეროდ არაფერია შემთხვევითიც. აქვს პარტიულ-პოლიტიკური აპარატის კონკრეტო საფიქრებელი იყო: თუ სტალინის მემკვიდრეები მოლოტოვისა და „ძველი გვარდის“ გვერდის ავლით დაიკავებენ ტახტს (როგორც შემდეგ მოხდა), მაშინ პარტია და გალბნა უნდა იცოდეს, რომ ისინი თვით ლენინის კანონიერი მემკვიდრეები არიან. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი მარქსისტულ ღმერთად აქციეს და ამაშინ მან თვით ლენინის დიდებაც დაარდილა, მაინც ლენინის სახელით მართავდნენ პარტიას და სახელმწიფოს და მაინც „სტალინის თანამებრძოლად“ შეირაცხვა ნიჟნედა უფრო მეტს, ვიდრე ამ ცნებაში იგულისხმებოდა. რადგან მეფობის ბელადობაში სტალინისაგან უფრო მეტის სწავლა შეიძლებოდა, ვიდრე ლენინისაგან.

საინტერესოა, რომ ელანოვლების ლიკვიაციამ არ გამოიწვია მაღენკოვისა და ბერკის სამხედრო მეთაურების რეპბლიკაცია. თუკოვი, და სხვა მხედართმთავრები, აღმართალი იუმანუვი, ავიაციის მარშალი ვერშინინი, სატანკო ქარების მარშალი ბოგდანოვი, არტილერიის მარშალი ვორონოვი კვლავ პრავინციებში რჩებოდნენ, ან საერთოდ მოცილებულნი იყვნენ საქმეს. სამხედრო-სამაერო ძალების მხედართმთავარი, ავიაციის მარშალი ნოვიკოვი გაასამართლეს კიდევ იმის გამო, რომ თითქოს მისი ხელქვეითი გენერალი ვახილ სტალინი — სტალინის შვილი — მოსუილული იყო. მაგრამ სამხედრო მეთაურთაგან არავინ დასჯილა, ვარაღ ელანოვის მიერ დანიშნული შიკინისა. სტალინის სიკვდილამდე, უველზე მთავარი სამხედრო პირებიც კი სიცოცხლის არავითარ

ნიშან-წყალს არ ამუღანებდნენ. როგორც ჩანს, სტალინმა პოლიტიკური შედამხედველურ ცენტრში მყოფთა მიმართაც გააძლიერა.

სტალინის გათვლები აქ განსაზღვბი და გონიურულია. მას შეუძლია და სურს ბერკისა და მაღენკოვი დაუპირისპიროს „ძველ გვარდისს“, ამიტომ მათ უწვევებდებარებს პარტიულ აპარატსა და მის პარაგანდისტულ მანქანას, მაგრამ ამვე დროს, წინდახედულად არ უთმობს არმისა და პოლიციაზე კონტროლის მონაპოვობას. მოქალაქეები შეუძლია მართოს ბერკიმ და მაღენკოვმა, ბოლო, რაც შეეხება, ძალაუფლების რეალურ მფლობელებს — არმისა და პოლიციას, ისინი, როგორც უკველითის, თვით მან უნდა მართოს.

მხოლოდ შემდეგ ვაირკვა, რომ სტალინს სხვა მიზეზიც ჰქონდა. ის აპირებდა გაემიორებინა თავისი საუკველთაოდ ცნობილი თამაში — პირველი რივის მტრები მოეცილებინა მეორე რიგის ხელით, ბოლო ეს უკანასკნელნი „ვიდივერცების“ ხელით მოესპო. „პოლემიკაში“ რომ შეეცდომა არ დაუშვებო, უნდა ვიხედებოდეთ წინ და არა უკან“, ამბობდა იგი.

მაგრამ, ქერქერობით სტალინი წარსულით იყო დაკავებული. იგი „ძველი გვარდისს“ ბიოგრაფიებში იხრბიკებოდა, რომელიც (ებრაელი ცოლების გამო) პირდაპირ დაუკავშირა ფიქტორ „სიონისტების საქმეს“. ამ საქმის წარმოება შეაკრად გასაიდუმლოებული იყო და უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა — 1949 წლიდან 1952 წლის ავიისტომდე.

ხრუშჩოვის სიტყვებით, ეს საქმე აღიძრა სრულიად უბრალო მიზეზით: „ებრაელთა ანტიფაშისტურმა კომიტეტმა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მიხოლსი (სსრკ სახალხო არტისტის) საბჭოთა მთავრობის მიმართა წინადადებით — უირიმში შექმნილიყო ებრაელთა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა — სტალინმა ვადაწყვიტა, რომ ეს იყო საბჭოთა კავშირიდან უირიმის მოწყვეტისა და მისი ამერიკისაგან დაქვემდებარების მცდელობა (ხრუშჩოვის მოგონებები, გვ. 275—278).

დასავლეთში და განსაკუთრებით ამერიკაში მხოლოდ რომ არ ატეხილიყო, სტალინმა ვადაწყვიტა მიხოლსი არ დაეპატიმრებინა. იგი ავტოკატახტროფაში მოახვედრეს (ეს უკვე გამოციდილი მეთოდი გახლდათ: ასე მოკლეს თბილისში 1922 წ. კაპო, 1924 წელს კი ლენინგრაღში ამოპოცეს კროვის დაცვა). მიხოლსი მოკლეს მინსკთან ახლოს, გზატკეცილზე. ხრუშჩოვის ნაამბობით: სტალინი ასეთივე სიკვდილს უმზადებდა საგარეო საქმეთა უფილ მინისტრს ლიტვინოვს: ამის გაკეთება არ წარმოადგენდა დიდ სიძინელს, რადგან მას მოსკოვთან ჰქონდა აგარაკი (თავი, გვ. 278).

„სიონისტების საქმე“ დამთავრდა იმით, რომ 1945 წლის 10 ავიისტოს ცკ-ის წევრი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საბ-

კოთა საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე ლოწოვსკი და სხვა, კულტურისა და ხელოვნების დარგების ოცი ებრაელი მოღვაწე დაიხვრტა. მოლოტოვის ცოლს უაწახეთში გადასახლება აქმარეს.

ბრუშჩოვი ბევრს ლაპარაკობდა სტალინის ანტიემიგრაციის შესახებ; ამასვე ამბობდა ჭერ კიდევ ტროცკი; ამაზე წერდა სვეტლანა ალილუევაც. — მაგრამ სტალინური ანტიემიგრაციის ამ იყო წოდოლოგიური, როგორც პიტლუცკისა, მისი ანტიემიგრაციის პრაქტიკული იყო. აინსტინი რომ სტალინის იმპერიაში დაბადებულიყო, მაშინ იგი ატომურ ბომბს შექმნიდა არა ამერიკაში, სადაც იგი პიტლუცკმა გაუშვა, არამედ საბჭოთა კავშირში (სტალინი მხოლოდ ამის შემდეგ მოკლავდა მას).

„სიონისტთა საქმესთან“ უშუალოდ იყო დაკავშირებული 1948 წლის მარტს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან მოლოტოვის მოხსნა. ამ საქმესთან დაკავშირებით მოიხსნა სსრკ საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრი შიკოიანიც. მაშინ მოხსნეს სრულიად უდავშაული ცკ-ის წევრი, სსრკ შვიარადებული ძალეების მინისტრი, ბულგანინი (მის ნაცულად დანიშნა უფერული, სტალინის ბრმად მორჩილი სამხედრო ბიუროკრატია მარშალი ვახაღილესკი). სახელმწიფო უშიშროების მინისტრად ჭერ კიდევ 1948 წელს დანიშნული ბერიას მოწაფე, არამვირელი სომეხი აბაკოშოვი თანამდებობაზე დატოვეს, როგორც ჩანს, იმისთვის, რომ მოგვიანებით იგი ბერიას წინააღმდეგ გამოეყენებინათ: ამასთან, აბაკოშოვმა ბრწყინვალედ გააფორმა „ლინინგრადის საქმე“. ცკ-ის აპარატში უდანოვლებიყ ახალმა ხალხმა შეცვალა, ცხენი იუვენე: პონომარენკო, პატალიჩენო, ანდრიანოვი, ჩენსოკოვი.

სტალინის პირდაპირი მითითებით სამხატურნიდან მოხსნის ფაქტმა სრულიად საფუძვლიანად შეაშინა ბულგანინი არა იმდენად კარიერის, რამდენადაც საკუთარი სიცოცხლის გამო. ამ დღეებში წარმოიქვა ბულგანინმა თავისი ცნობილი ფრაზა: „როცა სტალინთან მიემჯავრები, არ იცი, სად მოხვდები. — ციხეში თუ სახლში“. ეს კარგად გამოიყენეს ბერიაშ და მალენკოვმა: მუდამ „ნეიტრალური“ ბულგანინი ბრუშჩოვმა მათ ბადელი გააბა.

მალე ბრუშჩოვმაც განარისხა სტალინი. ბრუშჩოვი თავის თავს სოფლის მეურნეობის ექსპერტად თვლიდა. ხშირად წერდა და კიდევ უფრო ხშირად ლაპარაკობდა ამ თემაზე. მისი სტატია 1950 წლის 25 აპრილის „პრავდაში“ — „კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციის წოდოიერთი საკითხები“, კოლმეურნეობების საქმეების გასაუმჯობესებლად შეიცავდა ბევრ პრინციპულად ახალ წინადადებას. ეს სტატია სახავდა, აგრეთვე, კოლმეურნეთა ცხოვრების ამაღლების ჯგუხს. სხვა-

გვარად რომ ვთქვათ, ბრუშჩოვი, როგორც ჩანს, ბერიასა და მალენკოვის მხარდაჭერით, სტალინის პირადი კომპეტენციის წინაშე შეიჭრა.

ბრუშჩოვის ამ გამოსვლამ დაუსჯელად ჩაიარა მაგრამ ერთი წლის შემდეგ (4 მარტი 1951 წ.), როცა მან გაიმეორა ნათქვამი და დაამატა, რომ „საჭიროა კოლმეურნეობების გაწრა“ და მთ ბაწაზე „აგროკოლაქების“ შექმნა და კიდევ ხელი მოაწერა სტატიას — „ცკ-ის და ცკ-ის მიღვიანი“, სტალინმა უხეშად მოუწოდა წესრიგისაკენ. 1951 წ. 5 მარტს მოწინავეში „პრავდაში“ დაბეჭდა: „რედაქციისაგან, შედეგობის გასწორება: გუშინდელ ნომერში ნ. ს. ბრუშჩოვის სტატიას „კოლმეურნეობების მშენებლობისა და კეთილმოწყობის შესახებ“ რედაქციის უუურადლებობით გაუკეთდა შენიშვნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ აშხ. ნ. ს. ბრუშჩოვის სტატია იბეჭდება რედაქციის წესით. ამ ცნობით აღნიშნულ შეცდომას ვასწორებთ“.

თითქოს „პრავდას“ ჰქონდა უფლება პოლიტიბიუროს წევრების სტატეებისთვის შენიშვნები დაერთო და თანაც ისინი სადისკუსიო სტატეიხად გამოეცხადებინა.

ბრუშჩოვმა კარგად იცოდა (ჭერ კიდევ ბალკანეთის ფედერაციის შექმნის გეგმის ისტორიიდან), თუ რას ნიშნავდა სტალინის საჯარო „შენიშვნა“ ამ ფაქტმა ბრუშჩოვი კიდევ უფრო დააბლავა ბერიასა და მალენკოვთან.

თუკი „ხალხის შტრების“ მოხპობა პარტიის მკაცრად გასაიღმლოებელი იყო (თვით პოლიტიბიუროს წევრებსაც კი აკრძალული ჰქონდათ ცოლებს დაპატიმრების ამბავი ვინმესთვის გაეზილათ), მეცნიერთა და მწერალთა შორის იდეოლოგიური მავნებლების მოხპობა აშკარად ბდებოდა. ედანოვის მიერ დაწყებული საქმე ახლა სულსოვის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა; „მიხლება“ არა მარტო იდეოლოგიურ ფრონტზე ბდებოდა (ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია), „საბრკოლო მოქმედების წონა“ მნიშვნელოვნად გაწრდილიყო. გამომართა ახალი „დისკუსიები“ (ამ დისკუსიებში მხოლოდ ერთი მხარე მონაწილეობდა — პარტიული ორთოდოქსები ავლენდენ „მავნებლებს“), რომელიც ძალიან მალე იდეოლოგიურ წმენდაში გადაიწარდა: ფიზიოლოგიაში — აკადემიკოს პავლოვის მოწაფეთა წინააღმდეგ; ენათმეცნიერებაში — აკადემიკოს მარის მოწაფეთა წინააღმდეგ; გენეტიკაში — შარლატან ლისენკოს მოწინააღმდეგეთა მიმართ, პოლიტიკონომიაში — ვოწენსენსკის მეგობრების წინააღმდეგ.

სტალინმა გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო ორ ასეთ „დისკუსიაში“: ენათმეცნიერებასა და ეკონომიაში. ამ „დისკუსიებში“ მისი სამეცნიერო დამსახურება, რომელიც მის სიცოცხლეში მარქსიზმის მწვერვალად აღიარეს, სი-



ნამდვილეთი უმნიშვნელოა, სამაგიეროდ, უბო-
როტესია მათი პოლიტიკური ქვეტექსტი.

უპირველეს უოვლიხა, ორიგინალობით გა-
მოიჩინოდა „ამ დისკუსიის“ ორგანიზაციის
თვით მეთოლი: „პრავდის“ რედაქცია რომელი-
მე იდეოლოგიურ ფუნქციონერს ავადლება გა-
მოსულიყო პროგრამით ცნობილ აქამდის პარტ-
აპარატისაგან აღიარებული სამეცნიერო ავტო-
რიტეტების წინააღმდეგ. შემდეგ კი ამ
უკანასკნელთ უფლებაც ეძლეოდათ დაეცვათ სა-
კუთარი პოზიციები. — მათ და დიდი გულ-
მოდინებით გააკეთეს და ეკვავდა არ უფიქ-
რიათ, რომ ხაფანგს უგებდნენ. ამის შემდეგ
მათ უოველი მხრიდან ეხმოდნენ თავს სხვა-
დასხვა ბრალდებებით, რომლებიც საპროკუ-
რორო სიტუვს უფრო ჰავავა, ვიდრე სამეც-
ნიერო დისკუსტს. უოველი „დისკუსია“ მთავრ-
დებოდა იმით, რომ ბრალდებულნი „პრავდის“
რედაქციის სახელზე წერდნენ მონანიების გან-
ცხადებებს. ისინი აღიარებდნენ, რომ აქამდე
ენეროდნენ მარქსიზმის დანაშაულებრივ „ფალ-
სიფიკაციას“.

„დისკუსიებში“ სტალინის მონაწილეობის ქვე-
ტექსტო წერა გაუგებარი იყო და ამიტომ
შუერწევლად ჩაიარა, მაგრამ შემდგომი მოვლე-
ნები საშუალებას იძლევიან, გვიგვით ნამდვი-
ლი აზრი, მავალითად, მისი ნაშრომისა „სსრკ-ში
სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები“.

რამდენიმე შენიშვნა მხურს გავაკეთო ენათ-
მეცნიერების საკითხებზე დისკუსიაში სტალინის
მონაწილეობის შეახებზე, აქ სტალინი უდავოდ
მისთვის უფრო სამუაროში აღმოჩნდა. რუსული
ენის გარდა მან იცოდა მხოლოდ ქართული: მან
არ უსწავლია ბერძნული და ვერც გერმანუ-
ლი დასქლია, რომლის შესწავლაც დამოუკი-
დებლად სცადა. აკადემიკოს მარის აფეტურის
თერაიის წინააღმდეგ შედარებითი ენათმეც-
ნიერების („ინდოევროპისტიკის“) არსებუნტა-
ციის გამოკენება სტალინს არაფრით არ შეეძ-
ლდა (თუმცა რუსული პუბლიცისტიკის ენა სტა-
ლინში კარგად იცოდა, ამიტომ მისი ქართული
აქცენტის ლიტერატურულ გაუწათებლობად
ჩათვალა გულუბრყვილობა, ხოლო მისი „ლე-
ნიანიზმის საფუძვლების“ სხვა ავტორისადმი
მიწერა პრიმიტიული სუბიექტივიზმია). სწორედ
ამიტომ სტალინში ენათმეცნიერებაში „მარქ-
სისტულ“ მეთოდოლოგიაზე გაამხვილა უუ-
რადღება, მაგრამ ამით მარქსიზმი ენათმეცნიე-
რებაში „ხალ საფეხურზე“ ვერ აიუვანა, რო-
გორც ამას მაშინ ამტკიცებდნენ. მისი შეტუ-
ველებიხა და წერის სტილი ტრივიალურ ქმე-
მარტებათა ტავტოლოგია, რაშიც ჩანს უო-
ფილი სემინარიელი, რომელიც წინდა წერი-
ლის ტექსტს კატეხიზმის მიხედვით — კითხვა-
პასუხის ფორმაში განმარტავს. ასეთი ტრუნი-
შების არის ხავეც სტალინის სტატიაც
„Относительно марксизма в языкознании“
(„პრავდა“, 20 ივნისი, 1950 წ.). ეს სტატია მი-

მართული იყო აკადემიკოს ნ. მარისა და
ლინგვისტიკაში მისი სკოლის წინააღმდეგ
ლინის „ლინგვისტური დეაქლი“ შემოთ
ნულ ტრუნიზმის ვერ ვახტლდა: „საზგადოე-
ბაში ენა უოველეთის იყო და არის ერთიან-
და საერთო მისი წევრებისთვის.“ „ენა არის
საშუალება, რომლის დახმარებითაც ადამი-
ანები ერთმანეთთან ურთიერთობას ამუარებენ“.
„საზგადოების გარეთ არ არსებობს ენა“,
რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია
ენის ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო
მდიდარი და განვითარებულია იგი. „გამატაკე
წარმოადგენს სიტუვათა ცვლილებიხა და წი-
ნადიდებაში სიტუვათა შესატყვისობის წესთა
კრებულს“ („პრავდა“, 20 ივნისი 1950 წ.).
შემდეგ კი მარქსიზმში ხდება უცნაური და
გულგონარი რამ.

მარქსიც, ენგელსიც, ლენინიც ამტკიცებ-
დნენ, რომ ენა წარმოადგენს „უდენაშენს“.
ახე წერია უველა სახელმძღვანელოში. ამასვე
ამტკიცებდა მარიც, სტალინი კი აცხადებს, რომ
ენა არ წარმოადგენს არც „უდენაშენს“ და
არც „ბაზისს“: „ენა არ შეიძლება მივარდეთ
არც ბაზისის, არც ზედნაშენის რიგს. იგი არ
შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ზედნაშენსა
და ბაზისს შორის არსებულ მოვლენად, რად-
გან შუალედური მოვლენები არ არსებობს“
(„პრავდა“, 4 ივლისი 1950 წ.).

რად არის მავინ „ენა“ — იარალი? არა,
იარალი არ არის, რადგან სტალინი ამბობს,
„წარმოების იარალი წარმოებებს მატერიალურ
სიკეთეს, ხოლო ენა არაფერს არ წარმოებს
ან „წარმოებს“ მხოლოდ და მხოლოდ სიტუ-
ვებს... ენას რომ მატერიალური სიკეთის
წარმოება შეეძლოს, მაშინ მოლაუებები მოსო-
ლიშო უველაზე მდიდარი აღამიანები იქნებოდ-
ნენ“ (იქვე). რაში დავიარდა სტალინს ამ „მეც-
ნიერულ“ დისკუსტო მონაწილეობის მიღება?
სტალინის სტრატეგიაში შემთხვევითი არახო-
დებს არაფერა უოფილა: მან წმენდის ახალი
ტალინს შესახებ მოვცვა ცნობა, რომელიც
ინტელიგენციას ეგებოდა და რომლის პირ-
ველი ნაწილიც ლინგვისტური სფერო იქნე-
ბოდა.

აქამებს რა დისკუსიის შედეგებს, სტალინი
აკეთებს განცხადებას, რისთვისაც ნებისმიერ
სხვას „მეცნიერებაში ლენინური პარტიულუ-
ლის მტრად გამოაცხადებდა“: „აღიარებულა,
რომ არც ერთ მეცნიერებას არ შეუძლია გან-
ვითარდეს შეხედულებათა ბრძოლის გარეშე-
კრიტიკის თავისუფლებას გარეშე.“

ამის შემდეგ კი საკუთარი სიტყმის ნაკლბ
თავის დაუმორჩილებელ ხელქვეითებს მიაწერს.

სტალინი წერს: „დისკუსიაში იკვირენა, რომ
ენათმეცნიერების ორგანოებში, როგორც ცენტ-
რში, ისე რესპუბლიკებში, მეფობდა მეცნიერე-
ბისთვის დაუშვებელი რევიზი... დისკუსია ხა-

სარგებლო აღმოჩნდა უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მან შუის სინათლეზე გამოიტანა ეს არაკრევეული რევიმი და იგი ნაშხვრევებად აქცია“ („პრავდა“, იჭვე).

სტალინი აკრიტიკებს „არაკრევეულ რევიმს“ — ეს მართლაც ღვთაებრივი ხანაბაობაა!

სასწრაფოდ დაიხურა სსრკ მეცნიერების აკადემიისთან არსებული ნ. შარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტი, თითქმის ყველა თანამშრომელი ციხეში გაადასახლეს (ასევე მოქცენენ მის ფილიალებს რესპუბლიკაში).

რამდენადაც სტალინის „მეცნიერული ღვაწლი“ ყველა მეცნიერებისათვის უნივერსალურ პროგრამად აღიარეს, იმავე მეთოდით წმენდა ჩატარდა მეცნიერებათა აკადემიის სხვა ინსტი-

ტუტებშიც: პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, ევოლუციურ ნეოლოგიისა და უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის ინსტიტუტში, ხელმძღვანელები აკადემიკოს ორბელისა და სერანსკის მეთაურობით განდევნეს და გადაასახლეს. ისტორიის, სამართლის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტებში ჩერკოდეე 1938 წელს დაწვებული წმენდა ახალი სიმძაფრით გაგრძელდა. სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სამჭერადი წმენდის შემდეგაც აღმოჩნდა ახალი მსხვერპლი.

უნდა ითქვას, რომ ყველაზე საინტერესო და საბოლოო ჯამში, ყველაზე საბედისწერო, სტალინისთვის ეკონომიკური დისკუსია აღმოჩნდა

თარგმანა ჯურაბ ნარმანიამ

გაგრძელება იქნება

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
«Ц И С К А Р И»
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380028, მარჯის ქ. № 1.

გაღეცა ასაწყობად 12.01.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.03.90 წ., ქალაქის ზომი 70x108/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ. საგ. თაბახი 15,85, შეკვეთა 70, უე 07874, ტირაჟი 47 000.

საქართველოს კ. ც. -ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии г. Тбилиси, ул. Ленина, 14.



ნიკო სახადაშვილი

დაიბადა 1905 წლის 19 ივლისს, თბილისში. იზრდებოდა სოფელ ხილისთავში (გორის რაიონი). 1924 წელს დაამთავრა გორის ჭუმბურიტარული ტექნიკუმი და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჭერ ფილოსოფიურ, შემდეგ კი — ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ არცერთი არ დაუსრულებია. 1927-28 წლებში მასწავლებლობს სოფელ სადგერში (ბორჯომის რაიონი). შემდეგ ბრუნდება თბილისში და სპეციალური კურსების დამთავრების მერე სიცოცხლის ბოლომდე ბუღალტერ-რევიზორად მუშაობდა. გარდაიცვალა 1988 წლის 1 მაისს. სიცოცხლეში არცერთი ლექსი არ გამოუქვეყნებია. 1967 წელს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 28 ივლისის ნომერში პირველად გამოქვეყნდა მისი ლექსები, 1978 წელს ერთიბუნო წიგნიც გამოიცა „ბეთანია“. მკითხველს მხოლოდ შარშან მიეცა საშუალება სრულად გასცნობოდა ნიკო სახადაშვილის პოეტურ მემკვიდრეობას კრებულში „წუთი-სოფლიდან უკვდავებამდე“.



ბათუ (ბართლმეი) დანელია

დაიბადა 1951 წ. ქ. ფოთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა არმიის რიგებში. 1970 წლიდან ცხოვრობს თბილისში. 1987 წელს დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი. გამოცემული აქვს ლექსების სამი წიგნი: „ქალაქი ფრთებქვეშ“ — 1982 წ. „წყნარი ქუჩა“ — 1986 წ. „ტიხარი“ — 1987 წ. ეწევა მთარგმნელობით მუშაობას. არის მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანების კოლეგიის უფროსი რედაქტორი და აღმანახ „ენგურის“ რედაქტორის მოადგილე. 1988 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია.



ნოდარ ბაქრაძე

დაიბადა 1949 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. ზედა საქარაში. პირველად დაიბეჭდა 1982 წელს. მას შემდეგ პერიოდულად იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1989 წელს გამოსცა წიგნი „იმერეთის ნიავი“. ამჟამად მუშაობს საქართველოს კვ. ც. ც. -ის გამომცემლობაში.



624/33



ფანე 60 კპპ.

0500460 76286